


თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
დასავლურ ენათა და კულტურათა
სახელმწიფო ინსტიტუტი

გურამ ლებანიძე

ლექციები

ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში

(ზოგადთეორიული საკითხები)



თბილისი

‘გამომცემლობა „ენა და კულტურა“
1997

წინამდებარე გამოცემა შეიცავს იმ სალექციო კურსების მასალებს, რომლებიც ჩვენს ძიერ წაკითხულ იქნა ინსტიტუტის ასპირანტურაში 1987 - 1990 წლებში. ვფიქრობთ, „ლექციები“ უნდა გამოადგეს როგორც სტუდენტებს, ასევე ასპირანტებს.

ავტორი.

ენათმეცნიერების შესავალი

ლექცია № 1

სიტყვათშესაბუთა „ენათმეცნიერების შესავალი“ სამი სიტყვისაგან შედგება: „ენა“ - „მეცნიერება“ - „შესავალი“. ამ სიტყვათშესაბუთის როგორც მთლიანობის მნიშვნელობის ბოლომდე გარკვევა შოკლი კურსის ამოცანაა. წინასწარ ჩვენ მხოლოდ ამ მნიშვნელობის კონტურებს მოვსაზრებთ.

დავიწყოთ მესამე სიტყვით. „შესავალი“ მიუთითებს იმ როლზე, რომელიც უნდა შეასრულოს კურსმა ყველა ლინგვისტურ დისციპლინათა ფარგლებში - შეგვიყვანოს უაღრესად განვითარებულ, მრავალი განშტოების მქონე მეცნიერებაში - ენათმეცნიერებაში. მისი მიზანია იმ კონკრეტულად ფუნდამენტის შექმნა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს შემდგომი მუშაობა, იმ თეორიული, მეთოდოლოგიური და მეთოდური მიზნების შექმნა, რომელიც აუცილებელია სხვა დისციპლინების ასათვისებლად.

„მეცნიერება“ - ეს არის ცოდნის ის სისტემა, რომელიც ჩვენ შეიძლება მივიღოთ და შევითვისოთ სინამდვილის რომელიმე სფეროს, რომელიმე ასპექტის თანამიმდევრული მეთოდური კვლევის შედეგად. ყოველ მეცნიერებას როგორც ერთიან სისტემას საფუძვლად უდევს სინამდვილის ცნება: რომ არ იყოს სინამდვილე, მის ფარგლებში რომ არ გამთიყოფოდეს ასპექტები და სფეროები, შეუძლებელი იქნებოდა ცალკეულ მეცნიერებათა გამოყოფა. სინამდვილეში გამოიყოფა მრავალი სფერო და ასპექტი: ეს გამოყოფა შეიძლება საკმარისად პირობითიც იყოს: ამიტომაცაა, რომ აზროვნების ისტორიაში ადგილი აქვს სხვადასხვა მეცნიერებათა თანამიმდევრულ გამოყოფას. ის, რაც დღეს ადამიანს არ ესაზება ცალკეულ სფეროდ, ხვალ შეიძლება ასეთად დაესახოს. მაგრამ რა გზითაც არ უნდა მიდიოდეს კაცობრიობის აზროვნება, შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილე უნდა შეიცავს ორ ფუნდამენტურად განსხვავებულ, თუშცა

შინაგანად დაკავშირებულ ორ სფეროს - ეს არის სამყარო და ეს არის ადამიანი. სამყაროს შეისწავლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთობლიობა, მათი სისტემა, ხოლო ადამიანს (ადამიანურ სინამდვილეს) შეისწავლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ერთობლიობა, მათი სისტემა. ერთ-ერთ ჰუმანიტარულ მეცნიერებას წარმოდგენს ენათმეცნიერება. პასუხი კითხვაზე, თუ რა ადგილი უკავია ენათმეცნიერებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში, უშუალოდ დაშოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გავიაზრებთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემის აგებულებას: აგებულია იგი ისე, რომ ყოველი ჰუმანიტარული მეცნიერება (ფსიქოლოგია, ისტორია...) თავისი რანგის მიხედვით თანასწორუფლებიანია (ე. ი. არც ერთ მათგანს არ უკავია ცენტრალური პოზიცია), თუ ეს სისტემა აგებულია ისე, რომ რომელიმე მათგანს შეიძლება მიენიჭოს ცენტრალური სტატუსი (ე. ი. არის თუ არა ეს სისტემა შინაგანად იერარქიზირებული)? ამის გადაწყვეტა დაშოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ჩვენი წარმოდგენა ადამიანზე ანუ ადამიანის რომელ ნიშანს ჩავთვლით ცენტრალურად. მაშინ ის მეცნიერება, რომელიც ცენტრალურ ნიშანს შეისწავლის, რანგით პირველი აღმოჩნდება. მაგრამ ეს ზოგადი წარმოდგენა ადამიანზე არ არის უცვლელი როგორც დროში (ისტორიული დრო), ისე სივრცეში (სხვადასხვა ადამიანს შეიძლება სხვადასხვა წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, თუ რა არის ადამიანში მთავარი). ამდენად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ატარებს მსოფლმხედველურ ხასიათს. „მსოფლმხედველურში“ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო წარმოდგენას ადამიანზე, არამედ სამყაროზეც და მათ ურთიერთდაშოკიდებულებაზე. „მსოფლმხედველობა“ გულისხმობს მუდამ ჩვენ წარმოდგენას სინამდვილეზე მის მთლიანობაში. ამრიგად თვით მსოფლმხედველობაში გაშლილად უნდა გამოვიყენოთ საპირველი სფერო:

- 1) მოლიანური წარმოდგენა სამყაროზე;
- 2) მოლიანური წარმოდგენა ადამიანზე.

3) მთლიანური წარმოდგენა ამ კავშირზე, რომელიც არის მათ შორის.

სამყაროს მთლიანური ხედვა კოსმოლოგიური ხედვაა, ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოადგენენ კოსმოლოგიურ მეცნიერებებს. მთლიანური ხედვა ადამიანისა არის ანთროპოლოგია (მეცნიერება, რომლის საგანიცაა ადამიანური სინამდვილე მის მთლიანობაში), ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებები წარმოადგენენ ანთროპოლოგიურ მეცნიერებებს.

პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემა შინაგანად იერარქიზირებული, უნდა იყოს ანთროპოლოგიური შესხედულების შედეგი, ანუ იმის შედეგი, თუ რა წარმოდგენა პქონდა ადამიანს თავის თავზე თავისი ისტორიის მანძილზე. გაშოვებით რამდენიმე ასეთი წარმოდგენა:

1) პირველ შესხედულების მიხედვით ადამიანი არის **homo sapiens**. ასეთ შემთხვევაში ყველაზე მაღალი რანგის უნდა იყოს აზროვნების შემსწავლელი მეცნიერებები - ლოგიკა და ფსიქოლოგია;

2) მეორე შესხედულების მიხედვით ადამიანი არის **homo faber**, იგი არ გამორიცხავს იმას, რასაც გულისხმობს **homo sapiens**, მაგრამ განმსაზღვრელად მიაჩნია ის, რომ ადამიანი შრომობს, მუშაობს;

3) მესამე შესხედულების მიხედვით ადამიანი არის **homo loquens** - მთავარი ადამიანში არის ის, რომ ადამიანს შეუძლია **მეტყველება**, რაც შეუძლებელია ენის გარეშე.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლმხედველობა იოვალისწინებს სამივე ამ წარმოდგენას ადამიანზე. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ, თუ გაფითყალისწინებთ იმ ადგილს, რომელიც ენათმეცნიერებამ დაიკავა XX საუკუნეში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში და აგრეთვე თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად ტენდენციას,

თანამედროვე ანთროპოლოგიისათვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს ადაშიანის განსაზღვრას როგორც homo loquens. XX საუკუნეში ენათმეცნიერებას სშირად უწოდებენ „წამყვან მეცნიერებას“. იგულისხმება, რომ თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებები XX საუკუნის მანძილზე მიყვებოდნენ ენათმეცნიერებას მეოთხედის დამუშავებაში. თუ თანამედროვე ენათმეცნიერებას საფუძვლად ედო ნიშნის ცნება, სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებიც მიყვებოდნენ მას - ხდებოდა მათი სემიოტიზაცია (მაგ., როგორც ესთეტიკური ნიშანი განიხილება სელოვების ნაწარმოებიც), ამრიგად, თანამედროვე ენათმეცნიერება XX საუკუნის ანთროპოლოგიური წარმოდგენების მიხედვით არის არა მხოლოდ ერთ-ერთი ჰუმანიტარული მეცნიერება, არამედ ცენტრალური ანთროპოლოგიური მეცნიერებაც, რადგან იგი - სხვა მეცნიერებებზე მეტად - უახლოვდება ადაშიანის იმ ნიშნის, იმ განზომილების შესწავლას, რომელიც მოაყარია ადაშიანისათვის, იმდენად, რამდენადაც ადაშიანი განისაზღვრება როგორც homo loquens. ე. ი. ამ თვალსაზრისით ის მეცნიერება, რომლის შესავალიც უნდა გაყაროთ, არის არა მარტო ერთ-ერთი ჰუმანიტარული მეცნიერება, არამედ - ადაშიანის არსის გათვალისწინებით - ცენტრალური მეცნიერება.

ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი ობიექტი და საგანი. ობიექტი არის სინამდვილის (სამყაროს თუ ადაშიანის) ის ასპექტი, რომელსაც მეცნიერება შეისწავლის, ხოლო საგანი - ის, თუ რა კუთხით, რა თვალსაზრისით შეისწავლის მეცნიერება ამ სინამდვილეს. ყოველი ობიექტი უსასრულოა თავის მრავალფეროვნებაში - შინაგანადაც და სხვა ობიექტებთან მიმართებაშიც. როცა მეცნიერება ამ მრავალფეროვნებაში ირჩევს იმ კუთხეს, რომლითაც იგი შეისწავლის ობიექტს, იგი ადგენს თავის საგანს. ენას შეისწავლის, მაგალითად, ფსიქოლოგია (ენის ფსიქოლოგია: - თუ როგორია მეტყველების ფსიქოლოგიური მექანიზმი), ლოგიკა (რა როლს ასრულებს ენა აზრის აგების პროცესში);

ესტეტიკური ფუნქციის მიხედვით ენას, შეიძლება ითქვას, შეისწავლის ლიტერატურათმცოდნეობაც. მაგრამ რომელმა პუბლიცისტურმა შეხედულებამაც არ უნდა შეისწავლოს ენა, მანც მოაგარია ენათმეცნიერება - სწორედ იგია მეცნიერება ენის შესახებ. ენაა ენათმეცნიერების ობიექტი. მაგრამ როგორია მისი საგანი? ენათმეცნიერება თავის საგნად გამოყოფს იმას, რაც უფრო ახლოა ენის არსთან, რაც ენას აქცევს ენად - ანუ მაკონსტიტუირებელ ნიშანს არც ლოგიკა, არც ფილოსოფია და არც რომელიმე სხვა მეცნიერება თავის ამოსავალ წერტილად არ იყენებს ენის მაკონსტიტუირებელ ნიშანს - ამას აკეთებს მხოლოდ ენათმეცნიერება. რა მიზნია თანამედროვე ენათმეცნიერებას ენის მაკონსტიტუირებელ ნიშნად ანუ რა წარმოადგენს მის საგანს?

თანამედროვე ენათმეცნიერება იწყება შვეიცარიელი მეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის კონცეფციით. ეს ის ენათმეცნიერია, რომელმაც დაადგინა თანამედროვე ენათმეცნიერების საგანი - გამოყო მასში თანამედროვე ენათმეცნიერული აზროვნებისათვის მაკონსტიტუირებული ნიშანი. რას წარმოადგენს იგი? სოსიურის კონცეფციის მიხედვით (ზოლო ამ კონცეფციაზე აკებულია მთელი XX საუკუნის ენათმეცნიერება) ენის მაკონსტიტუირებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ენა არის **არბიტრალური ნიშანთა** სისტემა. ამდენად ენათმეცნიერების საგანს წარმოადგენს ენა როგორც ნიშანთა სისტემა (ეს არ ნიშნავს, რომ ენაში მხოლოდ ნიშნობრიობაა). თანამედროვე ენათმეცნიერება მთლიანად მიჰყვა ამ ხედვას და გაითავისა ეს საგანიც. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ენათმეცნიერებას არასოდეს გამოუყვია სხვა საგანი. გამონათქვამები ენის არსზე უკვე ანტიკურობაში არსებობდა, მაგრამ თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებლად ითვლება ვილჰელმ ფონ შუპერლიჩი. მაგრამ შუპერლიჩის მსოფლმხედველური პოზიცია (თუ რას ჩავთვლით ენის მაკონსტიტუირებელ ნიშნად, ეს სწორედ მსოფლმხედველური პოზიციის გამოხატულებაა) რადიკალურად განსხვავდება სოსიურის

პოზიციისაგან: იგი არ უარყოფდა ნიშნობრიობას, მაგრამ ამბობდა, რომ ენა პირველ რიგში შექმნილებითი პროცესიაო (მისი აზრით თუ გვსურს ჩავწვდეთ ენის არსს, უნდა აბსტრაქტიზება მოვახდინოთ ნიშანთა სისტემისაგან).

ამრიგად, ობიექტში საგნის გამოყოფა დაშოკიდებულია ეპოქაზე და მის დაძვინჯებულ მსოფლმხედველობაზე. თანამედროვე ენათმეცნიერების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა სოსიურის მსოფლმხედველობა. იგი უფრო ბუნებრივი აღმოჩნდა XX საუკუნისათვის და ამიტომ თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის ენის ამოსავალ განსაზღვრად იქცა: „ენა არის არბიტრალურ (არბიტრალური - არა აუცილებელი, არამედ შეთანხმებით მიღებული) ნიშანთა სისტემა“.

ლექცია № 2

განსაზღვრავს რა ენას როგორც არბიტრალურ ნიშანთა სისტემას, ლინგვისტიკა როგორც XX საუკუნის წამყვანი ჰუმანიტარული დისციპლინა, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანისათვის - თუ მას ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც homo loquens - ს - მთავარი და გადამწყვეტია ის, რომ იგი ფლობს ენას როგორც ნიშანთა სისტემას, და რადგანაც ყოველი ნიშნისთვის (იქნება იგი ენობრივი თუ არა) გადამწყვეტია კომუნიკაციური ფუნქცია, იგი ფლობს ენას როგორც კომუნიკაციის საშუალებას.

იშისათვის, რომ ბოლომდე გაირკვეს, თუ როგორ ესმის თანამედროვე ენათმეცნიერებას თავისი საგანი, აუცილებელია გავერკვეთ ენობრივი ნიშნის არსსა და სტრუქტურაში.

ვიდრე ვილაპარაკებდეთ საკუთრივ ენობრივ ნიშანზე, უნდა ვილაპარაკოთ ნიშანზე ზოგადად. როგორი მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ენობრივი ნიშნის როლი ადამიანურ სინამდვილეში, იგი მაინც ვერ ჩაითვლება ნიშნის ერთადერთი სახეობად - ენობრივი ნიშნის გარდა არსებობენ კიდევ სხვა სახის ნიშნები, თუმცა ნიშანთა არსებულ

სისტიმაში ენობრივ ნიშანს უკაცია ცენტრალური ადგილი - იგი პირველია ყველა სხვა ნიშანთან მიმართებაში: ყველა სხვა დანარჩენი (არა საკუთრივ ენობრივი ნიშანი) საბოლოო ანგარიშში ნაწარმოებია ენობრივი ნიშნისაგან. ამიტომ, თუ ჩავთვლით, რომ ნიშნობრივ სინამდვილეს (ნიშანთა სამყაროს) მძის მთლიანობაში შეისწავლის ისეთი შეცნეირება, როგორიცაა სემიოტიკა, მაშინ ცხადი გახდება ლინგვისტიკის ადგილიც სემიოტიკის ფარგლებში: ლინგვისტიკა ცენტრალური სემიოტიკური დისციპლინაა. იგი ეყრდნობა სემიოტიკის ზოგად მონაცემებს, მაგრამ ამავ ე დროს თვითონ აფუძნებს სემიოტიკას და შეიძლება ჩაითვალოს სემიოტიკის პროპედევტიკად (შესავალ კურსად).

რა არის ნიშანი? როგორ განისაზღვრება იგი ზოგადად? იმისათვის, რომ ვუპასუხოთ ამ კითხვას, მივმართოთ ნიშნის იმ დეფინიციას, რომელიც იხმარებოდა უკვე შუასაუკუნეებში და რომელმაც შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა დღესაც. ეს დეფინიციია: „aliquid stat pro aliquo“ („რაღაც დგას რაღაცის მაგივრად“.) [„რაღაცის“ ნაცვლად რომ გვეთქვა „საგანი“, ან „ობიექტი“, წინასწარ შევზღუდავდით ნიშანს]. ნიშანზე ვლაპარაკობთ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საგანი ან ფენომენი მიუთითებს მეორე საგანზე ან ფენომენზე და სწორედ ეს მითითება წარმოადგენს მის ძირითად ფუნქციას მოცემულ სიტუაციაში.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ტერმინი „ნიშანი“ იხმარება როგორც ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობით. ის ლათინური დეფინიციია, რომელიც შუასაუკუნეებიდან მოდის, წარმოადგენს ნიშნის ფართოდ გაგების ნიშნს. თუ ჩვენ ამ დეფინიციას მივიღებთ საფუძვლად, მაშინ ნიშნად უნდა ჩავთვალოთ არა მარტო რომელიმე ეროვნული ენის სიტყვა (ან თუნდაც სხვა სტრუქტურული ერთეული) არამედ ისეთი ობიექტები და ფენომენები, როგორიცაა, მაგალითად, რომელიმე სახელმწიფოს დერბი. ამ შემთხვევაში ხელოვნების

ნებისმიერი ნაწარმოებიც შეიძლება გავიგოთ როგორც ნიშანი - ისიც საბოლოო ანგარიშში სინამდვილეს ასახავს. რაც შეეხება ნიშნის ვიწრო გაგებას, იგი აუცილებლად გულისხმობს მის არბიტრალურობას და უყრდნობა მას. ამ შემთხვევაში ნიშანი უნდა გავიგოთ როგორც ისეთი ობიექტი ან ფენომენი, რომელიც არბიტრალურად (უ. ი. არა ბუნებრივი აუცილებლობით, არამედ მხოლოდ გარკვეული შეთანხმების საფუძველზე) მიუთითებს სხვა ობიექტსა თუ ფენომენზე. სწორედ ნიშნის ფართო გაგების არსებობის გამო სოსიურს მოუხდა განესაზღვრა ენა როგორც არბიტრალური ნიშანთა სისტემა. სხვა შემთხვევაში კი - როცა გვაქვს მითითების ფაქტი, მაგრამ არა გვაქვს არბიტრალურობა - უძჯობსია ვილაპარაკოთ არა ნიშნებზე, არამედ სიმპტომებზე და სიმბოლოებზე. როცა არსებობს ბუნებრივი კავშირი (კვამლი - ცუცხლი), სჯობს ვილაპარაკოთ სიმპტომზე, ხოლო როცა ასეთი კავშირი უერწყულია არბიტრალურობასთან - სიმბოლოზე.

ენობრივ ნიშანს ჩვენ განვიხილავთ შემდეგი საში თვალსაზრისით:

1) მისი ძირითადი სტრუქტურულ-ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით;

2) იმის მიხედვით, თუ როგორ ანდენს თანამედროვე ენათმეცნიერება ნიშნის მოდელირებას ანუ როგორ ხედავს იგი ნიშნის სტრუქტურას;

3) იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა ნიშნის ცნება და მოდელი თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

1. ენობრივი ნიშნის არსებობის და ფუნქციონირების საყრდენს წარმოადგენს ბგერათა კომპლექსი - ამ პირობის გარეშე ენობრივი ნიშანი ვერ იარსებებს;

ა) ენობრივი ნიშნის ფიზიკურ საყრდენს (ბგერათა კომპლექსს) აქვს ხაზობრივი (ლინეარული) ხასიათი - ეს ბგერათა კომპლექსი მოცემულია მუდამ დროში (ატარებს ტემპორალურ ხასიათს). ამ თვისებებით (ლინეარულობით და ტემპორალურობით) ენობრივი ნიშნის ეს მატერიალურ -

ბგერითი ასპექტი უბინისპირდება მის სემანტიკურ ასპექტს: ბგერითი კომპლექსი მუდამ მნიშვნელობის პატარაებელია. ხოლო ის მნიშვნელობა რომელზეც ბგერითი კომპლექსი მიუთითებს, ხაზობრივი და ტემპორალური არაა.

ბ) ყოველი ენობრივი ნიშანი, იმისათვის, რომ არსებობდეს და ფუნქციონირებდეს, უნდა შეიცავდეს როგორც თავის საყრდენს არანისმობრივ ელემენტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბგერით კომპლექსში შემავალი ელემენტები ანუ ბგერები არ წარმოადგენენ ნიშნებს, თუშცა მათ გარეშე ნიშნის არსებობა და ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.

გ) ყოველი ენობრივი ნიშანი, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მისი არსებობა და ფუნქციონირება, საჭიროებს სხვა ნიშნებს ან ნიშანს. შეუძლებელია არსებობდეს ნიშანი, რომელიც არ შედის ნიშანთა სისტემაში.

ლექცია № 3

2. ბგერით კომპლექსისა და არბიტრალურად მითითებულ თბიექტსა თუ ფენომენს შორის არ არის აუცილებელი სიმეტრიული მიმართება - არ არის აუცილებელი, რომ ერთი ბგერითი კომპლექსის საშუალებით არბიტრალურად მითითებულ (აღნიშნული) იყოს ერთი თბიექტი. ე. ი. საქმე გვაქვს ენობრივი ნიშნის ასიმეტრიასთან: ერთი ბგერით კომპლექსს შეიძლება შეესაბამებოდეს და სშირადაც შეესაბამება ერთზე მეტი ფენომენი ან თბიექტი. (ასე, მაგალითად, არტიკული რომანულ და გერმანიკულ ენებში აღნიშნავს არსებითი სახელის სქესს, რიცხვს, ბრუნვას...). ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობის მომენტს წარმოადგენს მისი ე. წ. სინკრეტიზმი - ერთზე მეტი თბიექტის თუ ფენომენის მითითების უნარი. ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულობა დაკავშირებულია მის შესაძლო სინკრეტიზმთან.

3. ენობრივი ნიშანი მუდამ განეკუთვნება ენის რომელიმე დონეს ანუ იმყოფება სხვა ნიშანთან თუ ნიშნებთან იერარქიულ შიპარობაში: ყოველი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს უფრო მაღალი დონის სტრუქტურულ ელემენტს ან პირიქით, თვითონ შეიცავს ასეთ სტრუქტურულ ელემენტებს სხვა ნიშნების სახით.

ამრიგად, ჩვენ აღვნიშნეთ ენობრივი ნიშნის საში ნიშან - ოვისება.

თანამედროვე მეცნიერება (ენათმეცნიერება მათ შორის) თავის საკვლევ საგანს შეისწავლის ორი ძირითადი მეთოდით: იგი ცდილობს ააგოს ამ ობიექტის თეორია ანუ მისი ცნებითი (კონცეპტუალური) ხედვა და ცდილობს ააგოს საგნის მოდელი. ყოველი თეორიის საფუძველს წარმოადგენს საგნის განსაზღვრა ანუ მისი ცნების (კონცეფტის) ფორმულირება. ზოგადად ნიშნის და ენობრივი ნიშნის ასეთი კონცეპტი ჩვენ უკვე გვაქვს, მაგრამ საგნის კონცეპტუალური გააზრების გარდა შესაძლებელია და აუცილებელიცაა მისი მოდელირება ანუ საგნის შინაგანი აღნაგობის, მისი სტრუქტურის სქემატური, მაგრამ თვალნათლივი წარმოდგენა. საგნის ამგვარ სქემატურ თვალნათლივ წარმოდგენას უწოდებენ მის მოდელს.

რა მიმართებაა საგნის კონცეპტსა და მის მოდელს შორის? კონცეპტში აქცენტირებულია საგნის ფუნქციური არსი, ხოლო მოდელში - საგნის შინაგანი აღნაგობა, მისი სტრუქტურა. ბუნებრივია, რომ საგნის მოდელი წარმოადგენს მისი კონცეპტუალური გააზრების გაღრმავების საშუალებას. თანამედროვე ენათმეცნიერება ენობრივი ნიშნის კონცეპტის გააზრების მომენტიდან დღემდე ცდილობს ააგოს ენობრივი ნიშნის მოდელები. ბუნებრივია, რომ ყოველი ასეთი მოდელი შეესაბამება ნიშნის კონცეპტუალური გააზრების ამა თუ იმ ეტაპს. ამრიგად კონცეპტი და მოდელი მუდმივ ურთიერთშესაბამისობაში და ურთიერთ ზემოქმედებაში იმყოფებიან.

დღეს ვილაპარაკებთ ენობრივ ნიშანზე მისი ტიპოლოგიის ასპექტში, ამით ჩვენ დაეკონკრეტებო ნიშნის ცნებას, რაც იმის განსაზღვრავს ნიშნავს, თუ რა და რა ტიპის ენობრივ ნიშნებს იცნობს თანამედროვე ლინგვისტური კვლევა თაყის პრაქტიკაში. ე. ი. ამ ეტაპზე აუცილებელი აყავოთ ენობრივი ნიშანთა ტიპოლოგია. მაგრამ ამისათვის საჭიროა წინასწარ მივუთითოთ იმაზე, თუ რა კრიტერიუმებს, რა თვალსაზრისებს შეიძლება დაეფუძნოს ეს ტიპოლოგია.

ძირითადად შეიძლება გამოიყოს ამ ტიპოლოგიის აგების საში თვალსაზრისი.

პირველი კრიტერიუმი ატარებს ისტორიულ-დიაქრონიულ ხასიათს. თანამედროვე ენათმეცნიერება არსებობს არა სტატიკურად, არამედ დინამიურად: იგი წარმოიშვა, ვითარდებოდა, დღესაც იმყოფება განვითარების მდგომარეობაში. ამ განვითარების პროცესში იცვლებოდა კონკრეტული წარმოდგენა ენობრივი ნიშნის სტრუქტურაზე ანუ იგებოდა ენობრივი ნიშნის სხვადასხვა **მოდელი**. ენობრივი ნიშნის ზოგადი კონცეფცია ძირითადად იგივე რჩებოდა, მაგრამ ამ კონცეფციის ფარგლებში ადგილი ჰქონდა ნიშნის სტრუქტურის აღქმისა და გაგების ცვალებადობას. ბუნებრივია, რომ ენობრივი ნიშნის ტიპოლოგიას ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ექნება დინამიური ხასიათი.

მეორე კრიტერიუმი - იგი უკვე ითვალისწინებს არა თანამედროვე ლინგვისტური აზრის განვითარებას, არამედ თვით ლინგვისტიკის საგნის ანუ ენის როგორც ნიშანთა სისტემის აღნაგობას (სტრუქტურას). ეს სტრუქტურა ატარებს დონეებრივ და იერარქიულ ხასიათს; ყოველი დონე წარმოდგენილია სპეციფიკური ძირითადი ერთეულით, რომელიც, როგორც წესი, ნიშნობრივი ბუნებისაა. მაგრამ ეს ნიშნობრივი ერთეულები (სიტყვა, წინადადება, ტექსტი) ერთმანეთთან დაკავშირებული არიან იერარქიულად: ყოველი

უფრო „დაბალი“ დონის ნიშნობრივი ერთეული ექვემდებარება უფრო მაღალი დონის ერთეულს და წარმოადგენს მის სტრუქტურულ კომპონენტს ე. ი. ეს მეორე კრიტერიუმში ატარებს სისტემურ, დონეებრივ ხასიათს.

მესამე კრიტერიუმში - ენობრივი ნიშნის, ისევე როგორც ყოველი ნიშნის ფუნქცია, მდგომარეობს რომელიმე მისგან განსხვავებული რეალობის პირობითად მითითებაში. ის რეალობა, რომელსაც ენობრივი ნიშანი პირობითად მიუიითებს, არის ამ ენობრივი ნიშნის **რეფერენტი**. თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით ენობრივი ნიშანი **ასახელებს** თავის რეფერენტს ანუ ახდენს მის ნომინაციას, ხოლო ნომინაცია მუდამ გულისხმობს რეფერენტის სტრუქტურის ამა თუ იმ სახით ასახვას ენობრივი სტრუქტურაში: რომელი ენობრივი ნიშანიც არ უნდა ავიღოთ, იგი ასახელებს რეფერენტს და ეს რეფერენტი აისახება მის სტრუქტურაში. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდება ენობრივი ნიშნის სტრუქტურაში დასახელებული (ნომინირებული) რეალობის ასახვა, განასხვავებენ ენობრივი ნიშნის ორ ტიპს: ენობრივი ნიშანი, რომელიც ასრულებს პირდაპირი ნომინაციის ფუნქციას, და ენობრივი ნიშანი, რომელიც ასრულებს **ირიბი** ნომინაციის ფუნქციას.

პირველი კრიტერიუმში - ენობრივი ნიშნის დიაქრონიულ-დინამიური ტიპოლოგია; ამ შემთხვევაში ჩვენ ამოვდივართ არა უშუალოდ ენის სტრუქტურიდან, არამედ ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპიდან.

თანამედროვე ლინგვისტიკისათვის მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცნობილი იყო ენობრივი ნიშნის სამი ძირითადი ტიპი (ანუ სამი ძირითადი მოდელი).

1. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის ფუძემდებელია შვეიცარიელი ენათმეცნიერი ფ. დე სოსიური. ენობრივი ნიშნის ზოგადი ცნება მომდინარეობს სწორედ სოსიურისაგან, სწორედ მას ეკუთვნის ენის როგორც ნიშანთა სისტემის განსაზღვრა - სწორედ მან გაუსვა ხაზი ენობრივი

ნიშნის არბიტრაღურობას. მაგრამ სოსიურმა შეპოიტანა ლინგვისტურ კვლევაში არა მარტო ენობრივი ნიშნის უკვე ჩვენს მიერ განხილული ეს ცნება არამედ მისი პირველი მოდელიც. სოსიურისათვის ენობრივი ნიშანი იყო ორასპექტიანი ანუ ორპლანიანი ოდენობა. ენობრივი ნიშნის ერთ ასპექტს (პლანს) წარმოადგენდა ბგერითი ასპექტი ანუ, როგრც სოსიური ამბობდა, აკუსტიკური ხატი. ეს აკუსტიკური ხატი იწოდებოდა ნიშნის აღმნიშვნელად. ენობრივი ნიშნის მეორე-ასპექტი (პლანი), რომელიც ვერ იარსებებდა პირველი ასპექტის გარეშე, სოსიურის მიხედვით წარმოადგენდა უკვე აღნიშნულს. ანუ ცნებას (კონცეპტს). ეს აღმნიშვნელიც და აღნიშნულიც ატარებდნენ სოსიურის მიხედვით ფსიქიურ ხასიათს - ორივე განკუთვნიებოდა ადამიანის ფსიქიკას და არ არსებობდა მის გარეშე. ეს ორასპექტოვანი (ორპლანიანი) მოდელი - ენობრივი ნიშნის სოსიურისეული მოდელი - იყო თანამედროვე ლინგვისტიკის ამოსავალი ნიშნობრივი მოდელი - მოდელი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ყოველი შექმდგომი მოდელი ეფუძნება მას, წარმოადგენს მისი სტრუქტურის შემდგომ გაშლასა და დახვეწას.

ლექცია № 5

პირველი კრიტიკიუში გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს ნიშნის მოდელის განსხვავებულ აგებასთან თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე - როგორ ვითარდებოდა ნიშანზე, მის სტრუქტურაზე ჩვენი წარმოდგენა ამ სხვადასხვა ეტაპზე ანუ როგორ ხდებოდა ენობრივი ნიშნის მოდელირება. მაგრამ მთავარია არა ამ განვითარების უბრალო კონსტატაცია, არამედ და პირველ რიგში იმის გაგება, თუ როგორი იყო ამ განვითარების საზრისი და მიმართულება.

ჩვენ ყოველთვის, რომ ნიშნის ცნება წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ფუნდამენტს. ამდენად შეუძლებელია, რომ ჩვენი წარმოდგენის განვითარებას ნიშნის სტრუქტურაზე საფუძვლად არ ედოს რაიმე ფუნდამენტალური ტენდენცია თვით ლინგვისტიკური აზროვნების განვითარებისა. რაში მდგომარეობს ეს ტენდენცია?

თანამედროვე ლინგვისტიკური თეორია იწყება ფ. დე სოსიურის მოძღვრებით ენაზე. სწორედ მან დააფუძნა ენის თანამედროვე სემიოტიკური ხედვა. მაგრამ ენის სოსიურისეულ თეორიას თან ახლდა ლინგვისტიკური აზროვნების სოსიურისეული მეთოდოლოგია. რაში მდგომარეობდა ეს მეთოდოლოგია? ანუ რა მეთოდოლოგიით დაიწყო თანამედროვე ლინგვისტიკური აზროვნება („მეთოდოლოგია“ – კვლევის მიდგომა)? ეს მეთოდოლოგია არის **ლინგვისტიკური იმანენტისმი** (იმანენტური მიდგომა ისეთი მიდგომაა, რომელიც საგნის ფარგლებს არ სცილდება): თანამედროვე ლინგვისტიკური აზროვნება დაიწყო არა მარტო სემიოტიკური ხედვით, არამედ იმანენტისტიკური მიდგომითაც. მაგრამ როგორ ვითარდებოდა იგი შემდგომ? ამ განვითარების ძირითადი ტენდენცია მდგომარეობდა ამ იმანენტისმის გადალახვაში. თანდათანობით, ეტაპობრივად ლინგვისტიკური აზროვნება სულ უფრო და უფრო უკავშირდებდა თავის საგანს (ენას როგორც ნიშანთა სისტემას) იმ ობიექტურ სინამდვილეს, რომლის წიაღშიც არსებობს და ფუნქციონირებს ენა. ეს სინამდვილე, რომელსაც სულ უფრო და უფრო უკავშირდებოდა ენის ლინგვისტიკური ხედვა და კვლევა, ენასთან მიმართებაში ძირითადად არსებობს ორი ასპექტით და ორივე ეს ასპექტი დაკავშირებულია ენის ორ ძირითად ფუნქციასთან. პირველი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ ენა როგორც ნიშანთა სისტემა ასახავს სინამდვილეს (თუ ენაში შემაჯავლი ყოველი ნიშანი აღნიშნავს სინამდვილის რომელიმე ასპექტს, მაშინ ენა როგორც ნიშანთა სისტემა ასახავს მთელ სინამდვილეს). იმანენტისმის

გადალახვის პირველი მიმართულება მდგომარეობდა ენის სტრუქტურის და პირველ როგში მისი სემანტიკური სტრუქტურის დაკავშირებაში სინამდვილესთან. მაგრამ ენა თავისი მეორე ფუნქციით დაკავშირებულია უკვე არა უშუალოდ მთელ სინამდვილესთან, არამედ სინამდვილის იმ სპეციფიკურ ასპექტთან (მიონაკვეთთან), რომელსაც ეწოდება საკომუნიკაციო აქტი - მასთან ენა დაკავშირებულია უკვე მეორე - საკომუნიკაციო - ფუნქციით.

ამ ორი ფუნდამენტალური ფუნქციით ენა დაკავშირებულია სინამდვილესთან როგორც მთლიანობასთან და სინამდვილის კონკრეტულ მიონაკვეთთან.

იმანენტიზმის გადალახვა ხდებოდა ორი მიმართულებით:

1) იმ საპყაროსეული სინამდვილის გათვალისწინებით, რომელსაც სემიოტიკურად ასახავს ენა;

2) ენის სტრუქტურისა და სისტემის გააზრება სულ უფრო და უფრო ხდებოდა კომუნიკაციურ აქტთან დაკავშირებით. როგორც უკვე ითქვა, ნიშნის პირველი მოდელი ანუ პრინციპულად იმანენტური მოდელი ლინგვისტურ აზროვნებაში შემოიტანა ფერდინანდ დე სოსიურმა. ეს იყო ნიშნის ორპლანიანი მოდელი: მის ერთ ასპექტს წარმოადგენდა აკუსტიკური ხატი (აღმნიშვნელი), ხოლო მეორეს - ასოციაციური ხატი (აღსანიშნი).

რატომ იყო ეს მოდელი იმანენტისტური? - იმიტომ, რომ ნიშნის ეს ორივე პლანი გაიაზრებოდა როგორც წმინდა ფსიქიური ფენომენი.

არ ისებოდა კითხვა, თუ რას შეესაბამებოდა სინამდვილეში ეს ასოციაციური ხატი, რომელთანაც დაკავშირებული იყო აკუსტიკური ხატი.

ჩვენ ვიცით, რა წარმოადგენდა ნიშნის მოდელის განვითარების საფუძველს: ესაა ლინგვისტური იმანენტიზმის გადალახვა.

ენობრივი ნიშნის მეორე მოდელი, რომელიც წარმოშვა იმანენტიზმის გადალახვის ტენდენციამ, ესაა ე. წ. „სამკუთხედოვანი მოდელი“. რა თქმა უნდა, ამ მოდელის ძირითადი სტრუქტურული მომენტი მდგომარეობდა სწორედ იმანენტიზმის გადალახვაში. მაგრამ ამ მომენტს ახლდა მეორე - აგრეთვე მეთოდოლოგიური ხასიათის - მომენტიც.

ჩვენ ვთქვით, რომ სოსიურისეული ნიშნის ორივე პლანი იყო ფსიქიკური ბუნების. ეს მეორე მომენტი მდგომარეობდა ნიშნის ცნების დეფინიქლოლოგიზაციაში - ნიშნის ცნების ლოგიზაციაში, ნიშნისთვის ლოგიკური ბუნების მინიჭებაში.

რაში მდგომარეობდა ნიშნის მეორე მოდელის მიერ იმანენტიზმის გადალახვა? ეს მდგომარეობდა იმაში, რომ სოსიურისეული აღსანიშნი (ასოციაციური ხატი) შინაგანდ გაიყო ორ ასპექტად, რის შედეგადაც მივიღეთ ორი ცნება: **სიგნიფიკატი** და **დენოტატი**.

სიგნიფიკატი - ეს არის კონცეპტი, ცნებას შიახლოვებული ზოგადი ან განზოგადოებული წარმოდგენა იმ საგნისა თუ მოვლენისა, რომელზეც მიუთითებს (ან რომელსაც აღნიშნავს) ბეკრათა კომპლექსი (აღზნიშვნელი), სიგნიფიკატი უახლოვდება ცნებას, მაგრამ ბოლომდე ცნება არ არის, რადგან მას აკლია ზუსტი ლოგიკური საფუძველი. რაც შეეხება **დენოტატს**, ეს არის - ენის დონეზე - ყველა ის საგანი თუ მოვლენა რომლებიც სინამდვილეში შეესაბამებიან ხსენებულ კონცეპტს, ხოლო მეტყველების დონეზე - ამ საგანთა თუ მოვლენათა კონკრეტული წარმომადგენელი. იმანენტიზმის გადალახვა მდგომარეობს იმაში, რომ აღსანიშნი დაუკავშირდა არა მარტო ფსიქიკას, არამედ სინამდვილესაც, რომელიც ამ ფსიქიკურ წარმოდგენას შეესაბამება.

(დენოტატის გვერდით იხმარება აგრეთვე ტერმინი „რეფერენტი“).

აღსანიშნის აზგვარი „გაყოფის“ შედეგად ჩვენ ვიღებთ ნიშნის სამ ასპექტს და შესაბამისად – მის სამკუთხედოვან მოდელს; ამ შემთხვევაში ნიშანი დაუკავშირდა სინამდვილეს გლობალურად, ე. ი. ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი ძივილეთ იმის შედეგად, რომ ნიშანი დაუკავშირდა სინამდვილეს მის მთლიანურ, (გლობალურ) განსომილებაში. ნიშნის მესამე მოდელი, რომელიც საიუქვლად უდევს დღევანდელ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, წარმოშობილია იმანენტიზმის გადაღახვის მეორე მიმართულებით; ამ შემთხვევაში მთაყარი და გადამწყვეტი იყო ის ფაქტი, რომ ნიშანი დაუკავშირდა კომუნიკაციის აქტს. ნიშნის ეს მესამე მოდელი თავის დროზე (XIX საუკუნეში) ააგო ამერიკელმა ფილოსოფოსმა პირსმა, ხოლო XX საუკუნეში იგი კვლავ შემოიტანა მეცნიერულ პრაქტიკაში პირსის მამდევარმა მორისმა. ეს მოდელი ფილოსოფიური, უფრო ზუსტად – პრაგმატული წარმოშობისაა. მაგრამ იგი გამოიყენა ლინგვისტიკამ, რათა ნიშანი დაუკავშირებინა საკომუნიკაციო აქტისათვის. ეს მოდელი სამგანსომილებიანია. ეს განსომილებებია: სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა; ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ავაგოთ სამკუთხედი, მაგრამ იგი თავისი სტრუქტურით წინა სამკუთხედს არ უდრის.

სინტაქტიკა მიუთითებს ნიშნის მიმართებაზე სხვა ნიშნებთან. (ჩვენ მუდამ გვაქვს ნიშანთა სისტემა, შეუძლებელია ერთი ნიშანი).

სემანტიკა მიუთითებს ნიშნის მიმართებაზე აღსანიშნთან. მასში თითქოსდა შეკუმშულად იგულისხმება საგნიფიკატიც და დენოტატიც.

პრაგმატიკა – იგულისხმება ნიშნის მიმართება ამ სუბექტთან, რომელიც მას იყენებს კომუნიკაციის აქტში. აქ ხაზგასმულია ნიშნის მიმართება კომუნიკაციის აქტთან.

თანამედროვე ლინგვისტიკაში არის ცდები სემანტიკის როგორც ენობრივი ნიშნის განზომილების ისეთი შინგანი დაყოფისა, როგორც გვექნება სამკუთხედოვან მოდელში. სემანტიკის გარდა, გამოყოფენ მის შუთხე განზომილებას - ე. წ. სიგმატიკას. ამ შუთხევევაში სემანტიკა დაახლოებით უდრის საგნიფიკატს, სიგმატიკა კი შუთთიებს დენოტატს. მაგრამ, როგორც წესი, ლაბარაკობენ ნიშნის სამგანზომილებიან მოდელზე.

მაგრამ არ არის საკმარისი იმის ცოდნა, თუ რა თანამიმდევრობით ჩნდებოდნენ და ფუნქციონირებდნენ თანამედროვე ლინგვისტიკით ნიშნის მოდელები. საჭიროა ხაზი გაესვას შუთდეგ ორ შოშენტს:

1. ნიშნის არც ერთი მოდელი არ აუქშებს სხვა მოდელებს - ყოველ მათგანს აქვს გარკვეული უშირატიესობა ან ნაკლი ნიშნობრივი სინამდვილის შუტი თუ ნაკლები სისრულით ასახვის თვალსაზრისით. მაგალითად, სოსიურის მოდელს აქვს ის უშირატიესობა, რომ ნიშანს ასახავს მის შთლიანობაში, უფრო „შუკუშუღად“. შუორე მოდელის უშირატიესობაა, რომ იგი შუტად უკავშირდება სინამდვილეს, ზოლო შესაშეს - ის, რომ იგი კომუნიკაციურ აქტს უკავშირდება. როდესაც ენობრივ ნიშანზე ვლაპარაკობთ ან ვეყრდნობით ენობრივ ნიშანს ჩვენს კვლევაში, მსედველობაში უნდა გვექნდეს ერთდროულად ყველა სსენებული მოდელი, თუშც კი კვლევის მიშართულება გვიჩვენებს, რომელ მათგანს უნდა დაეყრდნოთ შირველ რიგში.

2. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება ხასიათდება არა მარტო ნიშნის ერთი მოდელიდან შუორეზე გადასვლით; ნიშნის თითოეული მოდელიც განსაზღვრავდა ლინგვისტური კვლევის ეტაბებსა და მიშართულებას. ყველაზე ნათლად ეს მოშენტი წარმოჩინდება ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელის საფუძველზე. ამ ნიშნის სამი განზომილება არსებითად ეშთხევა ლინგვისტური აზროვნების სამ შირითად მიშართულებას:

1) XX საუკუნის ლინგვისტიკა დასაწყისში ორიენტირებული იყო სინტაქტიკაზე (ნიშანთა შორის მიმართებათა კვლევაზე) - ეს იყო სტრუქტურალიზმის ეტაპი - სემანტიკა და პრაგმატიკა უგულვებელყოფილი იყო;

2) მეორე ეტაპზე ლინგვისტიკა ორიენტირებული იყო სემანტიკაზე - მთავარი იყო მნიშვნელობათა სიუერო;

3) დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა ორიენტირებულია პრაგმატიკაზე - მისთვის მთავარია ნიშნის მიმართება ენობრივ სუბიექტთან.

ლექცია № 7

მეორე თვალსაზრისი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს ნიშნის ტიპოლოგია, დაკავშირებულია ენობრივი სისტემის აღნაგობასთან და იმ პრინციპთან, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სისტემას. ესაა იერარქიის პრინციპი. მის მიხედვით ენობრივი სისტემა ორგანიზებულია დონეებრივად. ენობრივი დონე - ეს არის ენობრივი სისტემის გარკვეული შრე, რომელსაც უკავია გარკვეული ადგილი შრეთა იერარქიაში და რომელიც წარმოდგენილია სპეციფიკური, ამ დონისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულებით. იერარქიის პრინციპი გულისხმობს, რომ არსებობს უფრო „დაბალი“ და უფრო „მაღალი“ დონის ერთეულები და რომ ყოველი უფრო დაბალი დონის ერთეული წარმოადგენს უფრო მაღალი დონის ერთეულის შემადგენელ ნაწილს („ინტეგრანტს“). თუ ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას ნიუანსებს და გამოვყოფთ მხოლოდ არსებითს, მაშინ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ენობრივი დონეები:

1. ფონოლოგიური დონე (ძირითადი ერთეულია ფონემა);

2. მორფოლოგიური დონე (ძირითადი ერთეულია მორფემა);

3. ლექსიკური დონე (ძირითადი ერთეულია სიტყვა [ლექსემა]);

4. სინტაქსური დონე (ძირითადი ერთეულია წინადადება);

5. ტექსტობრივი დონე (ძირითადი ერთეულია ტექსტი ლინგვისტური გაგებით).

შენიშვნა: ყოველი დონე წარმოდგენილია მინიმალური და მაქსიმალური ერთეულით. ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „ძირითად ერთეულს“, მაქსიმალური ერთეულია. ჭეშმარიტად ნიშნობრივი სტატუსი აქვს მხოლოდ მაქსიმალურ ერთეულს.

ენობრივი სისტემის ეს დონეებრივი ორგანიზაცია განაპირობებს იმას, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში გვაქვს ენობრივ ნიშანთა იერარქიული ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიას ქმნის პირველ რიგში არასრულ და სრულ ნიშანთა დაპირისპირება. რას ეფუძნება ეს დაპირისპირება? იგი ეფუძნება ენის კომუნიკაციურ ფუნქციას და ნიშნის უნარს, ბევრად თუ ნაკლებად უშუალოდ შეასრულოს ეს ფუნქცია. რაც უფრო მეტია და რაც უფრო გაშოკვეთილია ნიშნის უნარი დაშოკიდებლად, უშუალოდ შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია, მით უფრო არსებობს იმის საფუძველი, რომ ვილაპარაკოთ სრულ ნიშანზე. ეს მტკიცება საჭიროებს ორ დაზუსტებას:

1. სრულ და არასრულ ნიშანთა დაპირისპირება თანამედროვე ლინგვისტიკაში ატარებს ფარდობით და დინამიურ სასიათს. ფარდობითობა მდგომარეობს შემდეგში: ნიშანი რომელიც სრულია იერარქიულად მასზე დაბლა მყოფ ნიშნის მიმართ, შეიძლება ჩაითვალოს არასრულად იერარქიულად მასზე მაღლა მდებარე ნიშნის ფონზე. დინამიურობა კი მდგომარეობს შემდეგში: თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სრული ნიშნის სტატუსს იღებდნენ სხვადასხვა დონის ერთეულები. დასაწყისში ასეთი სტატუსი აქონდა მხოლოდ სიტყვას, მხოლოდ იგი ითვლებოდა ენობრივ ნიშნად; შემდეგ ასეთი სტატუსი მიიღო წინადადება, ამჟამად კი

კომუნიკაციური ლინგვისტიკის პირველ პლანზე წამოწევის პერიოდში ჭეშმარიტად სრული ნიშნის სტატუსი ენიჭება უკვე ტექსტს.

2. როგორც ვთქვით, ნიშნის სისრულე დამოკიდებულია ნიშნის უნარზე, შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია. მაგრამ კომუნიკაციური ფუნქცია, რომელიც გამოკვეთილად მხოლოდ სრულ ნიშანს ახასიათებს, არ არის ნიშნის ერთადერთი ფუნქცია - ამ ფუნქციას საფუძვლად უდევს რეფერენტული ფუნქცია ანუ ნიშნის უნარი აქონდეს სიგნიფიკატი და დენოტატი. ნიშნის უნარს, დაასახელოს და ასახოს რეფერენტი, ეწოდება ნომინაციური ფუნქცია. ე. ი. ნიშანი არსებობს და ფუნქციონირებს ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობების საფუძველზე.

როგორ წარმოგვიდგება რეალურად ენობრივ ნიშანთა ტიპოლოგია?

1. ფონოლოგიური დონე - ამ დონეზე ჩვენ ვერ კიდევ არა გვაქვს ნიშანი, ეს დონე შედგება არანნიშობრივი ერთეულებისაგან, რომლებიც აუცილებელი არიან ნიშნობრივ ერთეულთა ასაგებად.

2. მორფოლოგიური დონე - ამ დონის ძირითადი ერთეული - მორფემა - ხასიათდება შინაგანად წინააღმდეგობრივი ბუნებით: ერთი მხრივ, ფონემისაგან განსხვავებით მორფემას აქვს გარკვეული მნიშვნელობა (იგი განისაზღვრება როგორც მნიშვნელობის შატარებული მინიშალური ერთეული). მაგრამ, მეორე მხრივ, მორფემას, სიტყვისაგან განსხვავებით „ჯერ კიდევ“ არა

აქვს უნარი, იქონიოს ბევრად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი რეფერენტი. პირობითად მორფემას შეიძლება ვუწოდოთ „კვაზინიშანი“. სხვანაირად რომ ვთქვათ, მორფემას აქვს სემანტიკა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს ნომინაციის ფუნქციას.

3. ლექსიკური

დონე - (ძირითადი ერთეულია სიტყვა), სიტყვა არის იყარქიული თვალსაზრისით პირველი ერთეული, რომელსაც სრულიად აქვს ნომინაციური ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვას ძალუძს დაასახელოს სინამდვილის გარკვეული სეგმენტი (სუბსტანცია; საგანი, მოვლენა, თვისება...) და რამდენადმე ასახოს ამ სეგმენტის სტრუქტურა თავის საკუთარ სტრუქტურაში.

4. სინტაქსური

დონე - (ძირითადი ერთეული - წინადადება). თვით სრული ნიშნის ცნება ლინგვისტიკაში შექმნიდა შამინი, როცა წინადადებასაც მიენიჭა ნიშნის სტატუსი. ე. ი. ლექსიკურ ნიშნის გვერდით გაჩნდა სინტაქსური ნიშანი, ხოლო ლექსიკური ნომინაციის გვერდით გაჩნდა სინტაქსური ნომინაციის ცნება. სიტყვასთან შედარებით სწორედ წინადადება ჩაითვალა სრულ ნიშნად, რადგან მას შესწევს უნარი უშუალოდ და დამოუკიდებლად

შეასრულოს კომუნიკაციური
 ფუნქცია. მაგრამ, როგორც ითქვა,
 კომუნიკაციური ფუნქცია ეფუძნება
 ნომინაციურ ფუნქციას. რაში
 მდგომარეობს წინადადების
 როგორც სრული ნიშნის
 ნომინაციური ფუნქცია?
 სიტყვისაგან განსხვავებით,
 წინადადება ასახელებს არა
 სინამდვილის ცალკეულ
 სეგმენტებს, არამედ მთლიანურ
 სიტუაციას.

წინადადების მიერ
 დასახელებული და
 სტრუქტურულად ასახულ
 სტუაციას ეწოდება
რეფერენტული
სიტუაცია. სიტყვების მიერ
 დასახელებული (ნომინირებული)
 სეგმენტები წარმოადგენენ
 რეფერენტული სიტუაციის
 შემაღენელ ნაწილებს.

5. ტექსტობრივი დონე - წინადადებაში დიდხანს ვერ
 შეინარჩუნა მაქსიმალურად სრული
 ნიშნის სტატუსი. განვითარების
 ბოლო ეტაპზე ლინგვისტიკაში
 გაჩნდა ტექსტობრივი დონის ცნება,
 ხოლო მის ძირიად ეროყულად
 მიჩნეული იქნა ტექსტი. ტექსტი
 ლინგვისტური გაგებით ნიშნავს
 პირველ რიგში თემატურად
 ურთიერთდაკავშირებულ
 წინადადებათა ერთობლიობას,
 რომელსაც ზეფრაზობრივ

ერთიანობას (მიკროტექსტს) უწოდებენ. ითვლება, რომ კომუნიკაციის ქეშმარიტი უნარი აქვს ტექსტს, რომელიც წინადადებისაგან განსხვავებით ასახელებს და ასახავს არა ერთ განცალკევებულ სიტუაციას, არამედ სიტუაციათა თანამიმდევრობას. ამგვარ თანამიმდევრობა - ერთობლიობას ეწოდება „რეფერენტული სივრცე“.

როგორც ვხედავთ, ენობრივ ნიშანთა იერარქიას შინაგანად უკავშირდება ნომინაციურ ფუნქციათა იერარქია: ლექსიკური ნომინაცია → სინტაქსური ნომინაცია → ტექსტობრივი ნომინაცია. იერარქიულად ყველაზე დაბალ დონეზეა ლექსიკური ნომინაცია, ხოლო იერარქიულად უფრო მაღალ დონეებზე - სინტაქსური და ტექსტობრივი ნომინაცია. რაც უფრო ფართოა ენობრივი ნიშნის მიერ დასახელებული (ნომინირებულ) სინამდვილისეული ასპექტი, მით უფრო მეტია მისი უნარი შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია და მიიღოს შესაბამისად სრული ნიშნის სტატუსი.

ლექცია № 8

დღეს ვილაპარაკებო უკვე არა ენობრივ ნიშანზე, განსილულზე იზოლორებულად, არამედ ენობრივ ნიშანთა სისტემაზე, რომელიც წარმოადგენს სპეციფიკურ სემოტიკურ სისტემას. ბუნებრივია, რომ ამ სისტემის არსი და სტრუქტურა გარკვეულწილად განპირობებულია ნიშნის იმ არსითა და სტრუქტურით, იმ ტიპოლოგიით, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ. მაგრამ ვერც ერთი სისტემა (მათ შორის ენაც) ვერ იქნება განპირობებული მხოლოდ იმ ელემენტების არსითა

და სტრუქტურით, რომლებსგანაც იგი შედგება: ყოველი სისტემა (მათ შორის ენაც) არა მარტო შედგება გარკვეული ელემენტებისაგან, არაქედ თვით წარმოადგენს სხვა, უფრო ფართო ყოვლისმომცველი სისტემის ან სისტემათა ელემენტს. ეს მომენტი ისევე განაპირობებს ყოველი სისტემის არსსა და სტრუქტურას, როგორც პირველი მომენტი, თუ ჩვენ ამ ზოგად დებულებას გავავრცელებთ ენაზე, მაშინ უნდა ითქვას: ენის როგორც სისტემის არსი და სტრუქტურა განპირობებულია როგორც მისი შემადგენლობით (ანუ იმით, რომ იგი წარმოადგენს ნიშანთა სისტემას), ისე იმით, რომ ენა წარმოადგენს ადამიანური (ანთროპოლოგიური) სინამდვილის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს, მის განუყოფელ ელემენტს. უფრო მეტიც ჩვენ ხაზი გავუსვით იმას, რომ თანამედროვეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის როგორც მეტყველი ენის მფლობელი არსების განსაზღვრას. ე. ი. თანამედროვეობისათვის ადამიანი არის პირველ რიგში *homo loquens*. ამ განსაზღვრის მიხედვით ენა უნდა გავიგოთ როგორც თვით ადამიანურობის ფენომენის ფუძემდებელი განზომილება. მაგრამ ადამიანი მეტყველებს იმდენად, რამდენადაც იგი ჩართულია კომუნიკაციის როგორც ყოვლისმომცველი ფენომენის სტრუქტურაში. ადამიანი ერთდროულად ურთიერთობს საზოგადოების სხვა, მისთვის თანამედროვე წევრებთან, თავისი საზოგადოებისა და სამშობლოს წარსულთან და რამდენადმე მაინც მომავალთან, საკუთარ თავთან და თვით სამყაროსთან. ე. ი.

კომუნიკაცია არის ყოვლისმომცველი და ყოვლისგამჭოლი ადამიანური ფენომენი, ხოლო ენა წარმოადგენს ერთდროულად ამ ფენომენის საფუძველს, მედიუმს და შეიძლება ითქვას, წიადს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ენის სისტემა ერთნაირად და ერთდროულად არის განპირობებული როგორც სემიოტიკური სტრუქტურით ისე ადამიანური სინამდვილის იმანენტურად (შინაგანად) კომუნიკაციური ბუნებით. ლინგვისტური აზრის თანამედროვე განვითარებამ დაგვანახა, რომ ამ ორი

მომენტებიდან განმსაზღვრელია მეორე - სულ უფრო და უფრო აქცენტირდება ენის კომუნიკაციური ბუნება, ხოლო ლინგვისტიკა სულ უფრო და უფრო იღებს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანუ კომუნიკაციის ლინგვისტური პოზიციიდან შექმნილი დისკალინის სახეს. ჩვენ ვნახეთ, რომ ენობრივი ნიშნის საში განზომილებიდან დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანად, თვით ენობრივი სისტემის შინაგანი ბუნების განმპირობებლად მიიჩნევა **პრაგმატიკა**.

ეს ექსკურსი დაგვჭირდა იმიტომ, რომ ენასთან მიმართებაში სიტყვა „სისტემის“ ხმარებას შეიძლება პიონდეს ორი მნიშვნელობა: უფრო ფართო და უფრო ვიწრო. იმისათვის, რომ ტერმინი „სისტემის“ ეს ორი მნიშვნელობა გასაგები იყოს, მივმართოთ ენის ფენომენის სოსიურისეულ გაგებას. იმისათვის, რომ ტერმინოლოგიურად და კონსტრუქტურად მოეცვა მთელი ენობრივი სინამდვილე, მთელი ენობრივი ფენომენი, სოსიურმა კვლევის პრაქტიკაში შეპოიტანა საში ტერმინი: langage, lange, და parole. პირველი მათგანს არარომანულ ენებში ბარალელი ვერ ეძებება. lange - ენა, ssprache; parole - შეტყველება, реч. თუ ეს ასეა, რას ნიშნავს სოსიურისეული ტრიადის პირველი წევრი: იგი ნიშნავს ენობრივ სინამდვილეს მის აბსოლუტურ მთლიანობაში: homo loquens ს ანასიათებს სწორედ ის, რასაც გულისხმობს სოსიურისეული langage. როდესაც ადამიანი დუმს, მის ცნობიერებაში არის lange, ენა, sprache. როდესაც იგი ამეტყველებს, ეს ხდება lange - ის საფუძველზე. ამდენად ენა და შეტყველება შეადგენენ ერთიანი ფენომენის ორ მხარეს, ხოლო langage არის ის აბსოლუტური მთლიანობა, რომელიც ერთდროულად ჩოიცავს ენობრივ ფენომენსაც და მის საფუძველზე არსებულ შეტყველებას. სოსიური თვლიდა, რომ ენათმეცნიერების ერთადერთ საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ ტრიადის შუა წევრი - ენა (langue). ენათმეცნიერების საგნის ამგვარ გაგებას თავიდანვე

დაუკავშირდა ტერმინ „სისტემის“ შედარებით ვიწრო გაგება, რომლის მიხედვითაც ენა (langue) – ეს არის ნიშანთა სისტემა და მისი სისტემური ხასიათი მთლიანად განპირობებულია სემიოტიკურად ანუ მასში შექმავალ ნიშანთა ბუნებით და მათ შორის არსებული მიმართულებებით. როგორც ვიცით, ეს იყო ლინგვისტური იმპანენტიზმის ეტაპი. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ მთელი თავისი არსებობისა და განვითარების განმავლობაში ლინგვისტური თეორია მიისწრაფვოდა იმისაკენ, რომ გადაეღახა ეს იმპანენტიზმი და მასთან ხსენებული სისტემურობის ვიწრო გაგება. ამ პროცესის შედეგად ლინგვისტური თეორიის თვალსაწიერში სულ უფრო ექცეოდა მთელი ის ენობრივი სინამდვილე, რომელსაც ფარავს სოსიურისეული ტრიადა. ეს ნიშნავდა თვით სისტემურობის როგორც ცნების გაფართოებას. ამიტომ დღეს ლინგვისტმა ტერმინი „სისტემა“ შეიძლება იხმაროს:

1) იმ გაგებით, რომელითაც ხმარობდა სოსიური (შედარებით ვიწრო გაგებით). ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ ენაზე როგორც ნიშანთა სისტემაზე, მის შინაგან სტრუქტურაზე;

2) შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი „სისტემა“ ფართო გაგებით. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: როგორია langage როგორც სისტემა და რა უროიერმიმართებაშია ამ langage-ის ფარგლებში lange და parole.

ლექცია № 9

დღევანდელი თემაა „ენობრივი ნიშნის ტიპები ნომინაციის ხასიათის მიხედვით“. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველ სრულფასოვან ენობრივ ნიშანს ახასიათებს ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციების ერთიანობა. ვიცით აგრეთვე, რომ გადაძველები და წამყვანია კომუნიკაციური ფუნქცია, მაგრამ იგი შეუძლებელი იქნებოდა ნომინაციური ფუნქციის გარეშე. ე. ი. ნომინაციური ფუნქცია უნდა ჩაითვალოს ენობრივი ნიშნის

შიერ კომუნიკაციური ფუნქციის შესრულების აუცილებელ წინაპირობად. სწორედ ნომინაციური ფუნქციის ამ მნიშვნელობიდან გამომდინარეობს ენობრივ ნიშანთა ტიპოლოგიის აგების მესამე შესაძლო კრიტერიუმი, რაც იმას ნიშნავს, რომ ენობრივი ნიშნები ტიპობრივად შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ როგორ ასრულებენ ისინი ნომინაციურ ფუნქციას. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ენობრივი ნომინაცია - სულ ერთია, რომელი დონის ნიშნობრივი ერთეულის შიერ არ უნდა იყოს ფი შესრულებული - შეიძლება იყოს ორი სახის - **პირდაპირი** და **ირიბი**. იმისათვის, რომ ამ დაპირისპირების არსში გავერკვეთ, საჭიროა გავერკვეთ თვით ნომინაციის როგორც ენობრივი ნიშნის შიერ შესრულებული აქტის არსში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ენობრივი ნიშანი შეუძლებელია რეფერენტის და საერთოდ რეფერენციალური მიმართების გარეშე. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ყოველი ნიშანი ხასიათდება არა მარტო რეფერენტთან მიმართებით, არამედ მისი (რეფერენტის) სტრუქტურის თავის სტრუქტურაში აქტიური ასახვით. ეს აქტიური დამოკიდებულება რეფერენტის მიმართ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ყოველი ნიშანი არა მარტო აღნიშნავს რეფერენტს, არამედ ასახელებს მას (იგულისხმება, რომ დასახელების [ნომინაციის] აქტი გულისხმობს მეტ აქტიურობას, ვიდრე აღნიშვნისა). რას გულისხმობს ნომინაციის აქტით ნაგულისხმევი ეს აქტიურობა? - იმას, რომ ყოველი ნიშანი **იკონიკურად** ასახავს რეფერენტს ანუ შეიცავს თავის თავში რეფერენტის **ხატს**. მაგრამ ეს იკონიკური ასახვა შეიძლება იყოს ორი ძირითადი სახეობის: **პირდაპირი** და **ირიბი**, როცა ამბობენ, რომ ენობრივი ნიშანი იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით, იგულისხმება, რომ ნიშანი ასრულებს პირდაპირი ნომინაციის ფუნქციას (მაგ. „რკინის შოაჯიერი“ - პირდაპირი ნომინაცია, ხოლო „რკინის ხასიათი“ - ირიბი). მაგრამ პირდაპირი და ირიბი ნომინაციის ფუნქციათა

შესრულება შეუძლია არა მარტო სიტყვას, არამედ ყოველი დონის ნიშანს. სხვანაირად რომ ვთქვათ, პირდაპირი და ირიბი ნომინაცია შეიძლება განხორციელდეს სინტაქსურ და აგრეთვე ტექსტობრივ დონეზე.

რა მიმართებაა პირდაპირ და ირიბ ნომინაციას შორის? ეს მიმართება **დერივაციულია**, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ირიბი ნომინაცია ნაწარმოებია პირდაპირი ნომინაციისაგან ანუ წარმოადგენს მის **დერივატს**; თვით ეს ხსენებული დერივაცია შეიძლება იყოს ორი სახის: **ტრანსპოზიცია** და **ტრანსფორმაცია**; თუ პირდაპირი ნომინაციის ირიბ ნომინაციაში გადაყვანისას არ იცვლება ნიშნის ფორმა (სტრუქტურა), საქმე გვაქვს **ტრანსპოზიციასთან** („რკინის მოაჯირი“ > „რკინის ხასიათი“). მაგრამ თუ ირიბი ნომინაციის მიღებისათვის აუცილებელია ამოსავალი ენობრივი ნიშნის ფორმის შეცვლა, გვაქვს **ტრანსფორმაცია**. (მაგ. „შევადართო ერთმანეთს მოქმედებითი და ვნებითი გვარის შემცვლელი წინადადებები: „სტუდენტი წერს წერილს“ და „წერილი იწერება სტუდენტის მიერ“. ორივე შემთხვევაში სინტაქსური ნომინაცია გვაქვს. პირველ შემთხვევაში გვაქვს იკონიკურობა, ამასთან წინადადების სტრუქტურა ასახავს სიტუაციას პირდაპირ. მეორე შემთხვევაშიც გვაქვს იკონიკურობა, მაგრამ სიტუაციის სტრუქტურის ასახვა ირიბია). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტრანსფორმაციასთან.

რატომ ვლაპარაკობთ ამ ორ მოვლენაზე (ტრანსპოზიცია, ტრანსფორმაცია) ენობრივი ნიშნის ტიპოლოგიის ფარგლებში? ჩვენ ვლაპარაკობთ ნომინაციის სახეებზე შემდეგ ორ მოსაზრებაზე დაყრდნობით:

1). ენობრივი ნიშნები როგორც თავისი სტრუქტურით, ისე ფუნქციურად და სტილისტურად დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, ასრულებენ ისინი პირდაპირ თუ ირიბ ნომინაციას. ეს განსხვავება დიდი და მნიშვნელოვანია;

2). ირიბი ნოშინაციის ყოყელი შემთხვევა შეიძლება ატარებდეს ეპიზოდურ, მსოლოდ „ამწუთიურ“ ხასიათს - ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ ნიშანი ნახპარია ოკაზიონალური მნიშენელობით, მაგრამ ენობრივ სისტემაში ხდება ნიშანთა ირიბნოშინაციური ფუნქციით დაფიქსირებაც, ტრადიციად ქცევაც - ე. ი. ირიბი ნოშინაციის ფუნქციით ნახპარი ენობრივი ნიშნები შედიან ენობრივ სისტემაში და წარმოადგენენ მის ბევრად თუ ნაკლებად მყარ ელემენტებს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ენობრივ ნიშანთა ირიბი ნოშინაციის სმარების უზუალურობაზე: ე. ი. ენობრივ სისტემაში იმ ენობრივ ნიშანთა გყრდით, რომლებიც ახორციელებენ პირდაპირ ნოშინაციას, გვაქვს ნიშნებიც, რომლების ახორციელებენ ირიბ ნოშინაციას.

ლექცია № 10

დღეისათვის შესაძლებელი და აუცილებელიცაა, რომ ერთიან სისტემად წარმოვიდგინოთ არა მარტო ის, რასაც სოსიურისეულ ტრიადაში ჰქვია langue (ენა), არამედ ისიც, რასაც ჰქვია langage - ანუ ენობრივი სინამდვილე მის მთლიანობაში. როგორც უკვე ითქვა, სოსიურთან ერთმანეთისაგან გამიჯნულია langue (ენა) და parole (მეტყველება); ენა არის ნიშანთა სისტემა, ხოლო parole (მეტყველება) - ის საკომუნიკაციო პროცესი რომელიც შესაძლებელი ხდება ენის როგორც ნიშანთა სისტემის გამოყენების შედეგად, ხოლო langage - ეს ის ყოყლისმომცველი ენობრივი სინამდვილეა, რომელიც მოიცავს როგორც langue-ს, ისე parole-ს. იყო თუ არა ენის სოსიურის მიერ დაფუძნებულ სემიოტიკურ კონცეფციაში ცნება, რომელიც იძლეოდა ენიდან როგორც ნიშანთა სისტემიდან მეტყველებაზე როგორც პროცესზე გადასეყლის შესაძლებლობას - ე. ი. ცნება, რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციონალურად აერთიანებდა ენასა და მეტყველებას?

ასეთი ცნება იყო აქტუალიზაციის ცნება. თუ ამ ცნებას მივმართავთ, მაშინ ყოველი საბუტყველო აქტი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ენის როგორც სისტემის აქტუალიზაციის აქტი. მაგრამ აქტუალიზაციის ცნება, რომელიც მოწოდებული იყო თავიდანვე დაეკავშირებინა „ენა“ და „ბუტყველება“, ძალიან დიდხანს არ იყო შინაარსიულად შევსებული: არ იყო გარკვეული, თუ რა ხდებოდა აქტუალიზაციის ანუ სისტემის პროცესში გადასვლის მომენტში. საჭირო იყო აქტუალიზაციის ცნების რეალური და ამავე დროს ქუშმარიტად ადამიანური (ანთროპოლოგიური) შინაარსით შევსება, მაგრამ ამ ამოცანის შესრულება შეიძლებოდა მხოლოდ უკვე ხსენებული ბუტყველოლოგიური იმანიენტის გავლასხვის შედეგად. თუ ეს მოხდებოდა და თუ აქტუალიზაციის ცნება რეალური შინაარსით შეივსებოდა, მაშინ ჩვენ მოგვეცემოდა შესაძლებლობა, რეალური შინაარსით შეგვევსო აგრეთვე სოსიურისეული ტერმინი langage. ჩვენ ვიცით, რომ იმანიენტის გავლასხვა ხდებოდა ორი მიმართულებით: ლინგვისტური აზროვნება მიემართებოდა ერთი მხრივ პრაგმატიკისაკენ, ხოლო მეორე მხრივ - ტექსტისაკენ. ეს მოძრაობა ნიშნავდა, რომ ენის თეორიის და ლინგვისტური კვლევის ცენტრში სულ უფრო და უფრო ექცეოდა თვით ბუტყველი ადამიანი, ანუ ის ენობრივი სუბიექტი, რომელიც ბუტყველების მომენტში ახდენს ენის როგორც ნიშანთა სისტემის აქტუალიზაციას. ჩვენთვის უკვე ცნობილია ისეთი სემიოტიკური ტერმინების მნიშვნელობა, როგორიცაა სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა. ენისადმი სემიოტიკური მიდგომა ნიშნავს, ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ ნიშანთა ურთიერთმიმართება. ეს იყო მნიშვნელოვანი ენის კვლევის იმ ეტაპზე, რომელსაც სტრუქტურალიზმს უწოდებენ. შემდეგ ეტაპზე ძირითადი ყურადღება მიექცა ენის სემანტიკას, ანუ ენაში ჩაქსოვილ მნიშვნელობათა სისტემას - ეს იყო პოსტრუქტურალისტური, ე. წ. ფუნქციური ლინგვისტიკის ეტაპი. დღეს კი განსსაზღვრელია ენის კვლევისადმი

პრაგმატულ მიდგომა. აქ უკვე ჩნდება კითხვა, რომელიც მნიშვნელოვანია დღეს - კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეტაპზე. სწორედ კომუნიკაციური ლინგვისტიკისთვის ე. ი. თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების იმ ეტაპისათვის, როდესაც ცენტრალურია ენობრივი სინამდვილისადმი პრაგმატული მიდგომა, დაშახასიათებელია აქტუალიზაციის ცნების შინაარსობრივი გაშლა, ე. ი. მისი თანამიმდევრული ექსპლიკაცია. ეს კი ნიშნავს, რომ წარმოვიდგინოთ ნათლად ის რასაც ნიშნავს სოსიურისეული langage. რა თქმა უნდა, კომუნიკაციური ლინგვისტიკის გადმოცემა, მის საფუძვლებსა და ელემენტებში გარკვევა ცალკე კურსის საქმეა, მაგრამ „ენათმეცნიერების შესავლის“ ფარგლებში ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს აქტუალიზაციის აქტი, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ langage ანუ ენობრივი ფენომენი მის მთლიანობაში როგორც დინამური სისტემა, როგორც ადამიანის მიერ შესრულებულ აქტთა სისტემა. თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიხედვით აქტუალიზაციის აქტი ნიშნავს ენობრივი სისტემის სუბიექტივიზაციას.

ლექცია № 11

ჩვენი მიზანი, რომ სისტემის ცნება და შესაბამისად კვლევის სისტემური მიდგომა მივუყენოთ არა მარტო იმ ენობრივ ფენომენს, რომელსაც სოსიურის მიხედვით ეწოდება langue - ამ ფენომენის სისტემური გააზრება გვექონდა უკვე სოსიურთან, შექდგომ კი იგი იხვეწებოდა - არამედ მივუყენოთ ენობრივ ფენომენს როგორც მთლიანობას, რომელსაც სოსიური უწოდებს language - ს. თავიდანვე იგულისხმებოდა, რომ language - ეს არის langue -ისა და parole -ის ერთიანობა. ჩვენ ვოქვით, რომ ამ ენისა და მეტყველების ის ერთიანობა, მათი მიმართების გააზრება სოსიურისეულ ლინგვისტიკაში თავიდანვე ხდებოდა

ისეთი ცნების საფუძველზე, როგორცაა აქტუალიზაცია. აქტუალიზაციის ცნება თავისი მნიშვნელობით გულისხმობს ენის როგორც ნიშანთა სისტემის (langue) ფუნქციურ გაგებას. ე. ი. გულისხმობს იმას, რომ ენის როგორც ნიშანთა სისტემის ფუნქცია ან დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გამოადგოს ურთიერთობის (კომუნიკაციის) საშუალებად მეტყველების დროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენა როგორც ნიშანთა სისტემა რეალურად (აქტიურად) არსებობს და მოქმედებს მხოლოდ მეტყველების დროს - მეტყველებაში და მის გარეშე იგი თითქოს და უფუნქციოდ რჩება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეტყველებაში და მეტყველების გარეშე ენა არსებობს მხოლოდ პოტენციურად (ვირტუალურად). ამ კონცეფციის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად უდევს ენის ინსტრუმენტული გაგება, აქტუალიზაციის აქტი ნიშნავს ენის გამოყენების აქტს, მაგრამ როგორც XIX, ისე XX საუკუნეში, არსებობდა და ვითარდებოდა ენის ანუ სოსიურისეული „langue“ - ის ისეთი გაგება, რომელიც სცილდებოდა მის ინსტრუმენტალურ გაგებას და რომელიც ენას ანიჭებდა ფუნქციურ როლს არა მარტო ურთიერთობის პროცესში, არამედ თვით ადამიანის ცნობიერების, უფრო მეტიც - მისი ფსიქიკის სტრუქტურირებაში. ენის ასეთი გაგება სათავეს იღებს თეორიული ენათმეცნიერების ფუნქციურ ვილჰელმ ჰუმბოლდტთან, ხოლო XX საუკუნეში იგი განვითარებას ჰპოვებს ამერიკელ მეცნიერებთან სეირთან და უორფთან (სეპირ - უორფის კონცეფცია). ამ კონცეფციის მიხედვით, ენა თავისი ფუნქციას ასრულებს არა მარტო მეტყველების მოქმედებაში, მისი ეს ფუნქცია - იყოს კომუნიკაციის საშუალება - არც არის მთავარი და გადაამწყვეტი. მისი მთავარი და გადაამწყვეტი დანიშნულებაა, შექმნას ის, რის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის არსებობა, შეუძლებელია ადამიანი როგორც სუბიექტი. ეს არის სამყაროს თავდაპირველი სურათის შექმნის ფუნქცია. შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდევ სამყაროს სხვადასხვა დონისა და სახის

სურათები, თუ გამოთქმას „სამყაროს სურათი“ გავიგებთ როგორც სამყაროს მთლიანურ ხატს. ეს სურათი შეიძლება იყოს მითოლოგიური, რელიგიური, ფილოსოფიური, მეცნიერული და ა. შ. მაგრამ სამყაროს ყველა ეს სურათი მეტნაკლებად გაცნობიერებულია, ე. ი. წარმოადგენს ადამიანის როგორც შექცენებული სუბიექტის ბევრად თუ ნაკლებად გაცნობიერებული აზრობრივი აქტივობის შედეგს. მაგრამ არსებობს სამყაროს სურათი, სამყაროს მთლიანური ხატი ქვეცნობიერ დონეზეც. და არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ბოლომდე მთლიანად „დააღწიოს“ მას თავი. სამყაროს ეს სურათი შექმნილია ენოს მიერ და ენის ეს მსოფლმხედველური როლი გამჭოლია ადამიანის მთელი აზროვნებისათვის. ყველა სხვა დონის სურათი „ამოიზრდება“ მისგან და ეფუძნება მას. ამიტომ ადამიანის აზროვნება თავდაპირველად და ძირითადად ენობრივია, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ყოველი ცალკეული ეროვნული ენა თავის სტრუქტურაში „შალავს“ სამყაროს განუშეორებელ, უნიკალურ სურათს და განაპირობებს განუშეორებელ, უნიკალური ეროვნული აზროვნების არსებობას. ამ კონცეფციის მიხედვით ადამიანი სამყაროსთან შოღის არა უშუალო კონტაქტში - ენა არის სწორედ ის შუალედური სამყარო, რომლის წიაღშიც ხდება ადამიანის და რეალური სამყაროს (უნივერსუმის) შეხვედრა. (ყოველი ერის ცხოვრებაში არის მსოფლმხედველური დინამიზმი, კონსტანტა - ენაა. ენაში ჩვენთვის სამყარო ქვეცნობიერად ასახულია გლობალურად, მთლიანად. ესაა მსოფლმხედველობის ყველაზე ღრმა შრე).

ლექცია № 12

ენის ანუ სოსიურული langue - ის ასეთი გაგება, რა თქმა უნდა, არ უარყოფს მის კომუნიკაციურ ფუნქციას ან მის ინსტრუმენტულ სტატუსს, მაგრამ არ ანიჭებს ამ ფუნქციას და ამ სტატუსს გადაშფეყვტ და ძირითად მნიშვნელობას. ენის

ამ კონცეფციის მიხედვით მის ძირითად ფუნქციად უნდა ჩაითვალოს ადამიანური სამყაროს შექმნის ფუნქცია, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ **კოსმოგონიური ფუნქცია** (კოსმოლოგია - მოძღვრება სამყაროს შესახებ; კოსმოგონია - სამყაროს წარმოშობა). ეს გაპოთქმა გულისხმობს, რომ ის სამყარო, რომელშიც არსებობს ადამიანი, რომელშიც იგი ცხოვრობს და მოქმედებს და რომლის სტრუქტურას ასახავს მისი აზროვნება, მთლიანად ენობრივი წარმოშობისაა. ამ კონცეფციის მიხედვით, ყოველ ადამიანს როგორც პიროვნებას და როგორც სუბიექტს ლოგიკურად წინ უსწრებს **ერთი** როგორც სუბიექტი, და ერის ეს პრიმატი მთლიანად განპირობებულია ეროვნული ენის ანუ დედაენის სსენებული ფუნქციით.

მაგრამ თუ ჩვენ ენას გავიგებთ ამგვარად (როგორც სამყაროს პირველადი ადამიანური სურათის შექმნელ ძალას), მაშინ შეუძლებელი იქნება გავიგოთ მეტყველების ანუ კომუნიკაციის აქტი როგორც ენის როგორც ინსტრუმენტის უბრალო გამოყენება. მაშ რა ხდება აქტუალიზაციის დროს, თუ ენა არ არის მხოლოდ და უბრალოდ კომუნიკაციის საშუალება? აქტუალიზაციის დროს ადგილი აქვს შეძლევი **ორი** ფენომენის ერთდროულ - შერწყმულ - არსებობას. **პირველი** ამ ფენომენთაგან მდგომარეობს შეძლევი:

ენა (langue), რომელიც მეტყველებამდე ეკუთვნოდა ერს როგორც სუბიექტს, მეტყველების მომენტში იქცევა კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტთა „საკუთრებად“. თუ ენა მეტყველებამდე არსებობს ერსა და სამყაროს შორის როგორც მათი შემოქმედებითი შესხედრის „ადგილი“, მეტყველების ენა არსებობს უკვე სხვა, პრინციპულად განსხვავებულ სივრცეში - **ინტერსუბიექტურობის** სივრცეში (ამ ფაქტს პირველად ე. ბენვენისტმა გაუსვა ხაზი). ნაცვალსახელებად წოდებული სიტყვები „მე“ და „შენ“ სინამდვილეში არ წარმოადგენენ ნაცვალსახელებს - ნაცვალსახელია ის, რაც ცვლის არსებით სახელს. მაშ რისთვის არსებობენ ისინი ენაში? ე. ბენვენისტის აზრით - და ეს აზრი ჩვენ უნდა მისდევდეს -

მათი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ შოახდინონ ენის როგორც სისტიემის გადაყვანა ინტერსუბიექტურობის სფეროში და ამ მოქმენტიისათვის მოცემულ სუბიექტის „საკუთრებად“ აქციონ ენა. რა თქმა უნდა, ყოველი კონკრეტული წინადადება ან თუნდაც ტექსტი თითქოს და არ შეტყვევლებს აქტუალიზაციის ამგვარი გაგების სისწორეზე, რადგან შეიძლება იგი არ შეიცავდეს სიტყვებს „მე“ (ego) და „შენ“ (tu). თუ, მაგალითად, ვამბობთ „ბავშვი თამაშობს“ – იგი თითქოსდა არაფერს გვეუბნება აქტუალიზაციის ამგვარი გაგების სისწორეზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში განასხვავებენ გამონათქვამის (წინადადების) ზედაპირულ და სიღრმისეულ სტრუქტურას. წინადადების ზედაპირული სტრუქტურაა მისი უშუალოდ წარმოთქმული და აღქმული ფორმა; მაგრამ ყოველი ამგვარი უშუალოდ მოცემული წინადადების ფორმა ამ თუ იმ სახის გარდაქმნის ანუ ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულია წინადადების იმ ბირველადი და ქვეშარიტი ფორმიდან, რომელიც შეიძლება უშუალოდ არც იყოს მოცემული. რაც შეეხება ჩვენს მიერ მოშველიებულ მაგალითს, მისი ეს სრული და ქვეშარიტი ფორმა (ანუ მისი სიღრმისეული სტრუქტურა) შეიძლება წარმოყიდგინოთ ასე: „მე შენ გატყობინებ, რომ ბავშვი თამაშობს“. ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადების „ბავშვი თამაშობს“ წარმოთქმისას მოხდა სიღრმისეული სტრუქტურის ბირველი ნაწილის ელიფსური ამოვარდნა. ე. ი. „მე“ და „შენ“ შეიძლება არ იყოს ზედაპირულ სტრუქტურაში, მაგრამ მუდამ არის სიღრმისეულში, სხვაგვარად კომუნიკაცია ვერ შედეგობდა.

რაც შეეხება მეორე ფენომენს, რომელიც აუცილებლად თან ახლავს აქტუალიზაციის აქტს, იგი მდგომარეობს შემდეგში:

თუ შეტყვევებად ენა ქმნიდა სამყაროს სურათის ანუ მის მთლიანურ, გლობალურ ხატს, შეტყვევლების მოქმენტი იგი ქმნის სამყაროს იმ ფრაგმენტის, იმ სიტუაციისა თუ ხდომილების ხატს (სურათს), რომელიც ექცევა კომუნიკაციის

მონაწილე სუბიექტთა ყურადღების ცენტრში. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ამ შექმნისას ხდება სიტუაციისა და ხდომილების ნომინაცია, ანუ მისი აქტიური იკონიკური ასახვა.

როგორც ვხედავთ, აქტუალიზაციის აქტი წარმოადგენს ფენომენს, რომელიც ხდება ერთდროულად ორ დონეზე: ინტერსუბიექტურობისა და საგნობრიობის დონეზე. რა თქმა უნდა, ამ ორივე დონის პრინციპული შესაძლებლობა მოცემულია უკვე ენაში როგორც ნიშანთა სისტემაში და შეუძლებელი იქნებოდა მის გარეშე. მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ აქტუალიზაცია გულისხმობს ენის საარსებო მოდუსის (Seinsweise) დრმა და პრინციპულ შეცვლას.

ლექცია № 13

ჩვენთვის უკვე ცნობილია სოსიურისეული ტრიადა, რომელიც ლაშობს შოიცვას მთელი ენობრივი სინამდვილე. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ძირითადად XX საუკუნის ლინგვისტიკის დინამიკა - ამ დინამიკის შინაგანი მიზანი მდგომარეობდა იმ იმანენტიზმის გადალახვაში, რომელიც ახლდა სოსიურისეულ ლინგვისტიკას და რომელიც გულისხმობდა ჩაკეტილობას წმინდა სემიოტიკურ სივრცეში. ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ რჩებოდა ერთი როგორც ენობრივი სუბიექტი და მკლყველი სუბიექტი. ეს დინამიკა მდგომარეობდა ამრიგად ენობრივი სუბიექტისაკენ მოძრაობაში. თუ ჩვენ გვსურს განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს langue როგორც სისტემა, უნდა განვიხილოთ langue და parole ურთიერთმიმართებაში. აქ, როგორც უკვე ვიცით, მიეძაროდა აქტუალიზაციის ცნებას. იგი მდგომარეობს ენის არსებობის მოდუსის შეცვლაში.

რომელ სივრცეში არსებობდა ენა აქტუალიზაციაში? - ერისა და სამყაროს „შეხვედრის“ სივრცეში, ვინაიდან ენა, ჰუმბოლდტის მიხედვით, არის სამყაროს სურათის პირველადი რეალიზაცია: იგი არსებობს ერისა და სამყაროს ამგვარი შეხვედრის შედეგად (langue). მაგრამ რას ნიშნავს აქტუალიზაცია? - ხდება ის, რომ ენას თავის საკუთრებად აქცევს ორი სუბიექტი, საშუალებელი აქტის ორი მონაწილე: მეტყველების დროს ენა არსებობს ინტერსუბიექტურ სივრცეში. რა ელემენტების საშუალებით ხდება ინტერსუბიექტიზაცია? - ესაა სიტყვები „მე“ და „შენ“. როგორც ითქვამს, ეს სიტყვები მუდამ არ არის მოცემული ზედაპირულ სტრუქტურაში, მაგრამ ისინი ნაგულისხმევია ყოველი გამონათქვამის სიღრმისეულ სტრუქტურაში. ე. ი. ყოველი გამონათქვამი არსებობს ერთდროულად ინტერსუბიექტურ და საგნობრივ დონეზე. („ბავშვი თამაშობს“ - „მე გეუბნები, რომ ბავშვი თამაშობს, მგონი ბავშვი თამაშობს“ და ა.შ.). ეს ნიშნავს, რომ ყოველ გამონათქვამს ჰქონია რთული წინადადების ფორმა - პირველი ნაწილი შეიცავს სიტყვებს „მე“ და „შენ“ (ინტერსუბიექტური დონე), ხოლო მეორე ნაწილი, ასახავს რა გარკვეულ სიტუაციას, ხდომილებას, განეკუთვნება უკვე საგნობრივ დონეს.

ე. ი. აქტუალიზაცია არის ენას არსებობის მოდუსის შეცვლა - იცვლება ენის საარსებო სივრცე. მაშინ რას წარმოადგენს language როგორც მთლიანობა? ესაა langue - სა და parole - ის ერთობლიობა, მათ მიმართებას განსაზღვრავს აქტუალიზაცია - ამრიგად language ყოფილა აქტუალიზაციის აქტთა უსასრულობა. ყოველი ნათქვამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ language - ეს არის აქტუალიზაციის აქტთა შინაგანად უსასრულო ერთობლიობა. მაგრამ აქტუალიზაციის აქტს შეესაბამება საპირისპირო აქტი - მუდამ ხდება საპირისპირო პროცესი: ინტერსუბიექტულობის სივრციდან ენა გადადის ერისა და სივრცის შეხვედრის სივრცეში. ესაა ვირტუალიზაციის აქტი. თუ გვსურს სრულიად

გამოვხატოთ language - ს არსი. უნდა ვთქვათ, რომ იგი ყოფილა აქტუალიზაციისა და ვირტუალიზაციის აქტთა შინაგანად უსასრულო ერთიანობა.

ყოველივე ამის გასარკვევად უნდა გავერკვეთ სისტემის ცნების იმ თავისებურებებში, რომელიც არსებობდა სოსიურისეულ ლინგვისტიკაში. სისტემად თავიდანვე აღიქმებოდა langue, რომელიც განისაზღვრებოდა როგორც „ნიშანთა სისტემა“.

შემდგომი თემაა სწორედ „ენა [langue] როგორც ნიშანთა სისტემა“.

ვიდრე ენის (langue-ის) საკუთრივ სისტემურ ხასიათზე ვილაპარაკებო, საჭიროა ვილაპარაკოთ ამ სისტემურობის წინაპირობებზე - იმაზე, თუ რას ეფუძნება ეს სისტემურობა, საიდან გამოძდინარეობს იგი. პირველი და ძირითადი წინაპირობა ცნობილია - ენა არის ნიშანთა სისტემა; სემიოტიკურობა, ნიშნობრივი ბუნება არის ამდენად ენის სისტემურობის პირველი წინაპირობა. სამყაროში ბევრია სისტემა, ისინი არ გვანან ერთმანეთს. ენის როგორც სისტემის სპეციფიკას განსაზღვრავს მისი ნიშნობრიობა. ახლა მივუთითოთ ენის სისტემურობის იმ წინაპირობაზე, რომლებიც უშუალოდ გამოძდინარეობენ ამ ნიშანთვისებისაგან.

ლექცია № 14

თანამედროვე ლინგვისტიკასათვის დამახასიათებელია ობიექტისადმი არა მარტო სემიოტიკური, არამედ სისტემური მიდგომაც. თავიდანვე სისტემური მიდგომა განხორციელდა უკვე სოსიურთან იმ ენობრივი რეალობის მიმართ, რომელსაც იგი „langue“-ს უწოდებს. რამდენადმე ეს სისტემური მიდგომაა „langue“-ს მიმართ იმ განსაზღვრით, რომელსაც მას ვაძლევდით - „ნიშანთა სისტემა“. ჩვენ უკვე ვთქვით, თუ

როგორ უნდა განისაზღვროს დღეისათვის სოსიურისკული langage - როგორც ენის (იგულისხმება „langue“) უსასრულო აქტუალიზაციათა და ვირტუალიზაციათა ერთობლიობა. მაგრამ რას წარმოადგენს ის, რისი აქტუალიზაცია - ვირტუალიზაციაც არის langage? როგორია მისი შინაგანი სტრუქტურა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად გავეყრკვეთ თვით აქტუალიზაციის და ვირტუალიზაციის შექანისშეში.

როგორც უკვე ვთქვით, ჯერ უნდა ვილაპარაკოთ ენის (langue) შინაგანი სისტემურობის ზოგად წინაპირობებზე, ხოლო ეს წინაპირობები ბუნებრივია დაუკავშიროთ მის ნიშნობრიობას.

რა ითქმის ენაზე როგორც ნიშანთა სისტემაზე ყველაზე ზოგადი თვალსაზრისით?

1. ენობრივი ნიშნის **ორპლანიანობა** (აღმნიშვნელი - აღსანიშნი) განაპირობებს თვით ენის როგორც სისტემის ორპლანიანობას. თუ ენა არის ნიშანთა სისტემა, მაშინ მას უნდა აქონდეს და აქვს კიდევ ორი პლანი, ორი განზომილება - **გამოხატულების** პლანი, და **შინაარსის** პლანი. გამოხატულების პლანი - ეს არის ენაში შემაჯავლი ნიშნების აღმნიშვნელთა ერთობლიობა; ხოლო რაც შეეხება ენის შინაარსის პლანს, ეს არის მასში შემაჯავლი ნიშნების აღსანიშნთა ერთობლიობა.

2. ენისათვის როგორც ნიშანთა სისტემისათვის მთლიანურად (გლობალურად) დაძახასიათებელია ისეთი ნიშანისთვისება, როგორიცაა **დანაწევრებულობა**. მაგრამ ენის ორპლანიანობის შესაბამისად უნდა ვილაპარაკოთ ენის ორმაგ დანაწევრებულობაზე, რადგან გამოხატულობისა და შინაარსის პლანი პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (გამოხატულების პლანი წარმოადგენს ნიშანთა მატერიალურ, ხოლო შინაარსისა - ნიშანთა აზრობრივ [იდეალურ] მხარეს).

3. როგორც გამოხატულებს, ისე შინაარსის პლანში ენა იყენს აქტიურ დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ, რაც სიღრმისეულად დაკავშირებულია იმასთან, რაც უკვე ითქვა წინა ლექციებში, ე. ი. იმასთან, რომ ენა არის სამყაროს ენობრივი სურათი, მისი მთლიანური ხატი [ტერმინები „სურათი“ და „ხატი“ ამ შექმნევაში გულისხმობენ რეალობის ისეთ აქტიურ არეკვლას, რომელიც უნიკალური და განუმეორებელია ყველა მოცემული ენისათვის].

ნათქვამი გულისხმობს, რომ როგორც გამოხატულებს, ისე შინაარსის პლანის არსებობას საფუძვლად უდევს ორი ისეთი რეალობის არსებობა, რომლებიც დაუნაწევრებელია ენის გარეშე და რომელთა პირველი, საწყისი დანაწევრება ენაში ხდება. ის, რაც დაუნაწევრებლად არსებობს, წარმოადგენს კონტინუუმს.

მაშასადამე ენის გამოხატულების და შინაარსის პლანის საფუძვლად უდევს ორი კონტინუუმი:

1) იმ ბგერათა კონტინუუმი, რომელთა წარმოქმაც ადამიანს შეუძლია - შესაძლო ადამიანურ ბგერათა კონტინუუმი.

2) იმ აზრობა, წარმოდგენათა და გრძნობათა კონტინუუმი, რომელიც შეიძლება პქონდეს ადამიანს - აზრობრივი კონტინუუმი.

ენის დანაწევრებულობა ანუ დისკრეტულობა წარმოადგენს ამ ორი კონტინუუმის ყოველი ენისათვის რამდენადმე უნიკალური დანაწევრების შედეგს.

4. იმისათვის, რომ ხაზი გაესვას სინამდვილის ენაში ასახვის ამ აქტიურ (შექმქმედებით) ხასიათს, იყენებენ ტერმინებს „სუბსტანცია“ და „ფორმა“. იგულისხმება, რომ ენაში ხდება ორი სუბსტანციის - ბგერითი და აზრობრივის - აქტიური სტრუქტურირება (გაფორმება). შესაბამისად ენაში გვაქვს არა ბგერითი სუბსტანცია, არამედ ბგერითი ფორმა; არა შინაარსეული სუბსტანცია, არამედ შინაარსობრივი ფორმა.

ზოგადი ენათმეცნიერება

ლექცია № 1

თანამედროვე ენათმეცნიერება - ესაა კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ორივე ტერმინს განმარტება სჭირდება. თავიდანვე შეგვეძლო გვეთქვა, თუ რა არის ლინგვისტიკა და რა არის კომუნიკაცია. მაგრამ ასეთი განმარტება ელემენტარული იქნებოდა, იმიტომ რომ „თანამედროვე“ არ შეიძლება ნიშნავდეს „დღევანდელს“. მაშინ სიტყვა „თანამედროვე“ დაკარგავდა თავის სიღრმეს. მისი გაგება უნდა გაშოშინარეობდეს მთელი XX საუკუნის ლინგვისტური აზროვნების კონტექსტიდან (თუმცა სიტყვა „თანამედროვე“ ნიშნავს მეტს, ვიდრე XX საუკუნე - იგი მოიცავს XIX საუკუნის ბოლოს ჰუმანიტარულ აზროვნებასაც). თუ ჩვენ სიტყვა „თანამედროვეს“ არ გავაიგივებთ „დღევანდელთან“, შევძლებთ დავასახელოთ თანამედროვე ლინგვისტიკის შემდეგი ნიშნები:

I. ფორმალური ნიშნები:

პირველ რიგში ესაა თანამედროვე ლინგვისტიკის სინთეზური ხასიათი. სინთეზი XX საუკუნის მთელ ლინგვისტურ კონტექსტში ნიშნავს უპირველესად შემდეგს: XX საუკუნე ხასიათდება ენის - ლინგვისტიკის საგნის - სხვადასხვა გაგებით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიდნენ თანამედროვე ენათმეცნიერების დინამიურ კონტექსტს. დავასახელებთ მათგან რამდენიმე ვარიანტს:

1. პირველი - ესაა ენის სემიოტიკური კონცეფცია. იგი ეყრდნობა ნიშნის ცნებას და ამ ცნებას უკავშირებს ენის გაგებას. ეს კონცეფცია უკავშირდება ძირითადად ფერდინანდ დე სოსიურის სახელს. მაგრამ აუცილებელია მისი გაფართოება როგორც ისტორიული

(დაკავშირება არა მარტო ფ.დუ სოსიურთან), ისე თეორიული (გაყვადეთ სოსიურის გაგებას) ასპექტით.

2. ენის **ენერჯეტული** კონცეფცია („ენერჯია“ - მოქმედება, ძალა). იგი ისტორიულად უკავშირდება ვ.ფონ შუპბოლტს. XX საუკუნეში იგი, სემიოტიკური კონცეფციის პარალელურად, ყოიარდებოდა გერმანიაში (ენის შიგაგისი გაგება პქონდათ ევროპის გარეთაც). ეს კონცეფცია უპირისპირდება სემიოტიკურს - მისთვის ენა არ წარმოადგენს უპირატესად ნიშანთა სისტემას.

3. შექმდეგი კონცეფციაა ენის როგორც **საკომუნიკაციო კოდის** გაგება (ენა როგორც კოდი (ინსტრუქქენტი), რომელსაც ადაამიანები ხმარობენ კომუნიკაციის პროცესში). კოდის ცნება ეყრდნობა ნიშნის ცნებას. სემიოტიკური კონცეფციისაგან ეს კონცეფცია ორი ძირითადი მომენტით განსხვავდება: ა) სრულიად განსხვავებულია ნიშნის გაგება; ბ) თუ სემიოტიკური კონცეფციისათვის ენის აღწერა და ახსნა კონცენტრირებულია თვით ნიშანთა სისტემაზე (ნიშანთა სისტემის სტრუქტურული მხარე), ამ კონცეფციისათვის მთავარია ენის როგორც კოდის გამოყენებითი ასპექტი.

4. ენის როგორც ადაამიანური ქმედების გაგება. ყველა აქამდე ჩამოთვლილი ნიშანი აქ უკვე აღარ არის მთავარი. მთავარია, რომ ენა გარკვეული ქმედებაა: როცა ადაამიანი მკტყველებს, იგი მოქმედებს.

ეს ოთხი კონცეფცია განაპირობებს თანამედროვე ლინგვისტური აზრის დინამიკას, მის განვითარება-გაშლას. ვერ ჩავთვლით, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით ეს ოთხი კონცეფცია წარმოადგენდეს ენათმეცნიერების ისტორიას: თანამედროვე ენათმეცნიერება (კომუნიკაციური ლინგვისტიკა) სინთეზური სწორედ იმ გაგებით, რომ იგი ახდენს ამ ოთხი კონცეფციის სინთეზს: საკმარისია ამ სინთეზიდან რომელიმე კონცეფციის გამოთიშვა, რომ გარკვეული თვალსაზრისით შეუქმლებელი გახდეს თანამედროვე ენათმეცნიერების გაგება.

თანამედროვე ენათმეცნიერება (მას შეიძლება პირობითად მაინც ვუწოდოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკა) რადიკალურად განსხვავდება XX საუკუნის ლინგვისტიკის განვითარების ყველა დანარჩენი მომენტისგან სწორედ ამ სინთეზური ხასიათით: თუკი სხვა მომენტების გაგება შეიძლებოდა ერთი კონცეფციის საფუძველზე, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ამგვარი (არასინთეზური) გაგება შეუძლებელია.

სინთეზურობა დინამიურობის ერთ-ერთი მომენტი. კომუნიკაციური ლინგვისტიკა - ესაა სინთეზი პროცესში. მაგრამ იგი სინთეზურია მეორე გაგებითაც, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია - იგი ახდენს XX საუკუნის ლინგვისტიკის ყველა განვლილი ეტაპის ინტეგრაციას (ერთ ახალ მთლიანობაში ჩართვა-გაერთიანებას). ამ ორ სინთეზს შორის, შესების წერტილების მიუხედავად, განსხვავება პრინციპულია: პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის სხვადასხვა კონცეფციითა სინთეზთან, ხოლო მეორეში - იმ ეტაპთა სინთეზთან, რომლებიც გაიარა ენის იმ კონცეფციამ, რომელსაც შეიძლება **მაგისტრალური** ვუწოდოთ XX საუკუნისათვის. ოთხივე კონცეფცია მნიშვნელოვანია, მაგრამ განმსაზღვრელი და მაგისტრალურია ენის **სემიოტიკური** კონცეფცია. ამ კონცეფციამ გარკვეული ეტაპები გაიარა - თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა ახდენს ყველა ამ ეტაპის სინთეზს, ახდენს მათ ინტეგრაციას ენის ერთიან, პრინციპულად ახალ კონცეფციაში. ამრიგად ოთხივე კონცეფცია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთმანეთის პარალელური, რომლებიც პორიზონტალურ სივრცეზე არსებობენ. მაშინ მათი სინთეზი იქნება პორიზონტალური სინთეზი. მეორე სინთეზის შემთხვევაში გვაქვს ენაზე წარმოდგენის კონცეფციითა ისეთი სინთეზი, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ დროულ ქრილში, თანმიმდევრობაში. თანამედროვე ლინგვისტიკა წარმოადგენს სინთეზს როგორც პირველი, ისე მეორე გაგებით. ეს კი ნიშნავს: ყოველი ჩვენოაგანი, რომელიც იწყებს რომელიმე

ენობრივი ფუნქციის კვლევას, (თუ რამდენადმე შინც სურს მას მოახდინოს ეს კვლევა თანამედროვე პოზიციებიდან) ღებება ამ ორგვარი სინოუზის წინაშე.

ლექცია № 2

პირველ ლექციაში ჩვენ გამოვყავით ენის ოთხი ძირითადი კონცეფცია, რომლებიც ქმნიდნენ თანამედროვე ენათმეცნიერების დინამიურ კონტექსტს და მაგისტრალურად მივიჩნიეთ ენის სემიოტიკური კონცეფცია. ახლა კი უნდა მივუთითოთ ამ კონცეფციის მაგისტრალურობის შინაგან პარადოქსულობაზე.

ენის სემიოტიკური კონცეფცია თითქმის ენის საყოველთაო კონცეფციად იქცა: მისი გადმოცემა და პრობლემატური ანალიზი ლინგვისტიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და მთელი ლინგვისტური ლიტერატურის უმთავრეს საგანს წარმოადგენს. ამ გაგებით ეს კონცეფცია მაგისტრალურია. მაგრამ თუ ჩვენ შევხედავთ თანამედროვე ლინგვისტიკას იმ შედეგის მიხედვით, რომელიც დღეს გვაქვს (თანამედროვე ლინგვისტიკა - ეს არის კომუნიკაციური ლინგვისტიკა), დავინახავთ, რომ აქტუალურ ცნებებს წარმოადგენენ ისეთი ცნებები, როგორიცაა საკომუნიკაციო აქტისა და ტექსტის ცნებები, რომლებსაც ენის სემიოტიკურ კონცეფციაში არ პქონიათ წამყვანი მნიშვნელობა. ამრიგად იქმნება პარადოქსული სიტუაცია: სემიოტიკური კონცეფცია იყო XX საუკუნისათვის მაგისტრალური, ის ლინგვისტიკა კი, რომელიც შეიძლება შედეგად ჩავთვალოთ, ფუძემდებლად იღებს ცნებებს, რომლებიც სემიოტიკური კონცეფციისათვის არ ყოფილა ფუძემდებელი.

ეს პარადოქსული სიტუაცია შეიძლება გავიგოთ აშკარად:

ლინგვისტიკის გაშლა-განვითარების პერიოდში არაშავისტრალურ კონცეფციებს პქონდათ სიღრმისეული მნიშვნელობა - ისინი სიღრმისეულად მოქმედებდნენ ლინგვისტურ აზროვნებაში და „ფარულად“, მაგრამ ფუნდამენტურად გარდაქმნიდნენ მას. ამიტომ თანაშემდროვე ლინგვისტური აზრის განმარტებისას უნდა დაფიქვოთ სწორედ ენის შავისტრალური კონცეფციის გადმოცემით, მისი კონტურების მოხაზვით, მაგრამ აშაკე დროს უნდა გავითვალისწინოთ გარდაქმნის ის პროცესი, რომელსაც ეს კონცეფცია განიცდიდა (თუ კი, რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს, ერთიმხრივ განვმარტოთ ლინგვისტური აზროვნება, როგორც დინამიური ფენომენი, ხოლო მეორე მხრივ, თუ გვსურს, რომ ზოგადი ენათმეცნიერების კურსი იყოს ჩვენთვის ეროდროულად თანაშემდროვე (კომუნიკაციური) ლინგვისტიკის კურსიც). ანუ: ის დინამიური სინთეზი, რომელიც ხდება თანაშემდროვე ენათმეცნიერებაში, უნდა მივიღოთ მხედველობაში თავიდანვე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სემიოტიკური კონცეფციის ყოველი ცნების განხილვისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ გარდაქმნის (ტრანსიფორმაციის) ის მომენტიც, რომელმაც საბოლოოდ წარმოშვა დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ასე მაგალითად, სემიოტიკური კონცეფციის ძირითადი ცნების - ნიშნის ცნების - განმარტებისას მის აშოსავალ (ოსიურისეულ) ვარიანტში, ჩვენ მაშინვე უნდა ვთქვათ (კონტურების მოხაზვის სახით მაინც), თუ როგორ - რა ფაქტორების გავლენით - ხდებოდა ნიშნის ცნების გაშლა-განვითარება, როგორი იყო ამ გაშლა-განვითარების პერსპექტივა და როგორ გამოიყურება ნიშნის ცნება დღევანდელ (კომუნიკაციურ) ლინგვისტიკაში.

ქეშმარიტი სინთეზურობის მიღწევა მეცნიერული აზროვნების არა თუ ძნელი, მიუღწეველი ამოცანაცაა. შეუძლებელია ერთ მოკლე განხილვაში შოაქციო თანაშემდროვე ენათმეცნიერების განვითარების ეს უზარმაზარი გზა. მაგრამ გვქონდეს სინთეზურობა მიზნად - ეს ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ განვეწყვოთ ასე.

ტერმინ „სემიოტიკის“ საფუძველია ბერძნული სიტყვა „სემეიონ“ - „ნიშანი“. სემიოტიკა არის აშრივად მეცნიერება ნიშნის, ნიშნების, ან ნიშანთა სისტემების შესახებ. (ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „სემიოლოგიაც“, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობა აქვს).

უნდა ითქვას თავიდანვე, თუ როგორია ყოველი მეცნიერული კვლევის საწყისი მომენტი. ყოველი მეცნიერული კვლევა ცდილობს გამოყოს სინამდვილის რთული სტრუქტურიდან (ბუნება, ადამიანი, მათ შორის ურთიერთმიმართება) საკუთარი საგანი და დაადგინოს ამ საგნის შინაგანი კანონზომიერებანი. მაგრამ მკვლევარის წინაშე მოცემულია არა ეს კანონზომიერებანი, არამედ გარკვეული ფენომენი, ანუ საგანი უშუალოდ მოცემულია ისეთი სახით, როგორითაც იგი ჩვენ გვხვდება ცხოვრებაში - ე.ი. ფენომენის სახით. ბერძნული სიტყვა „ფაინომია“ ნიშნავს იმას, რაც უშუალოდაა მოცემული, რაც აღიქმება. ესაა კვლევის საწყისი მომენტი. თუ არ აღიქვი ფენომენი, თუ არ გამოყავი სინამდვილის სტრუქტურიდან, თუ არ დაასახელები იგი - შეუძლებელია მისი აღწერა და კვლევა. ენათმეცნიერება - ესაა მეცნიერება ენის შესახებ. ამით ითქმის უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი რამ: ენათმეცნიერებისათვის ასეთ ფენომენს წარმოადგენს ენა. ეს კონსტატაცია უღერს უბრალოდ, მაგრამ იგი შინაგანად რთულია. ენას როგორც ფენომენს შეისწავლის არა მარტო ენათმეცნიერება, არამედ სხვა მეცნიერებებიც (ენის ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ესთეტიკა, ლოგიკა ...). ამიტომ არ არის საკმარისი ითქვას, რომ ენათმეცნიერების საკვლევი ობიექტს წარმოადგენს ენა. აქვე უნდა დავუმატოთ, თუ ამ ფენომენის რომელი ასპექტის შესწავლა სურს ენათმეცნიერებას, თუკი მას უნდა პქონდეს ავტონომიური, უფრო მეტიც - ენის შესახებ წამყვანი მეცნიერების პრეტენზია. ეს მომენტი ენათმეცნიერული

კვლევისათვის განსაზღვრულია, ვინაიდან ენის ძირითადი ასპექტის გამოყოფას ეფუძნება ენის სხვადასხვა კონცეფციითა განსხვავება. ეს კონცეფციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, თუ ენის რომელ ასპექტს თვლიან წამყვანად - რითიც ვიწყებთ, ის იქნება ძირითადიც. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში თავს იყრის ყველა ის ასპექტი, რომლებიც ამ კონცეფციისათვის ძირითადი იყო. მაგრამ რომელ კონცეფციასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ენაში უნივერსალური თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ორი მომენტი, რომელთა გარეშე ენა როგორც ფენომენი არ იარსებებდა:

1. ადამიანი შეტყველებს: ადამიანი რომ არ იყოს შეტყვევლი არსება, ენა ვერ გამოიყოფოდა სხვა ფენომენებისაგან. სწორედ შეტყვევებაა ის ფენომენალური მონაცემი, რომელთან დაკავშირებითაც განისაზღვრება ლინგვისტიკის საგანი;

2. არსებობს არა ერთიანი, ყველა ადამიანისათვის უნივერსალური ენა, არამედ არსებობს ენათა სიმრავლე (ნაციონალური ენები).

ყოველი კონცეფცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად მეცნიერულად, თუ კი იგი თავის საგნის განსაზღვრისას ითვალისწინებს ერთდროულად ორ ამ მომენტს (შეტყველების ფენომენსა და ენათა სიმრავლის ფენომენს). როგორ გამოიყურება ამ თვალსაზრისით ენის სემიოტიკური კონცეფცია? ამ კონცეფციის განსაზღვრისას ვიწყებთ მისი სოსიურისეული ვარიანტით. სწორედ ეს ვარიანტი დაედო საფუძვლად ენათმეცნიერებით განვითარების მაგისტრალურ გზას.

ამ კონცეფციის პირველი თეზისია: შეტყვევლებას როგორც ფენომენს საფუძვლად უდევს გარკვეული სისტემა - ისეთი სისტემა, რომელიც შეტყვევლებას შესაძლოს ხდის. ეს სისტემაა ნიშანთა სისტემა. სოსიურს არ მოუცია ნიშნის განსაზღვრა, მაგრამ ოუ მისივე კონტექსტიდან ამოკალთ, ნიშანი არის ისეთი მონაცემი, ისეთი ფაქტი,

რომელსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. იმისათვის რომ გვექონდეს ნიშანი, აუცილებელია მას პქონდეს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც რაღაცაზე შიუთითებს თავის ფარგლებს გარეთ. სოსიურისათვის ნიშანი წარმოადგენს ორი ასპექტის ურღვევ ერთიანობას:

**აღსანიშნი
აღმნიშვნელი**

ერთი მხარე არ არსებობს მეორის გარეშე: ნიშანი სოსიურისათვის მხოლოდ აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ ამ ორი ასპექტის ერთიანობაა (ენის როგორც კოდის გაგება სემიოტიკურისაგან განსხვავდება იმით, რომ მისთვის ამ ორ ასპექტს შორის არ არის ურყევი ერთიანობა). თუმცა თანამედროვე ენათმეცნიერება იწყება ნიშნის სოსიურისეული გაგებით, სემიოტიკური ენათმეცნიერების შექმნაში განვითარება უკავშირდება უკვე ნიშნის ამ თავდაპირველი მოდელის გარდაქმნას. საიდან მოდიოდა ეს გარდაქმნა? მისი პირველი წყარო იყო ნიშნის ის გაგება, რომელიც უკავშირდება ამერიკელი ფილოსოფოსის ჩარლზ პირსის სახელს. რა მოხდა, როცა სოსიურისეულ მოდელს შეუერთდა პირსისეული მოდელი? ნიშნის სოსიურისეული და პირსისეული მოდელების სინთეზმა წარმოშვა ის მოდელი, რომელიც მოქმედებს კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში როგორც ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. სოსიურისეული მოდელისაგან კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში რჩება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურყევი ერთიანობა.

ლექცია № 3

ფ.დუ სოსიურთან ნიშნის ცნება განაპირობებს სისტემის ცნებას და პირეკუ. სისტემა მუდამ ნიშნავს, რომ მოცემულია არა ელემენტთა გროცა, არამედ ელემენტთა ისეთი ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად გულისხმობს მათ შორის გარკვეულ მიმართებებს: ყოველი სისტემისათვის მიმართების ცნება ელემენტის ცნებაზე არანაკლებ

მნიშვნელოვანია. ამრიგად, ესა - ეს არის ნიშანთა ერთობლიობა და ეს ერთობლიობა წარმოადგენს სისტემას იმპიტომ, რომ ნიშანთა შორის არსებობს მძიმაროებები. ეს მძიმაროებები ორი სახისაა:

1. ენობრივი ნიშნები შეიძლება განვიხილოთ დროულ მძიმაროებაში. დროული მძიმაროება გვაქვს მაშინ, როდესაც ელემენტები ერთმანეთს მოსდევენ (ნიშანთა თანმიმდევრობა). ნიშნები, რომლებიც ერთმანეთს მოსდევენ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ორ ასეთ ნიშანთა თანმიმდევრობას სემიოტიკურ ლინგვისტიკაში **სინტაგმა** ეწოდება (სინტაგმა არ უნდა გავიგოთ როგორც სინტაქსური შეკავშირება: საკმარისია მხოლოდ თანამიმდევრობა). ნიშანთა ურთიერთდაპირისპირების სინტაგმაში **სინტაგმატური ოპოზიცია** ეწოდება. („ბიჭი თამაშობს ეზოში“: „ბიჭი“ ოპოზიციაშია „თამაშობს“-თან, „თამაშობს“ - „ეზოსთან“-თან). (ნიშანთა ურთიერთდაპირისპირების ცნება ენის სემიოტიკურ კონცეფციაში საფუძვლად უდევს სისტემატურობას). სინტაგმა მუდამ მოცემულია დროულ დერმ'სე (საზობრივად სწორსაზობრივი, წრფივი).

სინტაგმატიურ ოპოზიციას უპირისპირდება პარადიგმატული ოპოზიცია. პარადიგმატული მძიმაროებები - ეს არის მძიმაროებები ისეთ ნიშნობრივ ელემენტებს შორის, რომლებიც ერთმანეთს გარკვეული თვალსაზრისით გვანან, მაგრამ სინტაგმატიკაში ერთმანეთს გამორიცხავენ. (მსგავსებისა და ერთმანეთის გამორიცხვის მომენტს ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს).

ავილოთ იგივე ფრაზა:

„ბიჭი თამაშობს ეზოში“

„გოგონა თამაშობს ეზოში“

„ბავშვი თამაშობს ეზოში“

ელემენტები „ბიჭი-გოგონა-ბავშვი“ ერთმანეთს არ მოსდევს, ამდენად მათ შორის არ არის სინტაგმატური ოპოზიცია. მათ შორის არის ფუნქციური მსგავსება. მათი სძარება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „ან“-„ან“. იმ

ელემენტთა დაპირისპირებას, რომლებიც ერთმანეთს გვანან ფუნქციური თვალსაზრისით, მაგრამ სინტაგმატურ ჯაჭვში ერთმანეთს გაშორიფსავენ, **პარადიგმატული ოპოზიცია** ეწოდება.

ამრიგად, ერთი მხრივ გვაქვს: სინტაგმატური მიმართებები - სინტაგმა - სინტაგმატური ოპოზიცია, ხოლო მეორე მხრივ - პარადიგმატული მიმართებები - პარადიგმა - პარადიგმული ოპოზიცია. სინტაგმატური მიმართებები მოცემულია დროულ ღერძზე, პარადიგმატული - სივრცობრივზე.

სწორედ მიმართებათა ეს ორი სახე ქმნის ენის **სისტემურობას**. როდესაც ვაძმოვთ, რომ ენა ნიშანთა სისტემაა, ეს ნიშნავს, რომ ნიშნობრივ ელემენტებს შორის არსებობს მიმართებათა ეს ორი სახე.

სოსიურის აზრით, მეტყველება როგორც ინდივიდუალური ფაქტი, შესაძლებელია იმითომ, რომ მას საფუძვლად უდევს ენა როგორც **სოციალური ფაქტი**. სოციალურობა ნიშნავს ამ შემთხვევაში იმას, რაც სავალდებულოა ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის და რისგანაც ამოდის - გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად - ყველა ინდივიდი, რომელიც მეტყველებს ანუ ამყარებს უროიერთობას ენის საშუალებით. იმისათვის, რომ ჩვენ თაყიდანვე დავინახოთ განსხვავება ენის სემიოტიკურ კონცეფციასა და თანამედროვე ლინგვისტიკის შორის, ხაზი უნდა გავუსვათ სწორედ ამ მომენტს: სოსიურისათვის სოციალური (ფუქმდებელი, არსებითი, არაშემთხვევითი) იყო არა მეტყველება, არამედ ნიშანთა ის სისტემა, რომელიც ამ მეტყველებას შესაძლოდ ხდის. თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა, რა თქმა უნდა, არ უარყოფს ენის როგორც ნიშანთა სისტემის სოციალურობას, მაგრამ თვლის, რომ ამ სოციალურობის საფუძველს წარმოადგენს თვით საკომუნიკაციო აქტის ანუ მეტყველების სოციალურობა. სწორედ ამაში მდგომარეობს დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკის სინოქსურობის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ასე ამოდის სინამდვილის სოციალურობიდან, მაგრამ აღრმავეს თვით სოციალურობის ცნებას და უკავშირებს მას არა მარტო ენას როგორც ნიშანთა სისტემას, არამედ თვით საკომუნიკაციო აქტს და პირველ რიგში მას.

დავუბრუნდეთ ობოზიციის ცნებას, რომელიც საფუძვლად უდევს ენის როგორც ნიშანთა სისტემის გაგებას.

ენის სემიოტიკურ კონცეფციაში ენობრივი ნიშნის ორი ასპექტი - აღმნიშვნელი და აღსანიშნი - ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს კავშირი პრინციპულად უპირისპირდება ნიშნის იმ ყოველდღიურ (ბანალურ) გაგებას, რომლის მიხედვითაც ნიშანი არის ნომენკლატურა (იარლიყი), სოლო ენა - ამგვარ ნომენკლატურათა ერთობლიობა. ასეთ შემთხვევაში ნიშანსა და საგანს შორის არის უშუალო მიმართება (ბოთლი და იარლიყი). სოსიურისეულ კონცეფციაში ნიშანი არ არის ნომენკლატურა, ნიშანი დაკავშირებულია საგანთან გაშუალებულად (აღსანიშნი არის არა საგანი, არამედ წარმოდგენა [სოსიურის შექმდეგ ლინგვისტები მას „ცნებას“ ან „სიგნიფიკატს“ უწოდებდნენ]). რა შედეგი აქვს ნიშნის სოსიურისეული და ნომენკლატურული გაგების დაპირისპირებას? შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა განვასვლოთ ერთმანეთისაგან ორი ცნება: მნიშვნელობა და ღირებულება.

ნიშანი ყველა სხვა ობიექტისაგან განსხვავდება იმით, რომ მას აქვს მნიშვნელობა. მაგრამ სოსიურის „კურსში“ თავიდანვე იქნა განსხვავებული მნიშვნელობის ორი სახე. იმისაოვის, რომ მკაფიოდ დავინახოთ ეს განსხვავება, განვმარტოთ იგი ორ კონკრეტულ სიტყვასთან მიმართებაში. ავიღოთ სიტყვა „მაგიდა“. როგორც ნიშანს, მას აქვს მნიშვნელობა. როდესაც ამ სიტყვას შეტყვევლებაში ვხმარობ („სად არის მაგიდა?“), ეს მნიშვნელობა განპირობებულია იმ სიტუაციით, რომელსაც შე შეტყვევლებაში ავსახავ. (იმ სიტუაციაში, რომელიც აისახება შეტყვევლებაში, შეიძლება რეფერენტული სიტუაცია დაყარქვათ). მაგრამ ოუ ჩვენ

ავიღებთ სიტყვას „მაგიდა“ პარადიგმატიკაში, მაშინ იგი მოქცევა სიტყვათა რომელიმე ჯგუფში - პარადიგმაში. რითი იქნება ამ შემთხვევაში განსაზღვრული მისი მნიშვნელობა? რა განაპირობებს კავშირს აკუსტიკურ ხატსა და ცნებას შორის? - ნიშნის მოცემულობა პარადიგმაში. მაგალითად, სიტყვა „ბიჭის“ მნიშვნელობა განპირობებულია იმით, თუ რომელ პარადიგმაშია იგი მოქცეული (ბიჭი - - გოგო - ბავშვი ...). ამრიგად, ნიშნის მნიშვნელობა ენობრივ სისტემაში (აღსანიშნი რაობა) განპირობებულია არა უშუალოდ ობიექტური სინამდვილით, არამედ იმით, თუ რა მიმართებაში იმყოფება ეს ნიშანი პარადიგმის სხვა წევრებთან. სწორედ ნიშნის ამ მნიშვნელობას - ნიშნის მნიშვნელობას ენობრივ სისტემაში - სოსიური უწოდებდა ღირებულებას, რომ განესხვავებინა იგი სიტუაციური მნიშვნელობისგან. ამრიგად, ნიშნის მნიშვნელობა სისტემურად გაგებულ ღირებულებაა. ამგვარად, გაგებულ მნიშვნელობა გასაგებს ხდის როგორც მეტყველების, ისე ენათა სიმრავლის არსებობის ფაქტს: ნიშნის სიტუაციურ მნიშვნელობას საფუძვლად უდევს სიტყვის სისტემურად გაგებულ მნიშვნელობა, ხოლო, მეორე მხრივ, ნიშნის ასეთი გაგება განმარტავს ენათა სიმრავლეს - ენათა სიმრავლე ნიშნავს არა სხვადასხვა ნომენკლატურათა არსებობას, არამედ სინამდვილის განსხვავებულ ინტერპრეტაციას: ერთი ენის ნიშანი არ შეესაბამება სრულიად მეორე ენის ნიშანს - იუ ნიშანი დამოკიდებულია პარადიგმის წევრებზე, შეუძლებელია, რომ ერთი ენის პარადიგმა მთლიანად დაემთხვეს მეორე ენის პარადიგმას. ასეთ შემთხვევაში ყოველი ენა ისეთ ნიშანთა სისტემაა, რომელიც ვერასოდეს დაემთხვევა სხვა ენის ნიშანთა სისტემას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ენა წარმოადგენს განუყოფელ, უნიკალურ სისტემას. აქედან გამომდინარეობს, რომ ენათა შეპირისპირებისას უნდა ერთმანეთს შევეპირისპიროთ არა ელემენტები, არამედ პარადიგმები.

პირველი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ნიშნის ფუნქციონირებას, არის ნებისმიერობის (არბიტრალურობის) პრინციპი. მართალია, აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის არის ურღვევი კავშირი, მაგრამ ამავე დროს ეს კავშირი ნებისმიერია. გამოდის, რომ ერთი მხრივ ეს კავშირი ურღვევია, აუცილებელია, ხოლო მეორეს მხრივ - არბიტრალურია. წმინდა სოციალური შეთანხმების საფუძველზე ეს აკუსტიკური ხატი რეგულარულად უკავშირდება ამ სიგნიფიკატს. მაგრამ ნებისმიერ ხატს შეიძლება შეესაბამებოდეს ნებისმიერი სიგნიფიკატი. ამიტომაცაა კავშირი არბიტრარული. (შეიძლება მონახოს ისეთი ნიშნებიც, რომლებიც თითქოსდა ეწინააღმდეგებიან ამ დებულებას (მაგ., ჭრიალი - თითქოს ასახავს სიგნიფიკატს). მაგრამ მგავსი სიტყვები ძალზე ცოტაა და თანაც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად გამოიყურება).

მეორე პრინციპი, რომელიც დაკავშირებულია პირველთან, არის დიფერენციალურობის პრინციპი. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს სოსიურის ღირებულების ცნებას. (ღირებულებაზე ლაპარაკისას ჩვენ გავშიჯნეთ მნიშვნელობათა ორი სახე. ეს გავაკეთეთ მხოლოდ იმისათვის, რომ უკეთ გაგვეგო სოსიურისეული კონცეფცია. თვით სოსიურისათვის კი არსებობს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა - ღირებულება (valeur). დიფერენციალურობის პრინციპი ნიშნავს, რომ ყოველი აღსანიშნი და ყოველი აღმნიშვნელი არსებობს და განისაზღვრება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი განისვავდება სხვა აღსანიშნისაგან და სხვა აღმნიშვნელისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი აკუსტიკური ხატი თუ სიგნიფიკატი განისაზღვრება არა პოზიტიურად, არამედ ნეგატიურად: არა იმის საფუძველზე, რა არის იგი, არამედ იმის საფუძველზე, რა არ არის იგი. განვსაზღვროთ რომელიმე სიგნიფიკატი - ნიშნავს ვუპოვოთ მას ადგილი შესაბამის

პარადიგმაში - პარადიგმის წევრებთან ოპოზიციაში. იმის თქმა, რომ ყოველი აღსანიშნი ან აღმნიშვნელი განისაზღვრება მხოლოდ ნეგატიურად, არის სწორედ ამ დებულების დაზუსტება. ავიღოთ გაყრცელებული მაგალითი - ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსემათა პარადიგმა ქართულში: „მაშიდა“ - „დეიდა“ - „ბიცოლა“. რაძენადაც ამ ნიშნებს ვხმარობთ შეტყველებაში, ამ სიტყვებსა და ობიექტებს შორის მყარდება გარკვეული კავშირი, ყველა ნიშანს აქვს სიტუაციური მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ გვინტერესებს ენა, რომელიც საფუძვლად უდევს შეტყველებას მოცემულ ენაზე. როგორ უნდა განისაზღვროს ამ სიტყვების ღირებულება ანუ ქეშმარიტი ენობრივი მნიშვნელობა? „დეიდა“ არის ის, რაც არ არის „მაშიდა“ და ა.შ. ანუ „დეიდას“ აქვს ის ნიშნები, რაც არა აქვს „მაშიდას“ და ა.შ.

სოსიურის შემდეგ, დიფერენციალურობის პრინციპზე დაყრდნობით, ენათმეცნიერებამ შემოიტანა „სემის“ (ანუ მნიშვნელობის კომპონენტის) ცნება - შემოიტანა სწორედ იმიტომ, რომ მოეხდინა ენობრივი მნიშვნელობის სოსიურისეული გაგების შემდგომი გაშლა, იმისათვის, რომ ექცია ეს მნიშვნელობა ეფექტურ საკვლევ ინსტრუმენტად. ამრიგად, სემური (კომპონენტური) ანალიზი ეყრდნობა მნიშვნელობის სოსიურისეულ გაგებას, „ამთიზრდება“ ამ გაგებისაგან, არ არსებობს ამ გაგების გარეშე. როგორც აღსანიშნი, ისე აღმნიშვნელი უნდა განისაზღვროს დიფერენციალურად, ეს განსაზღვრა კი უნდა იყოს ნეგატიური. ანუ: პარადიგმის ძველი წევრი არსებობს და განისაზღვრება იმდენად, რაძენადაც იგი განსისყავდება პარადიგმის სხვა წევრებისაგან. სწორედ დიფერენციალურობის ამ პრინციპზეა დაფუძნებული ენათა შეპირისპირებითი კვლევა ლექსემაში. აქედან გამომდინარე უნდა გავიგოთ აგრეთვე სოსიურისეული მტკიცება: **ენაში არაფერია განსხვავებების გარდა.** და მართლაც, თუ ყოველი ნიშანი არსებობს და განისაზღვრება მხოლოდ იმდენად, რაძენადაც იგი განსისყავდება სხვა

წევრებისაგან (ცხადია, პარადიგმის ფარგლებში), მაშინ მართლაც უნდა ჩავთვალოთ, რომ ენაში არაფერია განსხვავებების გარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოსიურისეული კონცეფცია - ესაა რელაციური (ან რაც იგივეა - სტრუქტურული) კონცეფცია. იმისათვის, რომ ეს მტკიცება გაფიგოთ ზუსტად, გავისხენოთ უროთიერთკავშირი და განსხვავება ისეთ ორ ცნებას შორის, როგორცაა „სტრუქტურა“ და „სისტემა“. სისტემის ცნება, ცხადია, სოსიურამდეც არსებობდა - იქ, სადაც არა გვაქვს სისტემურობა, არა გვაქვს მეცნიერულობა. სტრუქტურის ცნების თანმიმდევრული განვითარება კი უკვე სათავეს იღებს სოსიურთან და ფუნდამენტურ როლს თამაშობს თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ყოველი სისტემა - ესაა ელემენტთა ისეთი ერთობლიობა, რომელთა შორის არსებობს გარკვეული უროთიერთმიმართებები. მაგრამ თუ ყოველი ნიშანი არსებობს და განისაზღვრება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი განსხვავდება სხვებისაგან (ე.ი. მხოლოდ დიფერენციალურად), თუ ელემენტის არსებობა და ფუნქციონირება მთლიანად ექვემდებარება სხვა ნიშნებთან ნეგატიურ მიმართებას, მაშინ უნდა ითქვას, რომ ამ ორი ცნებიდან („სისტემა“ - „სტრუქტურა“) განმსაზღვრელი ყოფილა სტრუქტურის ცნება. როდესაც ვაძბობთ „სისტემა“ - ვასახელებთ ელემენტებს (რათა სისტემა). ამდენად სისტემას საფუძვლად უდევს ელემენტის ცნება. ხოლო ელემენტები უროთიერთმიმართებაშია, გამოდის, რომ სისტემას საფუძვლად უდევს სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, ვასაგებია სოსიურის შექმნა გამონათქვამი, რომელიც წარმოადგენს უკვე ნათქვამის გაღრმავებას, ხდის მას უფრო რადიკალურს: „ენა არის წმინდა ფორმა“, ანუ ენა ფორმაა და არა სუბსტანცია. ენის ნეგატიური განსაზღვრა ნიშნავს, რომ, რაკი ენა არის ნიშანთა სისტემა, ენაში არაფერია ისეთი, რაც ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ სუბსტანციად ანუ იმად, რაც შეიძლება განისაზღვროს თავისთავად და არა სხვა საგნებთან მიმართებაში. „ენა არის წმინდა ფორმა“ - გამონათქვამს

შეკუმშულად ენის სოსიურისეულ არსს. და რაკი ენის სოსიურისეული კონცეფცია - ესაა საერთოდ ენის სემიოტიკური კონცეფციის ბირთვი, ხოლო ენის სემიოტიკური კონცეფცია კი თანამედროვე ლინგვისტიკის მაგისტრალური კონცეფციაა, აუცილებელია შევჩერდეთ თეზისზე: ენა არის წმინდა ფორმა“.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სემიოტიკური კონცეფციის. მაგისტრალურობაზე, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ - სხვა კონცეფციათა სიღრმისეულ მოქმედებაზე თანამედროვე ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისას. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ კომუნიკაციური ლინგვისტიკა გარდაქმნის შედეგად. მაგრამ როდის, რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს რომელიმე კონცეფციის ჭეშმარიტი გარდაქმნა, ანუ ისეთი გარდაქმნა, როდესაც არ იკარგება ის, რისი გარდაქმნაც ხდება, მაგრამ ამავე დროს თვით ბირთვი იცვლის სახეს (ჭეშმარიტი გარდაქმნა ხომ მუდამ ნაყოფიერ სინთეზს გულისხმობს)? - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცეფცია, რომელიც გარდაქმნას განიცდის, თავის თავში, თავის სიღრმეში, თავის ბირთვში, თავის არსში უკვე შეიცავს (თუმცა შეიძლება იმპლიციტურად) გარდაქმნის, **შედევს**. ამ შემთხვევაში გვინდა საზი გავესვათ იმ სიღრმისეულ მიმართებას, რომელიც არსებობს სოსიურისეულ სემიოტიკურ კონცეფციასა და ენის ენერგეტულ კონცეფციებს შორის:

სოსიურისეული ნიშნის ფუნქციონირება ეყრდნობა დიფერენციალურობის პრინციპს (ენაში არაფერია განსხვავებათა გარდა, ყოველი ნიშანი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ნეგატიურად). პოზიტიურია მხოლოდ კავშირი აკუსტიკურ ხატსა და სიგნიფიკატს შორის. ამ კონტექსტიდან გამომდინარე უნდა გავიგოთ სოსიურის თეზისი „ენა არის წმინდა ფორმა“. მაგრამ ეს თეზისი, რომელიც ასე კომპაქტურად გამოხატავს ამ კონცეფციას, თავის თავში შეიცავს აზრობრივი დაძაბულობის მომენტს. „ფორმა“ თავისი არსით რელაციურია - როცა არის ფორმა, იგი არის რელაციის ფორმა: არ არსებობს ფორმა სუბსტანციის გარეშე, ყოველი

სუბსტანცია შეიძლება აიხასოს რაღაც ფორმაში. ფორმა და სუბსტანცია კორელაციური ცნებებია.

გაფიქსირებულ ენის ენერგეტული კონცეფციის ერთ-ერთი თეზისი: ენა სწორედ რომ ფორმაა და მის მატერიას (მის სუბსტანციას) წარმოადგენს მთელი სამყარო. თუ ენა ფორმაა, რომლის სუბსტანციასაც წარმოადგენს სამყარო, მაშინ ენაა სამყაროს ფორმა. ყოველი ენა არის ერთი და იმავე სუბსტანციის განსხვავებული ფორმა.

სოსიურისეული კონცეფცია თავის თავში (ბირთვში, არისში) შეიცავდა იმ ნაყოფიერი სინთეზის შესაძლო შედეგს, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო სემიოტიკურ და ენერგეტულ კონცეფციებს შორის. ყოველივე ამას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ენათა შეპირისპირებითი კვლევისათვის. ენათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა შეიძლება მოხდეს ორ დონეზე: **ენის როგორც მთლიანობის დონეზე** (რითი განსხვავდებიან ენები ერთმანეთისაგან როგორც სამყაროს განსხვავებული არეკვლის შედეგები. სამყაროს განსხვავებულ არეკვლას გულისხმობს ტერმინი „ველტბილდი“ (Weltbild). შეპირისპირებითი კვლევა მიმართულია იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ არის დანახული სამყარო ამა თუ იმ ენაში სხვა ენებისაგან განსხვავებით). **ენის რომელიმე ქვესისტემის დონეზე** (ერთმანეთს ვუპირისპირებთ მთლიანურ პარადიგმებს, რომელთა კვლევა გულისხმობს, თავისი პრინციპული პოსტულატის სახით, რომ შეუძლებელია ორი ენის შესაბამისი პარადიგმების სტრუქტურათა აბსოლუტური დამოხვევა. ეს პოსტულატი, თავის მხრივ, უყრდნობა უფრო ფართო მნიშვნელობის და უფრო ფუძემდებელ პოსტულატს: ყოველი ენა არის სამყაროს განუმეორებელი, თავისებური ფორმა (ხედვა, სურათი).

ამგვარად, სოსიურისეული ღირებულების ცნება ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ ორნაირად: მოცემული პარადიგმის ფარგლებში, ერთი მხრივ, და დავეუკავშიროთ იგი მყორე მხრივ ენას მის მთლიანობაში, - და დავეუკავშიროთ იგი

დიუკრენციალურობის პრინციპს. მაშინ, ისევე როგორც პარადიგმის წევრის მნიშვნელობა დაშოკიდებულია პარადიგმის წევრებზე, ის, რასაც წარმოადგენს ენა როგორც ფორმა, დაშოკიდებული ყოფილა სხვა ენებზე (ენათა პარადიგმა): ყოველი ენა არის სამყაროს თვალთახედვით ის, რაც არ არის სხვა ენები. ამდენად ენებს შორის მოქმედებს დიუკრენციალურობის ის პრინციპი, რომელიც მოქმედებს პარადიგმის წევრებს შორის.

ლექცია № 5

შევიყრდეთ ენობრივი პარადიგმის შინაგან ბუნებაზე.

რამდენადაც პარადიგმა შინაგანად სტრუქტურირებული ოდენობაა, უნდა დაისყას პარადიგმის ტიპოლოგიის საკითხი.

პირველ რიგში შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ღია და დახშული ტიპის პარადიგმები. თუ პარადიგმის წევრთა რიცხვი სასრულია, მაშინ პარადიგმა ეკუთვნის შინაგანად დახშულ ტიპს (ასეთია ყოველგვარი წმინდა გრაშატიკული პარადიგმა - ოგი მუდამ შეიცავს წევრთა ზუსტად განსაზღვრულ რაოდენობას). მაგრამ პარადიგმა შეიძლება იყოს ღიაც. არსებობს თუ არა ჭეშმარიტად ღია პარადიგმა, რომელიც შეიცავს წევრთა უსასრულო რაოდენობას? ეს კითხვა პასუხის გარეშე უნდა დარჩეს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ პარადიგმებზე, რომლებსაც სასრულობისა და უსასრულობის თვალსაზრისით ფარდობითი ხასიათი აქვთ. ასეთია გრაშატიკული პარადიგმებისაგან განსხვავებით ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმა (გრამატიკული პარადიგმა - ფორმალური სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება გრაშატიკულ კატეგორიას, ლექსიკურ-სემანტიკური პარადიგმა - იმ სიტყვათა ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ ერთსა და

იმავე ცნებას). ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას მუდამ აქვს ველის სტრუქტურა: მუდამ იქნება სიტყვა, რომელიც ამოსავალ ცნებას გამოხატავს შეტად თუ ნაკლებად ნათლად და ერთმნიშვნელოვნად (ველის ცენტრალური სიტყვა) და დანარჩენი ლექსიკები, რომლებიც ამ სიტყვის გარშემო მოთავსდებიან. ამ სტრუქტურაში მუდამ იქნება სიტყვა ან სიტყვები, რომლებზეც ძნელია ბოლომდე ითქვას, მიეკუთვნებიან ისინი ამ ველს თუ არა - ამდენად ლექსიკურ-სემანტიკური ველის საზღვარი მუდამ რამდენადმე ღიაა.

გავიხსენოთ, რომ ყოველგვარ პარადიგმას საფუძვლად უდევს ენობრივი ღირებულების ცნება (ანუ ჭეშმარიტად ენობრივი მნიშვნელობა). გავიხსენოთ აგრეთვე, რომ ყოველი ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია, და თუ რისი ფორმაა იგი - ამ კითხვაზე პასუხს ენერგეტული კონცეფცია იძლევა: „ენა არის სამყაროს ფორმა“. თუკი ენათა სიმრავლეს წარმოვიდგენთ როგორც პარადიგმას, მაშინ უნდა დაისვას კითხვა: როგორია ეს პარადიგმა - შინაგანად დახშული თუ ღია?, ენათა სიმრავლე სასრულია თუ უსასრულო? თუ ყოველი ენა სამყაროს სურათია (ენა - ფორმაა, სამყარო - სუბსტანცია), მაშინ ამ კითხვას უნდა მიეცეს პრინციპული მნიშვნელობა, იმიტომ რომ სამყაროს ენობრივი „გაფორმება“ (აღქმა) პრინციპულად წინ უსწრებს სამყაროს ყოველი სხვა სახის აღქმას (ლოგიკურს, მეცნიერულს, ესთეტიკურს, ყოველდღიურსაც კი). სამყაროს ყოველი ასეთი აღქმა (ინტერპრეტაცია) ეფუძნება ენობრივს, რომელიც ყველა მათგანს შესაძლოს ხდის. ამიტომ, თუ ენათა სიმრავლე პრინციპულად სასრულია, ე.ი. თუ მეტნაკლები სიზუსტით შეგვიძლია განვსაზღვროთ ენათა რაოდენობა, მაშინ ეს ნიშნავს სამყაროს აღქმისა და მისი ფორმად ქცევის შესაძლებლობათა პრინციპულ შეზღუდულობას. დავეშვათ, მაგალითად, რომ არსებობს ამდენი და ამდენი ენა. ჩვენ აღვწერეთ ეს ენები და საბოლოოდ ვიცით, რომ სამყაროს ასახვა შეიძლება ასე და ასე. მაგრამ თუ ენათა სიმრავლე შინაგანად უსასრულოა, ეს მეტყველებს სამყაროს აღქმათა

და ინტერპრეტაციათა პრინციპულ უსასრულობაზე მაშინაც კი, თუ ენებს ტიპების მისედვიო დავაჯგუფებთ.

ამის თქმა საქართა იმიტომ, რომ ენის თანაშედროვე კვლევა ფართოდ იყენებს ისეთ მეთოდებს, რომლები თავისი წარმოშობით და ბუნებით არალინგვისტურია. ესაა პირველ რიგში ლოგიკური მეთოდები. მაგრამ ყოველი მეთოდი გულისხმობს როგორც თავის წინაპირობას იმ საგნის არსისა და სტრუქტურის გაგებას, რომლის საკვლევადაც ეს მეთოდი გამოიყენება. როცა ჩვენ შევსებთ თანაშედროვე სინტაქსს, დავინახავთ, რომ თანაშედროვე ლოგიკის გარეშე შეუძლებელია თანაშედროვე სინტაქსის გაგება. თანაშედროვე ლოგიკა იკვლევს ენას არანაკლები ინტენსიურობით, ვიდრე თანაშედროვე ლინგვისტიკა. უფრო მეტიც - თანაშედროვე ლოგიკა თვლის, რომ მისი საგანი სწორედ ენაა. ამ შემთხვევაში აუცილებლად ისმის კითხვა, თუ ამ ორ მეცნიერებათაგან რომელს აქვს უნარი და უფლება ილაპარაკოს ენის ჭეშმარიტ სტრუქტურაზე. თუ ენათა სიმრავლე უსასრულოა, მაშინ მხოლოდ ლინგვისტიკას უნდა შეეძლოს ამ უსასრულობის ჭეშმარიტი გაგება და განმარტება.

ახლა კი დავუბრუნდეთ ენობრივი ნიშნის ცნებას.

დიფერენციალურობის პრინციპიდან გამომდინარეობს მკორე პრინციპი - ფუნქციური იდენტურობის პრინციპი. რაში მდგომარეობს იგი? თუ ნიშნები ურთიერთშიმართებაში განისაზღვრებიან მხოლოდ დიფერენციალურად, მაშინ ნიშანთა აღწერისას, მათი სისტემისა და ქვესისტემის დადგენისას განმსაზღვრელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა იმას, თუ რა მატერიალური სახითაა მოცემული ნიშანი მეტყველებაში, არამედ იმ მიმართებებს ნიშანთა შორის, რომელთაც დიფერენციალურს ვუწოდებთ, ანუ ნიშანთა შორის ოპოზიციას. ჩვენ ვიცით, რომ მრავლობითი რიცხვის სიგნალად გამოდის სსყადასხვა ბგერა (ანუ სხვადასხვა დაბოლოება). მაგრამ ამით მიმართება მხოლოდით და მრავლობით რიცხვის შორის არ იცვლება.

აპრიგად, ის ფაქტი, რომ თბოზიციაში „მხ.“- vs „მრ.“ შედის ორი წევრი და რომ ეს ორი წევრი ერთმანეთს უპირისპირდება, არ არის დამოკიდებული იმაზე, შეიცვლის თუ არა შეტყვევლებაში თბოზიცის რომელიმე წევრი მატერიალურ სახეს. მთავარია მიმართება, რომელიც იგივე რჩება. ე.ი. ენობრივი ნიშნის ფუნქცია დამოკიდებულია მის მიმართებაზე სხვა ნიშნებთან და რაკი ეს მიმართება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მატერიალური სახით გვხვდება ნიშანი შეტყვევლებაში, ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ **ფუნქციური იგივეობის** პრინციპზე. ასე, მაგალითად, ძრავლობითობის ნიშანი ქართულში არ არის არც „ებ“ და არც „ნ“ - მისი ნიშანია ის აბსტრაქტული ოდენობა, რომლის ორ ვარიანტსაც წარმოადგენს „ებ“ და „ნ“. ისინი ერთი და იმავე ნიშნის ორი ვარიანტია ამიტომ, რომ ისინი ერთნაირად უპირისპირდებიან მსოფლიოს. აპრიგად, ფუნქციური იგივეობის პრინციპიდან უშუალოდ გამომდინარეობს ვარიაციის პრინციპი: ყოველ ენობრივ ნიშანს ანუ ნიშანს ენობრივ სისტემაში, შეტყვევლებაში შეესაბამება ვარიანტები. ვარიაციის ამ პრინციპს აქვს გამჭოლავი მნიშვნელობა მთელი ენობრივი სინამდვილისათვის. ენის სისტემის რომელი დონეც არ უნდა ავიღოთ, ჩვენ დავინახავთ ფუნქციური იგივეობისა და ვარიაციის პრინციპთა ერთობლივ მოქმედებას. მაგალითად, ფონეტიკურ დონეზე ფონემა შეტყვევლებაში წარმოდგენილია ფონემათა ვარიანტებით, მორფოლოგიურ დონეზე მორფემა - მორფემათა ვარიანტებით (ალომორფებით); ზუსტად ასევე ყოველი ლექსემა როგორც ენობრივი ნიშანი შეტყვევლებაში წარმოდგენილია ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტებით.

სწორედ ფუნქციური იგივეობისა და ვარიანტულობის პრინციპების ერთობლივი მოქმედების საფუძველზე თანამედროვე ლინგვისტიკა ცდილობს ყოველი ენობრივი ნიშანი გაიაზროს და წარმოადგინოს არსებობისა და ფუნქციონირების ორ დონეზე:

პირველი უშუალო დაკვირვების (გამოცდილების) დონე ანუ ემპირიული დონე, ხოლო მეორეა განზოგადების, თეორიული კონსტრუქციის დონე. ამ მეორე დონის თიოქოს და სიმბოლოდ იქცა ენობრივ ეროვეულთა დასახელებაში სუფიქსი „ემ“ (ლექსემა, ფონემა ...), მას „ემურ“ დონესაც უწოდებენ. თუ კი ჩვენ ავიღებთ რომელიმე ფონემას (ვთქვათ, „ბ“-ს), იგი ბგერით ნაკადში პოზიციის მისუდვით სხვადასხვა სახით გვხვდება (ემპირიული დონე). მაგრამ სხვადასხვა ენაში ამ ემპირიულ „ბ“-ს შეესაბამება ერთი „ბ“. ყველა ცალკეული ემპირიულად განსხვავებული ბგერა „ბ“ არსებობს ამ ერთი აბსტრაქტული „ბ“-ს საფუძველზე. ამრიგად, კვლევის პერსპექტივის თვალსაზრისით პირველადია ემპირიული დონე, ხოლო ენის თვალსაზრისით პირველადია მეორე დონე. ენობრივ ნიშანთა თეორიულ-კონსტრუქციული დონე („ემური“ დონე) ეკუთვნის ენას, ხოლო ემპირიული დონე („ეტური“ დონე) - მეტყველებას.

ლექცია № 6 ენობრივი ნიშნის ფუნქციონირების პრინციპები

სოსიურისეული კონცეფციის მესამე ცნებაა სოსიურისეული დიქოტომიათა სისტემა („დიქოტომია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ორად გაყოფას“), ლაპარაკია იმ სინამდვილის ორად გაყოფაზე, შინაგან პოლარისაციაზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ენობრივი სინამდვილე ამ სიტყვის ფართო გაგებით და რომელსაც სოსიური უწოდებს "langage"-ს.

ეს დიქოტომიებია: 1. ენისა და მეტყველების დიქოტომია; 2. სინქრონიისა და დიაქრონიის დიქოტომია; 3. შინაგანი და გარეგანი ლინგვისტიკის დიქოტომია. ამ დიქოტომიათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე. მისი ფორმულარებისას სოსიური ეროდროულად ორ მონაცემს

ეყრდნობა. ეს მონაცემები მისთვის ამოსაყალი იყო თვით ენობრივი ნიშნის ცნების ფორმულარებისას. პირველი მონაცემია ენობრივი კოლექტივის წევრთა ცნობიერება. ენობრივ ფაქტს ანუ იმ ფაქტს, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ენობრივი სისტემის კომპონენტი, მხოლოდ მაშინ აქვს ენობრივი რეალობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს იგი ასეთ ფაქტად, როდესაც იგი ასეთად აღიქმება ენობრივი კოლექტივის წევრთა ცნობიერებით. ამდენად ენას როგორც სისტემას ეკუთვნის მხოლოდ ის, რაც მას ეკუთვნის არა მკვლევარის, არამედ ამ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტის თვალსაზრისით. მაგრამ მეტყველი სუბიექტისათვის არსებობს ენობრივ ფაქტთა ურთიერთმიმართება არა ვერტიკალურ-დროულ ჭრილში, არამედ მხოლოდ ჰორიზონტალურ-დროულ ჭრილში: ე.ი. მეტყველი სუბიექტისათვის რეალურია არა ენობრივ ფაქტთა თანმიმდევრობა დროში, არამედ მათი თანაარსებობა. ენობრივი ცნობიერებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა წარმოშობისაა ენობრივი ფაქტი. და რაკი რეალური ენობრივი ცნობიერებისათვის რეალურია მხოლოდ ენობრივ ფაქტთა თანაარსებობა, რომელიც მთლიანად ამოღებულია დროის მსვლელობიდან, ამიტომ ენათმეცნიერებისათვის ჭკუშარიტ ენობრივ სინამდვილეს უნდა შეადგენდეს ენობრივ ფაქტთა თანაარსებობა. ამრიგად სინქრონიისა და დიაქრონიის გამიჯვნისას პირველი განმსაზღვრელი ფაქტორია რეალური ენობრივი ცნობიერების კრიტერიუმი: ენობრივი ცნობიერებისათვის არსებობს მხოლოდ სინქრონია - ის, რაც ამოღებულია დროის მსვლელობიდან ანუ ისეთი ჰორიზონტალური ჭრილი, რომელსაც დროის დინამიკა არა აქვს. ამიტომ ენათმეცნიერისათვისაც სინქრონია უნდა იყოს უპირველესი საგანი (ობიექტი).

სინქრონიისათვის პრიმატის მინიჭების მეორე კრიტერიუმიცაა სისტემურობის კრიტერიუმი. ის სისტემურობა, რომელსაც საფუძვლად უდევს დიფერენციალურობის პრინციპი, ჩვენ გვაქვს მხოლოდ სინქრონიაში. სოსიურის

აზროთ, დროის ვერტიკალურ ქრილში (დიაქრონიაში) ჩვენ ვსჯდავთ მხოლოდ იზოლაციურ ფაქტებს, სისტემას კი ვსჯდავთ მხოლოდ სინქრონიაში.

სინქრონიისა და დიაქრონიის გამიჯვნის მთავარი შედეგი იყო ის, რომ ენათმეცნიერების საგნად შინაურულ იქნა ენობრივი სისტემა, როგორც სტატიკური, ყოველგვარ დინამიურობას მოკლებული სისტემა. ამრიგად, ამ დიქოტომიის მიხედვით მოძრაობა, დინამიკა გვაქვს მხოლოდ დიაქრონიაში, სინქრონიაში კი მხოლოდ სტატიკა. ენათმეცნიერების საგანი უნდა იყოს ენა, როგორც სტატიკური, ყოველგვარ დინამიკას მოკლებული სისტემა.

ახლა შეგვიძლია დავაზუსტოთ ენის სოსიურისეული განსაზღვრა: ენა არის ისეთი სისტემა, რომელიც მთლიანად „ამოვარდნილია“ დროული დინამიზმიდან და რომელიც მთლიანად სტატიკურია.

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების განვითარების ერთ-ერთ მაშობრავებელ ძალად იქცა სინქრონიის შინაგანი ბუნების შემდგომი გააზრება.

სოსიურის თეზისი, რომ ენათმეცნიერების საგანს უნდა შეადგენდეს სინქრონია, არასოდეს ყოფილა უარყოფილი. დაისვა ახალი კითხვა: ნიშნავს თუ არა ენობრივ ფაქტთა თანაარსებობა როგორც სისტემა სტატიკურობას და არა დინამიურობას? ამ კითხვაზე თანამედროვე ენათმეცნიერებამ გასცა ორი პრინციპულად განსხვავებული პასუხი. უკვე ამ ორი პასუხის განსხვავება მიუთითებს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების შინაგან დინამიზმზე. პირველი პასუხი ნიშნავს სოსიურისეული დიქოტომიის შენარჩუნებას იმ სახით, რომლითაც იგი ფორმულირებულია სოსიურის მიერ, და ამის შესაბამისად ენობრივი სისტემის ისეთი მოდელის აგებას, რომელიც არ გულისხმობს ენაში როგორც სისტემაში მოძრაობის რაიმე მომენტს როგორც არსებით ნიშანს. ამ შემთხვევაში ლინგვისტიკა იღებს სოსიურისაგან ორ თეზისს: რომ ენათმეცნიერების საგანია სინქრონია და რომ სინქრონია – ასეა ენაში მოძრაობის არარსებობა, ენობრივი სტატიკა.

სოსიურის ასეთი ორთოდოქსალურად (თანაბმდევერულად) გაგების საფუძველზე თანამედროვე ენათმეცნიერებამ ააგო ენის სტრატეგიკაციული მოდელი - ისეთი მოდელი, რომელიც ენას სახავს როგორც იერარქიულად დაკავშირებულ დონეთა სისტემას. იგი ლამობს ასახოს ენობრივი სისტემა მთლიანობაში და ამისათვის მას არ სჭირდება ენობრივი დინამიზმი როგორც არსებითი ნიშანი.

სტრატეგიკაციური მოდელის ასაგებად ჩვენ არ გვჭირდება დინამიზმის მომენტი ენის სისტემაში. ამით ეს მოდელი გაშუალებულიად უარყოფს ენის დინამიზმის მომენტს. სტრატეგიკაციულ მოდელს სწორედ ამ თვალსაზრისით დაუპირისპირდა ენის მერე მოდელი - ენის ე.წ. გენერაციული მოდელი (წარმოშობი გრაჩატიკა). რას ნიშნავს ამ ორი მოდელის ურთიერთდაპირისპირება? ენის გენერაციული მოდელის შექმნა ნიშნავდა სინქრონიის დინამიზაციას, ნიშნავდა მტკიცებას, რომ თუ ენა როგორც სისტემა მოცემულია ისტორიული დროის გარეშე, ეს არ ნიშნავს, რომ იგი არის სტატიკური სისტემა - ისტორიული დროის გარეშე მოცემულობა არამტყუ არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კიდევ, რომ ენობრივ სისტემას აქვს თავისი შინაგანი, უკვე არა ისტორიული, არამედ ე.წ. **ოპერაციული დრო**. თუ დიაქრონიული თვალსაზრისით ენა მოცემულია ისტორიულ დროში, ოპერაციული დრო კი თვით ენაშია მოცემული - მას ენა საჭიროებს იმისათვის, რომ იარსებოს. გენერაციული მოდელის თვალსაზრისით, ენა არის ტრანსფორმაციათა (გარდაქმნათა) სისტემა. მაშინ ენა უკვე ვერ იქნება სტატიკური სისტემა. (ლაპარაკის ისეთ გარდაქმნებზე, რომლებიც ხდება არა დიაქრონიაში, არამედ სინქრონიაში). მაგრამ ყოველი გარდაქმნა უკვე მოძრაობაა, ხოლო მოძრაობა მუდამ გულისხმობს დროს. მაგრამ ეს ის დროა, რომელსაც ენა თითქოს შინაგანად თავის თავში ატარებს (შიდაენობრივი დრო). ტრანსფორმაცია - ეს არის მოქმედება, რომელსაც მეტყველი სუბიექტი ასრულებს, ამიტომაც ვლაპარაკობთ ოპერაციულ დროსზე.

ამრიგად: თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების განვითარების თითქმის ყოველ ეტაპზე ნიშნავს ენის სოსიურისეული კონცეფციის როგორც შენარჩუნებას, ისე გარდაქმნას: ენის ტრანსფორმაციული მოდელი ნიშნავდა სინქრონიისა და დიაქრონიის გამიჯვნის შენარჩუნებას და იმ თეზისის შენარჩუნებასაც, რომ ენათმეცნიერების საგანი უნდა იყოს სინქრონია, მაგრამ ამავე დროს ნიშნავდა სინქრონიის ცნების გადააზრებას, მის დინამიზაციას.

ლექცია № 7

ყოველი მეცნიერული დისციპლინის გადმოცემა გულისხმობს სისტემური და ისტორიული მომენტების როგორც შესაძლო დაპირისპირებას, ისე შერწყმას. ჩვენ კურსის აგების ამოსავალ სტიმულადაც მუდამ ეს ორი მომენტი გვექნება: შევეცდებით ავაგოთ ენათმეცნიერების სისტემური კურსი და ამავე დროს დაგინახოთ თანამედროვე ენათმეცნიერება განვითარება-გაშლაში. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სისტემატურობის პრიმატს, მაგრამ თვით ამ სისტემატურობის წიაღში უნდა გვექონდეს ისტორიული მომენტი.

დღეს შეგჩერდებით ორ მომენტზე. ორივე ეს მომენტი დაკავშირებულია ენის სოსიურისეული კონცეფციის გარდაქმნასთან, რომელმაც ბოლო ანგარიშში მოგვცა „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“.

ენის სემიოტიკური კონცეფცია კონცენტრირებულია ორ ამოცანაზე, რომელთა გადაჭრა ნიშნავს ამ კონცეფციის მეტ-ნაკლები სიზუსტით აგებას: პირველია ნიშნის წარმოდგენა, ხოლო მეორე - ნიშანთა სისტემის წარმოდგენა. ერთია წარმოვადგინოთ ცალკეული ნიშანი, მეორეა წარმოვადგინოთ ნიშანთა სისტემა. ორივე შემთხვევაში ვლამბარაკობთ წარმოდგენაზე. ვისარგებლოთ ამით და შემოვიტანოთ მოდელის ცნება.

თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებას შეუძლია მოახდინოს თავისი საგნის გააზრება საში ფორმით:

1. დასვას კითხვა, თუ რა არის მისი საგნის არსი; არსის პრობლემა კი - იქნება ეს შიველი სამყაროსა თუ ცალკეული ფუნქციონის არსი - უკვე ფილოსოფიური საკითხია. ამდენად საკითხი ენის არსის შესახებ უფრო ფილოსოფიური საკითხია, ვიდრე ლინგვისტიკური. თუ რამდენად მონიდომებს ლინგვისტიკა, რომ მიუახლოვდეს ფილოსოფიას, - ამ საკითხზე პასუხის გაცემა დამოკიდებულია ცალკეული ლინგვისტიკების ზოგად მეთოდოლოგიურ პოზიციაზე;

2. საგნის გააზრება შეიძლება არ გულისხმობდეს გააზრებას აზრის დონეზე, მაგრამ გულისხმობდეს საკვლევი საგნის ცნების გამომუშავებას. მაგალითად, ენა არის ნიშანთა სისტემა - ეს უკვე ცნებაა; ცნება ამ შემთხვევაში არ მოიცავს არსს, მაგრამ იაზრებს საგანს არსის დონეზე;

3. გადაიყვანოს საგნის ცნება თვალსაჩინო (ხილულ) ფორმაში. რაც უფრო რთულია საგანი, მით უფრო აუცილებელი ხდება საგნის შესახებ არა მარტო ცნების ქონება, არამედ საგნის წარმოდგენა მის ადნაგობაში ბევრად თუ ნაკლებად ნათლად: უნდა გვექონდეს არა მარტო საგნის კონცეპტი, არამედ მისი მოდელიც.

თანამედროვე ლინგვისტიკის წინაშე თავიდანვე იდგა პრობლემა იმისა, რომ გვექონოდა ნიშნის მოდელი (ნიშნის ცნების გადაყვანა ნიშნის სტრუქტურაზე ჩვენს აზროვნებაში) და ამავე დროს გვექონოდა ისეთი მოდელი, რომელიც შინაგან კავშირში იქნებოდა ნიშნის ცნებასთან. თუ ენის სემიოტიკური კონცეფცია მაგისტრალური კონცეფციაა, ამ კონცეფციის შინაგანი დინამიკა ნიშნავდა სწორედ ნიშნისა და ენობრივი სისტემის მოდელირების დინამიკას. შეიძლება თუ არა ჩვენ თავიდანვე გამოვეყოთ ამ დინამიკის შინაგანი მოტივი, მაშინპირველები ძალა. ამასთან გამოვეყოთ ისე, რომ ცხადი გახდეს ის გზა, რომელიც ლინგვისტიკურმა აზროვნებამ გაიარა სოსიურიდან მოყოლებული და რატომ მიიღო მან კომპნიკაციური ლინგვისტიკის სახე?

გაგისხსენოთ სიტყვები, რითაც მთავრდება სოსიურის „კურსი“: „ენათმეცნიერების საგანს წარმოადგენს ენა, განხილული საკუთარ თავში "в себе и для себя", „საკუთარ თავში“ - ნიშნავს იზოლირებას გარე სამყაროსგან.

სტრუქტურის ცნებას აქვს ორი გაგება: შინაგანი სტრუქტურა და გარეგანი სტრუქტურა. როდესაც ვაძბობთ, რომ „ენა არის რელაციათა სისტემა, წმინდა ფორმა“, კვლისხმობთ შიდა სტრუქტურას. სოსიურის „თავის თავში“ ნიშნავს ისეთ იზოლირებას გარე სამყაროდან, როცა ყურადღება უნდა შევანეროთ შიდა სტრუქტურაზე. როდესაც ვახდენთ საკვლევი საგნის იზოლირებას გარე სამყაროსგან, როდესაც ყურადღებას შიდა სტრუქტურაზე ვაფიქსირებთ, ასეთ პრინციპს ეწოდება იმანენტიაზმის პრინციპი (ლათ.: immanao, „ვრჩება შიგ“). იმანენტური მიდგომა ძალიან ძლიერი იყო XX საუკუნის პუბლიცისტურულ სფეროში საერთოდ.

იმანენტიზმს არაიმანენტიზმი უპირისპირდება. საკუთრივ ენათმეცნიერებაში იმანენტიზმის პრინციპს (უშუალოდ სოსიურის კონცეფციის გაძოქნას) მოჰყვა პრაღის ლინგვისტური სკოლის გამოჩენა: როდესაც ლაპარაკია ენაზე როგორც კვლევის საგანზე, იმანენტიზმს უპირისპირდება ფუნქციონალიზმი.

არსებობს ტერმინ „ფუნქციის“ ორი გაგება:

1) მათემატიკური გაგება - ერთი ოდენობა არის მეორის ფუნქცია:

2) ფუნქცია როგორც დანიშნულება (მომდინარეობს ბიოლოგიიდან).

დაფუპირისპიროთ იმანენტიზმს ფუნქციონალიზმი ნიშნავს: არა მარტო აღეწეროთ ნიშანი ან ენა როგორც ნიშანთა სისტემა, არამედ გავიგოთ როგორც ნიშანი, ასევე მთლიანად ენა გამომდინარე იმ დანიშნულებიდან, რომლისთვისაც არსებობს ნიშანი და ენობრივი სისტემა მთლიანობაში. ლაპარაკია არა იმაზე, რომ ორ ეტაპად დაყვით კვლევა: ჯერ აღეწეროთ ნიშანი, მერე დაავსათ კითხვა, თუ რა ფუნქციას ასრულებს იგი. ლაპარაკია იმაზე,

რომ თვით ნიშნის, (ან მთლიანობაში ენის) კვლევისას, მის გააზრებისას ან მოძღვლორებისას ჩვენ თავიდანვე აშოვიდეთ დანიშნულებიდან ანუ ფუნქციიდან. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა უკვე ნიშნავს იმანენტიზმის მოხსნას, - არა შიდა სტრუქტურის უგულვებლყოფას, არამედ მის დაქვემდებარებას გარე სტრუქტურისადმი. ამას გულმხმობის ფუნქციონალიზმი როგორც იმანენტიზმის საპირისპირო პოზიცია. მაგრამ როგორ გავიგოთ ნიშნის ან ნიშანთა სისტემის ფუნქცია? ამ კითხვაზე თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება სამ პასუხს იძლევა:

1) სემიოტიკური კონცეფცია:

ნიშნის სოსიურისეული გაგება თავის თავში გულმხმობდა, რომ სემიოტიკური კონცეფციისათვის ენის როგორც სისტემის ფუნქციას წარმოადგენს კომუნიკაციის ფუნქცია.

2) უნდა შევჩერდეთ კომუნიკაციის ცნებაზე.

თუ სოსიურის ნიშნის გაგება გულმხმობდა, რომ ენის დანიშნულება არის კომუნიკაციის ფუნქცია, კომუნიკაციის გაგება, რომელიც იმპლიციტურად ჩართულია სოსიურის კურსში, განსხვავდება იმ გაგებისაგან, რომელიც აქვს კომუნიკაციას ენის როგორც კოდის გაგებისას. - აქ იგი მომდინარეობს ტექნიკიდან. რა განსხვავებაა კომუნიკაციის „პუშანიტარული“ და „არაპუშანიტარული“ გაგების შორის?

შედარებისათვის ავიღოთ ნიშნის სოსიურისეული გაგება და ნიშნის ისეთი „ვარიანტი“, როგორიცაა შუქნიშანი. ავიღოთ ქართული ენის ერთ-ერთი სიტყვა (მაგ. „შაგიდა“), რომელსაც აქვს ნიშნის ყველა თვისება, და ავიღოთ შუქნიშანი (აქაც არის ფიზიკური კომპლექსი, დაკავშირებული ციზუალურ ხატთან). განსხვავება: პირველი ჩართულია ჩვენ ფსიქიკაში როგორც აკუსტიკური ხატის, ისე სიგნიფიკატის დონეზე. ჩვენ რომ აკუსტიკური ხატი შევცვალოთ, ეს გამოიწვევს ცვლილებებს შესაბამის ველში. შენიშვნის შემოსევაში არბიტრარურობა არ ნიშნავს ასეთ აუცილებლობას: ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ როგორც

ვიზუალური ხატი, ისე ის, რაზეც იგი მიუთითებს. „მაგიდა“ ჩვენი ეროვნული არსის კომპონენტია. იგი ჩვენშია. შუქნიშანში ერი როგორც სუბიექტი არ არის ჩართული.

ნიშნის სოსიურისეული კონცეფცია მოდიოდა ნიშნის ისეთი გაგებიდან, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობდა, თუმცა არაექსპლიციტურად, კომუნიკაციის ცნების ჰუმანიტარულ გაგებას - ისეთ გაგებას, როცა როგორც ნიშნის ცნება, ისე თვით კომუნიკაციის ცნება გულისხმობს, ერთი მხრივ, ნიშნის ჩართულობას სუბიექტის შინაგან სტრუქტურაში, ხოლო მეორე მხრივ - კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს თვით სუბიექტის ჩართვას ამ პროცესში, ჩართვას მთელი თავისი სუბიექტური შინაარსით. „არაჰუმანიტარულ“ გაგებაში არა გვაქვს არც ერთი ეს ნიშანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ გაგებას არაფითარი გაგლება არ მოუსდენია ჰუმანიტარულ-სემიოტიკურ გაგებაზე, თავისი სისრულით კომუნიკაციური აქტის (კომუნიკაციური სიტუაციის) მთელი წამოაყენა სწორედ არაჰუმანიტარულმა კონცეფციამ (ამ აგებით ნებისმიერი ფიზიკური კომპლექსი შეიძლება დაფუკავშიროთ ნებისმიერ შინაარსს). მთელი ის ცნებები, რომლებიც შედის კომუნიკაციურ სიტუაციაში (კავშირის არხი, ადრესანტი, ადრესატი...) - მთელი ეს ცნებები აღებულია არაჰუმანიტარული კონცეფციიდან. კომუნიკაციური ღინგვისტიკა ღრმად გარდაქმნის მათ - იმანენტისშეს უბირისპირდება ფუნქციონალიზში.

3) ფუნქციის როგორც კომუნიკაციის ჰუმანიტარული და არაჰუმანიტარული გაგების გარდა არსებობს ფუნქციის მესამე გაგებაც, რომელიც უკავშირდება ენერგეტულ კონცეფციას. ამ კონცეფციისათვის ძირითადი ცნებაა ენერგეია (ბერძ. „მოქმედება, ძალა“). ენის როგორც მოქმედი ძალის გაგება არ არის იმანენტური გაგება. ენა თავიდანვე უკავშირდება საშყაროს - როგორც ადამიანურს, ისე უფრო ფართოდ გაგებულს. ამდენად იგი ფუნქციონალური კონცეფციაა - ენის ფუნქცია ამ კონცეფციაში არ არის გაგებული როგორც კომუნიკაციური ფუნქცია. ეს ფუნქცია

უარყოფილი არ არის - ჰუმბოლდტს ესმოდა, რომ ურთიერთობა მყარდება ენის საშუალებით. მაგრამ ოგი მისთვის მეორადი იყო. ენერგეტიკული კონცეფციისათვის ენის დანიშნულებაა იყოს ადამიანისა და სამყაროს დამაკავშირებელი ელემენტი (ელემენტი როგორც საწყისი, მნიშვნელოვანი კომპონენტი). ენა რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ვერ იქნებოდა სამყაროში, სამყარო კი ადამიანში. არის ადამიანი, არის სამყარო და არის „შუასამყარო“ - ენა არის ადამიანისა და სამყაროს სინთეზი.

ლექცია № 8

მოდელირებას ლინგვისტიკაში აქვს ორი ასპექტი: ნიშნის მოდელირება და ენობრივი სინამდვილის მოდელირება მის მთლიანობაში. ჩვენი მიზანია დავინახოთ ფუნქციური მიდგომის დინამიკა ამ ორი მოდელის საფუძველზე.

ფუნქციური მიდგომა ნიშნავს, რომ შიდა სტრუქტურა დაფუძვნიებულია გარე სტრუქტურას. მაგრამ რა უნდა ჩაითვალოს გარე სტრუქტურად, როცა ჩვენ ვიკვლევთ ენას? უნდა ითქვას, რომ თვით შიდა და გარესტრუქტურის განსხვავება ფარდობითი ხასიათისაა. როცა სოსიურმა შექოიტიანა ღირებულების ცნება და სიგნიფიკატი გაიგო როგორც ღირებულება, მან განახორციელა იმანენტური მიდგომა. მაგრამ უკვე აქ ჩანს შიდა და გარე სტრუქტურის გამიჯვნის ფარდობითობა. ღირებულების და მნიშვნელობის დაპირისპირება ნიშნავს არა მარტო განსხვავებას მათ შორის, არამედ კავშირსაც - ღირებულება ვერ იარსებებს მნიშვნელობის გარეშე. ამრიგად, მათ შორის არ არის სიმეტრია, მაგრამ გარკვეული კავშირი მაინც იგულისხმება. ფუნქციური მიდგომა ნიშნავს სწორედ მნიშვნელობის ასეთ ორ სახეობას შორის ნაგულისხმევი კავშირის ცხადად ქმნას.

თუკი ჩვენ შევაჩერებთ ყურადღებას ცალკეულ ნიშანზე და თუ დავრჩებით ენისადმი იმანენტური მიდგომის

ფარგლებში (ფუნქციური მიდგომა იწყება თვით იმპანტური მიდგომის ფარგლებში) ჩვენ შეიძლება არ დაუსვათ კითხვა, თუ რა დანიშნულებას ასრულებს ენა მთლიანობაში გარე სამყაროს ათვისების, ასახვის ან კომუნიკაციური აქტის რეალიზაციის თვალსაზრისით. ეს კითხვა უკვე ფუნქციური მიდგომა იქნებოდა. მაგრამ ჩვენ დავსვათ კითხვას, თუ როგორია ცალკეული ენობრივი ნიშნის დანიშნულება თვით ენის სისტემაში.

ენის სისტემაში გვაქვს ორი სახის მიმართებები - პარადიგმატული და სინტაგმატური. როგორია ცალკეული ენობრივი ნიშნის ფუნქცია პარადიგმატული მიმართების თვალსაზრისით? ყოველი ნიშანი არის რომელიმე პარადიგმის წევრი და მისი დანიშნულება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ შეასრულოს გარკვეული როლი ამ პარადიგმის დასტრუქტურირებაში: მაგალითად, პარადიგმატულ პლანში გრაძატიკული შორფემის ფუნქციაა შექმნას პარადიგმა რომელიმე სიტყვათფორმის ფარგლებში. ავიღოთ არტიკლი. მისი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის პარადიგმა.

ამრიგად: ყოველი ენობრივი ნიშნის ფუნქცია პარადიგმატულ პლანში მდგომარეობს იმაში, რომ პარადიგმის სხვა წევრებთან ერთად შექმნას პარადიგმის სტრუქტურა ამ წევრებთან ოპოზიციური მიმართებების დამყარების საფუძველზე. მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე სინტაგმატური მიმართებები. სწორედ სინტაგმატიკის არსებობა განაპირობებს იმას, რომ ენაში გვაქვს არა მარტო ნიშანთა თანაარსებობა, არამედ ნიშანთა იერარქია. იმისათვის, რომ გვექნდეს სინტაგმატური ოპოზიცია, ნიშანი უნდა მოექცეს არა პარადიგმაში, არამედ სინტაგმაში. განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლები ცალკე ადებულები ქმნიან პარადიგმას, არტიკლი+არსებითი სახელი კი უკვე სინტაგმაა. რაკი სინტაგმატური ოპოზიცია შეუძლებელია იმის გარეშე, რომ ნიშანი მოექცეს რომელიმე სინტაგმის ფარგლებში და რადგანაც სინტაგმა მუდამ

აღუმატება თაყის წევრებს და რადგანაც სინტაგმატიკა - ეს არის ენა მის ქვეშარიტ სინაპდვილეში, ამდენად რეალურია ნიშანთა შორის იერარქიული მძაროებები. ამიტომ აუცილებელი ხდება ენის ე.წ. დონეებრივი ანუ სტრატოფიკაციული შოდელის აგება. რა მძაროებაა ენის ამ დონეებრივ შოდელსა და ნიშნის ამოსაყალ (ასპექტოვან) შოდელს შორის? ეს იმ მძაროებაა, რომ ენის ამოსაყალი შოდელი საკმარისია ენის დონეებრივი შოდელის ასაგებად. ანუ: თუკი ჩვენ ნიშანში ვიგულისხმებთ მხოლოდ ორ განზომილებას, მაგრამ გავითვალისწინებთ სინტაგმატიკის პლანს, მაშინ აუცილებელი იქნება ენის წარშოდგენა როგორც დონეოთა სისტემისა. იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს ენის სტრუქტურა ანუ ის სინტაგმა, რომლის წევრიც ის უნდა გახდეს. რა არის ნიშნის ფუნქცია სინტაგმატიკის თვალსაზრისით? ყოველი ნიშნის დანიშნულებაა იყოს უფრო მაღალი დონის ნიშნობრივი ერთეულის კომპონენტი ანუ მისი ინტეგრანტი. თუ ჩვენ გავამარტივებთ აღქმის ვითარებას, მაშინ ფონემის ფუნქციაა იყოს შორეემის ინტეგრანტი, შორეემისა - იყოს სიტყვის ინტეგრანტი, სიტყვისა - იყოს წინადადების ინტეგრანტი, და ა.შ. ამ შექმნვევაში ენის შოლიანურ შოდელს ჩვენ გაყიგებთ ნიშნის ამოსაყალ (ორგანზომილებიან) შოდელზე დაყრდნობით და სინტაგმატიკის გათვალისწინებით. და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ნიშნის ფუნქციანეამ ფუნქციას განყმარტავთ იმ სინტაგმის საფუძველზე, რომელიც წარშოდგვიდება მის გარესტრუქტურად. მაგრამ თვით ასეოი (ანუ იმანენტური) შიდგომის წიაღში ჩნდება იმის მტკიცების საფუძველი, რომ შეუქლებელია ფუნქციური შიდგომის თანამიშდევრული განშორციელება იმანენტური შიდგომის ფარგლებში.

ენის დონეებრივი შოდელი განხილულია ბენყენსტის სტატიასში „Уровни лингвистического анализа“ Новое в л-ке, В. 4“. მასში კონცენტრირებული სახით გადშოცმულია ენის დონეებრივი შოდელი. აყტორისოყის ფონემა ჯერ არ არის ნიშანი. ნიშანია უკვე შორეემა, სიტყვა. წინადადება კი

უკვე აღარ არის ნიშანი - იგი არის არა ნიშანი, არამედ „ენის სიცოცხლე მის რეალობაში“. ამრიგად გამოდის, რომ ენა არის ნიშანთა სისტემა, ყოველი ნიშანი არის უფრო მაღალი დონის ინტეგრანტი, მაგრამ სწორედ ის ერთეული, რომელშიც ენა განხორციელებულია თავისი ქეშმარიტი რეალობით, უკვე აღარ არის ნიშანი. აქ ჩანს, რომ ნიშნის ამოსავალი მოდელი (თუ ჩვენ დავეყრდნობით ამ მოდელს) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აღვიქვათ და გავიგოთ ლინგვისტური თეორიის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეული - წინადადება. სწორედ იმისათვის, რომ ნიშნის ცნებამ შესძლოს მთლიანად დაფაროს ენობრივი სინამდვილე, საჭირო ხდება გავითვალისწინოთ უკვე არა მარტო ცალკეული ნიშნის გარე სტრუქტურა, არამედ მთლიანად ენობრივი სისტემის გარე სტრუქტურა. მაგრამ როგორია ენის ფუნქცია მთლიანობაში? როგორია ის სინამდვილე, რომელთანაც ფუნქციურად დაკავშირებულია ენა მთლიანად? ეს სინამდვილე ძირითადად მოცემულია ორი სახით (განზომილებით): გარე სამყაროს ანუ სამყაროს (ობიექტური სინამდვილის) სახით და საკომუნიკაციო აქტის სახით. ნიშნის მოდელის პირველი გაფართოება - დანეწვა უკავშირდება სწორედ ექსტალინგვისტური სინამდვილის გათვალისწინებას. მაგრამ თითქმის იმავე დროს ჩნდება, ხოლო შემდგომში იშლება და ვითარდება ტენდენცია იმისა, რომ განვიხილოთ ენა უკვე საკომუნიკაციო აქტთან მიმართებაში. პირველ შემთხვევაში ისმის კითხვა, როგორ აისახება ენაში ექსტრალინგვისტური სინამდვილე, ხოლო მეორეში - როგორ აისახება ენაში საკომუნიკაციო აქტი. ეს ორი გზა თავიდანვე დაუკავშირდა ერთმანეთს, თუმცა დასაწყისში აქცენტი იყო პირველ მომენტზე, ხოლო შემდეგ ეს აქცენტი გადატანილ იქნა მეორეზე.

ამრიგად ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ფუნქციური მიდგომის შემდეგი ლოგიკური ეტაპები:

1) როცა ჩვენ იგი გვაქვს უკვე იმპანენტური მიდგომის ფარგლებში და ფუნქციური მიდგომის საფუძველზე აგებული დონეებრივი მოდელი;


2) როცა ისმის ენაში კითხვა ექსტრალინგვისტური სინამდვილის ასახვის შესახებ;

3) როცა ისმის კითხვა, თუ როგორ აისახება ენის სტრუქტურაში საკომუნიკაციო აქტი.

ეს საში ეტაპი სინამდვილეშიც განხორციელდა, მაგრამ არა ასეთი ლოგიკური თანამიმდევრობით: სინამდვილეში გვექონდა ამ ეტაპთა აქცენტრება. რა შედეგი გაპოილო ფუნქციური მიდგომის ასეთმა გაშლამ ერთი მხრივ ნიშნის მოდელის სტრუქტურისათვის, ხოლო მეორე მხრივ - ენის მთლიანური მოდელის სტრუქტურისათვის? თუ ჩვენ ამოვალთ ფუნქციური მიდგომის სამეტაპობრივი სქეშიდან, უნდა ითქვას, რომ ენობრივი ნიშნის მოდელის სახეცვლილება (გაშლა, დახვეწა) დაკავშირებული იყო ფუნქციური მიდგომის მეორე ეტაპთან. ეს პირველი სახეცვლილება ნიშნავდა, რომ ამოსავალი ორგანოზომილებიანი მოდელი გარდაიქმნა სამკუთხედით წარმოდგენილ მოდელად: თუ ნიშნის ამოსავალ მოდელში აკუსტიკური ხატი უკავშირდებოდა მხოლოდ ასოციაციურ ხატს, რომელსაც სოსიური წარმოდგენას უწოდებდა და რომელსაც ექონდა სოციალურ-ფსიქიური ხასიათი, ნიშნის ამ სამკუთხედოვან მოდელში ბგერითი კომპლექსი დაუკავშირდა არა მარტო წარმოდგენას ან ცნებას, არამედ ექსტრალინგვისტური სინამდვილის იმ ფაქტსაც, რომელიც შეესაბამებოდა ამ სოციალურ-ფსიქიურ ფაქტს. იმისათვის, რომ გვექონოდა ამოსავალი მოდელი, საკმარისი იყო სწორი ხაზი: აღმნიშვნელი/აღსანიშნი. ტრანსფორმირებული მოდელისათვის კი აუცილებელია უკვე სამკუთხედი.

ავილოთ, მაგ., ნიშანი „მაგიდა“. თუ ამოსავალ მოდელში გვექონდა ხატი „მაგიდა“ და იგი შეესაბამებოდა ქართულ წარმოდგენას, ტრანსფორმირებული მოდელის მიხედვით გვაქვს შემდეგი სურათი:

ობიექტი „მაგიდა“
 მაგიდასა მოკლი
 კლასი
 დენოტატი
 (რეფერენტი)
 მაგიდა



მაგიდის კონცეპტი
 ე.ა. სიგნიფიკატი

„მაგიდა“ როგორც ბეკრაოთა კომპლექსი

ნიშნის მოდელის შემდგომი გაშლა უკვე ხდება სამკუთხედოვანი მოდელის საფუძველზე. უკვე თავიდანვე ცხადი გახდა, რომ შეუძლებელია ერთმანეთისაგან ბოლომდე გაემიჯნოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა უქსტრალინგვისტური სინამდვილე და საკომუნიკაციო აქტი. თავიდანვე ენობრივი ნიშნის განვითარებაში მონაწილეობა მიიღო საკომუნიკაციო აქტის ისეთმა კომპონენტმა, როგორიცაა შეტყვევლი სუბიექტი. სამკუთხედში უკვე ჩანს, რომ საშუალო ადებულის იმ სუბიექტების გაუოყალისწინებლად, რომლებიც ნიშანს იყენებენ. ეს მოდელი არ ასახავს ენის ფუნქციას საკომუნიკაციო აქტში. იგი არ არის ის მოდელი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს კომუნიკაციური ლინგვისტიკა. მაგრამ ფუნქციური ლინგვისტიკის ის საში ეტაპი შეიძლება იყოს მოცემული მხოლოდ სქემაში. როცა ფუნქციური მიდგომა იქცა თანამედროვე კომუნიკაციურ მიდგომად, ეს მიდგომა თავიდანვე შევიდა იმ ფუნქციურ მიდგომაში, როცა ვითავალისწინებდით ენის ფუნქციას საშუალოს მიხარო, და ეს მოხდა ისეთი ცნების შემეგობით, როგორიც არის კონოტაცია. კონოტაციის ცნება თავიდანვე არსებობდა სიგნიფიკატისა და დენოტატის გვერდით. კონოტაციის ცნება მილიანად უკავშირდება არა ენობრივი სუბიექტის გარეთ არსებულ საშუალოს, არამედ თვით ენობრივ სუბიექტს - პირველ რიგში შეტყვევლ სუბიექტს.

„სემანტიკური სამკუთხედი“ ნიშნის ძირითად მოდელად მოგვეყვლინა. მის წინა პლანზე წამოწვევასთან ერთად გაჩნდა ტერმინი „კონოტატი / კონოტაცია“, მაგრამ ამ ცნების ჩართვა სამკუთხედოვან მოდელში არ მომხდარა. ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ამ ცნების გაჩენის ფაქტი, ისე ისიც, რომ იგი არ ჩაერთო მოდელში. (ნიშნის მოდელის მოდიფიკაცია მოხდა, მაგრამ მოხდა არა კონოტაციის ზეგავლენით, არამედ სხვა ნიადაგზე). ამ წინააღმდეგობრივი ფაქტის განმარტება ასე შეიძლება: სამკუთხედოვანმა მოდელმა შეცვალა სოსიურისეული მოდელი იმით, რომ გასხორციელდა ფუნქციური მიდგომის მეორე ეტაპი - დაისვა კიოხვა, თუ როგორ აისახება ენობრივ ნიშანში და ენაში მოლიანად სამყარო (ექსტრალინგვისტური სინამდვილე). მაგრამ ამ ექსტრალინგვისტურ სინამდვილეში, რომლის ასახვადაც უნდა ჩავთვალოთ ენა, არ შევიდა საკომუნიკაციო აქტი. როდესაც XX საუკუნის განმავლობაში ისმარებოდა ტერმინი „ექსტრალინგვისტური სინამდვილე“, მის მნიშვნელობაში იგულისხმებოდა „მთელი სამყარო მინუს საკომუნიკაციო აქტი“.

საკომუნიკაციო აქტი გულისხმობს მუდამ მინიმუმ ორ სუბიექტს. ეს სუბიექტები ასევე სამყაროს „ელემენტებს“ წარმოადგენენ. უფრო მეტიც, თუ სამყაროს სტრუქტურაში ენისათვის რაიმეა მნიშვნელოვანი, ეს არის პირველ რიგში მეტყველი სუბიექტები და რაც მათ შორის ხდება. კომუნიკაციური ლინგვისტიკა გარესამყაროში სწორად ამ სფეროს გულისხმობს. მაგრამ მაშინ, როდესაც ფუნქციურმა მიდგომამ მოიკიდა ფეხი, გარესამყარო ყველაზე ნაკლებად საკომუნიკაციო აქტს ნიშნავდა. ნიშნის სამკუთხედოვან მოდელში წარმოდგენის გვერდით გაჩნდა დენოტატი. ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ნიშნის მოდელში შევიდა გარესამყარო. მაგრამ ამ მოდელში არ იყო გათვალისწინებული ის, რომ ნიშანი არსებობს არა რომელიღაც აბსტრაქტულ სივრცეში,

არამედ არსებობს იმისთვის, რომ მსოფლიოს რეალურ სუბიექტთა შორის მომხდარ კომუნიკაციურ პროცესში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეუძლებელი გახდა, რომ ნიშნის ცნების განმარტებისას არ ყოფილიყო გათვალისწინებული ენობრივი ნიშნის მიმართება ენობრივ სუბიექტთან. ეს მოხდა იმიტომ, რომ ენობრივი ნიშნის სტრუქტურაში აისახება უქსტრალიზაციური სინამდვილე მის მთლიანობაში - როგორც სამყაროს კომუნიკაციის გარეშე სფერო, ისე საკომუნიკაციო აქტი. სამყაროს ეს ორი განზომილება - სამყარო და თვით კომუნიკაციის სფერო - ენაში ასახულია მათ ურთიერთშემაჯობებაში, ისე რომ შეუძლებელია ერთი რეალურად გამოიყნოსო მეორისაგან. კონოტაციის არჩართვა მოდელში შეტყვევებს არა მარტო იმაზე, რომ ამ ეტაპზე აქცენტი იყო სამყაროს არაკომუნიკაციურ გაგებაზე, არამედ იმაზეც, რომ უპირატესობა ენიჭება სინამდვილის როგორც კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ სფეროთა შეჯამების არაკომუნიკაციურ განზომილებას. კომუნიკაციური ლინგვისტიკა კი თვლის, რომ ენის სისტემა სინთეზურად ასახავს როგორც კომუნიკაციისგარეშე, ისე კომუნიკაციურ სინამდვილეს და რომ პრიმატი კომუნიკაციურ სფეროს ენიჭება. ამით უპირისპირდება კომუნიკაციური ლინგვისტიკა ე.წ. სისტემურ ლინგვისტიკას. კომუნიკაციური ლინგვისტიკა ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს ეყრდნობა: სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა. ამ სამ განზომილებიდან საბოლოო ანგარიშში წამყვანი როლი პრაგმატიკას ეკისრება - სწორედ ეს ნიშნავს კომუნიკაციური სფეროს უპირატესობას უქსტრალიზაციური სინამდვილის სწვა სფეროებთან შედარებით. კონოტაციის ცნება შეიძლება ჩავთვალოთ პრაგმატიკის თანამედროვე ცნების ფრიად არაასრულ მოცემულობად ლინგვისტიკის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ლინგვისტიკური აზროვნებისათვის განსაზღვრული იყო სამკუთხედოვანი მოდელი. ამ ეტაპზე, ისევე, როგორც სოსიურთან, ნიშნის და სიტყვის ცნებები ერთმანეთს ფარავდნენ. ასეთ შემთხვევაში კონოტატი

ნიშნავდა სიტყვის მნიშვნელობას იმ განზომილებას (ასპექტს), რომელიც განპირობებულია არა გარეაქტიურობის იმ თვისებით ან ფენომენით, რომელიც შეიძლება სიტყვის დენოტატად მოგვევლინოს, არამედ ქეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებით ამ თვისებისა თუ ფენომენის მიმართ. ეს დამოკიდებულებაა უქსარესიულობა, ემოციურობა, შეფასება და ა.შ. თუ სიტყვის მნიშვნელობაში სუბიექტის დამოკიდებულება თვისებისა თუ ფენომენის მიმართ გამოხატული არ არის, მაშინ სიტყვა კონოტაციური თვალსაზრისით ნეიტრალურია. მნიშვნელობის კონოტაციური ასპექტი შეიძლება თან ახლავდეს სიტყვას უკვე ენის სისტემის ფარგლებში, ანუ მნიშვნელობის კონოტაციური ასპექტი არსებობდეს კომუნიკაციური აქტისაგან დამოუკიდებლად. მაშინ კონოტაცია უზუალურია (უზუალური - ის, რაც დაფიქსირებულია სიტყვის მნიშვნელობაში და მთელი ენობრივი კოლექტივისათვის არსებობს). მაგრამ თუ კონოტაცია ჩნდება თვით საკომუნიკაციო აქტის ფარგლებში, იგი ოკაზიონალურია. ის, რაც უზუალურია, მუდამ წარმოადგენს პარადიგმატიკის ფაქტს. თვით ოკაზიონალური კონოტაციის შესაძლებლობა ქეტყველებს იმაზე, რომ სინტაგმატიკა არასოდეს არ არის პარადიგმატიკის უბრალო გამოკრება. რეალურ ქეტყველებაში შეიძლება არა მარტო კონოტაციის შებრუნება, შეიძლება ნეიტრალურის არანეიტრალურად ქცევაც. ის, რასაც გულისხმობს კონოტაცია, მთლიანად შედის ნიშნის პრაგმატული განზომილების ცნებაში, მაგრამ არ ამოწურავს მას. პრაგმატიკა მოიცავს კონოტაციას, მაგრამ არ ემთხვევა მას. კონოტაციის ცნება იმპლიციტურად, არა გააზრებულადაა აღებული კომუნიკაციის სფეროდან. როცა ამ სფეროში ენისადმი ფუნქციური მიდგომის ფარგლებში წამყვანი ადგილი დაიკავა, აღმოჩნდა, რომ კონოტაციის ცნება აბსოლუტურად არასაკმარისია იმ მიმართების ასახვისათვის, რომელიც არსებობს ენობრივ სუბიექტსა და ენობრივ ნიშანს შორის.

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მთელი შექმდგომი განუითარება ნიშნავდა სწორედ იმას, რომ კომუნიკაციის სიყვრო ხდებოდა სულ უფრო და უფრო განმსაზღვრელი ენის როგორც სისტემის სტრუქტურისათვის. თუ ფუნქციური მიდგომა ნიშნავს იმას, რომ ობიექტის (ენის) 'შიდასტრუქტურა დაუქვემდებარო მის გარესტრუქტურას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტური აზრის დინამიკა ნიშნავდა შექმდევს: ასეთ გარესტრუქტურად სულ უფრო და უფრო გვევლანებოდა საკომუნიკაციო აქტი ანუ სულ უფრო და უფრო ხდებოდა სისტემური ლინგვისტიკის გადაქცევა კომუნიკაციურ ლინგვისტიკად.

ლინგვისტიკის კომუნიკაციურად ქცევის პროცესში შეიძლება გამოვყოთ ორი ეტაპი - ორივე მათგანი უკავშირდება ენობრივი ნიშნის ცნებებს, და რაც მთავარია, მისი მოდელის გადააზრებას:

1. პირველი ეტაპი გულისხმობს კომუნიკაციის ცნების როგორც განმსაზღვრელი ფაქტორის ისეთ გათვალისწინებას, როცა იზრდება და მნიშვნელოვანი ხდება ამ ცნების როგორც ცნების მნიშვნელობა, მაგრამ ისე, რომ ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული საკომუნიკაციო აქტის მთელი სტრუქტურა. ერთია ვილაპარაკოთ კომუნიკაციურობაზე (ენა არის კომუნიკაციის დამყარების საშუალება) და მეორეა - კომუნიკაციის ცნებას პქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს არის ფუნქციური მიდგომის ის ეტაპი, როდესაც კომუნიკაციის ცნება არ გადადის საკომუნიკაციო აქტის მოდელში. ამ ეტაპზე მონდა შექმდევი ორი ცვლილება ლინგვისტურ აზროვნებაში და ამ ცვლილებებს ერთნაირად დიდი მნიშვნელობა პქონდა როგორც ენობრივი ნიშნის, ისე ენის როგორც მთლიანური სისტემის გააზრებისათვის. **პირველი** ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ ნიშნის ფუნქციაში გაიძიჯნა ორი ასპექტი: ნომინაციის და კომუნიკაციის ასპექტები. ამ ეტაპზე ნომინაციის თეორია მ დიდი როლი შეასრულა. ამ ცვლილებასთან ორგანულადაა დაკავშირებული **მეორე** ცვლილება. იგი მდგომარეობს

ნიშნის ცნების შინაგან იურარქიზაციაში ან - რაც იმავე პოვლენის მხარეა - ნიშნის ცნების ექსპანსიაში. ნიშნის ცნების ექსპანსია მდგომარეობს იმაში, რომ ნიშანი გავიდა თავის პირვანდელ ფარგლებს გარეთ: თუ თავდაპირველად ნიშნის ცნება ფარავდა სიტყვის ცნებას, აღნიშნულ ეტაპზე ნიშნის როლში გამოდის უკვე არა მარტო სიტყვა, არამედ ენობრივი სისტემის სხვა დონეთა ერთეულებიც - როგორც ის ერთეულები, რომლებიც სიტყვას აღემატებიან (წინადადება). ნიშნის ექსპანსიას თან მოჰყვა ნიშნის იურარქიზაცია - გაჩნდა სრული და არასრული ნიშნის ცნება: სრულია ის ნიშანი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს არა მარტო ნიშნაცის, არამედ კომუნიკაციის ფუნქციაც.

ლექცია № 10

თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარება ხდებოდა კომუნიკაციის პრინციპის როგორც ენობრივი სისტემის განხილვის სულ უფრო და უფრო მეტი დაძვედრების მიმართულებით, ანუ ლინგვისტიკა სულ უფრო მეტად აქცეოდა კომუნიკაციურ ლინგვისტიკად. ამ მოძრაობაში გამოიყოფა ორი ეტაპი: 1) როცა კომუნიკაცია როგორც ცნება უკვე იქცა ასეთ ფუძემდებლურ პრინციპად, მაგრამ ამ ცნებამ ჯერ კიდევ ვერ მოიცვა კომუნიკაცია როგორც აქტი მის მოლიანობაში; 2) თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეტაპი - ამ ეტაპზე კომუნიკაციის ცნება მოცემულია უკვე გაშლილად, იგი მოიცავს კომუნიკაციის აქტს ყველა კომპონენტით. ენის როგორც სისტემის ანალიზი ხდება სწორედ კომუნიკაციის აქტის სტრუქტურაზე დაყრდნობით.

ენობრივი ნიშნის გაგებისა და მოდელირების თვალსაზრისით პირველი ეტაპი ხასიათდებოდა ორმხრივი პროცესით: 1) ხდებოდა ენობრივი ნიშნის იურარქიზაცია; 2) ენობრივი ნიშნის ფუნქციაში გამოიყო ორი ასპექტი: ნიშნაცისა და კომუნიკაციის. თანამედროვე ლინგვისტიკა

ყურ მიიღებდა კომუნიკაციური ლინგვისტიკის სახეს, რომ ლინგვისტურ აზროვნებას არ გაეგლო ეს ეტაპი. კომუნიკაციის ცნების როგორც ფუძემდებლური ცნების გლობალურად მინსევა შესაძლებელი გახადა ამ ორი ფუნქციის გაშიჯენამ. ამ ეტაპის შინაარსის გასაგებად ერთნაირად უნდა გავითვალისწინოთ ენობრივი ნიშნის გაგების როგორც ის ეტაპი, რომელიც მას წინ უსწრებდა, ისე ის, რომელიც მას მოჰყვა. ტრადიციული ენათმეცნიერება სიტყვისა და წინადადების განხილვისას ყურდნობა პირველ რიგში ფუნქციურ განსხვავებას მათ შორის: სიტყვას აქვს ნომინაციის ფუნქცია, წინადადებას - კომუნიკაციისა. ამ ორ ერთეულის ასეთ განსხვავებაში უკვე იგულისხმება მათ შორის იერარქიული მიმართება: თუ ენა განისაზღვრება როგორც კომუნიკაციის საშუალება, მაშინ წინადადება უფრო მეტია, ვიდრე სიტყვა. მაგრამ, მეორე მხრივ, ენობრივი სისტემა განისაზღვრებოდა როგორც ნიშანთა სისტემა. როგორც ნიშანი კი განიხილებოდა სიტყვა და არა წინადადება. ე.ი. ფუნქციური თვალსაზრისით წინადადება მეტი იყო, ხოლო სტრუქტურული თვალსაზრისით - პირიქით. სწორედ ასეთ შინაგანად წინააღმდეგობრივ მიმართებიდან, ანუ ამ მიმართების წიაღში მოხდა ის მნიშვნელოვანი ძვრა ლინგვისტურ აზროვნებაში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ეს ძვრა კონკრეტულად გამოინატა იმაში, რომ ნომინაციის ფუნქცია მიენიჭა არა მარტო სიტყვას, არამედ წინადადებასაც. ლექსიკური ნომინაციის გვერდზე გაჩნდა სინტაქსური ნომინაცია. კომუნიკაციური ლინგვისტიკის გაგებისათვის აუცილებელია ამ ორ ნომინაციას შორის ფუნდამენტალური განსხვავების ცოდნა. პირობითად ამ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ ნომინაციური ლინგვისტიკა, ვინაიდან ამ ეტაპზე წამყვანად იქცა ნომინაციის თეორია. მაგრამ ნომინაციის თეორია ვერ გაჩნდებოდა და ვერ განვითარდებოდა, რომ არ მომხდარიყო ნიშნის ფუნქციის გაშიჯენა (კომუნიკაციური - ნომინაციური). მართალია, დღევანდელი ლინგვისტიკა გასცდა ნომინაციის თეორიის

საფუძვლებს, პრინციპებსა და მიღწევებს, მაგრამ ამ თეორიას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა კონკრეტული ლინგვისტიკური კვლევის პლანში, განსაკუთრებით შეპირობირებით კვლევისას.

წინადადებაზე ნომინაციის ფუნქციის გადატანა ნიშნავდა იმას, რომ წინადადება ისევე იქნა მინიშნული ნიშნად, როგორც სიტყვა. თუ კი სიტყვაც და წინადადებაც ნიშანია, მაშინ ისმის კითხვა მათ შორის ურთიერთდაშოკიდებულების შესახებ. აშასთან დაკავშირებით ლინგვისტიკაში გაჩნდა სრული და არასრული ნიშნის ცნება. განსხვავება მათ შორის უკავშირდება განსხვავებას სიტყვასა და წინადადებას შორის. წინადადება სრული ნიშანია, სიტყვა - არასრული. ამ კონცეპტუალურმა განსხვავებამ მაშინვე ჰპოვა გაფართოება (სიტყვა → მორფემა). იურარქია გაიგოს შექმდე გრადუალურობის პრინციპით. ეს პრინციპი თავის თავში შეიცავს ფარდობითობას, რელატიურობას. ეს სამი პრინციპი - იურარქიის, გრადუალურობის და ფარდობითობის - ურთიერთდაკავშირებულია.

წინადადების მინიშნვა ნიშნად არ მოხდებოდა, მას რომ მხოლოდ კომუნიკაციის ფუნქცია მინიჭებოდა. რაში მდგომარეობს წინადადების ნომინაციური განზომილება? - იმაში, რომ ყოველი წინადადება ასახელებს სინამდვილის გარკვეულ ასპექტს, ისევე როგორც სიტყვა. მაგრამ თუ სიტყვა ასახელებს იზოლირებულ ობიექტს, წინადადება ასახელებს მთლიანურ სიტუაციას - ე.ი. ისეთ სიტუაციას, რომლის ფარგლებში საგნები ერთმანეთს გარკვეული სახით უკავშირდებიან. ასეთ სიტუაციას ლინგვისტიკაში ხდომილებას ან სიტუაციას უწოდებენ. სინტაქსურ და ლექსიკურ ნომინაციას შორის განსხვავებაც ესაა.

სინტაქსური ნომინაციის თეორიის მიხედვით, ყოველი წინადადება წარმოადგენს სინამდვილის რომელიღაც ფაქტის ხატს (იკონიკურ ასახვას). სინამდვილე - ესაა ე.წ. ავტომარული ფაქტების ერთობლიობა. წინადადებას, რომელიც ასახელებს ერთ ავტომარულ ფაქტს,

პროპოზიცია ეწოდება. წინადადება ტრადიციული გაგებით და პროპოზიცია ერთმანეთს არ უდრის. პროპოზიცია არის წინადადების ნომინაციური განზომილება.

რაც უფრო მეტია ნიშნის უნარი შეითავსოს თავის თავში ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციები, მით უფრო სრულად შეიძლება ჩაითვალოს იგი. ყველაზე ნაკლებად სრული მაშინ მორფემაა, სიტყვაში ჩნდება ამ ორი ფუნქციის გაძიჯენისა და შეთავსების მომენტი, მაგრამ სრული სახით ეს შეთავსება ხდება წინადადებაში. შეძლებს სრული ნიშნის სტატუსი მიენიჭა ტექსტს. თუშეცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიშნის ცნების იმ გაფართოებას, ურომლისოდაც ვერ მოხდებოდა მისი იერარქიზაცია, თავიდანვე თან ახლდა და დღესაც თან ახლავს უადრესად მნიშვნელოვანი შინაგანი პრობლემატრობა: შეიძლება თუ არა ჩავოყალოთ ნიშნად ის ენობრივი ერთეული, რომლის საშუალებითაც ხდება უშუალოდ კომუნიკაციის ფუნქციის შესრულება.

ტექსტის თეორია დაიწყო იმის მტკიცებით, რომ სრულ ნიშანს წარმოადგენს ტექსტი (პ.პარტმანი). იმდენად, რამდენადაც ტექსტზე გადაგვაქვს სემანტიკა, პრაგმატიკა და სინტაქტიკა, ტექსტს ვოვლით ნიშნად. როდესაც ლაპარაკია ენის უმაღლეს ერთეულზე, სადაც შედგენდება ენის ძირითადი ფუნქცია, მუდამ ჩნდება პრობლემა, არის თუ არა იგი ნიშანი.

ლექცია № 11

ყველა მორფოეკაცია ნიშნის მოდელში აისახება ენის სისტემის როგორც მთლიანობის მოდელში. ამდენად ფუნქციონირება ნიშნის და ენის როგორც მთლიანობის შორის სიღრმისეული დამოკიდებულება. თუ ნიშნის ფუნქციაში გამოვყოფთ კომუნიკაციისა და ნომინაციის ფუნქციას, ნიშნის ფუნქციის ამგვარი გაგება იწვევს ცვლილებას იმაში, თუ როგორ წარმოვიდგინოთ ენას როგორც სისტემას.

XX საუკუნეში ენობრივი ნიშნის (ენის) მოდელურების დინამიკა სქემატურად ასე წარმოგვიდგება:



მეორე და მესამე ეტაპის განსხვავება მდგომარეობს შექმდეში: თუ მეორე ეტაპზე მოქმედებდა კომუნიკაციის ცნება და მისმა გაზრდილმა მნიშვნელობამ გახადა აუცილებელი კომუნიკაციური და ნოშინაციური ფუნქციების გაშიჯვნა, მესამე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ კომუნიკაციის ცნება გადაიზარდა კომუნიკაციის მოდელში. იმისათვის, რომ გაფიგოთ ენობრივი სისტემის შინაგანი სტრუქტურა, საჭირო და აუცილებელი ხდება ამ სტრუქტურის განმსაზღვრელ ფაქტორად მივიჩნიოთ კომუნიკაციის (ან საკომუნიკაციო აქტის) სტრუქტურა. ლინგვისტური აზროვნების ამგვარი დინამიკის როგორც შინაგან მოტივს, ისე შედეგსაც წარმოადგენდა და წარმოადგენს ენობრივი ნიშნის შექმდგომი მოდიფიკაცია. ჩვენ ვილაპარაკებთ სოსიურისეულ მოდელზე, შექმდე სამკუთხედოვან მოდელზე. დღეს გვექნება ლაპარაკი უკვე ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიან მოდელზე. ეს მოდელი საფუძვლად უდევს დღევანდელ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, იგი შინაგანად იყისება, ნიუანსირდება კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების შედეგად.

იმისათვის, რომ მთლიანად გასაგები იყოს სამგანზომილებიანი მოდელის შინაგანი არსი (შინაარსი), მისი შინაგანი პოტენცია, საჭიროა გაშოკყოთ მისი ლინგვისტურ თეორიაში დაშკვიდრების ორი განსხვავებული, შაგრამ შინაგანად ურთიერთდაკავშირებული მომენტი. პირველი მომენტი დაკავშირებულია თვით ნიშნის ამ მოდელის ისტორიასთან, მეორე კი - ლინგვისტური აზროვნების შინაგან ისტორიასთან. პირველი მომენტი გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: „საიდან მომდინარეობს ეს მოდელი და

რა კავშირი აქვს მას თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკასთან?". მეორე მომენტი კი გულისხმობს პასუხს კიონვაზე: „ლინგვისტური აზროვნების დინამიკის რა მომენტებმა გასადა აუცილებელი ამ მოდელის დამკვიდრება ლინგვისტურ აზროვნებაში?“.

პირველი მომენტი: ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი ნიშნის სემიოტიკური მოდელია. თვით ნიშნის ცნება ძალიან ძველია, იგი დიდ როლს ასრულებდა უკვე შუა საუკუნეების ლოგიკურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში. მაგრამ სემიოტიკა როგორც ნიშნის ზოგადი თეორია შექმნა ამერიკელმა ჩარლზ პირსმა, ხოლო XX საუკუნეში იგი განავითარა და წარმოადგინა იმ სახით, რომლითაც იგი დღეისათვის მოქმედებს, ჩარლზ მორისმა. სოსიურმა თავის „კურსში“ ხაზი გაუსვა, რომ ლინგვისტიკა არის ნიშანთა სისტემა“ - ეს დებულება თავის თავად გულისხმობდა, რომ ლინგვისტიკა უნდა გაერთიანებულიყო უფრო ფართო თეორიის ფარგლებში. მაგრამ გაშლილი თეორიის სახით (ექსპლიციტურად) ლინგვისტიკის დაკავშირება ნიშნის ზოგად თეორიასთან ენათმეცნიერების განვითარების სოსიურისეულ ეტაპზე არ მომხდარა. მაგრამ შექმდე აღმოჩნდა. რომ რაც უფრო იზრდებოდა ლინგვისტურ აზროვნებაში კომუნიკაციურობის პრინციპის ხვედრითი წონა, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა ამ აზროვნებაში სემიოტიკური მოდელის დამკვიდრება.

ჯერ ვიტყვით მოკლედ ამ მოდელის შესახებ.

სემიოტიკური მოდელის მიხედვით, ყოველი ნიშანი - იქნება ეს ენობრივი თუ არაენობრივი - ხასიათდება მიმართებათა სამი კოორდინატიო: პირველი კოორდინატი მთავსებულია გარე სინამდვილეში - ყოველი ნიშანი აღნიშნავს გარე სინამდვილის რომელიმე ასპექტს, ობიექტსა თუ ფენომენს. ეს კოორდინატი ემთხვევა სამკუთხედოვანი მოდელის ერთ-ერთ კოორდინატს, იმდენად, რამდენადაც გარესინამდვილის ობიექტი არის დენოტატი ანუ რეფერენტი. მიმართებას ნიშანსა და გარე სინამდვილის იმ ფაქტს შორის,

რომელსაც ნიშანი აღნიშნავს, ნიშნის სემიოტიკურ მოდელში ეწოდება ნიშნის **სემანტიკა** ანუ სემანტიკური განზომილება (სემანტიკური შიშართება). (ეს საში გამოთქმა სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემს). მეორე კოორდინატი მდებარეობს იმ სისტემაში, რომელშიც შედის ნიშანი. ეს არის ნიშნის შიშართება სისტემაში შემაჯავალ სხვა ნიშნებთან. ესაა **სინტაქტიკა** ან ნიშნის სინტაქტური განზომილება (სინტაქტური შიშართება). მესამე კოორდინატი ფაქტიურად ის კოორდინატია, რომელმაც განაპირობა ნიშნის ამ მოდელის ის მნიშვნელობა ლინგვისტიკური აზროვნებისათვის, რომელიც მას დღეისათვის აქვს. იგი ლოკალიზებულია იმ სუბიექტში, რომელიც იყენებს ნიშანს. ეს არის **პრაგმატიკა** ან პრაგმატული განზომილება (პრაგმატული შიშართება).

ჩვენ გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ ნიშნის სამკუთხედოვანმა მოდელმა ვერ აითვისა კონოტაციის ცნება. კონოტაცია კი განისაზღვრება - დენოტაციისაგან განსხვავებით - როგორც ნიშნის მნიშვნელობის ის კომპონენტი, რომელიც ასახავს სუბიექტის დამოკიდებულებას აღსანიშნი საგნის შიშართ. ჩვენ ვიცით ისიც, რომ უქსპრესიულობა, ემოციურობა, შეფასება. რაც არ უნდა მნიშვნელოვნად ჩავოვალოთ ეს საში მომენტი, მაინც კონოტაციის ცნება მათ ფარგლებს გარეთ არ გადიოდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ამ საში მომენტის ფარგლებს გარეთ არ გადიოდა აგრეთვე შეტყვევლი სუბიექტის როლი ენობრივი სინამდვილის გაგებისას. ისიც უნდა ითქვას, რომ ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვან მოდელმა ვერ შექმლო კონოტაციის როგორც ცნების და როგორც ნიშნობრივი შიშართების ათვისება - ეს ცნება ვერ შევიდა ნიშნის მოდელში. ცხადია, რომ საშივე მომენტი - უქსპრესიულობა, ემოციურობა, შეფასება, - მომდინარეობს სუბიექტისაგან. ამიტომ პრაგმატიკა მათ უნდა შეიცავდეს. მაგრამ პრაგმატიკა სრულიად არ გულისხმობს, რომ სუბიექტის როლი, მისი მნიშვნელობა ენობრივი ნიშნის (და საერთოდ ენობრივი სისტემის) სტრუქტურირებაში უნდა განისაზღვრებოდეს ამ

საძი მომენტით. თუ ჩვენ გვსურს ადეკვატურად გავიგოთ პრაგმატიკის ცნება - პრაგმატიკის ცნების გაგება კი თიოქმის იძლევა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ადეკვატურად გაგების შესაძლებლობას - ჩვენ უნდა დავინახოთ როგორც კავშირი პრაგმატიკისა და კონოტაციის ცნებებს შორის, ისე პრინციპული განსხვავებაც: ის, რასაც გულისხმობს კონოტაციის ტრადიციული ცნება, მთლიანად შედის პრაგმატიკაში, მაგრამ ამავე დროს პრაგმატიკის ცნების აქტუალური და პოტენციური შინაარსი, რომელიც მისი განსაზღვრიდან გამომდინარეობს, განუწობლად უფრო დიდია. პრაგმატულ ცნების ლინგვისტურ შინაარსს განსაზღვრავს არა მარტო მისი ამოსავალი განსაზღვრა, არამედ თვით ლინგვისტური აზროვნების განვითარების დინამიკის მიმართულება. რას ნიშნავდა კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამკვიდრების პირველი ეტაპი? როგორც ვიცით, ამ ეტაპზე მოხდა კომუნიკაციისა და ნომინაციის ფუნქციების გამოიჯენა. როგორ იქნება გაგებულნი ნომინაციის ფუნქცია და მისგან განსხვავებით კომუნიკაციის ფუნქცია? ნიშნის კომუნიკაციურ განსაზღვრებაში შევიდა ყველაფერი ის, რაც უშუალოდ არ წარმოადგენს რეფერენციას; ყველაფერი ის, რაც გვიჩვენებს, რისი აღნიშვნა ხდება, მიეკუთვნება ნომინაციას, ხოლო ყველაფერი ის, რაც გვიჩვენებს, როდის, სად, ვის მიერ ან ვისთვის, ან რა მიზნით ხდება რაიმეს აღნიშვნა, მიეკუთვნება კომუნიკაციას. ამ ფუნქციათა გამოიჯენა დაკავშირებული იყო, როგორც ვიცით, ნიშნის ცნების ექსპანსიასთან, და ამის შემდეგ იერარქიზაციასთან. იმისათვის, რომ ნიშნის ცნება სიტყვიდან გადასულიყო წინადადებაზე, წინადადების შინაარსეული სტრუქტურიდან უნდა გამოყოფილიყო ის, რაც შეესაბამებოდა ნიშნის თავდაპირველ ფუნქციას (იმას, რომ ნიშანი რაღაცას აღნიშნავს). ჩვენ ვიცით, რომ წინადადების იმ ასპექტს, რომელიც ასრულებს ნომინაციურ ფუნქციას და რომელიც დამოუკიდებელია სივრცისაგან, დროისგან, სუბიექტისგან და მისი მიზნისაგან, ეწოდება „პროპოზიციის“. ამრიგად, პროპოზიციის

გამოყვო ჩვენ მიერ ჩაპოთიყლილი მოქმენტები. ყველა ამ
 მოქმენტს ლინგვისტურ ლიტერატურაში უწოდა
ლოკაცია. სივრცე, დრო, ვინ შეტყვევლებს, მისი მიზანი -
 ყველაფერი ეს ახდენს აბსტრაქტულ-ნოშინაციური
 მნიშვნელობის დაკონკრეტებას. ამრიგად, წინადადებაში
 გვაქვს პროპოზიცია, რომელსაც შეესაბამება ნოშინაციური
 ფუნქცია, და გვაქვს ლოკაცია. ამ შემთხვევაში შოაგარია ის,
 რომ ნიშნის და პირველ რიგში სინტაქსური ნიშნის ანუ
 წინადადების სტრუქტურაში გამოიყო სტრუქტურულ
 მოქმენტთა ისეთი კომპლექსი, რომელთა ათვისება
 შეუძლებელი იყო ტრადიციულ-სოსიურისეული თუ
 სამკუთხედოვანი მოდელის საფუძველზე. გაყინსენოთ
 სამკუთხედოვანი მოდელი. ის ნიშნები, რომლებიც
 შეესაბამებიან კომუნიკაციურ ფუნქციას, არ შედიან არც
 დენოტაციაში და არც სიგნიფიკაციაში. დენოტაცია და
 სიგნიფიკაცია ისეთი ცნებებია, რომლებიც თვით ერთიანდებიან
 ნოშინაციის ფუნქციაში. მათ შორის განსხვავებაა:
დენოტაცია - ესაა მიმართება რეალურ ობიექტთან ან
 მათ კლასთან, **სიგნიფიკაცია** - წარმოდგენა ამ კლასის
 შესახებ. ნოშინაციური ფუნქცია შეიცავს ორივეს: როცა
 სიტყვა ან წინადადება რაიმეს ასახელებს, ეს დასახელება
 როგორც აქტი გულისხმობს როგორც იმას, რისი დასახელებაც
 ხდება, ისე იმასაც, როგორ არის დანახული ენობრივ
 აზროვნებაში ის, რისი დასახელებაც ხდება. მაგრამ ყველა ის
 სტრუქტურული მოქმენტი, რომელიც კომუნიკაციას
 ექვემდებარება, ცხადია, ვერც დენოტაციაში, ვერც
 სიგნიფიკაციაში ვერ შეყა. ანუ ნიშნის სამკუთხედოვან
 მოდელს არ ძალუძს ათაგისოს ყველა ის ცნება, რომლებსაც
 გულისხმობს კომუნიკაციური ფუნქცია. ენობრივი ნიშნის
 განმსაზღვრელ ფაქტორად და ფაქტორად, რომელიც
 არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გარე სინამდვილე თუ
 ენის შიდა სინამდვილე, გვევლისება **სუბიექტი**
 (შეტყველი ობიექტი). იოვალისწინებდა თუ არა აქამდე
 ლინგვისტური აზროვნება სუბიექტის? თითქოს

ითვალისწინებდა, თუ მხედველობაში მივიღებთ ლინგვისტური აზროვნების ორ მომენტს: ითვალისწინებდა იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავდა დენოტაციას (დენოტატს) და სიგნიფიკაციას (სიგნიფიკატს). სიგნიფიკაცია არის არა უბრალოდ ობიექტის აღნიშვნა, არამედ აზრი (ცნება) ამ ობიექტზე. მაგრამ აზროვნებს მუდამ სუბიექტი. იმდენად, რამდენადაც ლინგვისტიკა „მუშაობდა“ სიგნიფიკაციის ცნებით, სუბიექტი შედიოდა ლინგვისტურ აზროვნებაში, მაგრამ შედიოდა წმინდა ლინგვისტური გაგებით: თვით სუბიექტი კი არ შედიოდა, არამედ მისი აბსტრაქტული ცნება. სუბიექტის ასეთი როლი სრულიად არ ასახავდა მას როგორც რეალურ, სოციალურ არსებას მთელი მისი ადამიანური შინაარსობრივი სტრუქტურით. სუბიექტი დაყვანილ იყო მინიმუმზე (რედუცირებული სუბიექტი). მეორე მომენტი: სუბიექტი როგორც ფაქტორი მონაწილეობდა ლინგვისტურ აზროვნებაში იმდენად, რამდენადაც ლინგვისტიკა იყენებდა კონოტაციის ცნებას. მაგრამ სუბიექტურობის ეს გაგებაც შეზღუდული იყო: მთელი იმ შინაარსიდან, რომელიც ადამიანს აქვს, ლინგვისტიკა „იყენებდა“ მხოლოდ სამ მომენტს (ემოციურობა, ექსპრესიულობა, შეფასება). გვემონდა ფაქტურად სუბიექტის დაყვანა მის ემოციურობამდე. ამრიგად სუბიექტი ასრულებდა როლის ლინგვისტურ აზროვნებაში და განსაზღვრავდა ენობრივ სინამდვილეს მხოლოდ მინიმალურად. შევადაროთ სუბიექტის ეს როლი ექსტრალინგვისტურ სინამდვილეს (სამყარო - საკომუნიკაციო აქტი). ასეთი დისპროპორცია იყო ლინგვისტურ აზროვნებაში. სამგანზომილებიანი მოდელის დაშვადრება ნიშნავდა ამ დისპროპორციის მოხსნას.

ლექცია № 12

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისათვის ნიშნის ცნება განსაზღვრულია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტით. ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მსჯელობა

ნიშანზე წარმოადგენდეს მსჯელობას მთელ ენობრივ სინამდვილეზე. ამან მოგვცა საშუალება მოგვეჩაწე ლინგვისტური აზროვნება მის დინამიკაში.

დაგურჩა ერთი აუცილებელი შტრიხი, რათა ბილომდე მოვზაზოთ ენობრივი ნიშნის ის მიღელი, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას.

ჩვენ უკვე ვილაპარაკო იმას, თუ როგორ შექმნიდა ლინგვისტურ აზროვნებაში ადამიანი როგორც ობიექტი. აქამდე იგი დამკვიდრებული იყო იმდენად, რამდენადაც მოქმედებდა კონოტაციის ცნება და სიგნიფიკაციის ცნება. მაგრამ ეს იყო რედუცირებული (მინიმიზირებული) სუბიექტი. ენობრივი ნიშნის ის კომპონენტი, რომელიც სუბიექტს შეესაბამებოდა, მოცემული იყო კონოტაციის სახით, სიგნიფიკატის არსებობა კი ნიშნავდა სუბიექტის აზროვნების წმინდა ლოგიკური ასპექტის ხაზგასმას. კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამკვიდრება ნიშნავდა უკვე სუბიექტის შემოსვლას ლინგვისტურ აზროვნებაში მაქსიმალიზირებული სახით, ნიშნავდა სუბიექტის ფუძემდებელი როლის დამკვიდრებას ლინგვისტურ აზროვნებაში; ამ როლს უკვე შეესაბამება სუბიექტის როგორც აუცილებელი ფაქტორის გათვალისწინება მთელი შესაძლო შინაარსით. თუ აქამდე ლინგვისტურ აზროვნებაში მოქმედებდა სუბიექტის რედუცირებული ვარიანტი, (ასეთი სახით კი სუბიექტი ვერ იქნებოდა ფუძემდებელი მნიშვნელობის მატარებელი), ახლა კი დაიწყო ახალი მიმართულება - მაქსიმალიზაციის მიმართულება. ეს მოძრაობა ხდებოდა ორი მიმართულებით. მაიი გაშოკვეთა აუცილებელია.

პირველი მიმართულება ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი (ადამიანური სუბიექტი) როგორც ენობრივი სინამდვილის განმსაზღვრელი ფაქტორი, თანამედროვე ლინგვისტიკაში გაიზარება მისი აქტივობის მიხედვით - იმ აქტივობის მიხედვით, რომელსაც რუსულად „ДЕЯТЕЛЬНОСТЬ“ (ქმედება ან შოღვაწეობა) ეწოდება. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამკვიდრებაზე სუბიექტი განისაზღვრებოდა როგორც

კონტაქტის წყარო, მეორე მხრივ კი მხედველობაში იყო მიღებული აზროვნების ისეთი პროდუქტი, როგორც ცნებაა მისი ლოგიკური გაგებით, ასლა სუბიექტი განისაზღვრება მოული მისი აქტივობის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სუბიექტს როგორც სინამდვილის გარდაქმნის, შეცნობისა და აქტიური აღქმის აგტორს. ამრიგად, ემოციურობა, ექსპრესიულობა, შეფასება, აზროვნება - ის, რაც აქამდე იყო განმსაზღვრელი, მნიშვნელოვანი და ღირებული არიან არა თავისთავად, არამედ როგორც სუბიექტის სოციალური აქტივობის შედეგები და დღეს ყურადღება კონცენტრირებულია სწორედ ამ აქტივობაზე, როგორც პირველად ფაქტორზე. თუ ადამიანი რაიმეს მიმართ ავლენს ემოციურობას, თუ მას აქვს რაიმეს ექსპრესიულად დასახელების მოთხოვნა, თუ იგი დასახელებასთან ერთად აფასებს კიდევ, და თუ ადამიანი აზროვნებს (აზროვნების პროდუქტს კი ცნებები (სიგნიფიკატები) წარმოადგენს), ეს იმიტომ, რომ ადამიანი ცხოვრობს, მოქმედებს, შეიცნობს სამყაროსა და საზოგადოებაში, ეს იმიტომ, რომ იგი არის მოქმედი, სოციალურად აქტიური არსება. სწორედ ეს აქტივობა, სუბიექტის ეს სოციალურად აქტიური ქმედება შემოდის ლინგვისტურ აზროვნებაში; მაგრამ მეცნიერულ აზროვნებაში სინამდვილის ნებისმიერი ასპექტი შემოდის არა იმ სახით, რომლითაც იგი ჩვენს პირველად გამოცდილებაშია მოცემული (არა ემპირიული სახით), არამედ აბსტრაქტული, განზოგადებული სახით. წარმოვიდგინოთ ადამიანის აქტივობა, მისი ქმედება საერთოდ ნიშნავს გაშოვყოთ ამ აქტივობაში ის, რაც მას არსებითად ახასიათებს, ის, ურომლისოდაც იგი შეუძლებელია, ის, რაც მას მუდამ ახასიათებს. ადამიანის როგორც სუბიექტის აქტივობა შემოდის ლინგვისტურ აზროვნებაში ამ აქტივობის კონცეპტუალური ინვარიანტის სახით. ინვარიანტის ხაზგასმა საჭიროა, რომ გადავიდეთ მოდელის ცნებაზე. აუცილებელია გამოვყოთ ამ კონცეპტუალური ინვარიანტის სტრუქტურული ნიშნები:

ადაშიანი როცა მოქმედებს, მას აქვს მიზანი (ინტენცია), საპეტყველო ქმედებისას - კომუნიკაციური ინტენცია. მიზანი მუდამ გულისხმობს წინასწარი გეზის (გეგმის) ბევრად თუ ნაკლებად გაცნობიერებული სახით არსებობას. კომუნიკაციური ინტენციას უნდა შეესაბამებოდეს კომუნიკაციური **ჯეჯმა** - რას უნდა მიაღწიოს ადაშიანმა, როგორ უნდა მიაღწიოს.

ყოველი აქტიუობა შიშართულია სინამდვილის რომელიმე ასპექტზე (ობიექტზე). ადაშიანს მუდამ აქვს საგანი - კომუნიკაციის სფეროში ეს კომუნიკაციის საგანია, ის, რაზეც ლაპარაკია, ის, რაც აისახება სუბიექტის მიერ წარმოდგენილ ტექსტში. სამოქმედო ინტენცია მუდამ რაღაცაზეა მიშართული. კომუნიკაციური ქმედების სფეროში კომუნიკაციის საგანი არის ის, რასაც უწოდებენ **რეფერენტულ სივრცეს** (ის, რაც აისახება ტექსტში). შაგრამ ყოველი რეფერენტული სივრცე იქცევა კომუნიკაციის საგნად არა შოლიანობაში, არამედ რომელიმე თავისი ასპექტით. რეფერენტული სივრცისაგან უნდა განვასხვავოთ **საკომუნიკაციო თემა**. იშისათვის, რომ რეფერენტული სივრცე იქცეს კომუნიკაციის საგნად, უნდა მოხდეს ამ სივრცის **თემატიზაცია** ანუ კომუნიკაციისათვის რელევანტური მნიშვნელოვანი ასპექტის გამოყოფა.

კომუნიკაცია ხდება **სივრცესა და დროში** - ამიტომ კოორდინატები „სად?“, „როდის?“ ეკუთვნის კომუნიკაციური ქმედების უცვლელ შომენტთა რიცხვს. შომენტთა შიელი ეს კომპლექსი (იგი შეიძლება შეივისოს და გაღრმავდეს) წარმოადგენს ადაშიანის როგორც სუბიექტის საერთოდ ქმედებისა და კერძოდ კომუნიკაციური ქმედების კონცეპტუალურ ინვარიანტს. ცხადია, როგორც კონოტაცია, ისე სიგნიფიკაცია შედის ამ ინვარიანტში. შაგრამ ეს ინვარიანტი განუზომლად აღეშატება ეროსაც და შეორესაც.

და ეს სწორედ ის კონცეპტუალური ინყარიანტია, რომლითაც შეიფესება დღეისათვის ღინგვისტური პრაგმატიკის ცნება.

ჩვენ ვიცნობთ ნიშნის პრაგმატული განზომილებების ამოსაფალ განსაზღვრას: ეს არის სუბიექტის მიმართება ნიშანთან. ამ ფორმალური განსაზღვრის შინაარსი უფრო მეტად დღეისათვის სწორედ ამნაირია და ამაში მდგომარეობს სუბიექტის როგორც ნიშნობრივი სინამდვილის განსაზღვრელი ფაქტორის მაქსიმალური მნიშვნელობა. კომუნიკაციური ქმედების ყველა ნაწილები ძირითადი მომენტი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ენობრივი სინამდვილის აღწერისა და გაგების პროცესში.

მაგრამ სუბიექტის ცნების მაქსიმალური მნიშვნელობა არა მარტო ამ მიმართულებით - იგი მიმდინარეობდა აგრეთვე სუბიექტის როგორც აქტიურად მოქმედის მთლიანობაში გააზრების მიმართულებით. მეორე მიმართულება წარმოადგენს სუბიექტის როგორც არა მარტო არსებითად აქტიური, არამედ აგრეთვე არსებითად დიალოგური (დიალოგური საწყისის მატარებელი) არსების გააზრებას: არა მარტო ის, რომ სუბიექტის აქტივობა საერთოდ (და კომუნიკაციური აქტივობა კერძოდ) მიმართულია რაღაცაზე, არამედ ვიღაცის მიმართაც; ამ აქტივობას აქვს არა მარტო საგანი, არამედ ადრესატიც. ღინგვისტური პრაგმატიკის პერსპექტივაში განხილვისას მეორე მომენტს არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ანუ: ადრესატის გარდუვალობას აქვს არანაკლები მნიშვნელობა, ვიდრე ყველა ჩამოთვლილ მომენტს; ანუ: ტექსტი როგორც ენობრივი აქტივობის პროდუქტი თავის სტრუქტურაში განისაზღვრება არა მარტო კომუნიკაციური ინტენციით, კომუნიკაციური გეგმით, რეფერენტული სივრცითა და მისი თემატიზაციით, არამედ აგრეთვე ადრესატით. და რაც უფრო იშლება და ვითარდება კომუნიკაციური ღინგვისტიკა, სულ უფრო იზრდება ადრესატის როგორც ტექსტის შინაგანად შემქმნელი (მაკონსტიტუირებელი) ფაქტორის როლი, იგი სულ უფრო აღიქმება როგორც

ტექსტის შინაგანი სტრუქტურის ერთ-ერთი შექმნილი ფაქტორი, რომელიც შეიძლება არანაკლებ აქტიური და განმსაზღვრელია ტექსტისათვის, ვიდრე შეტყვევლი სუბიექტი (ადრესატი).

თუბთ:

1. ენობრივი ნიშნის ცნება. ფ.დუ სოსიური და მისი შექმნაში განვითარება.

2. ენობრივი სინაქსის სოსიურის კონცეფციაში, მისი დიქტომები.

3. ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი თანამედროვე ლინგვისტიკაში.

4. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი თანამედროვე ლინგვისტიკაში.

5. ენობრივი ნიშანი და ენის სისტემის დონეებრივი მოდელი.

6. ენობრივი ნიშანი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

ლიქცია № 13

ლინგვისტური კვლევა ენათმეცნიერებაში მიმდინარეობს მოდელირების გზით. მოდელი არის საგნის სტრუქტურის თვალნათლივანა წარმოდგენის ცდა. ეს წარმოდგენა შეიძლება ეყრდნობოდეს სხვადასხვა საშუალებებს (სწორი ხაზი, სამკუთხედი და სხვ.). ჩვენ გვქენება საუბარი თეორიის აგებისა და მოდელირების ურთიერთკავშირზე (თეორია არის ცნებათა და მსჯელობათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც ასახავს შესასწავლ საგანს). ამ დაკავშირებას შექმნილი მიმართულება ექნება: განვიხილოთ თეორიულ-მოდელირ პლანში ენას როგორც ერთიან მთლიანობას (რამდენადაც ეს შესაძლებელია), შექმნილ გადავალთ ამ მთლიანური სისტემის ცალკეულ ასპექტებზე (ქვესისტემებზე) და დავინახავთ, რომ ენობრივი სისტემაში

ქვესისტემის თეორიული ცნება უშუალოდ უკავშირდება დონის ცნებას (მოდელის ცნებას), თუმცა არ ემთხვევა მას.

ენის მთლიანური მოდელის აგებას საფუძვლად უნდა დაყუდოთ ცნება, რომელიც შინაგანად დაკავშირებულია ნიშნის ცნებასთან (ანუ თანამედროვე ლინგვისტიკის საფუძვლად), მაგრამ ამავე დროს განსხვავდება მისგან - ამისათვის მას უნდა ჰქონდეს თვალნათლივ წარმოდგენის უნარი. ასეთი ცნება - დანაწევრებულობის ცნებაა. შინაგანი დანაწევრება (არტიკულაცია) ენობრივი სინამდვილის არსებითი ნიშანია - არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რომ ენა ნიშანთა სისტემაა. ამ ნიშანს ეფუძნება მოდელირების ყოველი აქტი ენათმეცნიერულ კვლევაში.

დანაწევრებულობა ნიშნავს სინამდვილის ისეთ ბუნებას, როცა მასში გამოიყოფა გარკვეული რეგულარობის (შინაგანი კანონზომიერების) ბქონე მონაკვეთები. ენის დანაწევრებულობის მაგალითებია: ის, რომ ნებისმიერი ენის ყოველი სიტყვა შედგება ბგერებისა და მარცვლებისაგან; ის, რომ სიტყვაწარმოებითი თვალსაზრისით იგი შედგება ძირეული და არაძირეული მორფემებისაგან; ის რომ გრამატიკული თვალსაზრისით იგი შედგება ფუძისა და ფლექსიებისაგან; ის რომ სინამდვილის ყოველი სფერო არეკლილია ენაში და ეს არეკვლა მუდამ მოცემულია გარკვეულ ერთეულთა ერთობლიობის სახით (მაგ., ლექსიკურ-სემანტიკური ველი). ამ მაგალითებიდან შეიძლება გაყაკეთოთ დასკვნა, რომ ენას ახასიათებს ორმაგი დანაწევრებულობა, რომლის პრინციპიც ავლენს მის შინაგან კავშირს ნიშნის ცნებასთან. რას ნიშნავს ორმაგი დანაწევრებულობა?

ენობრივ სინამდვილეს საფუძვლად უდევს ონტოლოგიურად ორი იბიექტური მონაცემი:

1. ადაშიანის ბიურ წარმოთქმული ბგერა (მთელი ბგერიითი სინამდვილე ანუ ბგერითი კონტინუუმი - მთლიანური სფეროს უწყვეტი მოცემულობა -, რომელიც სხვადასხვაგვარადაა დაყოფილი. ბგერითი კონტინუუმის დანაწევრება გვაძლევს ერთეულებს - ბგერებს, რომელთა

ოკორიული გააზრება იძლევა ფონემებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ნიშნებს. მართალია, ბგერებს არ წარმოადგენენ ნიშნებს, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ისეთ ერთეულებს (ოდენობებს), რომელთა გარეშე ვერ იარსებებს ნიშანი. ჩვენ ვიცით, რომ აღმნიშვნელი - ეს არის აკუსტიკური ხატი. ყოველი აკუსტიკური ხატი - ეს არის ბგერითი კომპლექსი, ე.ი. იგი შედგება ბგერითი კონტინუუმის დანაწევრების შედეგად მიღებული ერთეულებისაგან. ენის პირველი დანაწევრებულობა - ეს არის ბგერითი კონტინუუმის დანაწევრებულობა ანუ ამ კონტინუუმის გადაქცევა ისეთ სინამდვილედ, რომელიც შედგება დისკრეტულად მოცემული ერთეულებისაგან.

2. მეორე ობიექტური რეალობა, ურომლისოდაც ენა შეუძლებელი იქნებოდა - ეს არის თვით სამყარო (ექსტრალინგვისტური სინამდვილე). როგორც ბგერითი კონტინუუმის არსებობა დავუშვით, ზუსტად ისევე უნდა დავუშვათ **სამნაროხეული კონტინუუმის** არსებობა. ყოველი ენა სამყაროსიუელ კონტინუუმს დანაწევრებულ ხასიათს ანიჭებს, ე.ი. თავისებურად ანაწევრებს სამყაროს - იძლევა სამყაროს თავისებურ მოდელს (ლექსიკური სისტემა მუდამ დაიყოფა ლექსიკურ-სემანტიკურ ველებად, და ეს ლექსიკურ-სემანტიკური ველები სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად გამოიყურებიან სწორედ სამყაროს სხვადასხვაგვარი აღქმისა და ასახვის შედეგად. ეს მეორე დანაწევრებულობა მუდამ ნიშნის საშუალებით ხდება (ნიშნობრივ ხასიათს ატარებს). სულ ერთია, აღვიქვამთ ნიშანს როგორც ლექსიკურ თუ გრამატიკულ ერთეულს, გამოვყოფთ ლექსიკურ თუ გრამატიკულ ასპექტებს - ენობრივი ნიშანი მუდამ არის ამ მეორე დანაწევრების შედეგი.

ორმაგი დანაწევრებულობა გულმისძობს ამრიგად: 1. ბგერითი კონტინუუმის დანაწევრებას; 2. სამყაროსიუელი კონტინუუმის დანაწევრებას. პირველი დანაწევრების შედეგია ენის ფონოლოგიური სისტემა, ხოლო მეორესი - ენის ლექსიკურ-გრამატიკული სისტემა.

დანაწევრებულობის ამ პრინციპის ეყრდნობა ენობრივი მოდელი, რომელიც მოიცავს ენას რიგორც მთლიანობას. ეს ის მთლიანური ამოსავალი მოდელია, რომლის ფარგლებშიც ჩნდება ქვესისტემების შექცეული მოდელები. ესაა ენის ორპლანოვანი მოდელი (გამოსატყვისა და შინაარსის პლანი). ერთი შეხედვით ამ ორი პლანის გამოსატყვა და მათი ასეთი გაფორმება ძალიან მარტივად გამოიყურება, მაგრამ იგი შინაგანად ორპლანოვანია. ორივე ამ ტერმინს თან ახლავს ორი გაგება: გამოსატყვის პლანის შინაარსი ხშირად ემთხვევა იმას, რასაც ენის პირველი დანაწევრებულობა ვუწოდეთ. ყველა ერთეული შედგება ბგერებისაგან, ყველა ბგერითი კომპლექსის ერთობლიობა (ყველა ენობრივი ნიშნის აკუსტიკური ხატების ერთობლიობა) იქნება გამოსატყვის პლანი. შინაარსის პლანი შეიძლება დაემთხვეს იმას, რასაც ვუწოდეთ სამყაროს კონტინუუმი. ნიშანთა ერთობლიობა ამ შემთხვევაში იქნება შინაარსის პლანი. მაგრამ უფრო ხშირია ამ ტერმინების ხმარება მეორე მნიშვნელობით: გამოსატყველების პლანად ითვლება არა მარტო პირველი დანაწევრების შედეგი, არამედ ყველა ნიშნობრივი ერთეულის ფორმალურ-სტრუქტურული მხარე. ანუ თუ კი ჩვენ ენობრივ ერთეულში განვასხვავებთ ფორმასა და შინაარსს და ტერმინ „ფორმას“ გავიგებთ სტრუქტურულად, მაშინ ფორმას ჩავოვლით გამოსატყველების პლანად, იმ შინაარსს კი, რომელიც აქვს ამ ფორმას – შინაარსის პლანად. ამ მნიშვნელობით სტრუქტურული ასპექტი – გამოსატყველების პლანია, სემანტიკური ასპექტი – შინაარსის პლანი. ჩვენ შეძგომში დავეყრდნობით პირველ გაგებას: გამოსატყველების პლანი – ესაა ენის ბგერითი სისტემა, ძილებული პირვანდელი ბგერითი კონტინუუმის დანაწევრების შედეგად. შინაარსის პლანი ენის ნიშნობრივი სისტემაა, ძილებული სამყაროს დანაწევრების შედეგად (შინაარსი აქ არ ემთხვევა სემანტიკას; ჩვენ ვგულისხმობთ ენობრივ ნიშანთა ერთობლიობას, რომელსაც აქვს როგორც ფორმა, ისე შინაარსი).

ნიშნის მთლიანური მოდელი და დიქტომიათა სისტემა, რომელიც სოსიურმა შექმოვთავაზა, ეხებოდა ენობრივ სინამდვილეს მთლიანად ანუ როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანს. მაგრამ თვით ლინგვისტური კვლევა კი (თეორიის აგება, მოდელის აგება, მეთოდების შექმნა) გამოხატულების პლანით დაიწყო. ამგვარად, პირველი ლინგვისტური თეორია იყო გამოხატულების პლანის თეორია ანუ ენობრივი სინამდვილის პირველადი დანაწევრების (ბევრითი კონტინუუმის დანაწევრების) თეორია. ამ ფაქტს აქვს არა მარტო ისტორიული, არამედ თეორიული მნიშვნელობაც. როგორც ლინგვისტური კვლევის პრაქტიკამ გვიჩვენა, შინაარსის პლანი წააგავს გამოხატულების პლანს თავისი სტრუქტურით (აღნაგობით). სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი ფონოლოგიის თეორიული, მოდელური და მეთოდური სახის გამოცდილების გამოყენება შინაარსის პლანის კვლევისას.

იმ სტრუქტურულ მსგავსებას, რომელიც გამოხატულებისა და შინაარსის შორის არსებობს, თანამედროვე ლინგვისტიკაში ჰომომორფული მიმართება ეწოდება (მიმართება, რომელსაც საფუძვლად უდევს ჰომომორფიზმის პრინციპი). ენათმეცნიერების ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ფონოლოგიური კვლევის ხვედრითი წონა მეტი იყო. შემდეგ, შინაარსის პლანზე გადასვლისას, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ორი პლანი სტრუქტურულად ერთმანეთს ემთხვევა. მაშინ ლაპარაკობდნენ იზომორფიზმზე. მაგრამ, როდესაც გამოიკვია, რომ დამთხვევა სრული არ არის, ამჯობინეს ჰომომორფიზმის ტერმინის შემოტანა.

ფონოლოგიის ცოდნა აუცილებელია ყველა ლინგვისტისათვის. ფონოლოგია თითქოს და იძლევა თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მეთოდოლოგიას, ცხადია, ბევრად უფრო მარტივი სახით, ვიდრე ენის უფრო მაღალ დონეებზე, მაგრამ საშაგიეროდ უფრო ნათელი

სახითაც. მივმართოთ შექმდე შედარებას: თანამედროვე სემანტიკა არ არსებობს სემური ანალიზის გარეშე, მაგრამ სემური ანალიზი ვერ დამკვიდრდებოდა ენათმეცნიერებაში. თუ არა ფონემატური ანალიზი. სემის როგორც მნიშვნელობის უმცირესი ერთეულის გამოყოფა გასდა შესაძლებელი იმითომ, რომ მანამდე ფონოლოგიამ გამოყო გამოხატვის პლანის უმცირესი ერთეული - ფონემა. აქ საქმე გვაქვს სტრუქტურულ მსგავსებასთან და არა იდენტურობასთან. ანალოგიის არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ ერთის მეოდეები მეორეში. არსებობს ანალოგია სიტყვას როგორც ფონემათა კომპლექსსა და შინაარსს როგორც სემათა კომპლექსს შორის. მაგრამ აქვე უკვე ჩანს, რომ ეს ჰომომორფიზმია და არა იზომორფიზმი: თუ ფონემა დისტინქტურ ნიშანთა კონაა, სემა ამგვარ კონად ვეღარ ჩაითვლება.

ფონოლოგიის ძირითადი მომენტებია:

1. რა მიმართებაა „ფონოლოგიასა“ და „ფონეტიკას“ შორის?

ეს დაპირისპირება ეფუძნება (ეკუთვნის) სოსიურისეულ ისეთ ფუძემდებელ დიქტომიას, როგორცაა ენისა და შეტყვევლების დიქტომია: ფონოლოგია შეისწავლის გამოხატულების პლანს ენის დონეზე, ფონეტიკა კი შეტყვევლების დონეზე.

2. რა იყო ამოსავალი ტრუბეცკოისათვის, რომელმაც შექმნა ფონოლოგია?

ტრუბეცკოისათვის ამოსავალი იყო კარლ ბიულერის თეორია. კბიულური ყოველ ენობრივ მონაცემში (გამონათქვამი მთლიანად ან მისი სემენტია გამოყოფდა სამ ფუნქციურ ასპექტს: ექსპლიკაციურს (ექსპლიკაცია), ექსპრესიულს (ექსპრესია) და აპელატიურს (აპელაცია). ბიულერის თეორია წარმოადგენდა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის წინასწარ მონაზვას, ვინაიდან იგივე ეს ფუნქციები ნიშნის საბგანსო მიღებიან მოდელის წინასწარი მონაზვა იყო. მაგრამ ბიულერის თეორია არ

ატარებდა სემიოტიკურ ხასიათს. მან ვერ პოოყა ის განვითარება, რომელიც შექმდეგ ბუნებრივი გახდა ნიშნის იმ მოდელისათვის, რომელიც მოდიოდა ამერიკული ფილოსოფიიდან.

ექსპლიკაციური ასიექტი მიუთითებს იმაზე, თუ რა არის შეტყვევლების საგანი (აღსანიშნი ფარით გაგებით - ანალოგია დენოტატ-სიგნიფიკატთან), რაც შეესაბამება ობიექტურ სინამდფილეში ან აზროვნებაში გამონათქვამს ან მის სეგმენტს;

ექსპრესია გულისხმობს, რომ ყოველი გამონათქვამი ან მისი სეგმენტი გამოხატავს იმ სუბიექტს, ვისაც იგი ეკუთვნის;

აპელაციური ფუნქციის საფუძველია ის, რომ ყოველი გამონათქვამი ან სეგმენტი მძაროულია ვინმესადმი (თანამედროვე ტერმინოლოგიით - ადრესატისადმი).

ამგვარად, ეს სამი ფუნქცია შეესაბამება სამ კითხვას: რა? ვინ? ვის მიმართ?

ამ სამი ფუნქციიდან ტრუბეცკომ გამოყო და თავისი ანალიზის ობიექტად აქცია **ექსპლიკაციური** ასიექტი. მან შეისწავლა გამოხატულების პლანი ისე, რომ აბსტრაჰირება მოახდინა როგორც ადრესატისაგან, ისე ადრესანტისაგან.

ამგვარად, ტრუბეცკოს თეორია - ეს არის აღმნიშვნელის თეორია (დღევანდელი ენათ - პრაგმატული ელემენტების გათვალისწინების გარეშე).

3) როგორ ხდება ბგერითი კონტინუუმის დანაწევრება ენაში? - ასეთი იყო კითხვა, რომელსაც უპასუხა ტრუბეცკოს თეორიამ. ბუნებრივია, რაკი ლაპარაკი იყო ბგერით კონტინუუმზე, ტრუბეცკოს ფონოლოგიაც - ეს არის თეორია ენობრივი ბგერის შესახებ.

ტრუბუცკოი კ. ბიულერის თეორიიდან გამომდინარე ექსპლიკაციურ ასპექტს და მის ფარგლებში განასხვავებს ბგერის (ბგერიითი მონაცემის ფართო გაგებით) საშ ფუნქციას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მას მეტყველების ნაკადში:

1. კულმინაციურს (მწვერვალის წარმოქმნილი ფუნქცია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი სიტყვა გვაქვს ფრაზაში. გერმანულსა და ფრანგულში ამ ფუნქციას მთავარი მახვილი ასრულებს):

2. დელიმიტაციის (გამმიჯნავი ფუნქცია - იგი გვიჩვენებს სიტყვებს შორის საზღვარს).

ეს ორი ფუნქცია არ არის აუცილებელი და რომელიმე ენაში შეიძლება არც გვექონდეს.

3. დისტინქციურს (ნიშნობრივ ეროყულთა განმასხვავებელი ფუნქცია).

ამ მესამე ფუნქციის გარეშე შეუძლებელია არამც თუ მოცემული ნიშნის, არამედ საერთოდ ენის ფუნქციონირება. იმასთვის, რომ ნიშანი არსებობდეს და გარკვეულ ფუნქციას ასრულებდეს მეტყველებაში, იგი უნდა განსხვავდებოდეს სხვა ნიშნებისაგან როგორც გამოსატყულების, ისე შინაარსის პლანში.

ფონოლოგია როგორც მეცნიერება ენის გამოსატყულების პლანის შესახებ, რა ოქმა უნდა, შეისწავლის ბგერის ყველა ფუნქციას - როგორც ექსპლიკაციურს, ისე ექსპრესიულს და აბელაციურს, როგორც დისტინქციურს, ისე კულმინაციურსა და დელიმიტაციურს. მაგრამ ფონოლოგია შეიქმნა როგორც დისციპლინა, რომელიც შეისწავლის გამოსატყულების პლანს ობიექტურ ასპექტში, სუბიექტის ფაქტორის გამორიცხვით, და ამ ასპექტის ფარგლებში იგი ძირითად საგნად მიიჩნევს ბგერის დისტინქციურ ფუნქციას. სწორედ აქაა ფონოლოგიური მეცნიერების ძირთვი და სწორედ ამ პლანთანაა დაკავშირებული ფონოლოგიის როგორც მეცნიერების ძირითადი თეორია -

ოპოზიციათა თეორია. ამ თეორიას (და საერთოდ ფონოლოგიას ფართო გაგებით) საფუძვლად უდევს **ორი** ცნება:

1. **ბგერითი ოპოზიციის** ცნება (ამ ცნებით შეპოვიდა XXსაუკუნის ლინგვისტიკაში ოპოზიციის ცნება, რომელსაც შემდგომი გაშქოლი მნიშვნელობა მიენიჭა);

2. **ოპოზიციური ერთეულის** ცნება.

ბგერითი ოპოზიციის ცნება უშუალოდ ეფუძნება განსხვავების ცნებას. იგი განსხვავების ცნებას აზუსტებს, ანიჭებს მას თეორიულ მნიშვნელობას. სიტყვები თავის გამოსატყულების პლანში ერთმანეთისგან განსხვავდებიან: ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან იმდენად, რამდენადაც განსხვავდებიან: ამ მომენტში იბადება ფონოლოგია. ყოველი მკაცრიერება ეყრდნობა ყოველდღიური ინტუიციის მონაცემებს (აქსიომებს): სიტყვები რომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ამის გასაგებად არ არის აუცილებელი ყოველ ლინგვისტიკი. ამ ამოსავალ ინტუიციურ მონაცემებს ეყრდნობა ფონოლოგია როგორც აქსიომას. მას რომ ოპოზიციას ვუწოდებთ, ამით პირველ ნაბიჯს ვდგამთ ფონოლოგიის შექმნაში. მეორე ნაბიჯი მდგომარეობს იმაში, რომ დაპირისპირება სიტყვათა შორის შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობისა: როგორც მინიმალური (პური - ყური), ისე მინიმალურზე მეტი და მაქსიმალურიც.

ოპოზიცია გულისხმობს ოპოზიციის წყევრების არსებობას: თუკი ერთმანეთს არ დაუპირისპირდება ორი წყერი მაინც, ოპოზიცია არ იქნება. ყოველი ურთიერთ-დაპირისპირებული ერთეულები გვაძლევს ოპოზიციურ ერთეულს. ამრიგად, მივდივართ დაკონკრეტების გზით: განსხვავების ცნება → ოპოზიციის ცნება → დაპირისპირების მოცულობის საკითხი → ოპოზიციური ერთეული. ფონემაქმდე ერთი ნაბიჯი რჩება.

ოპოზიციურ ერთეულებს აერთიანებს ის, რომ შეიძლება მათი შემდგომი დანაწევრება დაპირისპირების მისუდვით. მაგრამ ისეთ ფონოლოგიურ ერთეულს, რომლის

შემდგომი დანაწევრება შეუძლებელია, ანუ მინიმალურ ფონოლოგიურ ერთეულს ფონემა ეწოდება.

როდესაც ვაშობთ, რომ ფონემის შემდგომი დანაწევრება შეუძლებელია, ვგულისხმობთ დანაწევრებას ხაზობრივი (ლინეარური) მიმართულებით. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ფონემის დანაწევრებას არაალინეარულად (არახაზობრივად): ფონემა შეიძლება წარმოვიდგინოთ გარკვეულ ელემენტთა ერთობლიობად (დისტინქციური ნიშანთა კონად). ამრიგად, ფონემის დანაწევრება შეიძლება, მაგრამ არა ისეთ ერთეულებად, რომლებიც ბგერით ნაკადში ერთმანეთს მისდევენ.

ფონემის ცნება ამოსაყალი ცნებაა იმისთვის, რომ მასზე დაყრდნობით გაიშალოს ბგერით ობოზიციათა თეორია. ამ თეორიას ორი ამოსაყალი წერტილი აქვს:

ჯანსხვაების ცნება - მან გამოგვიყო ფუქსებელი ცნებები (ობოზიცია → ობოზიცირი ერთეული), რომლებმაც მოგვცეს ფონემის ცნების გამოყოფის შესაძლებლობა, ფონემის ცნებამ კი შესაძლებელი გახადა ობოზიციათა კლასიფიკაცია.

იმისთვის, რომ ფონოლოგიაში შეისწავლოს გამოხატულების პლანი მთლიანობაში, არ არის საკმარისი ფონემის როგორც მინიმალური ერთეულის, ენის ბგერითი სისტემის ძირითადი ერთეულის გამოყოფა. აუცილებელია იმის დადგენაც, თუ როგორ გამოყურება ენის ბგერითი სისტემა მთლიანობაში: თუ გამოხატულების პლანის ერთეული ფონემაა, მაშინ რა უნდა იყოს თვით გამოხატულების პლანი?

ფონოლოგია თავის სისტემას (გამოხატულების პლანის ისეთ ხედვას, რომელიც გულისხმობს, რომ გვაქვს ელემენტი ფონემა) აგებს როგორც ფონოლოგიურ ობოზიციათა კლასიფიკაციის სისტემას. მაგრამ ამ სისტემის აგებამდე უნდა დაზუსტდეს თვით ფონემის გამოყოფის პრინციპი.

ენაში ორი ბგერა შეიძლება ერთმანეთთან იყოს შექმნე ორ ძირითად მიმართებაში: ისინი შეიძლება გამორიცხავდნენ ერთმანეთს ერთსა და იმავე გარემოცვაში,

და პირიქით, ერთსა და იმავე გარემოცვაში ისინი შეიძლება ურთიერშენაცვლებადნი იყვნენ. იმისათვის, რომ ბგერებმა შეასრულონ დისტინქციური ფუნქცია (როგორც: „პური - ყური“), ისინი უნდა იყვნენ ურთიერშენაცვლებადნი. თუ ბგერები ერთმანეთს გაპირიციხავენ რომელსმე პოზიციაში, მაშინ ისინი ვერ შექმნიან ისეთ თბოზიციას, რომელსაც დისტინქციური ფუნქცია ექნება. ბგერათა მხოლოდ ის შიძარათება, რომელსაც ურთიერთშენაცვლება ქმნის, იძლევა ფონემის გამოყოფის საშუალებას. მაგრამ ურთიერთშენაცვლებადობის პირობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. თუ ორი ბგერა შეიძლება იყოს ერთსა და იმავე გარემოცვაში ისე, რომ ამ ურთიერთშენაცვლების შედეგად მათ შეეძლოს დაუპირისპირონ ერთმანეთს ნიშნობრივი ერთეულები (მორფემები, სიტყვები) და გამოიყონ როგორც ცალკეული ფონემები, ამისათვის აუცილებელია, რომ ამას თხოვლობდეს მოცემული ენის ფონოლოგიური სისტემა. ასე, მაგალითად, გერმანულში r-l (Rand Land) ურთიერთშენაცვლებადი ბგერებია, ისინი ორ ნიშნობრივ ერთეულს განასხვავებენ. იაპონურში კი r-l ერთ პოზიციაში არ ასრულებენ ნიშანთა განსხვავების ფუნქციას - ისინი ერთი და იმავე ფონემის კომპინატორული ვარიანტებია.

ლექცია № 16

ფონოლოგიას აქვს თავისი ცნებითი და მეთოდური აპარატის აგების ორი ამოსავალი წერტილი. პირველი მთლიანად ეკუთვნის ყოველდღიურ სინამდვილეს. ესაა განსხვავებების ფაქტი ენობრივ ერთეულებს შორის. მეორე ამოსავალი წერტილი თვით მის წიაღშია, ასევე ფონემის ცნება. თუ პირველ წერტილზე დაყრდნობით იქმნება ფონემის ცნება, თვით ფონემაზე დაყრდნობით იქმნება ფონოლოგიურ თბოზიციათა სისტემა.

შინაარსის კვლევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქონდა თვით ფონოლოგიურ თბოზიციათა სისტემას, დისტრიბუციის ცნებას, რომელიც დაუკავშირდა ფონემათა იდენტიფიკაციის ანუ შათი არსებობის-არარსებობის დადგენის პროცედურას და ფონოლოგიური ნეიტრალიზაციის ცნებას.

რადგან ენაში გვაქვს ფონემათა სიმრავლე, აშდენად უნდა გვექონდეს ფონემურ თბოზიციათა სახეები, ტიპები. სწორედ ფონემურ თბოზიციათა ტიპოლოგიაა ის ცნება, რომელიც ფონემათა სიმრავლეს აქცევს სისტემად. ტრუბეტკოიმ შემოიტანა ფონოლოგიური თბოზიციის საში ძირითადი ტიპი და მისცა მას უნივერსალური ღირებულება. ეს ტიპებია:

1. პრივატული თბოზიცია;
2. ეკვიპოლენტური თბოზიცია;
3. გრადუალური თბოზიცია.

ეს ტიპები ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს განსხვავებებთან, რომლებიც ფორმდება ლინგვისტურად რიგორც თბოზიცია.

პრივატული თბოზიცია გვაქვს მაშინ, როდესაც თბოზიციის ერთ წევრს აქვს ისეთი თვისება, რომელიც არა აქვს მეორეს (მაგ.: „გ“-„ბ“). „ბ“-ს აქვს მჟღერადობა, რომელიც არა აქვს „გ“-ს. პრივატული თბოზიციის იმ წევრს, რომლის შესახებაც ითქმის. რომ მას აქვს ის თვისება, რომელიც თბოზიციის საფუძველს წარმოადგენს, მარკირებული წევრი ეწოდება.

ეკვიპოლენტური თბოზიციაში თვისების არსებობა-არარსებობა რომელიმე წევრში არ წარმოადგენს დაპირისპირების საფუძველს („ბ“-„ტ“, „პ“-„შ“ ...). ამ ტიპის თბოზიციაში ქარბობს საერთო ნიშნები. მისი სისტემის შემქმნელი ღირებულება ბევრად ნაკლების, ვიდრე პრივატულის.

გრადუალური თბოზიციის მაკლასიფიკირებული ღირებულება კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე

ეკვიპოლენტურისა. გრადუალურობა წევრებს შორის საფუნურებრივად არის განაწილებული. გრადუალურ ოპოზიციაში შეიძლება გვექონდეს სამი და მეტი წევრი. ასე, მაგალითად, მოყლი ხშოვანთა სისტემა შეიძლება აღვიქვათ გრადუალურ ოპოზიციად, ყოქვათ, ღიაობის მიხედვით.

ოპოზიციათა უნივერსალურ ხასიათს დაყინახავთ, თუ გაავალებთ პარალელს ფონემებს და ანტონიმურ წევრებს შორის:

ლაშაზი - ულაშაზო (პრივატული ოპოზიცია)

ლაშაზი - მახინჯი (ეკვიპოლენტური ოპოზიცია)

ლაშაზი - ულაშაზო - მახინჯი (გრადუალური ოპოზიცია)

როგორც არ უნდა იყოს ფონემური ოპოზიცია, მას აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პარადიგმატიკაში. სინტაგმატიკაში ყოველი ფონოლოგიური ოპოზიცია ან შენარჩუნდება, ან ნეიტრალიზდება. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას, ფონოლოგიურ ოპოზიციას სინტაგმატიკაში სჭირდება პოზიციურად ხელსაყრელი კონტექსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მისი ნეიტრალიზაცია (მაგ.: სიტყვის ბოლოს მეორე და ყრუ თანხმოვანთა ნეიტრალიზაცია). ეს პოზიცია ამ ოპოზიციისათვის არასელსაყრელია, სიტყვის დასაწყისი კი, პირიქით, ფონოლოგიურად რელევანტური იქნება.

დისტრიბუციის ცნება ტრუბეცკოის არ შემოუტანია, მაგრამ იგი შეუძლებელი იქნებოდა ფონოლოგიურ ოპოზიციასა იმ თეორიის გარეშე, რომელიც აავტო ტრუბეცკოიმ. დისტრიბუცია (განაწილება) - ეს არის ტერმინი, რომელიც გვხვს ორი ისეთი ბგერის ურთიერთმიმართებას, რომლებიც ერთმანეთს ენათესავენ და რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ერთსა და იმავე ბგერით გარემოცვაში. ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ ან განასხვავონ ერთმანეთისაგან ნიშნობრივი ერთეულები, ან არა. თუ ორი ასეთი ბგერა, ე.ი. ერთმანეთის მონათესავე ბგერა მოქცეულია მსგავს ბგერით გარემოცვაში და ამასთან ისინი

ასრულებენ დისტინქციურ ფუნქციას, მაშინ ჩვენ გვუქნება ორი ფონემა ან ორი ფონემის სხვადასხვა რეალიზაცია (როგორც Land - Rand). ასეთ დისტრიბუციას კონტრასტულს უწოდებენ. თუ ორი ბგერა ერთმანეთს ცვლის იდენტურ ბგერით გარემოცვაში, ისე რომ ამ ურთიერთშეცვლისას ისინი არ ასრულებენ დისტინქციურ ფუნქციას, ასეთ ობოზიციას თაყისუფალი ვარიაცია ეწოდება (КОМБНО-КОМБНО). თუ კი ორი მონათესავე ბგერა არის მსგავს გარემოცვაში და ამასთან ისინი არ ასრულებენ დისტინქციურ ფუნქციას, გვაქვს თაყისუფალი დისტრიბუცია.

ფონოლოგიური ისტემის აგებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია კონტრასტული დისტრიბუცია.

ლექცია № 17

ენის შინაარსის პლანზე ლაპარაკი ნიშნავს, როგორც ცალკეული ნიშნის აღსანიშნვე, ისე ამ აღსანიშნთა ერთობლიობაზე ლაპარაკს. პირველ შემთხვევაში ვლაპარაკობთ შინაარსის პლანის ერთეულებზე, ხოლო მეორეში - შინაარსის პლანზე როგორც სისტემაზე.

ტრადიციულად ენის შესწავლა გულისხმობდა ენათმეცნიერების საში დარგის - ფონეტიკის, გრამატიკასა და ლექსიკოლოგიის გამოყოფას. თუ ამ ტრადიციულ დაყოფას სემიოტიკური თვალსწრისით შევხედავთ, მაშინ ფონეტიკა-ფონოლოგია შესწავლის გამოსატრულების პლანს, გრამატიკა და ლექსიკოლოგია - შინაარსის პლანს. ანუ: ფონოლოგია შესწავლის ენას არანიშნობრივ, ერთპლანიან ერთეულებს, ხოლო გრამატიკა და ლექსიკოლოგია - ენის ნიშნობრივ, ორპლანიან ერთეულებს. ამგვარი დაყოფა არ არის მხოლოდ საშად დაყოფა (ტრიქოტომია), იგი ორად დაყოფაცაა (დიქოტომია). გრამატიკა და ლექსიკოლოგია ერთად უპირისპირდება ფონოლოგიას. მაგრამ გრამატიკის და ლექსიკოლოგიის ამ შინაგან ერთიანობას თანამედროვე

ენათმეცნიერებაში ეძლევა უფრო ღრმა და შორისმდებელი აზრი. მას აქვს ორი მხარე: ფორმალური და შინაარსობრივი.

გრამატიკის და ლექსიკოლოგიის ფორმალური დაპირისპირება არაა წმინდა პრივატული ხასიათისა, იგი აგრეთვე გრადუალურიცაა: ენაში გვაქვს ისეთი მოვლენებიც, რომლებიც გვაძლევენ უფლებას გრამატიკულობა დაუპირისპიროთ ლექსიკურობას, მაგრამ გვაქვს ისეთებიც, რომლებიც ამის საშუალებას არ გვაძლევენ. (მაგალითად, გვაქვს ფუნქციური პარალელიზმი სიტყვაწარმოებით და საკუთრივ გრამატიკულ მორფემებს შორის, მაგრამ გვაქვს ნახევარაფიქსები, რომელთა შესახებ ძნელია ითქვას, თუ რას განეკუთვნება ისინი).

ამ ფორმალურ ასპექტს (გრადუალურობას) აქვს თავისი შინაარსობრივი კორელატი. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებას ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობები (კატეგორიები) სულ უფრო და უფრო ესმის ისეთ მნიშვნელობათა კერძო, სპეციფიკურ გამოვლინებად, რომლებსაც ვერ ვუწოდებთ ვერც ლექსიკურ და ვერც გრამატიკულს. ესაა ე.წ. უნივერსალურ-აზრობრივი (უნივერსალურ-ლოგიკური) ანუ ფუნქციური-სემანტიკური კატეგორიები. მაგალითად, დროს როგორც ზმნურ გრამატიკულ კატეგორიას შეიძლება პქონდეს ლექსიკური გამოხატულებაც (დღეს, ზვალ, ზეგ). ამიტომაც, რომ ენის შინაარსის პლანში გვაქვს მესამე სახის პარადიგმებიც, რომლებიც აერთიანებენ ლექსიკურ და გრამატიკულ ერთეულებს - ფუნქციურ-სემანტიკური ანუ ლექსიკურ-გრამატიკული ველები (პარადიგმები).

გრამატიკის და ლექსიკის დაპირისპირებისას აუცილებელია დავყვარდნოთ ერთდროულად სამ კრიტერიუმს, რომლებიც სხვადასხვა დროს შეტანილებად იყო აქცენტირებული. მათი თეორიული მნიშვნელობა არათანაბარია. ესენია:

1. გრამატიკული მნიშვნელობის აბსტრაქტულობა (ეს კრიტერიუმი არ არის გადაშწყვეტი, მას უფრო ევრისტიკული მნიშვნელობა აქვს).

2. გრამატიკულ ერთეულთა ინვენტარის დახშული და ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარის ღია ხასიათი (მორფემების, რაოდენობრივი „ამოწურვა“ შეიძლება, ხოლო ლექსიკური ერთეულების სისტემა ამოუწურავია).

ამ კრიტერიუმის შეშოტანა უკავშირდება საკითხს, თუ რა უნდა ბივინიოთ შინაარსის პლანის ერთეულად. თავდაპირველად ასეთ ერთეულად მინეული იყო სიტყვა. მაგრამ როდესაც ლინგვისტური კვლევის მეთოდიკა უფრო მკაცრი გახდა, მიინიეს, რომ როგორც გამონატულების პლანში ჩვენ გვაქვს ფონემა, ზუსტად ასეთი შინაარსის პლანსაც ფონემა (მარტინე) და არა სიტყვა. მორფემა – ძირითადი ორპლანიანი ერთეულია. რაკი არსებობს მორფემათა კლასი, რომელსაც აქვს დახშული ხასიათი, შეიძლება ვილაპარაკოთ გრამატიკულ მორფემაზე. ლექსიკა კი ღიაობით ხასიათდება.

3. გრამატიკული ერთეულები ლექსიკურისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მეტყველებაში მათ აქვთ ობლიგატორული ხასიათი.

ლექცია № 18

სიტყვაწარმოებასა და ფრაზეოლოგიას ლექსიკასთან არაერთნიშნა, რთული დამოკიდებულება აქვთ. მართალია, ეს ქვესისტემები უპირისპირდებიან გრამატიკას იმ ძირითადი ნიშნების მიხედვით, რომლებზედაც წინა მეცადინეობაზე ვილაპარაკეთ, მაგრამ, ამავე დროს, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ძლიერია ტენდენცია, გავშიჯნოთ ხსენებული სისტემები ლექსიკისაგან და მივცეთ მათ ცალკეული ენობრივი დონის სტატუსი. რა არის გადაშწყვეტი იმისათვის, რომ ჩაითვალოს თუ არა მოცემული სფერო ენის

ცალკეულ დონედ? გადამწყვეტ კრიტიკიუმიად უნდა წაიფარდოს მნიშვნელობისა და გამოსატყულების პლანების ისეთი გაგება, როდესაც პრიმატი მნიშვნელობის პლანს ენიჭება. ცალკეული დონე უნდა გამოიყოს შაშინ, როდესაც შესაძლებელია გამოიყოს და შესაბამისად განისაზღვროს ენობრივი მნიშვნელობის რამდენადმე ავტონომიურად არსებული სასე. ძლიერდება ტენდენცია, რომ ისეთი მნიშვნელობის გეგმით, როგორცაა გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობები, გამოიყოს აგრეთვე სიტყვაწარმოებითი და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობები.

დებულება, რომელიც კრიტიკიუმის როლის ასრულებს, ფორმულირებული უნდა იყოს ასე: გრამატიკული მოვლენები (პირველ რიგში კი გრამატიკული მნიშვნელობები) განსხვავდებიან არაგრამატიკული (პირველ რიგში ლექსიკურია მნიშვნელობებისაგან იმით, რომ მათ აქვთ რეგულარული და სავალდებულო ხასიათი იმ ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის, რომელიც სარგებლობს ამ ერთ კომუნიკაციის დამყარების, შეტყვევების ანუ მოცუპულ ენაზე ტექსტის აგების პროცესში. გრამატიკული მოვლენების რეგულარული და სავალდებულო ხასიათი თავს იჩენს სწორედ ტექსტის აგების პროცესში, ტექსტის ფარგლებში. კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია ავადგოთ ტექსტი იმის გარეშე, რომ ჩვენთვის სავალდებულო არ იყოს გარკვეულ ენობრივ მნიშვნელობათა ან ენობრივ ფუნქციათა რეგულარული ხმარება (აღბათი, უფრო სწორი იქნებოდა „ხმარების“ ნაცვლად გეგმარა სიტყვა „წარმოჩენა“: ჩვენი ადამიანური არის შინაგანად იმდენად იქმნება ერთი, სიტყვა „ხმარება“ კი იმდენად გულისსმობს იმას, რომ რასაც ვხმარობთ - არის ჩვენს გარეთ, რომ იგი ვერ ასახავს ჩვენს მიმართებას ენობრივ მოვლენებთან). საილუსტრაციოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ მცირე მოცულობის ყველა ტექსტი. ყოველთ, ვიწყებთ ლაპარაკს ქართულად, და რაკი ვშეტყველებთ, ამ შეტყვევებამ უნდა მიიღოს ტექსტის

(ტექსტუალური) სახე. თუ გრამატიკულობის პრინციპს მივანიჭებთ უფრო თანამიმდევრულ მნიშვნელობას, მაშინ რა უნდა ჩათვალოს ენა-შეტყველების პირველ გრამატიკულ ნიშნად, თუ გრამატიკულს გავიგებთ როგორც რეგულარულსა და სავალდებულოს? რიოდესაც ვშეტყველებთ, ერთდროულად ყართ თავისუფალიც და შეზღუდულიც. თავისუფალი ყართ იმაში, თუ როგორ გავშლით თქმას საკომუნიკაციო ინტენციიდან გაშომდინარე. აქ არჩევანის სიყურო ფართოა, მაგრამ შეიძლება ვიშეტყველოთ ისე, რომ ამ შეტყველებას არ პქონდეს ტექსტის ფორმა? გრამატიკულობის გაგებას თუ ღრმა მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ ძირითად გრამატიკულ ნიშნად უნდა ჩავოვალოთ ჩვენი შეტყველების **ტექსტუალურობა**. კომუნიკაციური ლინგვისტიკა გრამატიკულ მნიშვნელობა სწორედ ტექსტუალურობას მიიჩნევს. მაგრამ ის, რაც უფრო ფართოა, ფუქშბდებელიც არის. ყველაზე ფართო გრამატიკული მნიშვნელობაა, რომელსაც ექვემდებარება ყველა დანარჩენი. ამიტომ კომუნიკაციური გრამატიკა გულისხმობს იმას, რომ სიტყვის და წინადადების გრამატიკა (მორფოლოგია - სინტაქსი) დაფუქვემდებაროთ ტექსტის გრამატიკას. ამრიგად:

1. ყველაზე რეგულარულია ტექსტუალურობა;

2. შეშბდეგ სავალდებულო და რეგულარულია ის, რომ თუ ტექსტი შედგება წინადადებებისაგან. მათ შორის უნდა იყოს კავშირი - ტექსტი უნდა იყოს შინაგანად შეკავშირებული: **კოჰერენტულობა** ტექსტის ამოსავალი კატეგორიაა;

3. ტექსტის უშუალო კომპონენტია წინადადება - ესეც რეგულარული და სავალდებულოა.

წინადადება შეიძლება იყოს სხყადასხვა შინაარსისა და ფორმის, ამასთან ფორმის პლანში ბევრით შეტად ვართ შეზღუდული, ვიდრე შინაარსისა. შეიძლება ავაგოთ წინადადება ისე, რომ მასში რაღაცაზე რაღაც არ იყოს ნათქვამი (თემა - რემა. სუბიექტი - პრედიკატი) - არ იყოს ის, რაზეც არის რაიმე ნათქვამი და ის, რაც არის ნათქვამი?

აქტი, რომელსაც ლოგიკაში უწოდებენ მსჯელობას, ენაში მუდამ იღებს ენობრივ გაფორმებას. სინამდვილეში ენა და აზროვნება იმდენად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მათ შეიძლება ვუწოდოთ ერთი და იმავე მოვლენის ორი განზოპილება. წინადადება შეუძლებელია სუბიექტისა და პრედიატის გარეშე. საგალდებულოდ უნდა ჩათვალოს სუბიექტურ-პრედიატული ტრუქტურა ანუ მისი ორწევრიანობა. ეს უკვე ტექსტის უშუალო კომპონენტის - წინადადების - რეგულარული და საგალდებულო ნიშანია. წინადადება ორწევრიანი სტრუქტურაა და თითოეული წევრი უნდა იყოს გამოსატყულო. შეგვიძლია ავაგოთ წინადადება ისე, რომ რომელიმე ერთ-ერთი წევრი არ იყოს დასახელებული კონკრეტული სიტყვით? (ე.წ. ერთწევრა წინადადებები, თუმცა ერთწევრა წინადადებები არა გვაქვს - სუბიექტი იგულისხმება მუდამ, უბრალოდ ძნელდება მისი გამოყოფა; სუბიექტზე მიაჩნებებს თუნდაც ის, რომ ზმნა მუდამ მოცემულია პირიან ფორმაში - „წვიმს“. ე.ი. ერთწევრიანობა გვაქვს ზედპირზე და არა სიღრმეში).

არსებობს მეორე თვალსაზრისიც: რომ ასეთი წინადადებები წარმოადგენენ არა ელიფსურ წინადადებებს, არამედ მათი ერთწევრიანობა - ესაა ჭეშმარიტი ერთწევრიანობა, განპირობებული მათი სემანტიკით: ნებისმიერი ენის ნებისმიერი წინადადება ასახავს სინამდვილის რომელიმე სიტუაციას ან დანაწევრებულად (სუბიექტი - პრედიატი - დანაწევრებული ნომინაცია), ან არადანაწევრებულად, მთლიანურად, სეგმენტების გამოყოფის გარეშე (გლობალური - მთლიანური ნომინაცია). თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ წინადადების ორწევრიანობის უნივერსალურ ხასიათზე და საგალდებულოდ უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ყოველი წინადადება უნდა ასახავდეს სიტუაციას ან დანაწევრებულად, ან დაუნაწევრებულად.

საგალდებულოა, რომ წინადადების წევრი იყოს გამოსატყულო სიტყვით. რაკი საგალდებულოა, ეს მოვლენაც გრამატიკას ეკუთვნის. მასთან, ეს ნიშნავს, რომ ლექსიკურ

ეროუელთა აქტუალიზაცია სდება წინადადებაში. ამროგად, გაძოდის, რომ გვაქვს უროიერთმძაროება წინადადების სტრუქტურას და ლექსიკას შორის. რას შეგვიძლია ამ უროიერთმძაროებაში ვუწოდოთ რეგულარული და სავალდებულო? სავალდებულოა, რომ სუბიექტი გაძოხატული იქნას სახელით, ან ნაცვალსახელით, ან ისეთი სიტყვით, რომელიც ტრანსპონირებული იქნება სახელის სუეროში. პრედიაკტი კი უნდა იქნეს გაძოხატული ან ზმნით, ან ისეთი სიტყვით, რომელიც ტრანსპორტირებული იქნება ზმნის სუეროში.

ლექცია № 19

შინაარსის პრიმატის ძინედვით, გრამატიკულობის საუეძვლად ენობრივ სინამდვილეში ჩვენ ჩაფთვალეო გრამატიკული ძნიშვნელობის გაძოხატვის რეგულარული და სავალდებულო ხასიათი და შეეცადეო გვიჩვენებინა ეს ხასიათი როგორც ტექსტობრივ, ისე უფრო „დაბალ“ დონეებზე. ჩვენ შევჩერდით იძის განსაზღვრაზე, თუ რას ნიშნავს ეს სავალდებულო და რეგულარული ხასიათი წინადადების იმ წყერთა გაძოხატვის თვალსაზრისით, რომელთაც გულისხმობს წინადადების სუბიექტურ-პრედიაკტული სტრუქტურა. ვთქვათ, რომ სავალდებულო და აუცილებელია არა ძართო თვით ეს სტრუქტურა, არამედ ამ ბინარულ სტრუქტურაში შეძაყალ წვეროთა (ანუ სუბიექტისა და პრედიაკტის) გაძოხატვა სიტყვათა ისეთი კლასების წარშოძადგენლებით, რომელთა სემანტიკა შეესაბამება ამ ბინარული სტრუქტურის წყერთა ფუნქციას. და თუ ამოვალთ ამ შესაბამისობიდან, უნდა ითქვას, რომ სუბიექტის გაძოხატვის ფუნქციას პირველ რიგში შეესაბამება სიტყვათა ისეთი კლასი, რომელსაც ეწოდება არსებით სახელითა კლასი, ხოლო პრედიაკტის გაძოხატვას - სიტყვათა ისეთი კლასი, რომელსაც ეწოდება ზმნითა კლასი. ამროგად, აუცილებელი

და რეგულარულია არა მარტო ბინარული სტრუქტურა. არამედ ის შესაბამისობაც, რომელიც არსებობს წინადადების აუცილებელ და რეგულარულ წევრობა და სიტყვათა გარკვეულ კლასებს შორის. ამ შესაბამისობას კი განაპირობებს სიტყვათა შესაბამისი კლასების სემანტიკა, ანუ ის განზოგადებული მნიშვნელობა, რომელიც თან ახლავს სიტყვათა რომელიმე კლასს და რომელსაც, ცალკეული სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფისაგან განსხვავებით, **კატეგორიალური მნიშვნელობა** ეწოდება. ე.ი როდესაც ვამბობთ, რომ სუბექტს როგორც წინადადების წევრს შეესაბამება არსებით სახელთა კლასი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შესაბამისობას განსაზღვრავს არსებით სახელთა კლასი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შესაბამისობას განსაზღვრავს არსებით სახელთა კლასის კატეგორიალური მნიშვნელობა. ნებისმიერი არსებითი სახელის მნიშვნელობა უნდა იყოს ხსენებული კატეგორიალური მნიშვნელობის ერთ-ერთი სახე, ერთ-ერთი გამოვლენა. იგივე ითქმის ზმნათა კლასზე და ზმნის კატეგორიალურ მნიშვნელობაზე. ამის თქმა საჭიროა იმიტომ, რომ ამით ხაზი გაესმის გრამატიკულისა და არაგრამატიკულის (ლექსიკურის) სიღრმისეულ კავშირს. ცალკეული ჯგუფის ან სიტყვათა ჯგუფის სემანტიკა განეკუთვნება, რა თქმა უნდა, ლექსიკურ სემანტიკას, მაგრამ მნიშვნელობათა განზოგადების ის დონე, რომელსაც გულისხმობს კატეგორიალური მნიშვნელობა, - ეს უკვე ისეთი მნიშვნელობაა, რომელიც გადადის გრამატიკულობაში. ამ დონეზე ხდება ლექსიკური სემანტიკის გრამატიკალიზაცია: თუ წინადადების წევრობა გამოხატავს გულისხმობს გარკვეული კატეგორიალური მნიშვნელობის სიტყვებს, უკვე გვაქვს ის საკლდედებულო და რეგულარული ხასიათი, რომელიც ნიშნავს გრამატიკულობას. ამიტომ სიტყვათა კლასები ანუ შეტყვევლების ნაწილები, თუ ჩვენ მათ განვიხილავთ ხსენებული შესაბამისობის თვალსაზრისით, წარმოადგენენ უკვე გრამატიკულ კატეგორიებს.

წინადადების ბინარულობის გამომსატყულ სტრუქტურად ჩვენ მივიჩნევთ სუბიექტურ-პრედიკატური სტრუქტურა (სწორედ ეს ბინარულობა ითვლება წინადადების დონეზე საფაღდებულო და რეგულარულ ნიშნად). მაგრამ ჩვენ ჩვენი გრამატიკული პრაქტიკიდან ვიცით, რომ გარდა სუბიექტისა და პრედიკატისა გვაქვს წინადადების სხვა წევრები - ორივეს შეიძლება ასღდეს წევრები, რომლებიც მათ საზღვრავს. ეს ფაქტი არაფერს ცვლის წინადადების ბინარულობაში, ვინაიდან, როგორც არ უნდა მოხდეს წინადადების ასეთი გაფრცობა, ყოველი გამაყრცობელი წევრი შეკა ან სუბიექტის, ან პრედიკატის ჯგუფში. ცხადია, ენაში გვაქვს სიტყვათა კლასები (მეტყველების ნაწილები), რომელთა კატეგორიული მნიშვნელობა შეესაბამება გაფრცობის ამ ფუნქციას (ზედსართაფი სახელები, ზმნიზედები და სხვ.). ამ მეტყველების ნაწილთა არსებობაც არ სციღდება იმ ფაქტს, რომ ენის სიტყვიერი სფერო თავისი სტრუქტურით ბიბოლარულია (პოლარიზირებულია) - ერთ პოლუსს წარმოადგენს სახელის პოლუსი (მასში შედის სუბიექტის სფეროს წევრები), სოლო მქორეს - ზმნა. ამრიგად წინადადების სტრუქტურის ბინარულობას შეესაბამება სიტყვიერი სფეროს ბიბოლარული ხასიათი. სიტყვიერი სფეროს ეს ბიბოლარულობა ისეკვა გრამატიკული ხასიათისა, როგორც მეტყველების ნაწილები. როგორც ვხედავთ, გრამატიკულობა ანუ მნიშვნელობათა საფაღდებულო და რეგულარული ხასიათი - ეს არის როგორც მეტყველების, ისე თვით ენობრივი სისტემის გამჭოლი პრინციპი, რომელიც მთელ სისტემას შინაგანად საზღვრავს. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ გრამატიკულობას ვხედავთ წინადადების ანალიზისას, მაგრამ ეს გრამატიკულობა განპირობებულია სწორედ იმ დონის გრამატიკულობით, რომელიც გვაქვს მეტყველების ნაწილების და თვით ენის სიტყვიერი სფეროს ბიბოლარულობის დონეზე. გრამატიკულობაზე ლაპარაკისას ჩვენ ამოვდიოდით მნიშვნელობის პლანიდან, ვინაიდან მას აქვს პრიმატი

გაშოხატულების პლანის მიხედვით. მაგრამ ენობრივი სისტემა არის ამ ორი პლანის ორგანული, უროიერთგაპქოლაყი ერთიანობა. ამიტომ, იმის შექმნა, რაც ჩვენ შინაარსის პლანზე დაყრდნობით შეეყვადეთ მოგვეცა გრამატიკულობის განსაზღვრა, უნდა ვუპასუხოთ კითხვებს: რა შეესაბამება გრამატიკულობას გამიხატვის პლანში? როგორია კონკრეტულად შინაარსისა და გამიხატულების პლანების ერთიანობა გრამატიკულ სფეროში?

ჩვენ შეგვიძლია უკვე მივცეთ ახსნა გრამატიკის დაყოფა ორ ქვესისტემადა: მორფოლოგიადა და სინტაქსადა.

რა არის ყველაზე ფართო გაგებით გრამატიკა - ყველაფერი ის სიტყვის არსებობასა და ფუნქციონირებაში, რასაც აქვს რეგულარული და აუცილებელი ხასიათი. მაშინ მორფოლოგიის პირველი - უზოგადესი - განსაზღვრა ასეთი იქნება: **მორფოლოგია** არის გრამატიკის როგორც ლინგვისტური მეცნიერების ის ქვესისტემა, რომელიც შეისწავლის ენობრივი სისტემის არსებობისა და ფუნქციონირების სავალდებულო და რეგულარულ ასპექტებს სიტყვის დონეზე (ან სიტყვაში). **სინტაქსი** კი არის გრამატიკის ის ქვესისტემა, რომელიც შეისწავლის ენობრივი სისტემის არსებობისა და ფუნქციონირების სავალდებულო და რეგულარულ ასპექტებს წინადადების დონეზე.

ამის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვიძლია ჩვენი კურსის ფარგლებში მოვხაზოთ მორფოლოგიის ძირითადი კონტურები.

როდესაც ვლაპარაკობდით ფონოლოგიაზე, ვთქვით, რომ თანამედროვე ფონოლოგიამ მოგვეცა ცნებათა და მყოფთა ისეთი სისტემა, რომელიც გადატანული იქნა შინაარსის პლანზე (ფართო მნიშვნელობით). აბსოლუტურ გადატანაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ყინაიდან ამ პლანებს შორის გვაქვს პოპოლოგიისა და არა იზოპოლოგიის. პოპოლოგიის პრინციპის მოქმედებას დაყინახავთ თაყიდანვე, შევუდგებით თუ არა მორფოლოგიური სისტემის ისეთი ფუძემდებელი ერთეულის შესწავლას, როგორიცაა მორფემა. აქვე უნდა ითქვას ის, რაც ითქვა ფონოლოგიაზე

ლაპარაკისას: თანამედროვე ფონოლოგიაში შემოიტანა და დააფუძნა ენობრივ ერთეულთა განხილვა ორ დონეზე, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია მეცნიერული კვლევისათვის. პირველია ემპირიული დონე. ეს ის დონეა, როდესაც საკვლევ ობიექტებს ვსვდებით და ვაკვირდებით, აღვიქვათ მათ ჩვენს უშუალო გამოცდილებაში. ემპირიული დონისაგან უნდა გაიძიჯნოს ე.წ. თეორიული დონე, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ - განზოგადიების დონე. სწორედ ასეთ დონეზეა გამოიჯნას შექსაბამება ისეთ მორფოლოგიურ ერთეულთა გამოიჯნა, როგორცაა **მორფი** და **მორფემა**. მორფი - ეს არის ის, რაც უშუალოდ გვხვდება ემპირიაში (გამოცდილებაში), ის რაც უშუალოდ აღიქმება, მორფემა კი არ არის უშუალოდ მოცემული, იგი არის მუდამ განზოგადების ან აზრობრივი კონსტრუქციის პროდუქტი. თუ მორფის ჩვენ უშუალოდ აღვიქვამთ, მორფემის კონსტრუირებას კი ვახდენთ, მაშინ ეს უკანასკნელი აზრობრივი კონსტრუქციაა. რა შეფარდებაა კონკრეტულად მორფსა და მორფემას შორის?

განესაზღვროთ მორფი: მორფი არის ფონემათა ისეთი მინიმალური თანამიმდევრობა (უკიდურეს შემთხვევაში - ერთი ფონემაც), რომელიც მნიშვნელობის მატარებელია და ამდენად ნიშნობრივი ერთეულია (სწორედ ამით განსხვავდება იგი ფონემისაგან). ავიღოთ მაგალითები:

- boy - boys
- hand - hands
- oxen

ყველა ამ შემთხვევაში გვაქვს ფონემათა მინიმალური მნიშვნელობის მატარებელი თანამიმდევრობა: ერთ შემთხვევაში გვაქვს თითო, მეორეში - ორი მორფი. ისეთი მორფითა ერთობლიობას, რომლებსაც ერთი მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც ერთი-მეორის მიმართ თავისუფალ დისტრიბუციაში იმყოფებიან, (არასოდეს გვხვდებიან ერთსა და იმავე გარემოცვაში), ეწოდება მორფემა. მორფებს, რომლებიც შედიან ერთსა და იმავე მორფემაში, ერთი და იმავე მორფემის

აღმორფები ეწოდება. როგორც „boy“ არის ცალკე
შორფება, ისე „s“ - მათთვის საერთოა, რომ გვაქვს ფონებათა
ისეთი მინიმალური თანამიმდევრობა, რომელიც მნიშვნელობის
მატარებელია და რომელია დაყოფა უფრო მცირე
მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებად შეუძლებელია.
შორფები „s“ და „en“ („boys“ - „oxen“) ფუნქციური
თვალსაზრისით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

ლექცია № 19

ენის სისტემაში ლექსიკური და გრამატიკული
ასპექტების გამოყოფა ნიშნავს ლექსიკური და გრამატიკული
სისტემების (ქვესისტემების) გამოყოფას. მაგრამ თუ ჩვენ ამ
სისტემებს განვიხილავთ სტრუქტურული თვალსაზრისით, ანუ
იმ ერთეულთა შემადგენლობის თვალსაზრისით, რომლებიც
მათ წარმოადგენენ (ლექსიკური და გრამატიკული
ერთეულები), დავინახავთ, რომ ამ სისტემათა შინაგან
ურთიერთმიმართებას აქვს იერარქიული ხასიათი. ეს ნიშნავს
იქას, რომ როგორც ლექსიკას, ისე გრამატიკას ახასიათებს არა
უბრალოდ სპეციფიკურ ერთეულთა (ლექსიკურ და
გრამატიკულ ერთეულთა) არსებობა, არამედ ამ ერთეულთა
შორის იერარქიული ურთიერთმიმართება. როგორც ლექსიკა,
ისე გრამატიკა წარმოდგენილია არა ერთი, არამედ მინიმუმ
ორი ერთეულით და ამ ერთეულთა ურთიერთმიმართებას
განაგებს შემდეგი კანონი: უფრო ძალიან დონის ერთეული
შედგება უფრო დაბალი დონის ერთეულებისაგან. თუ ჩვენ
დეტალებისაგან აბსტაქირებას მოვანდენთ, შეიძლება
ზოგადად ითქვას, რომ სიტყვა, რომელიც არის როგორც
ლექსიკის, ისე გრამატიკის ერთეული, შედგება
შორფებისაგან; წინადადება, რომელიც არის გრამატიკული,
სახელდობრ კი სინტაქსური სისტემის ერთეული, შედგება
უშუალოდ სიტყვათშეხამებებისაგან, ხოლო თითოეული

სიტყვათშესაბეჭება, თავის მხრივ, შედგება სიტყვებისაგან. რა თქმა უნდა, სიტყვა ამ შემთხვევაში განიხილება თავის გრამატიკული ასპექტით. ამგვარად, ენობრივი სისტემის ყოველი დონე წარმოდგენილია არა ერთი, არამედ სხვადასხვა რანგის ერთეულთა სისტემით.

საუბარი ენის გრამატიკულ ასპექტზე სიტყვის დონეზე ნიშნავს საუბარს ენის მორფოლოგიურ დონეზე - იმ დონეზე, რომელიც წარმოდგენილია ორი ძირითადი ერთეულით: მორფემითა და სიტყვით. ჩვენ დავიწყეთ ენის მორფოლოგიური დონის ანალიზი უფრო დაბალი რანგის ერთეულის - მორფემის განხილვით (რანგი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელი ერთეული რომლისაგან შედგება). მაშინვე ვთქვით, რომ ყოველი ერთეული განიხილება ორ დონეზე - თეორიულსა და ემპირიულზე. მორფემის განხილვა ამ ორ დონეზე ნიშნავს, რომ ემპირიულ დონეზე ეს ერთეული წარმოგვიდგება მორფის სახით, თეორიულ დონეზე კი - საკუთრივ მორფემის სახით.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მორფი - ეს არის ფონემათა ისეთი მინიმალური თანამიმდევრობა, რომელსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა და რომელიც რეგულარულად გვხვდება ენობრივ გაშონათქვამში. ხოლო ისეთ მორფთა ერთობლიობას, რომლებსაც აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა და რომლებიც ერთმანეთის შიშართ იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში, ეწოდებათ ერთი და იმავე მორფემის ალომორფები. ამრიგად, მორფებისა და ალომორფების გაშოყვანა ხდება სხვადასხვა თვალსაზრისის გამოყენებით.

ავიღოთ სიტყვა „სილამაზე“. გამოვეყოთ მორფები, რომელთა მინიმალურ თანამიმდევრობასთან აქვს რაიმე მნიშვნელობა: „სი-ლამაზ-ე“. აქ ჩვენ არ ვადგენთ, თუ რა შიშართებებია მორფებს შორის - მათ გამოყოფას აქვს წმინდა ჰორიზონტალური განზომილება. აქვთ თუ არა მორფებს მსგავსი მნიშვნელობა, ეს საკითხი შემდეგში დგება. მაგალითად „სი - ე“-სა და „ობა“-ს („სი-ლამაზ-ე“ და

„გმირობა“) ერთი მნიშვნელობა აქვთ, ამასთან ისინი არ გვხვდებიან ერთსა და იმავე გარემოცვაში (არ ვამბობთ: „სილაშობა“). ამიტომ ვამბობთ, რომ ისინი წარმოდგენენ ერთი და იმავე მორფის (თუ მორფემის?) ალომორფებს.

განასხვავებენ ალომორფთა შექმდე სახეებს:

ალომორფი შეიძლება იყოს ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად განპირობებული (ფონოლოგიური განპირობებაა, მაგ., როდესაც წინა თანხმოვანის მიხედვით გვაქვს „ს“ ან „ზ“, ხოლო „oxen“ - მორფოლოგიურია).

იმ შემთხვევაში, როდესაც ალომორფი გამოხატულია ერთი ბგერის მეორეთი შეცვლით, მას ეწოდება შენაცვლებითი ალომორფი. შეიძლება აგრეთვე, რომ ალომორფს აქონდეს ნულოვანი ხასიათი - როდესაც იგი წარმოდგენილია ისეთი მორფით, რომელიც ვერ ჰქმნის ფონემათა თანამიმდევრობას (მინიმალური თანამიმდევრობა შედგება ერთი ფონემისაგან). როდესაც მორფემის არც ერთ ალომორფს არა აქვს მორფის სახე, მას ეწოდება ნულოვანი მორფემა. იგი მეცნიერული ფიქციაა, მაგრამ მისი შემოტანა ლინგვისტურ ანალიზში აუცილებელია; ნულოვან მორფემაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც იგი ნულოვანი ალომორფებითაა წარმოდგენილი. მაგრამ შეიძლება მორფი წარმოდგენილი იყოს ისეთი ალომორფებით, რომელთა შორის ერთია ნულოვანი. მაშინ ვერ ვიტყვით, რომ საერთოდ მორფემა წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით.

შემდგომი საუბრისას ჩვენ შეგვიძლია უკვე შევამოკლოთ კონტექსტი და ვახსენოთ მხოლოდ მორფემა და გვახსოვდეს, რომ რეალურ სინამდვილეში გვაქვს მხოლოდ ალომორფი.

მორფემა როგორც ერთეული ეკუთვნის არა მხოლოდ გრამატიკას, არამედ ლექსიკასაც. განასხვავებენ სამი სახის მორფემას: ლექსიკურ, გრამატიკულსა და სიტყვაწარმოების. ლაპარაკობენ აგრეთვე ორი სახის მორფემაზე: თავისუფალსა (свободные) და დაბმულ (связанные) მორფემებზე. თუ

მორფემა შეიძლება შეგვხვდეთ ცალკე (თავისუფალ პოზიციაში), სხვა მორფემებთან კავშირის გარეშე, იგი იქნება თავისუფალი მორფემა (მაგ., books - ში book თავისუფალი მორფემაა, „s“ - კი დაბმული). თუ ავიღებთ ამ დაყოფას, თავისუფალი იქნება ლექსიკური მორფემა, ხოლო დაბმული - გრამატიკული და სიტყვაწარმოებითი.

დასადგენია, თუ რას ნიშნავს „გრამატიკული“ და რას - „სიტყვაწარმოებითი“.

ყველა თავისუფალი მორფემა ლექსიკური მორფემაა, მაგრამ თუ ჩვენ ავიღებთ ასეთ მორფემას უკვე მორფოლოგიური დონის უფრო მაღალი დონის ერთეულ - სიტყვასთან - მიმართებაში, ასეთ მორფემას სიტყვის სტრუქტურაში სიტყვის ძირს უწოდებენ. რომელი სიტყვაც არ უნდა ავიღოთ, იგი შედგება ან მხოლოდ ძირისაგან და მისი თანხლები მორფემებისაგან. ე.ი. ისეთი მორფემა, რომელიც ძირს ასლავს, არის მუდამ არათავისუფალი მორფემა. მაგრამ რა შემთხვევაშია იგი გრამატიკული ანუ სიტყვათცვალებადობითი (словаизменяемая) და რა შემთხვევაშია იგი სიტყვაწარმოებითი? ძირის თანხლები მორფემა შეიძლება იყოს ძირის წინ ან ძირის შემდეგ - ე.ი. შეიძლება იყოს აფიქსი. (აფიქსი ფართო მნიშვნელობით - ყველა მორფემა, რომელიც არ არის ძირი; ვიწრო ხმარებით - მხოლოდ სიტყვაწარმოებითი და არა მორფოლოგიური). თუ აფიქსს მივანიჭებთ მხოლოდ სიტყვაწარმოებით მნიშვნელობას, მაშინ ყველა არა თავისუფალ მორფემას, რომელსაც ექნება სიტყვათცვალებადობითი მნიშვნელობა, უნდა ვუწოდოთ ფლექსია. რა განსხვავებაა ფუნქციური ოვალსაზრისათვის სიტყვათწარმოებით და სიტყვათცვალებადობით მორფემას შორის? სიტყვაწარმოებითი მორფემა არ მოქმედებს სიტყვის სინტაქსურ ფუნქციაზე, ანუ არ მოქმედებს იმ სინტაქსურ მიმართებებზე, რომლებიც წინადადებაში არის მის წევრებს შორის. სიტყვათცვალებადობითი მორფემა კი მოქმედებს სიტყვის სინტაქსურ ფუნქციაზე წინადადებაში.

როგორი შეიძლება იყოს სიტყვაოცვალებადობითი მორფემა? მას შეიძლება პქონდეს აფიქსის (უფრო ზუსტად - ფლექსიის) ხასიათი: როდესაც იგი უკროდება ძირს ან ფუქსს, მას აქვს აფიქსის ხასიათი ფართო მნიშვნელობით. მაგრამ მას შეიძლება პქონდეს ნულოვანი ხასიათიც. სიტყვაოცვალებადობას შეიძლება პქონდეს ანალიზური ხასიათი - როდესაც გვაქვს გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობა და არა გვაქვს ფლექსია. ეს ხდება მაშინ, როდესაც სიტყვაოცვალებადობის როლს ასრულებს „დაძმბარე სიტყვა“ (არტიკლი, დაძმბარე ზმნები). ანალიზური სიტყვაოცვალებადობა მოცემულია, როგორც წესი, ფლექსიებთან ერთად (შერწყმულად). მაგ.: არტიკლი მრავლობითი რიცხვის ანალიზური გამოხატვაა, მაგრამ არსებითი სახელს მრავლობითი რიცხვში ახლავს აგრეთვე გრამატიკული მორფემა (ფლექსია). ანალიზური, როგორც წესი, შეერწყმის სინთეზურს.

ლექცია № 21

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ენის ყოველი დონე წარმოდგენილია მინიმუმ ორი რანგის ერთეულით და ამ ერთეულთა შორის არის იერარქიული ურთიერთმძიმართება: უფრო დაბალი რანგის ერთეული წარმოგვიდგება უფრო მაღალი რანგის ერთეულის შემადგენელ ნაწილად - მის ინტეგრანტად. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მორფოლოგიურ დონეზე მისი „დაბალი“ რანგის ერთეულის - მორფემის - გათვალისწინებით. ამ დონის უფრო „მაღალი“ რანგის ერთეული, რომლის ინტეგრანტადაც მორფემა გვევლინება, არის სიტყვა. აქ აუცილებელია შემდეგი შენიშვნა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მორფოლოგიური ქვესისტემა შეიძლება ჩავთვალოთ ენის მორფოლოგიურ დონედ. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ენის მორფოლოგიური დონე თავისი მოცულობით არ ემთხვევა მორფოლოგიას როგორც

გრამატიკის ქვესისტემას, ვინაიდან, როგორც უკვე ვიცით, გრამატიკული მორფემების გარდა გვაქვს ლექსიკური მორფემებიც. ხოლო სიტყვა რომ შეიძლება განვიხილოთ არა მარტო როგორც გრამატიკული, არამედ ლექსიკური ერთეულიც, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამგვარად, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მორფემისა და სიტყვის ურთიერთმიმართებაზე ენის მორფოლოგიურ დონის ფარგლებში, აუცილებლად ვგულისხმობთ, რომ მორფოლოგიურ დონეს აქვს ორი განსოშილება: გრამატიკული და ლექსიკური. ჩვენ ამ ეტაპზე გვინტერესებს მორფოლოგიური დონის გრამატიკული განსოშილება და ამ თვალსაზრისით განვიხილათ მორფემისა და სიტყვის ურთიერთმიმართებას. მაგრამ შეუძლებელია გრამატიკისა და ლექსიკის აბსოლუტური გამიჯვნა. იმისათვის, რომ დაგვეხასიათებინა გრამატიკული მორფემები, აუცილებელი იყო გველაპარაკა მასზე ლექსიკურ მორფემებთან მიმართებაში და გაგვემიჯნა ისინი სიტყვაწარმოებითი მორფემებისაგან. გაყთფალისწინოთ გრამატიკასა და ლექსიკის აბსოლუტური ურთიერთგამიჯვნის შეუძლებლობა და ვილაპარაკოთ მორფოლოგიაზე როგორც გრამატიკულ სისტემაზე, მაგრამ უკვე არა მორფემის, არამედ სიტყვის დონეზე.

დღეს ვილაპარაკებთ ისეთ მორფოლოგიურ ცნებებზე (კატეგორიებზე), როგორიცაა **სიტნვაფორმა, კატეგორიალური ფორმა, მორფოლოგიური პარადიგმა და მორფოლოგიური კატეგორია.**

ამ ჩამოთვლიდან უკვე ჩანს ისეთი ტერმინის ორაზროვნება, როგორიცაა გრამატიკული კატეგორია. აუცილებელია ამ ორაზროვნების გათვალისწინება თავიდანვე. ეს ორაზროვნება განპირობებულია არა მარტო გრამატიკული კვლევის პრაქტიკით, არამედ თვით ტერმინ „კატეგორიის“ სემანტიკით (იგი ნაწარმოებია ბერძნული ზმნისაგან, რომელიც ნიშნავს „მოთხოვნას“). კატეგორია არის ისეთი რამ,

რაც აუცილებელია როდესაც გვსურდა გრამატიკისა და ლექსიკის გამიჯვნა, ვთქვით რომ გრამატიკა განისხვავდება ლექსიკისაგან იმით, რომ იგი ატარებს სავალდებულო და რეგულარულ ხასიათს. თუ გრამატიკის არსიდან გამოქმდინარე შევხედავთ ტერმინ „კატეგორიას“, ყველა მისი ერთეული იუცნება წარმოადგენს კატეგორიას, რამდენადაც ისინი ატარებენ სავალდებულო და რეგულარულ ხასიათს. სწორედ ამიტომაც, რომ იმ გრამატიკულ ცნებებს, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ხშირად უწოდებენ გრამატიკულ კატეგორიებს, ზუსტად ისე, როგორც სინტაქსში წინადადების წევრებსაც კატეგორიებს უწოდებენ. აქ საქმე გვაქვს კატეგორიის ფართო გაგებასთან, რაც განპირობებულია თვით ამ ტერმინის სემანტიკით და გრამატიკული ბუნებით.

უფრო ვიწრო გაგებით მორფოლოგიური კატეგორია ეწოდება იმ გრამატიკულ ცნებებს (კონცეპტებს), რომლებსაც აღნიშნავენ შესაბამისი მორფოლოგიური პარადიგმები. ასეთი მორფოლოგიური კატეგორიები წარმოადგენენ მეტყველების ნაწილთა კუთვნილებას და არ არსებობენ მათ გარეშე.

მორფოლოგიურ ცნებათა სისტემა სიტყვის დონეზე „იწყება“ ისეთი ცნებით, როგორიცაა სიტყვაფორმა. იგი ზემოქანაშოთვლილ ცნებათა შორის ყველაზე ელემენტარულია: ამ სისტემაში იგი თითქოს ისეთი ატომის როლს ასრულებს, რომლისაგანაც შედგება უფრო რთული მორფოლოგიური ცნებები. მაგრამ ვიდრე ჩვენ სიტყვაფორმას განვსაზღვრავდით, გავიხსენოთ ცნება, რომელიც ლექსიკისა და გრამატიკას შორის მდებარეობს, შუალედური მდგომარეობა უკავია. ეს არის ფუძის ცნება. თუშცა ენობრივი გამონათქვამის ფარგლებში ფუძე შეიძლება დაემთხვეს ძირს, ძირი და ფუძე ერთმანეთს არ უდრის.

სიტყვაწარმოებითი მორფემები გრამატიკულ ფუნქციას არ ასრულებენ. გრამატიკისათვის ფუძე არის სიტყვის ის ნაწილი, რომელსაც უნდა დაერთოს სიტყვაწარმოებითი მორფემა, რომ მივიღოთ სიტყვაფორმა. ე.ი. ლექსიკისათვის (კერძოდ სიტყვაწარმოებისათვის) ძირისა და ფუძის

განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გრამატიკისათვის კი მნიშვნელობა აქვს, თუ რას დაერთვის სიტყვაწარმოებითი მორფემა - ის, რასაც დაერთვის, ფუძეა.

სიტყვაფორმაზე დაყრდნობით განვსაზღვროთ ისეთი ორი ცნება, როგორცაა **ლექსებისა და კატეგორიალური ფორმის ცნებები**.

ის, რომ გვიხდება ლაპარაკი ლექსებაზე, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ გრამატიკის და ლექსიკის აბსოლუტური გამიჯვნა შეუძლებელია. ლექსება ლექსიკაში ცენტრალური ცნებაა, გრამატიკაში კი დამხმარე ფუნქციას ასრულებს. ამ თვალსაზრისით რა არის ლექსება? იგი არის ისეთ სიტყვაფორმათა ერთობლიობა, რომლებსაც აქვს ერთი და იგივე ფუძე, მაგრამ სხვადასხვა სიტყვაცვალებადობითი მორფემები. აყიღოთ სიტყვა „მასწავლებელი“ და ვაბრუნოთ. მივიღებთ რამდენიმე სიტყვაფორმას. გვაქვს სიტყვაფორმათა ერთობლიობა, ფუძე კი ერთია. ამგვარად, გრამატიკა აბსტრაქტიზებას ახდენს იმისაგან, თუ რას აღნიშნავს სიტყვა - ანუ იმისაგან, რაც ლექსიკისათვის მთავარია. ლექსება არის სიტყვაფორმათა ერთობლიობა, რომელთაც აქვთ ერთი ფუძე, მაგრამ სხვადასხვა სიტყვაცვალებადობითი მორფემები. კატეგორიალური ფორმა - ეს არის ისეთ სიტყვაფორმათა ერთობლიობა, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ფუძე, მაგრამ ერთი და იგივე სიტყვაცვალებადობითი მორფემები.

ერთი სიტყვის ბრუნებისას გვაქვს სიტყვაფორმათა ერთობლიობა; როდესაც ფუძე ერთი და იგივე რჩება, იცვლება სიტყვაცვალებადობითი მორფემები - საქმე გვაქვს ლექსებასთან (ყურტიკალური ჭრილი). თუ გვაქვს სიმრავლე: „წიგნა, კაცა, ...“, ანუ სხვადასხვა ფუძე, მაგრამ ერთი სიტყვაცვალებადობითი მორფემა (პორიზონტალური ჭრილი), გვექნება კატეგორიალური ფორმა.

შემდეგი ცნება, რომელიც ეყრდნობა ლექსებისა და კატეგორიალური ფორმის ცნებას, არის **მორფოლოგიური პარადიგმის ცნება**. ტერმინი პარადიგმა გვქონდა მაშინ, როდესაც განვასხვავეთ

მიძარტებათა ორი სისტიკა: „პარადიგმატული“ და „სინტაგმატური“. პირველის ძირითადი ცნებაა „პარადიგმა“, მეორესი - „სინტაგმა“. რა იყო პარადიგმატულ მიძარტებათა ძირითადი ნიშანი სინტაგმატური მიძარტებისაგან განსხვავებით და რითი განსხვავდება პარადიგმა სინტაგმისაგან? მორფოლოგიური პარადიგმაც საქაროა დაეყრდნოს პარადიგმის ზოგად ცნებას. პარადიგმატული მიძარტება ენობრივ სისტიკაში გულისხმობს მიძარტებას ისეთ ერთეულებს შორის, რომლებიც მეტყველებაში ანუ ენის აქტუალიზაციის პროცესში ერთმანეთს გამოირიცხავენ (აქ მოქმედებს პრინციპი „ან - ან“ სინტაგმატური პრინციპისაგან „და-და“ განსხვავებით). მაშინ ყოველი პარადიგმა, როგორც არ უნდა იყოს იგი, არის ისეთ ერთეულთა სისტიკა, რომლებიც გულისხმობენ გარკვეული თვალსაზრისით და მეტყველებაში (ანუ ენის აქტუალიზაციის პროცესში) ერთმანეთს გამოირიცხავენ. ამის გარეშე პარადიგმა არ არსებობს.

მორფოლოგიური პარადიგმის ცნება არის ზოგადენობრივი პარადიგმის ერთერთი სახე. იგი განისაზღვრება ასე: მორფოლოგიური პარადიგმა - ეს არის ისეთ კატეგორიალურ ფორმათა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან სიტყვათა ერთი და იმავე კლასის ფარგლებში.

ლიქცია № 22

რომანულ და გერმანიკულ ენებში გვაქვს არს. სახელის კატეგორიალურ ფორმათა დაპირისპირება ორ პლანში: 1. ერთმანეთს უპირისპირდებიან ფორმები განსაზღვრულ/განუსაზღვრელი არტიკლით; 2. უპირისპირდებიან ფორმები მხ. და მრ. რიცხვის მიხედვით.

თუ ავიღებთ არს.სახელს განუსაზღვრელი არტიკლით და დავეუპირისპირებთ სახელს განსაზღვრულ არტიკლით, გვექნება კატეგორიალურ ფორმათა დაპირისპირება. ასეთ

ერთობლიობას უწოდებენ მორფოლოგიურ პარადიგმას. თუ ჩვენ ასეთ ერთობლიობას ვუწოდებთ პარადიგმას, ამით ვიგულისხმებთ, რომ საქმე გვაქვს ერთობლიობასთან, რომელიც გარკვეული შინაარსის გამოხატვას ემსახურება - ეს შინაარსია სწორედ მორფოლოგიური კატეგორია. გამოდის, რომ კატეგორიალურ ფორმათა ერთობლიობა საშუალებაა, თვით კატეგორია კი - მიზანი. მაშინ კატეგორიალურ ფორმათა ერთობლიობას და მორფოლოგიურ კატეგორიას შორის გვაქვს ის მიმართება, რომელიც გვაქვს გამოხატვისა და შინაარსის პლანებს შორის. ჩვენს მაგალითში: კატეგორიალურ ფორმათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც შეიცავს განუსაზღვრელ და განსაზღვრულ არტიკლიან არსებით სახელთა დაპირისპირებას, გამოხატავს განსაზღვრულობის კატეგორიას.

თუ ასე განვიხილავებთ მორფოლოგიურ კატეგორიას და პარადიგმას, მაშინ ბუნებრივია ქვეშარიტ მორფოლოგიურ კატეგორიად ჩავთვალოთ მხოლოდ ისეთი კატეგორია, რომელსაც შეესაბამება გარკვეული მორფოლოგიური პარადიგმა (რომელსაც გამოხატავს გარკვეული მორფოლოგიური პარადიგმა). ქვეშარიტი მორფოლოგიური კატეგორია არ არსებობს ისეთი პარადიგმის გარეშე, რომელიც მას გამოხატავს.

აგიღოთ ამ შესაბამისობის არაგათვალისწინების ისეთი მაგალითი, როგორსაც წარმოადგენს სქესის კატეგორია.

რომანულ-გერმანიკულ ენებში არს.სახელის კატეგორიებია:

1. რიცხვი - აქ გვაქვს შესაბამისობა პარადიგმას და რიცხვის კატეგორიას შორის, რომელიც გულისხმობს თავის შიგნით ორი უფრო ვიწრო ქვეკატეგორიების დაპირისპირებას - მხოლოდითისას და მრავლობითისას. ასეთი შინაარსის მორფოლოგიურ კატეგორიას შეესაბამება მორფოლოგიური პარადიგმა: ფორმები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან;

2. სქესი - (გერმანულსა და ფრანგულში). არ შეიძლება ვთქვათ: der Tisch - die Tisch - ეს არის მკვეთრი

განსხვავება რიცხვისა და სქესის კატეგორიებს შორის. აქედან აქედან დასკვნა: სქესი არ არის მორფოლოგიური კატეგორია.

როდესაც ლაპარაკია მორფოლოგიურ პარადიგმაზე, შეიძლება გვქონდეს ამ ტერმინის როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგება. პარადიგმის ის განსაზღვრა, რომელიც გვქონდა, გულისხმობს პარადიგმის ფართო გაგებას - ე.ი. იმას, რომ ვლაპარაკობთ სრულ პარადიგმაზე. მაგ., დროის მორფოლოგიურ კატეგორიას შეესაბამება ტემპორალური მნიშვნელობის მქონე ყველა იმ კატეგორიალურ ფორმათა ერთობლიობა, რომლებიც ზმნის სფეროში ერთმანეთს უპირისპირდებიან. აქ გვექნება დაპირისპირების სხვადასხვა პლანები - მაგ., პრეზენსის სფეროში. ეს იქნება არასრული პარადიგმა - იგი გამოხატავს არა გრამატიკულ დროს მოლიანობაში, არამედ დროის იმ სპექტრს, რომელსაც ვუწოდებთ აწმყოს. ზმნის სრული ტემპორალური მორფოლოგიური პარადიგმა იქნება ერთობლიობა, რომელიც მოიცავს დროის სამივე ასპექტს, მაგრამ ამავე დროს ყოველი, თუნდაც ორი კატეგორიალური ფორმის დაპირისპირება, აგრეთვე იძლევა პარადიგმას, მაგრამ არასრულს. ყოველი არასრული პარადიგმა არის სრულის ფრაგმენტი და მისა სტრუქტურის აღწერა და გაგება შესაძლებელია მხოლოდ სრული პარადიგმის ფარგლებში.

ყველა მორფოლოგიური ცნება, რომელიც ჩვენ აქამდე განვიხილეთ, მიუხედავად მთელი მათი შინაარსეული სიროულისა, წარმოადგენენ მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს ისეთი ცენტრალური მორფოლოგიური ცნებისა, როგორცაა **მეტყველების ნაწილთა** ცნება. როდესაც ჩვენ განვსაზღვრეთ გრამატიკულობა და თვით გრამატიკაც და გრამატიკის ფარგლებში გამოვყავით მორფოლოგია და სინტაქსი, ყოველი, რომ მორფოლოგია - ეს არის გრამატიკული სისტემის ის ქვესისტემა, რომელშიც ასახულია ენის ფუნქციონირების რეგულარული და სავალდებულო ასპექტი სიტყვის დონეზე, ე.ი. აქამდე მორფოლოგიური ცნებების განხილვისას ჩვენ ვგულისხმობდით იმას, რასაც

გულიხმობდა მორფოლოგიის ეს განსაზღვრა. მაგრამ ყველა ეს ცნება განეკუთვნებოდა სიტყვის შიდაგრაძატიკულ სტრუქტურას - იმ სტრუქტურას, რომელიც უნივერსალურია მოელი სიტყვიერი სამყაროსათვის - იმისაგან დამოუკიდებლად, თუ სიტყვათა რომელ კლასს ეკუთვნის მოცემული კონკრეტული სიტყვა. ის, რაც ითქვა ძირზე, ფუძეზე, ლექსიკაზე, კატეგორიულ ფორმაზე და ა.შ., სამართლიანია ყოველი სიტყვისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასს (არს. სახელს, ზმნას ...) მიეკუთვნება ეს სიტყვა.

აღვნიშნოთ ორი ნიშანი, რომელიც მუდამ თან ახლდა მორფოლოგიურ ცნებათა დახასიათებას:

1. ყველა ცნება ასახავდა სიტყვის შიდასტრუქტურას;
2. ყველა ცნებას ჰქონდა უნივერსალური ხასიათი.

მაგრამ ყოველ კონკრეტულ სიტყვას ახასიათებს არა მარტო ის უნივერსალური ასპექტი, რომელზეც გვექონდა ლაპარაკი, არამედ შეორეც, რომელიც შიაკუთვნებს მოცემულ სიტყვას არა უბრალოდ სიტყვათა სამყაროს, არამედ სიტყვათა გარკვეულ ჯგუფს, გარკვეულ კლასს, და აი ამ მიკუთვნების მეშვეობით იქმნება ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სიტყვის უკვე მთლიანური გრაძატიკული არსი და სახე.

ავიღოთ ნებისმიერი სიტყვა („მაგიდა“). თუ მას გრაძატიკული თვალსაზრისით დაფახასიათებთ იმ ცნებებზე დაყრდნობით, რომლებიც აქამდე გვექონდა, მაშინ მისი დახასიათება იქნება ერთი მხრივ უნივერსალური (- რომელიც გაშეორდება ყველა შემთხვევაში) - მოვხაზავთ ძირს, ფუძეს, სიტყვაფორმებს, გრაძატიკულ კატეგორიებს და ა.შ., რის შედეგადაც მივიღებთ, რომ ამ სიტყვას - როგორც ყველა სრულფასოვან სიტყვას - აქვს მორფოლოგიური პარადიგმა. მაგრამ ასეთი დახასიათება არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ განსხვავდება ამ სიტყვის მორფოლოგიური პარადიგმა, ვთქვათ, ისეთი სიტყვის მორფოლოგიური პარადიგმისაგან, როგორიცაა „ლაპარაკი, კითხვა“ და ა.შ. პარადიგმა აქაც

გვაქვს (გვაქვს ძირიც, ფუძეც, სიტყვაფორმებიც და ა.შ.). შეიძლება გვქონდეს „მაგიდა - მაგიდები“, „das Buch - ein Buch“, მაგრამ შეუძლებელია, რომ ეს პარადიგმა გამოხატავდეს, მაგალითად, დროს ან პირუკუ (ზემნას, შართალია აქვს რიცხვის პარადიგმა, მაგრამ იგი არის სახელის რიცხვის ანარეკლია).

კითხვით „რატომ არის, რომ ამ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ასეთი პარადიგმები და შეუძლებელია ჰქონდეს სხვაგვარი?“ არა მარტო მივაკუთვნებთ სიტყვას სიტყვათა კლასს („მაგიდა“ მივაკუთვნებთ სიტყვებს, რომლებსაც აქვთ იგივე პარადიგმები) და განვასხვავებთ მას სხვა კლასებისაგან, არამედ აგრეთვე ასეთი კითხვა და ის პასუხი, რომელსაც იგი გულისხმობს, ხაზს უსვამს სიტყვის მთლიანურობას, ე.ი იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მთლიანურ განზომილებაში აღვიქვათ. ანუ თქმა იმისა, რომ „მაგიდას“ შეიძლება ჰქონდეს ეს და არ შეიძლება ჰქონდეს ის პარადიგმები, ნიშნავს მივცეთ მას მთლიანური დახასიათება - მივაკუთვნოთ არს. სახელებს. ამით უნივერსალური დახასიათება გადაგვყავს კონკრეტულ პლანში. მეტყველების ნაწილთა თეორია - ეს ის თეორიაა, რომელიც ეყრდნობა ერთი მხრივ სიტყვის უნივერსალურ დახასიათებას, ხოლო მეორე მხრივ - აკონკრეტებს მას და იძლევა სიტყვის უფრო მთლიანური დახასიათების საშუალებას იმით, რომ მიაკუთვნებს მოცემულ კონკრეტულ სიტყვას არა უბრალოდ სიტყვათა სამყაროს (უნივერსალური დახასიათება), არამედ სიტყვათა გარკვეულ კლასს.

ლექცია № 23

ის, რაც საყალღებულოა და რეგულარულ ხასიათს ატარებს, მუდამ არსებობს კატეგორიის სახით (ბერძნული სიტყვიდან „მთხზონა“). კატეგორიის სტატუსი მთელ სინამდვილეში და ენაშიც აქვს იქას, რაც ობიექტურად აუცილებელი და გარდაუვალია და ამის შედეგად

რეგულარულ ხასიათს ატარებს. მორფოლოგია, როგორც უკვე ვთქვით, სინტაქსისაგან განსხვავებით, შეისწავლის ენისა და მეტყველების ამ ობლიგატორულ ასპექტს სიტყვის დონეზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინტაქსისაგან განსხვავებით, მორფოლოგია შეისწავლის მორფოლოგიურ კატეგორიებს. მაგრამ თვით ამ მორფოლოგიური კატეგორიების დახასიათებისას უნდა გამოჩნდეს (და გამოჩნდება კიდევ) მორფოლოგიის შინაგანი კავშირი ერთი მხრივ ლექსიკასთან (ლექსიკოლოგიასთან), ხოლო მეორე მხრივ - სინტაქსთან. შეიძლება ითქვას, რომ მორფოლოგიის ძირითადი კატეგორია (მეტყველების ნაწილთა კატეგორია) ერთი მხრივ თითქოსდა „ამოიზრდება“ ლექსიკიდან (ე.ი. მას ფესვები აქვს ლექსიკაში) ხოლო მეორე მხრივ გადადის სინტაქსში, პოულობს მასში ბუნებრივ გაგრძელებასა და გამართლებასაც კი. ლექსიკასა და სინტაქსთან შინაგანი კავშირის ეს ორი მომენტი გამოჩნდება მაშინვე, თუ კი ჩვენ გავისხსენებთ მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ განსაზღვრას: მეტყველების ნაწილები - ეს არის სიტყვათა კლასები, რომლებიც ხასიათდებიან შექმდევი საში ძირითადი ნიშნით 1. კატეგორიალური მნიშვნელობით; 2. მორფოლოგიურ კატეგორიათა სპეციფიკური სისტემით; 3. გარკვეული სინტაქსური ფუნქციით.

შეგზერდეთ თითოეულ ამ მომენტზე და ეს კავშირი უფრო ნათელი გახდება.

1. კატეგორიალური მნიშვნელობა.
ლექსიკასთან (უფრო ზუსტად კი - ლექსიკურ სემანტიკასთან) კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული სიტყვა წარმოადგენს ნიშანს, ხოლო ნიშნის ცნება კი გულისხმობს, რომ სიტყვას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა - იგი აუცილებლად უნდა აღნიშნავდეს (ასახელებდეს) სინამდვილის გარკვეულ სეგმენტს, ექნება ამ სეგმენტს საგნის (ფართო გაგებით), ხდომილებისა თუ თვისების ხასიათი. მტკიცება, რომ ყოველი სიტყვა ნიშანია და ამის საფუძველზე ყოველ ნიშანს (სიტყვას) გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, არ არის

გრამატიკული მტკიცება, ოც მთლიანად ეკუთვნის ერთი მხრივ - ნიშანთა ზოგად თეორიას, ხოლო მეორეს მხრივ - ლექსიკას (ლექსიკური სემანტიკა). ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა თავისი ნიშნობრივი არსის და ფუნქციის მიხედვით არის ლექსიკური კატეგორია (ხაზი უნდა გაესვას ტერმინ „კატეგორიის“ მნიშვნელობას - ყველა კატეგორია მიუთითებს აუცილებელსა და რეგულარულზე). მაგრამ საქმე ის არის რომ ის, რაც აუცილებელი და რეგულარულია, უკვე განსაზღვრის მიხედვით გულისხმობს გრამატიკულობას, მიეკუთვნება უკვე გრამატიკას. ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველ სიტყვას აქვს არა მარტო აქვს გარკვეული სიგნიფიკატი, არამედ ეს სიგნიფიკატი მუდამ ეკუთვნის სიგნიფიკატთა გარკვეულ ტიპს და აქედან გამომდინარე - გარკვეულ კლასს. ყოველი სიტყვა არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ ასახავს სინამდვილის სემანტიკა გარკვეულ კლასს: ყოველ სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ გამორიცხულია, რომ ვერ შევძლოთ რომელიმე სიტყვის გაერთიანება სხვა სიტყვებთან ერთად სიგნიფიკატთა ტიპობრივი მსგავსების საფუძველზე. სიგნიფიკატთა ტიპობრივი მსგავსება არის სწორედ ის, რაც გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ კატეგორიალურ მნიშვნელობაზე: არსებითი სახელი ენაში ძალიან ბევრია და ყველა მათგანს აქვს თავისი სიგნიფიკატი. თუ ავიღებთ ისეთებს, როგორიცაა „მაგიდა“, „ქალაქი“, „სამშობლო“, მიუხედავად მათ სიგნიფიკატთა აშკარა და ძალიან დიდი განსხვავებისა, მათ შორის შინაარს არის ტიპობრივი მსგავსება - ის მსგავსება, ანუ ის განზოგადებული მნიშვნელობა, ანუ განზოგადებული სიგნიფიკატი, რომლის მსგავს სიტყვებს უპირისპირებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „სიწითლი“, „ლაპარაკი“, „ზროვნება“, ან - „ლამაზი“, „შავი“, „ოეთრი“. სწორედ ეს განზოგადებული მნიშვნელობა, რომელიც საერთოა სიტყვათა გარკვეული კლასისათვის, არის მისი კატეგორიალური მნიშვნელობა. რატომ ვამბობთ „კატეგორიალური“? ტერმინი „კატეგორია“ მიუთითებს ამ შემთხვევაში როგორც აუცილებელსა და რეგულარულზე

მნიშვნელობის უზოგადეს დონეზე. შეუძლებელია არა მარტო ის, რომ სიტყვას არ აქონდეს მნიშვნელობა, არამედ ისიც, რომ თაყისი საეციფიკის მიუსუდავად, მას არ აქონდეს საერთო ნიშნები გარკვეული კლასის სიგნიფიკატებთან. ეს კატეგორიალური მნიშვნელობა არის სიტყვათა კლასის ანუ შეტყვევლების ნაწილის **სემასიოლოგიური საფუძველი**. (სემასიოლოგია შეისწავლის სიტყვას მისი სემანტიკური ფუნქციის თვალსაზრისით). კატეგორიალური მნიშვნელობის სემასიოლოგიური ბუნება ცხადია. საფუძველს კი წარმოადგენს იგი იმატომ, რომ შეტყვევლების ნაწილთა დანარჩენი ორი ძირითადი ნიშანი (მორფოლოგიურ კატეგორიათა სისტემა და სინტაქსური ფუნქცია) მთლიანად დამოკიდებულია კატეგორიალურ მნიშვნელობაზე და უშუალოდ გამომდინარეობენ მისგან. სწორედ კატეგორიალური მნიშვნელობა ანუ შეტყვევლების ნაწილთა სემასიოლოგიური საფუძველი წარმოადგენს შეტყვევლების ნაწილთა ტრადიციული თეორიის როგორც საფუძველს, ისე მისი შინაგანი წინააღმდეგობრიობის წყაროს. რაც შეეხება საფუძველს: როგორც ცნობილია, ტრადიციულად გამოიყოფა ე.წ. ძირითადი და დამხმარე შეტყვევლების ნაწილები. ძირითად შეტყვევლების ნაწილებად მუდამ მიიჩნეოდა სიტყვათა ის კლასები, რომლებსაც აქონდათ ნათელი კატეგორიალური მნიშვნელობა ანუ ნათელი (გარკვეული) სემასიოლოგიური საფუძველი. სიტყვათა ასეთი კლასებია არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიწედა და რიცხვითი სახელი. მათ გარდა გამოყოფდნენ ე.წ. „დამხმარე“ (არაძირითადი) შეტყვევლების ნაწილებს. ტრადიციულად ასეთებად მიჩნეულია არტიკლი, შორისდებული, ნაწილაკა, წინდებული და ა.შ. ამ ტრადიციული სისტემის ბუნება ჩანს შემდეგი გარემოებიდან: დამხმარე შეტყვევლების ნაწილები სიტყვათა ის კლასებია, რომლებსაც არა აქვთ კატეგორიალური მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში იმ გაგებით, რომელითაც იგი აქვთ ძირითადად შეტყვევლების ნაწილებს. მაგრამ თვით შეტყვევლების ნაწილთა ცნება უთუოდ გულისხმობს

კატეგორიალურ მნიშვნელობას და შექმდომ -
კატეგორიალურ მნიშვნელობათა სისტემას და სინტაქსურ
ფუნქციას.

თანაშედროვე ლინგვისტიკა ცდილობს თავი დააღწიოს
ამ წინააღმდეგობებს შექმდევი გზით: იგი საერთოდ ცდილობს
აღარ ილაპარაკოს მეტყველების ნაწილებზე, ხოლო
სიტყვათა მთელ სისტემას ყოფს ორ ძირითად კატეგორიად
(ჯგუფად):

დესკრიფციული და

არადესკრიფციული ნიშნებად. დესკრიფციულია ის
ნიშანი, რომლის მნიშვნელობაც შეიძლება აღწერილ იქნას
(არის.სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და ა.შ.). ამდენად
ყოველი მათგანი ექვემდებარება სემანტიკას როგორც
სემიოტიკის სფეროს. მაგრამ თუ სიტყვის მნიშვნელობის
აღწერა შეუძლებელია, საქმე გვაქვს არადესკრიფციულ
სიტყვასთან, რომელიც უკვე ექვემდებარება არა სემანტიკას,
არამედ პრაგმატიკას. თუ დესკრიფციული სიტყვის
მნიშვნელობა მუდამ თავიდანვე მოცემულია და სამეტყველო
სიტუაცია აზუსტებს მას, არადესკრიფციულ სიტყვათა
მნიშვნელობა წმინდა სიტუაციურია და იქმნება მეტყველების
პრაგმატული კონტექსტით (საკომუნიკაციო აქტის
ელემენტთა ერობლიობით): ვინ მეტყველებს? ვისთვის
მეტყველებს? სად? როდის? და ა.შ.

თუ კი ჩვენ არ განვსაზღვრავთ მეტყველების
ნაწილებს სამი ნიშნის მისედვით და დავეყოფთ დესკრიფციულ
და არადესკრიფციულ ნიშნებად, წინააღმდეგობა იხსნება.
მაგრამ შეიძლება შევინარჩუნოთ მეტყველების ნაწილთა
ტრადიციული სისტემა და ამავე დროს ძირითად
მეტყველების ნაწილებს ვუწოდოთ დესკრიფციული,
არაძირითადის კი - არადესკრიფციული და გავყოთ ისინი
სემანტიკისა და პრაგმატიკასთან ურთიერთმჭართების
საფუძველზე.

შევჩერდეთ ჯერ მეტყველების ძირითად ნაწილებზე
ანუ დესკრიფციულ სიტყვათა სისტემაზე და შევეცადოთ
დავსაახლოოთ ისინი ხსენებული სამი ნიშნის მიხედვით. ამასთან

თითოეულს ამ ნიშანთაგან შეიძლება შივრდგეთ პირველადობა/მეორადობისა და ცენტრალურობა/პერიფერიულობის თვალსაზრისით.

ლექცია № 24

ჩვენ ვილაპარაკეთ მეტყველების ნაწილთა როგორც სიტყვათა კლასთა სამ ასპექტზე, რომლებიც შინაგანად აკონსტიტუირებენ მეტყველების ყოველ ნაწილს: ესაა

1. მეტყველების ნაწილთა კატეგორიალური მნიშვნელობის ასპექტი;

2. მეტყველების ნაწილის კატეგორიალური სისტემა - იმ შორფოლოგიურ კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასლავს მეტყველების ნაწილს გამონათქვამში მისი ფუნქციონირების (აქტუალიზაციის) დროს;

3. მეტყველების ნაწილის ფუნქცია გამონათქვამში ანუ მისი სინტაქსური ფუნქცია.

რომელი მეტყველების ნაწილიც არ უნდა ავიღოთ, მისი ლინგვისტური არსი იქმნება ამ საში ასპექტით.

მეორე პრობლემა, რომელსაც შევხვით - მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის პრობლემაა. უფრო სწორად, ჩვენ შევხვით ამ პრობლემის იმ საწყის მომენტს, რომელიც არსებობდა მეტყველების ნაწილების ტრადიციულ კონცეფციაში და რომელთანაც საქმე აქვს მეტყველების ნაწილთა თანამედროვე თეორიასაც. ეს საწყისი პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ერთი მხრივ, ყოველი მეტყველების ნაწილი - ეს არის სიტყვათა ისეთი ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, რომლისაოყისაც გადამწყვეტია გრამატიკული ასპექტი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ სიტყვები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სწორედ იმ საში ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომლებიც ჩვენ დავასახელებთ და დავახასიათებთ: არის სიტყვები, რომლებიც

არიან ამ წიგნის მატარებლები, მაგრამ არის სიტყვები, რომლებსაც ეს წიგნები არ გააჩნიათ, მაგრამ შეუძლებელია მათ უარი ვუთხრათ სიტყვის სტატუსზე (მაგალითად წინდებული, კავშირი, არტიკლი). მათ შორეულებს ძნელად თუ ვუწოდებთ, იმიტომ რომ შორეუმა წარმოადგენს სიტყვის სტრუქტურის კომპონენტს.

თუ ტრადიციული ლინგვისტიკა წყვეტდა ამ პრობლემას ძირითადი და დაშოკებული მეტყველების ნაწილების გაშიჯებით, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ეს პრობლემა უკვე სემიოტიკურ ნიადაგზე გადაიჭრება: თუ ყველა სიტყვა ნიშანია, ნიშანს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ მნიშვნელობის აღწერა შეიძლება შეუძლებელი იყოს ან ძნელდებოდეს - შესაბამისად გამოიყოფა დესკრიფციული და არადესკრიფციული ნიშნები.

ტრადიციულთან უფრო ახლოსაა ამ პრობლემის გადაჭრის მეორე ცდა - დაყოფა ავტოსემანტიკურ და სინემანტიკურ სიტყვებად.

მეტყველების ნაწილთა დიქტომიური კლასიფიკაცია (ძირითადი - დაშშარე; ავტოსემანტიკური - სინემანტიკური; დესკრიფციული - არადესკრიფციული) მუდამ არის გარკვეული კომპრომისის შედეგი როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში.

თანამედროვე მიდგომა მეტყველების ნაწილების პრობლემისადმი სასიათდება შექმნილი ნიშნებით:

1. ეს უნდა იყოს სემიოტიკური მიდგომა - მიდგომა, რომელიც ეყრდნობა ენის როგორც ნიშანთა სისტემის გაგებას;

2. ეს მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს იმ განსხვავებიდან, რომელიც არსებობს სიტყვის როგორც ენობრივი ნიშნის ონომასიოლოგიურ თუ სემასიოლოგიურ განხილვიდან. ეს მეორე მეთოდოლოგიური ასპექტი პირველიდან გამომდინარეობს: თუ სიტყვა ჩაკოვალეთ ნიშნად, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ონომასიოლოგიური, ისე სემასიოლოგიური თვალსაზრისით;

3. მეტყველების ნაწილებიდან შიდაგომა უნდა იყოს ფუნქციური, მათი განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი სინტაქსური ფუნქცია.

დავიწყოთ პირველი შიდაგომით.

თუ ჩვენ ყველა მეტყველების ნაწილს განვიხილავთ სემიოტიკური თვალსაზრისით, მაშინ ძირითად მეტყველების ნაწილთა სისტემაში უნდა გამოვყოთ ორი კატეგორია: რეფერენტული და არარეფერენტული მნიშვნელობები. რას ნიშნავს ეს?

თუ ჩვენ ავიღებთ რომელიმე არსებით სახელს, მუდამ შეიძლება სინამდვილეში (სინამდვილე უნდა ავიღოთ ფართოდ: რეალური სამყარო, შინაგანი სამყარო, ფანტაზიის სამყარო და ა.შ.) მოვუნახოთ მას რეფერენტი. იგივე იოქმის ზმნაზე - თუშცა აქ დაკავშირება რეფერენტთან მუდამ ადვილი არ არის, მაგრამ მაინც შესაძლებელია. მაგრამ თუ ავიღებთ რომელიმე ზედსართავ სახელს ან ზმნიზედას, პრინციპულად შეუძლებელია მას რეფერენტი მოვუძებნოთ. „ლაძაზი“ - მუდამ რაღაცაა ან ვიღაცაა, რომელიც თვით არის რეფერენტი. ზედსართავი სახელი დესკრიფციულია (როდესაც შესაძლებელია სემური ანალიზი, შესაძლებელია აღწერაც). ის, რაზედაც მიუთითებს ზედსართავი სახელი, მუდამ არის რომელიმე რეფერენტული მეტყველების ნაწილის (ან სახელის, ან ზმნის) ატრიბუტი. სწორედ ამიტომაც წინადადებაში ასე მკვეთრად განისვავდება პრედიკატული და ატრიბუტული მიმართებები: ის მიმართებები, რომლებიც მყარდება რეფერენტულ სიტყვებს შორის (სახელი და ზმნა) - პედიკატულია, არარეფერენტულ და რეფერენტულ სიტყვებს შორის - ატრიბუტული.

მეორე შიდაგომა: რაც შეეხება მეტყველების ნაწილთა განხილვას იმ განსხვავების თვალსაზრისით, რომელიც არსებობს ონომასიოლოგიასა და სემასიოლოგიას შორის. (ὄνομα ბერძ. „სახელი“, nomen - ლათ. „სახელი“) - მაგრამ ონომასიოლოგიური თეორია არ არის იგივე, რაც ნომინაციის

თეორია. ნომინაციური ასპექტი უპირისპირდება კომუნიკაციურს, ონომასიოლოგიური კი - სემასიოლოგიურს.

სემასიოლოგიური თვალსაზრისი გულისხმობს, რომ ანალიზისას ამოსავალია ის, რისი დასახელებაც ხდება: ერთი მხრივ, გვაქვს სამყარო თავისი ობიექტური და სუბიექტური განზომილებებით, გამოიყოფა საგნები თავისი თვისებებით, ხდომილებები თავისი თვისებებით - სამყარო, რომელიც ასახულია ენაში. მეორე მხრივ გვაქვს ენა და გვაქვს ენები. და ჩვენ ვსვამთ კითხვას: როგორ ხდება სამყაროში არსებულ საგანთა და ხდომილებათა დასახელება ენის მიერ საერთოდ და მოცემული ენაში. თუ ამ კითხვას დავსვამთ უნივერსალური მნიშვნელობით და მივიღებო მხედველობაში იმას, რომ არ არსებობს ენა, სადაც არ იყოს არსებითი სახელისა და ზმნის დიქოტომია მაინც, ეს კითხვა მიიღებს ფორმას: რა წარმოადგენს მეტყველების ნაწილის სემასიოლოგიურ საფუძველს, რა განსხვავებაა კატეგორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით სახელისა და ზმნის შორის?

ონომასიოლოგიური მიდგომა გულისხმობს ანალიზის შებრუნებულ მიმართულებას: ამ შემთხვევაში ამოსავალია არა სამყარო, არაქედ ენა საერთოდ და ცალკეული ენები. არის, ენა, არის მასში მეტყველების ნაწილები, და აქედან გამოძდინარე ვსვათ კითხვას: რა შეესაბამება ამ მეტყველების ნაწილებს სამყაროში? ამრიგად, თუ სემასიოლოგიური მიდგომის შემთხვევაში მიმართულება იყო საგნიდან სახელისაკენ, აქ პირიქითაა: სახელიდან საგნისაკენ.

თუ ამოვალთ იქიდან, რა როლს ასრულებს ენა ადამიანისა და სამყაროს მიმართებაში, მაშინ პირველადია სემასიოლოგიური მიდგომა (საფუძველი).

როგორია მეტყველების ნაწილთა სისტემის არსებობის სემასიოლოგიური საფუძველი?

მეტყველების ნაწილთა დიქოტომიის საფუძველია თვით სამყაროს შინაგანი დიქოტომია - ერთი მხრივ, სამყაროს სტრუქტურა გულისხმობს სივრცით და ხდომილებათა

როგორც განსხვავებას, ისე უროთიეროდაკავშირებულობას, ხოლო მეორე მხრად - არც საგანი, არც ხდომილება არ არსებობს გარკვეული თვისებების (გარკვეული ატრიბუტების) გარეშე.

ვილაპარაკოთ მეტყველების ნაწილების სემასიოლოგიურ საფუძველზე - ნიშნავს ვილაპარაკოთ მეტყველების ნაწილთა პირველ ძირითად ნიშანზე - კატეგორიალურ მნიშვნელობაზე. როდესაც ლაპარაკია მეტყველების ნაწილთა სამ ძირითად ნიშანზე, საზგასძულად თუ არა საზგასძულად მაინც დგება კიოხვა, რომელია ამ ნიშნებისაგან მთავარი. სემასიოლოგიური საფუძველიდან გამომდინარე, მთავარია კატეგორიალური მნიშვნელობა. ფუნქციური თვალსაზრისის მიხედვით კი ძირითადია შესამე ნიშანი - სიტყვა არსებობს იმისთვის, რომ შეასრულოს გამონათქვამში გარკვეული ფუნქცია. მეორე ნიშანი ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია: იგი პირველიდან გამომდინარეობს და ემსახურება შესამეს.

არსებითი სასკლისა და ზმნის დაპირისპირებისას სემასიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს განსხვავება სუბსტანციასა და ხდომილებას შორის.

ლექცია № 25

მეტყველების ნაწილთა პრობლემის სამი ძირითადი ასპექტი:

1. კატეგორიალური მნიშვნელობა;
2. მორფოლოგიურ-კატეგორიალური სისტემა;
3. ის სინტაქსური ფუნქცია, რომელსაც ასრულებს ყოველი მეტყველების ნაწილი გამონათქვამში.

ჩვენ უკვე შევეხეთ პირველ ასპექტს. დღეს უნდა შევეხეთ მეტყველების ნაწილის პრობლემის მეორე ასპექტს. იმისათვის, რომ მის არსი თავიდანვე გასაგები იყოს, ეს სამი ასპექტი უნდა წარმოვიდგინოთ ერთიანობაში. პირველ რიგში,

უნდა წარმოვიდგინოთ ორგანულ ერთიანობაში პირველი და მესამე ასპექტი. ამ ორი ასპექტის ურთიერთგანპირობებულობა, ე.ი. მეტყველების ნაწილის სინტაქსური ფუნქცია, გამომდინარეობს მისი კატეგორიალური მნიშვნელობიდან, ხოლო მის კატეგორიალური მნიშვნელობა გულისხმობს მის ფუნქციას (ლაპარაკია მისი პირველად ფუნქციასზე). ეს ზოგადი თეზისი დავაკონკრეტოთ არსებითი სახელის მაგალითზე, თუშცა ის, რაც ითქვა, ესემა ყველა მეტყველების ნაწილს.

რა წარმოადგენს არსებითი სახელის როგორც მეტყველების ნაწილის ონომასიოლოგიურ საფუძველს? ის, რომ დაასახელოს სუბსტანცია. მაგრამ, როგორია არსებითი სახელის მნიშვნელობა (ვლაპარაკობთ კატეგორიალურ დონეზე, ე.ი. ვახდენთ ყოველგვარი კონკრეტულობის აბსტრაირებას და ვლაპარაკობთ უზოგადეს დონეზე, არისის დონეზე), როცა ვაძებთ, რომ ონომასიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სუბსტანციის დასახელება, ეს ნიშნავს, რომ ყველა არსებითი სახელისათვის განმასხვავებელი არ არსებობს. იგი ასახელებს სუბსტანციას, მაგ.: სამშობლო, მაგიდა, სიყვარული - ეს ყველა სუბსტანციაა. ასეთია არსებითი სახელის სემასიოლოგიური საფუძველი და მისი კატეგორიალური მნიშვნელობა. პირველი ასპექტიდან გადავიდეთ მეორეზე.

როგორია არსებითი სახელის ფუნქცია გამონათქვამში? ამ კითხვაზე არსებობს ორი პასუხი. პირველი უფრო ტრადიციულია, მეორე - უფრო თანამედროვე.

ტრადიციული პასუხი მდგომარეობს შემდეგში: არსებითი სახელის პირველადი სინტაქსური ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ გამონათქვამში იგი აღნიშნავს ქვემდებარეს ანუ სინტაქსურ სუბიექტს. მაგრამ რა არის ქვემდებარე? ეს რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ რა არის წინადადება. წინადადება გრამატიკული თვალსაზრისით არის ბინარული პრედიკაციული სტრუქტურა, ანუ სუბიექტურ-პრედიკატური სტრუქტურა. უზოგადესად რომ ვთქვათ,

ქვემდებარე არის ის, რაზედაც რაღაცა ითქმის, პრედიკატი - ის, რაც ითქმის, ე.ი. ქვემდებარე არის ის, რისი განსაზღვრაც ხდება, პრედიკატი არის მისი განმსაზღვრელი. განსაზღვრა შეიძლება ატარებდეს პრედიკაციულ ან ატრიბუციულ ხასიათს. მაგ.: „ბიჭი თამაშობს“ - არის პრედიკაციული განსაზღვრა. „პატარა ბიჭი თამაშობს - ატრიბუციული. თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: რისი განსაზღვრა ხდება პრედიკაციულ სტრუქტურაში, რა გაშოდის საზღვრულის და რა მსაზღვრელის როლში. საზღვრულის როლში გაშოდის მუდამ რაღაც სუბსტანცია, მსაზღვრელის როლში კი - ხდომილება. ისინი ერთმანეთს გულისხმობენ. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ყოველი მეტყველების ნაწილი უნდა გაყიგოთ იმ როლით, რომელსაც იგი ასრულებს წინადადებაში.

არსებობს მეტყველების ნაწილთა ფუნქციების თანამედროვე გაგება.

პირველი გაგების მიხედვით, წინადადების ცენტრს წარმოადგენს ის, რისი განსაზღვრაც ხდება, ე.ი. ქვემდებარე. თუ წინადადებაში მთავარია ქვემდებარე, მაშინ ენაში მთავარი ყოფილა არსებითი სახელი, რადგან ყველა წევრი განსაზღვრავს მას. მაგ.: „პატარა ბიჭი თამაშობს ბაღში“.

არსებობს მეორე, საპირისპირო თვალსაზრისიც. მართალია, აბსოლუტური საზღვრული არის ქვემდებარე, მაგრამ აბსოლუტური მსაზღვრელი არის პრედიკატი, ე.ი. მთავარი არის თვით განსაზღვრა, რაკი პრედიკატი არის ძირითადი მსაზღვრელი. ეს კონცეფცია არის რეაქცია პირველ კონცეფციაზე. მაგრამ ისინი ერთი სინტაქსური კონცეფციის ფარგლებში არსებობენ. რა არის ეს ერთი კონცეფცია? - ის, რომ წინადადება არის ბინარულ-პრედიკატული სტრუქტურა.

ის კონცეფცია, რომელსაც უფრო თანამედროვეს ვუწოდებთ, არის წინადადების სხვაგვარი დანახვა. რას ნიშნავს ეს? ტრადიციული გაგება წინადადებისა ნიშნავს შემდეგს: წინადადება არსებობს იმისათვის, რომ მოხდეს გარკვეული სუბსტანციის განსაზღვრა. ამ თქმის პირველადი მოდუსი არის პრედიკაცია, თუშცა არის მეორადი მოდუსიც -

ატრიბუცია. უფრო თანამედროვე გაგება წინადადებისა გულისხმობს, რომ წინადადების ფუნქცია მდგომარეობს გარკვეული სიტუაციის ან ხდომილების ასახვაში, ე.ი. ლექსიკური ნომინაციის გარდა გვაქვს სინტაქსური ნომინაციაც. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ რა გამოდის მსახდვრელის და სახდვრულის როლში? მთაყარია ხდომილება, ანუ სიტუაცია, ხოლო ყოველი ხდომილება გულისხმობს მონაწილეებს ანუ აქტანტებს.

უნდა ვილაპარაკოთ რეალურ აქტანტზე არა წინადადებაში, არამედ სინამდვილეში. სინამდვილე არის ხდომილებაოთა ნაკადი. სინამდვილე უნდა დაყინახოთ დინამიურად, ყოველი ხდომილება გულისხმობს, რომ ვიღაცა მონაწილეობს ამ ხდომილებაში. არსებობს რეალური აქტანტები. თუ წინადადება არის ხდომილების დასახელების გზით ასახვა, ანუ ნომინაცია, მაშინ ყოველი წინადადება წარმოადგენს ისეთ სტრუქტურას, რომლის ცენტრი იქნება ზმნა, გარშემორტყმული თავისი აქტანტებით. რეალურ აქტანტებს შეესაბამება სინტაქსური აქტანტები.

თანამედროვე სინტაქსში არსებობს წინადადების ორი გაგება - ხდომილებრივი და ლოგიკური. მაგ.: „ბიჭი კითხულობს წიგნს“. „კითხულობს“ არის ზმნის ძიერ გამოხატული მოქმედება, „ბიჭი და წიგნი“ - აქტანტები. თუ ამას თანამედროვე ლოგიკის თვალსაზრისით შევხედავთ - „კითხულობს“ - ორადგილიანი პრედიკატია, „ბიჭი“ და „წიგნი“ - მისი არგუმენტები.

ტრადიციული გაგებით არსებითი სასულის პირველად სინტაქსურ ფუნქციას წარმოადგენს ქვემდებარის გამოხატვა. თანამედროვე გაგებით კი - აქტანტის, ანუ არგუმენტის გამოხატვა. ორივე შემთხვევაში აუცილებელი ხდება მეტყველების ნაწილის ისეთ ასპექტთა ურთიერთგანპირობებულობა, როგორცაა მისი კატეგორიალურობა და მისი სინტაქსური ფუნქცია.

პირველი და მესამე ასპექტის განპირობებულობა რომ რეალური იყოს, საჭიროა შუალედური ასპექტის ასპექტო

რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მეტყველების ნაწილის კატეგორიალური მნიშვნელობისა და მისი ფუნქციის კავშირის რეალური რეალიზაცია.

ლიქცია № 26

პირველი და ყველაზე უფრო ზოგადი, რაც შეიძლება ითქვას სინტაქსის საგანზე-წინადადებაზე: წინადადება არის ენობრივი ნიშანი. წინადადების ასეთ განსაზღვრას მოიხსოვს თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარება.

ნიშნის ცნების ექსპანსიამ შექმნა ნიშანთა იერარქიული (ჰერტიკალური) ტიპოლოგია, როცა, ჰორიზონტალური ტიპოლოგიიდან განსხვავებით, ნიშნის ერთი ტიპი რაღაც თვალსაზრისით აღემატება მეორეს: სრული ნიშანი → არასრული ნიშანი ანუ ის, რაც უნდა იყოს სრული ნიშნის ინტეგრანტი.

ეს ცნებები არ არის აბსოლუტური. ნიშანი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სრულად ერთი თვალსაზრისით, შეიძლება აღმოჩნდეს არასრულად სხვა თვალსაზრისით: თუ წინადადებას მივიღებთ სრულ ნიშნად - სიტყვა იქნება არასრული, ხოლო თუ ტექსტსაც ჩავთვლით ნიშნად, მაშინ წინადადება გამოვა არასრული ნიშნის როლში. როდესაც ვლაპარაკობთ წინადადებაზე, უნდა დაგუმატოთ, ნიშანთა რომელ ტიპს უნდა მიყაკუთვნოთ იგი - სრულს თუ არასრულს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ნიშანთა ტიპოლოგიის ფარდობით ხასიათს, მაშინ როგორ უნდა განვსაზღვროთ წინადადება სემიოტიკური თვალსაზრისით? ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ მხედველობაში ორი თვალსაზრისი, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყოველი ენობრივი ნიშნის განსაზღვრისას:

1. რომელ იერარქიულ დონესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ნიშანი, ყოველი ნიშნისთვის მუდამ მთავარი და განმსაზღვრელია ის, თუ სინამდვილის რომელ ასპექტს

ასახავს იგი, უფრო ზუსტად - სინამდვილის რომელ ასპექტს ასახავს ის განზომილება, რომელსაც ჩვენ ყუწოდებო აღსანიშნის;

2. რა იერარქიულ მიმართებაშია ენობრივი ნიშანი სხვა ნიშანთან?

შეეჩერდეთ პირველ თვალსაზრისზე. წინადადება უნდა დაყვასიათოთ პირველ როგში იმის მიხედვით, თუ სინამდვილის რომელი ასპექტია ასახული მის აღსანიშნში სინამდვილის იმ ასპექტებისგან განსხვავებით, რომლებიც ასახება სიტყვისა და ტექსტის აღსანიშნში.

რა განსხვავებაა წინადადებას როგორც ნიშანსა და სიტყვას როგორც ნიშანს შორის? წინადადება როგორც სინტაქსური ნიშანი განსხვავდება სიტყვისაგან როგორც ლექსიკური ნიშნისაგან იმით, რომ იგი აღნიშნავს სინამდვილის არა იზოლირებულ ფაქტებს - იქნება ეს საგანი, ფენომენი თუ თვისება - არამედ მთლიან (მთლიანურ) სიტუაციებს. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „მასწავლებელი“. იგი ლექსიკური ნიშანია. მას აქვს აღმნიშვნელი და აღსანიშნი. ის, რასაც იგი აღნიშნავს, არის ერთერთი საგანთა უსასრულო რაოდენობიდან. იგივე ითქმის სიტყვაზე „მაგიდა“. ავიღოთ ზმნა „დგომა“. შეძლებ კი ავაგოთ წინადადება: „მასწავლებელი დგას მაგიდასთან“. რა პრინციპული განსხვავებაა სიტყვის აღსანიშნსა და წინადადების აღსანიშნ შორის? წინადადებაში საგნები და თვისებები მოქცეულია სინამდვილის ახალ განზომილებაში, რომელსაც სიტუაცია ყუწოდება: სიტუაცია თავის თავში ამთლიანებს საგნებს, თვისებებს, ფენომენებს.

ამავე თვალსაზრისით - აღსანიშნის თვალსაზრისით - უნდა განვასხვავოთ წინადადება ტექსტისაგანაც.

ჩვენ ვთქვით, რომ როგორც სიტყვა არის წინადადების ინტეგრანტი, ისე წინადადება არის ტექსტის ინტეგრანტი. თუ წინადადება აღნიშნავს სიტუაციას, ტექსტი აღნიშნავს წინადადებათა ერთობლიობას. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს დაყინახოთ ეს განსხვავება, არ უნდა დავიფიწყოთ მისი

ფარდობითობაც - ის, რომ ამ განსხვავებებს არა აქვს და
ყურაც ექნება აბსოლუტური ხასიათი. საქმე ისაა, რომ
სიტყვათა შორის გვაქვს ისეთი სიტყვა, რომელიც
პრინციპულად განსხვავდება ყველა სხვა სიტყვისაგან და
რომელსაც წაშვენი ადგილი უკავია მეტყველების ნაწილთა
შორის. ესაა ზმნა, თანამედროვე გაგებით ცენტრალური
მეტყველების ნაწილთა შორის. რატომ არის იგი
ცენტრალური? თავისი მნიშვნელობით იგი სიტყვათა შორის
ყველაზე მეტად უახლოვდება წინადადებას, უახლოვდება
იმდენად, რომ შეიძლება ითქვას: ყოველი წინადადება - ეს
არის გაშლილი ზმნა, ყოველი ზმნა - ეს არის შეკუმშული
წინადადება. ზღვარი იმას შორის, რასაც აღნიშნავს ზმნა და
რასაც აღნიშნავს წინადადება, ცხადია, არის, მაგრამ იგი
უსასრულოდ მტირდება: ზმნა არის წინადადების სემანტიკური
და სტრუქტურული ცენტრი. ფარდობითობა მდგომარეობს
სწორედ იმაში, რომ ზმნა სიტყვაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა
ძალზე ახლოსაა წინადადებასთან, თუმცა მაინც ვერ უდრის
მას. არ უნდა დაგვაფიქვდეს ისიც, რომ ოვისების აღმნიშვნელი
ყველა სიტყვა (მაგ., ზედსართავი სახელი) სემანტიკურად და
ფუნქციურად ძალზე ახლოსაა ზმნასთან - მას შეუძლია
შეასრულოს ზმნის ფუნქცია, ყინაიდან ზმნაც და ზედსართავი
სახელიც აღნიშნავენ იმას, რაც ახასიათებს სუბსტანციას.

თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ როგორი უნდა იყოს
წინადადების სემანტიკური განსაზღვრა? ალბათ შერწყმული
ენის დონეებრივ ორგანიზაციასთან: **წინადადება** არის
სიტუაციის (ხდომილების) აღმნიშვნელი ენობრივი ნიშანი,
რომელიც სრული ნიშნის როლს ასრულებს სიტყვის შიშარო
და არასრული ნიშნის როლს ტექსტის შიშარო.

როგორც უკვე ითქვა, წინადადება - ეს არის ნიშანი, რომელიც სიტყვისაგან განსხვავებით აღნიშნავს არა სინამდვილის ცალკეულ იზოლირებულ სეგმენტს, არამედ მთლიანურ სიტუაცია-ხდომილებას, ხოლო ტექსტისაგან განსხვავებით აქვს ტენდენცია აღნიშნოს ერთი ცალკეულად აღებული სიტუაცია-ხდომილება და არა მათი თანამიმდევრობა. ამრიგად: სიტყვა აღნიშნავს სინამდვილის ერთ რომელიმე სეგმენტს, წინადადება - სიტუაცია-ხდომილებას, ხოლო ტექსტი - სიტუაცია-ხდომილებათა თანამიმდევრობას, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვი, წინადადება აღნიშნავს რეფერენტულ სიტუაციას, ტექსტი - რეფერენტულ სივრცეს.

ეს არის წინადადების სემიოტიკური განსაზღვრა. მაგრამ ნიშნის ყოველი განსაზღვრა თანამედროვე ენათმეცნიერებაში კონკრეტდება მისი მოდელით, ისევე როგორც ყოველი ენობრივი მოვლენის განსაზღვრას (ენობრივი ერთეული, ქვესისტემა) თან ახლავს მისი მოდელირება. ეს ითქმის როგორც მთლიანად ენაზე, ისე ცალკეულ ასპექტებზე, ქვესისტემებზე. თანამედროვე კვლევა - ეს არის განსაზღვრისა და მოდელირების ერთობლიობა. თუ ჩვენ წინადადებას მოდელირების თვალსაზრისით მიყუდებით, მაშინ მისი განსაზღვრა დაკონკრეტდება შემდეგნაირად: იმისათვის, რომ ჩვენ ნათლად წარმოვიდგინოთ წინადადების სტრუქტურა (ეს კი მიიღწევა მოდელირების საშუალებით) და ამავე დროს წარვმართოთ ჩვენი მსჯელობა მარტივიდან რთულიაკენ, გნასოთ, თუ როგორ აიგება წინადადების მოდელი ნიშნის არსებული საში მოდელის მიხედვით.

პირველი კითხვაა ამ შემთხვევაში, თუ როგორია წინადადების სტრუქტურა ნიშნის სოსიურისეული ორგანზომილებიანი მოდელის მიხედვით. ნიშნის ამ მოდელის მიხედვით (აღსანიშნი-აღმნიშვნელი) შესაძლებელია და აუცილებელიცაა მოხდეს წინადადების 1. სტრუქტურულ-

ფორმალური და 2. სემანტიკური მოდელირება. ანუ სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების აგება. მაგრამ ყოველი მოდელირება ემყარება შესაბამის ცნებებს. რა ცნებებს ეყრდნობა წინადადების სტრუქტურული მოდელი და რა ცნებებს - სემანტიკური მოდელი? წინადადების სტრუქტურული მოდელირება ეყრდნობა მეტყველების ნაწილისა და წინადადების წევრის ცნებას, ხოლო სემანტიკური - პროპოზიციის ცნებას. პროპოზიცია როგორც ტერმინი ახალია ენათმეცნიერებაში. პროპოზიცია - ეს არის წინადადების ის სიგნიფიკატი-კონცეპტი, რომლის დენოტატს მუდამ წარმოადგენს რომელიმე ხდომილება-სიტუაცია.

კომუნიკაციური სამყარო და თანამედროვე ლინგვისტიკა

ლექცია № 1

„კომუნიკაციური სამყარო და შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“ – ამ გამოთქმაში თეორიული თვალსაზრისით ფუძემდებელი, ცხადია, კომუნიკაციური სამყაროა და მასზე დაძვარებული, თუ როგორ გავიგებთ შეპირისპირებით ლინგვისტიკას. შეპირისპირებითი ლინგვისტიკა კი თავის მხრივ განსაზღვრავს, თუ რატომ უნდა ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ სამყაროზე.

ჩვენი საბოლოო მიზანია, დავინახოთ ქართული ენობრივი სამყარო ევროპული ენობრივი სამყაროს ფონზე და პირუკუ, ანუ რა მიმართებაშია ქართული ენობრივი სამყარო ევროპულ სამყაროსთან და პირუკუ. ჩვენ საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ამ ორი სამყაროს დიალოგურ-შეხვედრით კვლევას. კომუნიკაციური სამყაროს აგება თავიდანვე უნდა გულისხმობდეს ენათა სიმრავლის დიალოგური ურთიერთ მიმართების გათვალისწინებას. ენათა სიმრავლე თავდაპირველად და ყოველგვარ სხვა დიალოგამდე უკვე ნიშნავს, რომ ადამიანის სამყარო დიალოგიზირებულია. ჩვენი მიზანია, თანდათანობით მიგუახლოვდეთ იმ კონსექტუალურ სინამდვილეს, რომელსაც გულისხმობს გამოთქმა „კომუნიკაციური სამყარო“. რას ნიშნავს „კომუნიკაციური“ და რას ნიშნავს „სამყარო“? რატომ არის აუცილებელი ამ ორი ცნების, ორი ტერმინის შერწყმა და რატომ იძლევა ეს შერწყმა ისეთ იდეას, რომელსაც შეუძლია თავისი შინაგანი ლოგიკით დაიტეოს თავის თავში ის, რასაც „შეპირისპირებით ლინგვისტიკას“ ვუწოდებთ? გამოთქმაში „კომუნიკაციური სამყარო“ ჩვენ ვაერთიანებთ ორ თეორიულ ფაქტს. პირველი – ეს არის დღევანდელი ლინგვისტიკური აზროვნება მის

ყველაზე უფრო აქტიურ და შინაგანად ყველაზე უფრო „წინ“ წასულ ასპექტში. XX საუკუნის ლინგვისტიკა, როგორც თეორიული საზი, ხასიათდება გარკვეული დინამიკით. ეს დინამიკა დაიწყო სოსიურიდან და დღემდე გრძელდება. ამ დინამიკის შედეგი დღეს არის ის, რასაც ჩვენ შეგვიძლია გუწოდოთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

ჩვენ უნდა გამოვყოთ XX საუკუნის თეორიული ლინგვისტიკის ორი ასპექტი:

პირველია - ემპირიული ასპექტი, რომელიც მდგომარეობს იმაში, თუ რომელი ლინგვისტური შრომები იკავებდნენ თეორიული მიმართულების მიმცემა შრომების პოზიციას. ეს იყო ჭრელი, წინააღმდეგობით აღსავსე და შინაგანად ძალიან მრავალფეროვანი სურათი. იყო სოსიური, პარალელურად ამერიკელი სტრუქტურალისტები (ბლუძფილდი), მათი ურთიერთ გადაკვეთა. იყო სხვადასხვა მიმართულება - გლოსემატიკა, პრადის სკოლა და ა.შ. მაგრამ, რაკი ჩვენ ვიმყოფებით XX საუკუნის ბოლოს, საუკუნეთა მიჯნაზე, როცა დინამიკამ მიაღწია თავის გარკვეულ ლოგიკურ შედეგს, ჩვენ შეგვიძლია და აუცილებელიცაა დავინახოთ XX საუკუნის ლინგვისტური აზროვნების მეორე ასპექტიც - ამ მოძრაობის შინაგანი ლოგიკა, ანუ მოვანდინოთ XX საუკუნის ლინგვისტური აზროვნების თეორიული

რეკონსტრუქცია (ამ აზროვნების ხსენებული დინამიკის გაოყალისწინებით). ყოველი რეკონსტრუქცია გულისხმობს გარკვეულ რეტროსპექციას. ეს რეტროსპექტიული მსურა უნდა შეიცავდეს ლინგვისტური აზრის დინამიკის „ინტენსიურ“ სედვას. სწორედ შინაგანი ლოგიკის რეკონსტრუქციის შედეგად შევძლებთ დავინახოთ, თუ რატომ უნდა იწოდებოდეს, პირობითად მაინც, თანამედროვე, ან, უკეთესად რომ ვთქვათ, დღევანდელი ლინგვისტიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკად და, რაც მოაფარია, შევძლებთ დავინახოთ ამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭეშმარიტი არსი. რეკონსტრუქცია სწორედ

დღევანდელი ლინგვისტიკის არსის გასაგებად გექყარდება. ეს თეორიული რეკონსტრუქცია გამოიყურება შემდეგნაირად: თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ნიშნის ცნება ე.ი. XX საუკუნის ლინგვისტიკა - ეს არის სემიოტიკური ლინგვისტიკა. ნიშნის ცნება კი, თუ ჩვენ სწორედ თეორიული რეკონსტრუქციის გზას დავადგებით, გულისხმობს ნიშნის სტრუქტურის ორმაგ აღნაგობას - მის მოცულობას პირინონტალურ და კერტიკალურ ჭრილში. **ჰორიზონტალურ ჭრილში** ყოველი ნიშანი, იერარქიის რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს ოგი (ეს იქნება სიტყვა, თუ წინადადება, თვით ტექსტი), ხასიათდება იმ საში განზომილებით, რომლებსაც სემიოტიკის როგორც ერთიანი მოძღვრების მიხედვით ეწოდება სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა. როცა ვამბობთ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას საფუძვლად უდევს ნიშნის ცნება, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ფ, სოსიურმა შეიშუშავა ეს საში განზომილება - ისინი პირველად ამერიკელმა ფოლოსოფოსმა პირსმა წამოაყენა. თავდაპირველად ეს საში განზომილება ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ ჩამოყალიბდა. ამდენად თეორიული რეკონსტრუქცია გულისხმობს, რომ ის, რაც შემდგომ გამოვლინდა, მოცემული იყო უკვე თეორიული განვითარების სათაყუებში. ამით განსხვავდება რეკონსტრუქცია წმინდა ისტორიული თვალსაზრისისაგან.

თუ ჩვენ მოელ ამ დინამიკის „შეკუმშავთ“ და მოვითავსებთ ნიშნის სამგანზომილებიან მოდელში, მაშინ ეს იქნება მოძრაობა **სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ**. პირველი ეტაპი-ეს იყო სინტაქტიკური აზროვნება, მას მოჰყვა სემანტიკური, ხოლო შემდგომ პრაგმატული ეტაპები. აქ ჩვენ ყიმყოფებით ჩვენთვის შეტად მნიშვნელოვანი ფაქტის წინაშე: ამოიწურა ეს საში განზომილება, განხორციელდა კვლევათა ის იდეა, რომელსაც შეიცავდა ეს მოდელი. თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პირველ პლანზეა **პრაგმატული** კვლევა. ამ მოდელის ფარგლებში

ჭეშმარიტი თეორიული „წინსვლა“ უკვე შეუძლებელია. რაც შეეხება ემპირულ-პრაგმატულ კვლევას, იგი რა თქმა უნდა გრძელდება და დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ, როგორც ეს საერთოდ ხდება, მეცნიერების განვითარების რომელიღაც მომენტში დინამიკა შეიძლება ნიშნავდეს დასასრულს.

ეს იყო ნიშნის მოდელით რეპრეზენტირებული ლინგვისტური აზრის მოძრაობის პორიზონტალური განზომილება.

მეორეა **ვერტიკალური** განზომილება. ვერტიკალურ ჭრილში ჩვენ გვაქვს უკვე ნიშანთა იერარქიული ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიას წარმოშობს სრულ და არასრულ ნიშანთა ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთკავშირი. სწორედ ეს დაპირისპირება და ურთიერთკავშირია ის, რაც ქმნის ენის დონეებრივ ორგანიზაციას, ენის დონეებრივ სტრუქტურას. ამრიგად თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით ენას საფუძვლად ორი ძირითადი მომენტი უდევს: 1) ენა არის ნიშანთა სისტემა და 2) მას აქვს დონეებრივი სტრუქტურა.

თეორიული რეკონსტრუქცია აძლევს თავს უფლებას, რომ ის, რაც გაშოვლინდა, მიიჩნიოს არა მარტო შედეგად, არამედ საფუძვლადაც. ჩვენ თავიდანვე უნდა გაუსვათ ხაზი სრული და არასრული ნიშნების ცნებათა ფარდობით ხასიათს: ენის რომელი დონის ძირითადი ერთეული ჩაითვლება სრულ და რომელი - არასრულ ნიშნად, ეს მუდამ დამოკიდებულია ლინგვისტური აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. იყო დრო, როცა ნიშნად ითვლებოდა მხოლოდ სიტყვა (მაგალითად სოსიურთან). შემდეგ მოხდა ნიშნის ცნების „ექსპანსია“ და ნიშნად მიჩნეულ იქნა წინადადება. აქ მოხდა დაპირისპირება: **სიტყვა** იქნა მიჩნეული **არასრულ**, ხოლო **წინადადება** **სრულ** ნიშნად. ამასთან ყოველი არასრული ნიშანი აღიარებულ იქნა სრული ნიშნის ინტეგრანტად. შემდეგ სრული ნიშანი აღმოჩნდა **ტექსტი**. მაგრამ დარჩა ნიშანთა იერარქიული ურთიერთმიმართების იდეა. სემიოტიკური ლინგვისტიკა მიიღტვოდა და დღესაც მიიღტვის იმისკენ, რომ თავისი განხილვისა და კვლევის უმთავრეს ობიექტად აქციოს ჭეშმარიტად სრული ნიშანი.

ლაპარაკი იყო სინტაქსის ცენტრალურობაზე (ე. ი. წინადადების ცენტრალურობაზე), დღეს კი ასეთად ითვლება ტექსტი. ე. ი. როგორც პორიზონტალურ ჭრილში ანტიზონიების წარმოშობ სიბოლოო ეტაპად გვევლინება პრაგმატიკა, ისე ვერტიკალურში გვევლინება ტექსტი. ფრანგი ენათმეცნიერი ე. ბენვენისტი ამბობდა, რომ წინადადება არ არის ნიშანი, მაგრამ შედგება ნიშნებისაგან. წინადადება - ეს არის თვით „სიცოცხლე ენისა“. რაკი დღეს ჭეშმარიტად სრული ნიშნის სტატუსის პრეტენზია აქვს ტექსტს, შეგვიძლია წინადადების ეს ბენვენისტიკური ხედვა გადავიტანოთ ტექსტზე. მაგრამ შექმდომი თეორიული ნაბიჯი უკვე შეუძლებელია. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის განსაზღვრას საფუძვლად დაუდებთ ამ სქემას, უნდა ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ეს არის ნიშნის სემიოტიკური მოდელის საფუძველზე და მის ფარგლებში მომხდარი კონცეპტუალური დინამიკის შედეგი, კომუნიკაციური ლინგვისტიკა ჩნდება უკვე ხსენებული პორიზონტალური და ვერტიკალური დინამიკის ურთიერთგადაკვეთის წერტილში, ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბიროცს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკისა და ტექსტის ლინგვისტური თეორიის შინაგანი ურთიერთდაკავშირება. ე. ი. ეს კონცეპტუალური ბიროცია ისეა აგებული, რომ ერთ მხარეს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკა, ხოლო მეორეს - ტექსტის თეორია. ამიტომ, თუ კი ჩვენ მოვინდომებთ, რომ კომუნიკაციური სამყაროს იდეას საფუძვლად დაედოს როგორც მისი პირველი საფუძველი-თანამედროვე ლინგვისტიკა იმ სახითა და შინაარსით, რომლითაც იგი არსებობს, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მას ამ პირველ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა. მაგრამ ჩვენ დაგინახეთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის არა მარტო კონცეპტუალური (ცნებითი) სტრუქტურა, არამედ მისი ანტიზონიური სტრუქტურაც-დაგინახეთ იგი როგორც პრაგმატიკის, ისე ტექსტის შემოხვევაში. ეს ფუნდამენტური ანტიზონია ახასიათებს მეცნიერული აზრის განვითარების ყველა საკვანძო მომენტს. ამიტომ კომუნიკაციური სამყაროს იდეა

უნდა გულისხმობდეს კომუნიკაციური ლინგვისტიკის და საერთოდ, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ისეთ ტრანსფორმაციას, ისეთ გარდაქმნას, რომელიც შეინარჩუნებს მთელ მის კონცეპტუალურ მონაპოვარს და ამავე დროს გადალახავს იმ წინააღმდეგობებს, იმ ანტინოქიებს, რომლებზეც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ე. ი. ტერმინი „კომუნიკაციური სამყარო“ მიუთითებს სიმბოლურად იმაზე, რომ ხდება არა მარტო შენარჩუნება, არამედ პრინციპული გადალახვაც, ლაპარაკია ისეთ გადალახვაზე, ისეთ გადასვლაზე, რომელსაც თვით XX საუკუნის აზროვნება გულისხმობს: ასეთი შენარჩუნება-გადალახვითა და ამის შედეგად კომუნიკაციური სამყაროს აგების აუცილებლობა ოყით ამ აზროვნების დინამიკის წიაღში გვაქვს.

ლექცია № 2

პირველ ლექციაში უკვე მოგხაზეთ იმის წინასწარი კონტური, თუ რას უნდა ნიშნავდეს „კომუნიკაციური სამყარო და შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“. ვთქვით აგრეთვე, რომ ამ კონტექსტში უნდა გარდაიქმნას შეპირისპირებითი ლინგვისტიკა: ენათა სიმრავლე უნდა წარმოგვიდგეს როგორც ენათა **დიאלოგი** ერთი და ერთიანი უნივერსალური ადამიანური სამყაროს ფარგლებში. შემდეგ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა მიზნით უნდა ვიართო, რომ აყავოთ ის, რასაც „კომუნიკაციური სამყარო“ ვუწოდეთ. ერთ-ერთ ასეთ გზად მივიჩნით ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე სტადიის გააზრება, XX საუკუნის ლინგვისტიკის დინამიკის ოეორიული რეკონსტრუქცია. ამ დინამიკის საფუძველს წარმოადგენდა ენის სემიოტიკური გაგება (ენა არის ნიშანთა სისტემა), ნიშნის ცნება და მოდელი. ეს დინამიკა ორი მიმართულებით იშლებოდა: ერთი მხრივ, ეს იყო მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ, ხოლო მეორე მხრივ-ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორცაა-ჰომოთეტურად-ტექსტი. ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“

ყუწოდეთ. იგი ეყრდნობა ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, თუ რაში მდგომარეობს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტინომიური სტრუქტურა. ეს სტრუქტურა წარმოინდა ორპიძართულებიანი დინამიკის ორივე საბოლოო წერტილში-როგორც პრაგმატიკაში, ისე ტექსტში. ერთი მხრივ პრაგმატიკა-ჰორიზონტალურ ქრილში ლინგვისტური აზროვნების მოძრაობის ეს ბოლო წერტილი-ამავე დროს ენობრივი ნიშნის მოდელით ნაკარნახევი მოძრაობის თეორიული ჩიხია. მეორე მხრივ, თუ ენა სემიოტიკური არსისაა ამ სემიოტიკურობას ეწინააღმდეგება ის, რომ მისი უმაღლესი ერთეული როგორც ბუნვენისტი თვლის - უკვე არ უნდა იყოს ნიშნობრივი ბუნება. აი ის ორი ძირითადი ანტინომია, რომელიც იკვეთება ჩვენი გაგებით თანამედროვე თეორიულ ლინგვისტიკაში. თეორიულ ანტინომიათა ბუნებიდან კი გამომდინარეობს ის, რომ ისინი მუდამ მოასწავებენ მეცნიერული აზრის ფუნდამენტური წინსვლის და გაღრმავების წინაპირობას. ანტინომიათა გადალახვა უნდა იქცეს არსებული მეცნიერული აზროვნების უპირველეს თეორიულ იმპერატივად. თუ, როგორც ჩვენ ვთქვით, კომუნიკაციური ლინგვისტიკა იქმნება და ვითარდება ლინგვისტური აზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობის ურთიერთგადაკვეთის წერტილში, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა არის (ან-უნდა იყოს) ამ ორი ანტინომიის ურთიერთგადაკვეთის წყარო და შედეგი. ყველაფერი ამის შემდეგ, ჩვენ უნდა წამოვაყენოთ თეზისი, რომლის ჭეშმარიტების ცხადყოფას უნდა მიეძღვნას ჩვენი შემდგომი საუბარი. ეს თეზისი მდგომარეობს შემდეგში: კომუნიკაციური სამყაროს აგება უნდა წარმოადგენდეს ხსენებულ ანტინომიათა-ერთ-ერთი გადაკვეთის და გადალახვის შედეგს. როგორი უნდა იყოს ეს გადალახვა, რომელ მეთოდოლოგიურ გზას უნდა დაყადგეთ?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ გამოთქმა „კომუნიკაციური სამყარო“ შეიცავს ორ ურთიერთდაპირისპირებულ მომენტს: იმდენად, რამდენადც ხაზგასმულია ამ სამყაროს კომუნიკაციურობა, ჩვენი მიზანი უნდა იყოს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთი გადალახვა, რომელიც უნდა ნიშნავდეს

ამავე დროს მთელი მისი კონცეპტუალური მონაპოვარის
 შენარჩუნებას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში კომუნიკაციური
 ლინგვისტიკის წიაღში უნდა გვექონდეს ის აზრობრივი
 ცენტრი (ბირთვი), რომლის გარშემოც „ტრიალებს“
 დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა, რომელსაც უნდა
 ძალუძდეს ერთდროულად გვიჩვენოს როგორც
 კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ-
 მეთოდოლოგიური მონაპოვრის შენარჩუნების, ისე მისი
 რადიკალური გადაღობვის გზა. ამ ბირთვს წარმოადგენს ის,
 რასაც შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე კომუნიკაციური
 ლინგვისტიკის **ანთროპოცენტრიზმი**. თამამად
 შეიძლება ითქვას, რომ თეორიული და მეთოდოლოგიური
 რეფლექსია დაკავშირებულია თანამედროვე ლინგვისტიკის
 ანთროპოცენტრიზმთან და დასმა კითხვისა, თუ რას ნიშნავს
 ანთროპოცენტრიზმი, თეორიული თვალსაზრისით
 განახლებული ლინგვისტური აზროვნების დაბადების
 შესაძლო წყაროდ შეიძლება იქცეს. ანთროპოცენტრიზმი
 უკვე გამოიკვეთა როგორც მთელი თანამედროვე
 ჰუმანიტარული აზროვნების ბირთვი, მაგრამ ყველაფერი
 დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიაზრებს ადამიანი
 თავის თავს. ე. ი. ლინგვისტური და საერთოდ მთელი
 ჰუმანიტარული აზროვნების ცენტრში (ამას გულისხმობს
 „ანთროპოცენტრიზმი“). მაგრამ რას ნიშნავს თვით
 „ადამიანი“? ამ კითხვის შინაგანი მასშტაბურობა
 გამომდინარეობს არა მარტო იმ მოსაზრებიდან, რომ ამ
 კითხვაზე პასუხის გაცემა თავისთავად ნიშნავს პასუხის
 გაცემას კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ლინგვისტიკა და
 არა მარტო იგი. ეს ერთი მხარეა. მეორე მხარე მდგომარეობს
 იმაში, რომ არ არსებობს არაფითარი ადამიანის გარეშე
 ინსტანცია (მეცნიერული თუ არამეცნიერული), რომელსაც
 ძალუძს, არსებულ ლოგიკაზე დაყრდნობით, ერთნიშნად და
 ცალსახად უთხრას ადამიანს, თუ რა არის იგი. ე. ი. მთელი
 ჰუმანიტარული აზროვნების შინაგანი არსი დამოკიდებულია
 სწორედ იმაზე, თუ რა პასუხი გაეცემა ამ კითხვას: რა თქმა
 უნდა, როდესაც ჩვენ „არსს“ ვაძებობთ შეიძლება შეიქმნას
 შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გარკვეულ რისკზე მივდივართ,
 რომ ვახდენთ ლინგვისტური აზროვნების გაუმართლებელ

„ფილოსოფიზაცია“. რამდენადაც საკოხნი უაღრესად მნიშვნელოვანია, მას ვუპასუხებთ შემდეგი საძი არგუმენტიო: **პირველი** არგუმენტი იქნება აღებული თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ისტორიიდან და ამით ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ამ აზროვნების თეორიული რეკონსტრუქციის გზით; **მეორე** არგუმენტი იქნება აღებული თანამედროვე პუშანისტური აზროვნებიდან, კერძოდ ფსიქოლოგიიდან, ხოლო **მესამე** არგუმენტი თეორიული ლინგვისტური აზრის ისტორიიდან, ამ ისტორიის სათაყუებიდან.

პირველი არგუმენტის არსი მდგომარეობს შემდეგში: ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმისა და საბიოლოთ ანგარიში - ლინგვისტური აზროვნების შინაგანი შინაარსი დამოკიდებულია კითხვაზე, თუ რა არის ადამიანი, არ არის ლინგვისტური აზროვნების გაუმართლებელი „ფილოსოფიზაცია“ იმიტომ, რომ ეს აზრი (XX საუკუნის ლინგვისტური აზრი) თავიდანვე იყო ფილოსოფიზირებული. იგი წარმოადგენდა გარკვეული ფილოსოფიური პოზიციის ექსპლიციურებას და ამ ფილოსოფიური პოზიციის გარეშე იგი ვერ იარსებებდა, ვერ იქნებოდა ის, რაც იყო. თეორიული რეკონსტრუქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის, რაც გვესახება ჩვენ დღეს ძირითადად და განმსაზღვრელად. სრულიადაც არ იყო ცხადი თავიდანვე. წარმოინდა შემდგომ, განვითარების შედეგად. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში თავი იჩინა იმან, რაც გარდუვალია ყოველი სისტემატიზირებული ძეცნიერების აგებისას - შეუძლებელია მყესნიერულ აზროვნებას როგორც სისტემას საფუძვლად არ ედოს ფილოსოფიურობა. ის ფილოსოფიური პოზიცია, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სიღრმისეულ საფუძველს, რომელიც წარმოშობს ამ აზროვნებას, ბადებს მას თავისი წიაღიდან, ეს არის **ლუდვიღ ვიტგენშტაინის** ფილოსოფია. ეს ფილოსოფია საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ბადებს თავის წიაღიდან თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას, არამედ იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენს თანამედროვე პოზიციისტური ფილოსოფიის კვინტესენციას.

ამიტომ ბუნებრივია, რომ თუ კომუნიკაციური საშუაროს აგება უნდა წარმოადგენდეს ლინგვისტური თეორიის აგების რადიკალურ განახლებას, ეს რადიკალური განახლება უნდა ნიშნავდეს ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლის განახლებას. ეს განახლება კი შეუძლებელია იმის გარეშე, რომ თანამედროვე ანტინომიური სიტუაციიდან გამომდინარე, არ დაისვას კითხვა: რა არის ადამიანი?

ლექცია № 3

ჩვენი მიზანი აუცილებლად უნდა იყოს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტინომიათა გადალახვა, მაგრამ გარკვეული მეცნიერების თუ მეცნიერული სფეროს ანტინომიათა გადალახვა უნდა ხდებოდეს ამ მეცნიერების ცენტრალური პრინციპის საფუძველზე, მისი გადააზრების, მასზე რეფლექსიის შედეგად. თანამედროვე ლინგვისტიკაში ანტინომიური სიტუაცია შინაგანად ემთხვევა პარადიგმულ სიტუაციას, იგი გამომდინარეობს იმ მნიშვნელობისგან, რომელსაც მეცნიერული აზრის თანამედროვე თეორია ანიჭებს მეცნიერული პარადიგმის ცნებას. როცა აზროვნებაში ხდება რეკოლუციური ძვრა, როცა აზროვნების ერთი მიმართულება ან ერთი სტილი იცვლება მეორეოთ, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ მეცნიერული აზროვნების პარადიგმათა მონაცვლეობაზე. დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში საზგასმულია, რომ ლინგვისტური კვლევის საგნად დღეს უნდა ჩაითვალოს არა „ენა როგორც სისტემა“, არაშედ „ენა როგორც სისტემა მოქმედებაში“, ენობრივი ნიშნის ცენტრალურ განზომილებად კი შიჩნეულია მისი პრაგმატული განზომილება, ენობრივი სუბიექტის ან პიროვნების წინა პლანზე გამოყვანა. წიგნში „ЯЗЫКОВАЯ картина мира“ ლაპარაკია ანთროპოლოგიურ ლინგვისტიკაზე. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის ცნება უკავშირდება აქ საშუაროს ენობრივ სურათს და იმ მოაზროვნეს, რომელმაც პირველმა შემოიტანა ეს ცნება საერთოდ მეცნიერულ აზროვნებაში - ჰუმბოლდტს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში უკვე ხაზგასმითაა
ლაპარაკი პარადიგმულ სიტუაციაზე. ეს პარადიგმული
სიტუაცია უნდა გაყოთ როგორც ლინგვისტური
აზროვნების გადასვლა სემანტიკიდან პრაგმატიკაში. რაკი
პრაგმატიკა განისაზღვრება როგორც ენობრივი ნიშნის
მიმართება იმ სუბიექტებთან, რომლებიც იყენებენ ამ ნიშანს,
ეს უკვე ნიშნავს, რომ ყურადღების ცენტრში ექცევა
ადამიანი.

დავუბრუნდეთ პარადიგმულ სიტუაციას თანამედროვე
ლინგვისტიკაში. თუმიცა ეს ტერმინი იხმარება, მაგრამ იგი არ
უკავშირდება ანტინომიურ სიტუაციას. როცა
ვილაპარაკობდით ანტინომიურ სიტუაციაზე
ვეულისხმობდით, რომ ენობრივი ნიშნის ცნება და მოდელი
საში გაზომილებით ამოიწურება. ჩვენი გაგებით,
სინტაქტიკიდან სემანტიკაზე ხოლო სემანტიკიდან
პრაგმატიკაზე გადასვლა არ უნდა ჩაითვალოს ფუნდამენტურ
ძვრად ლინგვისტიკის ისტორიაში, ყინაიდან ჩვენ შაინც
ვიწყობდით ერთსა და იმავე კონცეპტუალურ სივრცეში -
სამგანზომილებიანი ნიშნის ფარგლებში, მართალია იცვლება
აქცენტები, მაგრამ იგივე რჩება ლინგვისტური თეორიის
კონცეპტუალური საყრდენი. ხოლო პარადიგმათა ცვლაზე
შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა იცვლება ამა თუ იმ
შეცნიერების ფუნდამენტური, ძირეული პოსტულატები.
თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება ეყრდნობა ნიშნის
ცნებას: ლინგვისტური აზროვნების განვითარების წინა
ეტაპზე განმსაზღვრელი იყო ნიშნის მნიშვნელობა
(სემანტიკური ასპექტი), დღეს კი წინა პლანზეა
გამოყენებითი ასპექტი. თეორიული ლინგვისტიკის
ფუძემდებელი გ. პუშბოლდტი ამბობდა: „ენა არის არა
მკყდარი პროდუქტი, არამედ შემოქმედებითი პროცესი“.
პუშბოლდტის ამ გამოხატოქვაში ჩანს, რომ მისთვის
არაარსებითი იყო ის, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე
ლინგვისტიკისათვის. როდის უნდა ვილაპარაკოთ
პარადიგმათა ცვლილებაზე - როცა გადავდივართ ერთი
ასპექტიდან მეორეზე, თუ მაშინ, როცა შევეცდებით
დავუბრუნდეთ პუშბოლდტის ფუნდამენტურ თეზისს და
გავიაზრებთ ენას როგორც შემოქმედებით პროცესს?

კუბოლდტის მიხედვით, ენა არ უნდა გავიგოთ როგორც ნიშნათა სისტემა, როგორც კომუნიკაციის საშუალება. რას ნიშნავს ასეთ შემთხვევაში თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტინომიების გადალახვა? - ეს ნიშნავს იმას, რომ დაეუბრუნდეთ ენის ჰუმბოლდტიურ იდეას და მის საფუძველზე ავაგოთ ლინგვისტური აზროვნების ჭეშმარიტად ანთროპოლოგიური პარადიგმა და ავაგოთ იგი ისე, მის ფარგლებში ერთდროულად შენარჩუნებული და გადალახული იყოს თანამედროვე ლინგვისტიკის და პირველ რიგში კომუნიკაციური ლინგვისტიკის მთელი კონცეპტუალური მონაპოვარი. რაკი ჩვენ ამ მიზნით მივმართეთ ანთროპოცენტრიზმს როგორც ლინგვისტურ პრინციპს, მაშინ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ამ პრინციპზე რეფლექსია, იმის გაგება, თუ რა იგულისხმება ამ პრინციპით თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში და რა უნდა იგულისხმებოდეს ამ პრინციპით ჭეშმარიტად ანთროპოლოგიურ-შეიძლება ითქვას, ჰუმბოლდტიურ-ლინგვისტიკაში?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პრობლემის ასე დასმა გულისხმობს ღიად, ექსპლიციტურად დაისვას კითხვა, რომელიც იმპლიციტურად ჩართულია ანთროპოცენტრიზმის ტერმინსა და ცნებაში: როგორ უნდა გვესმოდეს ადამიანი, თუ, ან როცა იგი ექცევა ლინგვისტური აზროვნების ცენტრში? ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს არ უნდა გავიგოთ როგორც ლინგვისტური აზროვნების ასე ვთქვათ ძალდატანებითი „ფილოსოფიზაცია“, როგორც მხოლოდ ჩვენი სუბიექტური აზროვნების მიდრეკილების გამოხატვა, ეს რომ არ არის არა სუბიექტური ფილოსოფიზაცია, არამედ თეორიული ლინგვისტიკის შინაგანი მოთხოვნა, - ამის დასადასტურებლად საკმარისია მივუთითოთ ლინგვისტური და საერთოდ ჰუმანიტარული აზროვნების განვითარების შემდგომ სამ ფაქტზე: თვით თანამედროვე ლინგვისტიკის არსი და დინამიკა-ის ფაქტი, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა - რა თქმა უნდა, თუ ჩვენ მას თეორიული რეკონსტრუქციის პრინციპით დაყინახავთ - არის გარკვეული მსოფლმხედველური პოზიციის დაკონკრეტება და რეალიზაცია. ე.ი. თუ ჩვენ გავაგრძელებთ თანამედროვე

ლინგვისტური თეორიის რეკონსტრუქციას, ოგი უნდა მდგომარეობდეს მის. მსოფლმხედველურ რეკონსტრუქციაში: მხოლოდ მსოფლმხედველურ რეკონსტრუქციას შეუძლია რამდენადმე მაინც დაასრულოს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების აღექვატურად ინტერპრეტაციის პროცესი. თანამედროვე ლინგვისტური აზრი ეყრდნობა ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს. არ არის საკმარისი იქვას, რომ ეს დინამიკა ვითარდება ამ ნიშნის პირიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში. უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა არის გარკვეული მსოფლმხედველური კონცეფციის ლინგვისტური წარმოდგენა, ხოლო კავშირი თეორიულ ლინგვისტიკასა და ნაგულისხმებ მსოფლმხედველობით კონცეფციას შორის არის არანაკლებ ორგანული და არანაკლებ ლოგიკურად აუცილებელი, ვიდრე ვთქვათ, კავშირი ნიშნის თანამედროვე კონცეფციისა და თვით თეორიულ ლინგვისტიკას შორის. ანთროპოცენტრიზმის, როგორც ფუძემდებელი პრინციპის გააზრება უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე ლინგვისტიკის ამ მსოფლმხედველური საფუძვლის გარკვევას ანუ თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველური რეკონსტრუქციის ამოცანას. ანთროპოცენტრიზმის კონცეპტუალური ვარიანტი, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა, მთლიანად არის დაკავშირებული თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველთან და თუ ჩვენ გვსურს, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტიანთროპოგადაღაზება და თუ ჩვენ გვსურს ჭეშმარიტად პუშბოლდტიესული ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის აგება, მაშინ ჩვენ უნდა მოყავდინოთ სწორედ ანთროპოცენტრიზმის როგორც პრინციპის ფუნდამენტური გადააზრება. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღვიქვამთ და გავიგებთ ენას არა როგორც „შეკვდარ პროდუქტს“, არამედ როგორც, შემოქმედებით პროცესს. ხოლო ენის როგორც შემოქმედებითი პროცესის წიაღში, მის ფარგლებში და საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია აყავოთ ის, რაც არის ჩვენი საბოლოო მიზანი - კომუნიკაციური სამყარო, რომლის საფუძველზე ჩვენ უკვე შევძლებთ ენათა სიმრავლის ახლებურ, ჭეშმარიტად ანთროპოცენტრისტულ ინტერპრენტაციას.

რას წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი და რას უნდა წარმოადგენდეს იგი, თუ ჩვენ მიზნად გვაქვს იმ ფუნდამენტური ანტინომიების გადალახვა, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას? ამ ანტინომიათა გადალახვის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ის განახლებული ლინგვისტური აზროვნება, რომელსაც ექნება არა მარტო განყენებული თეორიული და არა მარტო წმინდა ინსტრუმენტული (გამოყენებითი) მნიშვნელობა, არამედ ექნება დღევანდელი ადამიანისათვის არსებითი-ეგზისტენციალური-მნიშვნელობა. შეიძლება ჩვენ ავაგოთ ის, რასაც ჯერჯერობით პირობითად ვუწოდებთ კომუნიკაციურ სამყაროს, იმ სამყაროს, რომელიც წარმოშობს ენას, როგორც ადამიანურ ფენომენს და ენათა სიმრავლეს, როგორც დიალოგურ სამყაროს. ჩვენი ეს რეფლექსია თანამედროვე ლინგვისტურ ანთროპოცენტრიზმზე შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ არ დავსვამთ კითხვას იმ ცნების შესახებ, რომელიც მთავარია ამ შემთხვევაში: ესაა ცნება ადამიანის შესახებ. როგორც უკვე ითქვა პრობლემის ასეთი დასმა არ ნიშნავს ლინგვისტური აზროვნების ძალდატანებით ფილოსოფიზაციას, რადგან ლინგვისტური აზროვნება ექსპლიციტურად თუ არა, იმპლიციტურად მაინც უკვე ფილოსოფიზირებულია. თავისი არსებობის საუკუნენახევრის მანძილზე იგი მუდამ იყო და არის გარკვეული ფილოსოფიური პოზიციის არა უბრალო შედეგი (პროდუქცია), არამედ კონკრეტიზირება. თუ ჩვენ გამოვიყენებთ სიღრმისა და ზედაპირის ჩვენთვის უკვე ცნობილ ცნებებს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა თავისი დინამიკით წარმოადგენს გარკვეული მსოფლმხედველობითი პოზიციის ზედაპირს, ხოლო თვით ეს მსოფლმხედველობითი პოზიცია წარმოადგენს ამ ლინგვისტური აზროვნების და ამ მთელი მისი დინამიკის სიღრმეს. ჩვენი მიზანია ამ სიღრმის ექსპლიკაცია, ანუ მისი დანახვა ბოლომდე რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა მივიყვანოთ ლოგიკურ ბოლომდე თანამედროვე

ლინგვისტური აზროვნების ის თეორიული რეკონსტრუქცია, რომელზეც წინა ლექციებზე ყილაპარაკეთ.

თუ ჩვენ დავსვამთ კითხვებს:

- რას ნიშნავს, რომ ლინგვისტური აზროვნება მისწრაფოდა სიტყვიდან (წინადადების „გაყლი“) ტექსტისკენ?

- რას ნიშნავს, რომ სხვადასხვა დროს წაძევიან სტატუსის იღებდა სინტაქტიკა, სემანტიკა და ამჟამად პრაგმატიკა? - და შევეცდებით ამ საკმაოდ რთულ კითხვებს გავცეთ ლაკონური პასუხი, მაშინ ეს პასუხი უნდა იყოს შემდეგი: ლინგვისტური აზროვნების ეს დინამიკა იყო და არის თანამედროვე მსოფლხედვის იმ დინამიკის უშუალო ასახვა, რომლის მიხედვითაც სამყარო აღიქმებოდა უპირველესად ჯერ როგორც საგანთა ანუ სუბსტანციათა ერთობლიობა, შემდეგ როგორც ხდომილებათა ერთობლიობა, ხოლო შემდეგ, ამ მსოფლმხედველობის განვითარების უკვე მესამე ეტაპზე, ეს მსოფლხედვა შეიცვალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ ადამიანის ხედვით: მსოფლმხედველობით აზროვნების ყურადღების ცენტრში მოექცა არა საგნობრივად თუ ხდომილებრივად დანახული სამყარო, არამედ მხოლოდ და თვით ადამიანი. ეს ლაკონური პასუხი შეიძლება გაიშალოს და კომენტირებულ იქნას შემდეგნაირად: როცა ჩვენ ვლაპარაკობთ თანამედროვე მსოფლხედვაზე და ამ მსოფლხედვის დინამიკაზე, ვგულისხმობთ არა თანამედროვე მსოფლხედვას მის მთლიანობაში, არამედ მხოლოდ იმ ასპექტს, იმ განზომილებას, რომელიც საფუძვლად ედო თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას და რომელსაც ეს აზროვნება უშუალოდ ასახავდა. თუ საქმის ვითარებას რამდენადმე გაგაზრტივებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ მხედველობაში გვაქვს პოზიტივისტური მსოფლხედვა, ე.ი. ის მსოფლხედვა, რომელიც არა სვამს საკითხს სამყაროსა და ადამიანის მეტაფიზიკური არსის შესახებ და რომელიც ცდილობს დაეყრდნოს მეცნიერებისა და გამოცდილების უშუალო მონაცემებს. ასეთმა მსოფლხედვამ ყველაზე უფრო თანმიმდევრული გამოხატულება ჰპოვა ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში. როგორ წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება ამ მსოფლხედვას?

პირველი ძვრა, რომელიც მოხდა თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში - ეს იყო ჰორიზონტალურ განზომილებაში სიტყვებიდან წინადადებაზე გადასვლა. ეს იყო ის ძვრა, რომლის შედეგადაც ლინგვისტიკაში დამკვიდრდა სინტაქსოცენტრიზმი, ე. ი. სინტაქსის ცენტრალური სტატუსი, როცა ენის ძირითად ერთეულად მიჩნეული იქნა არა სიტყვა, არამედ წინადადება, როცა წინადადება მიჩნეულ იქნა სრულ ნიშნად, ხოლო სიტყვა-არასრულ ნიშნად, როცა სიტყვასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურული თუ სემანტიკური პრობლემები იხსნებოდა წინადადების საფუძველზე, წინადადების სტრუქტურიდან ამოსვლით, როცა სინტაქსოცენტრიზმი განვითარდა როგორც ვერბოცენტრიზმი, ანუ წინადადების სტრუქტურულ ცენტრად მიჩნეულ იქნა ზმნა. და ბოლოს, როცა სინტაქსურ აზროვნებაში წამყვანი გახდა სინტაქსური სემანტიკა. მოელი ეს კომპლექსი-სინტაქსოცენტრიზმი, ვერბოცენტრიზმი და სინტაქსური სემანტიკის წინა პლანზე გამოსვლა-იყო უშუალო გამოხატულება იმისა, რომ ჩვენს მიერ აღნიშნული პირველი ეტაპი შეცვალა მეორემ, ანუ სამყარო დანახულ იქნა არა როგორც საგანთა ანუ სუბსტანციათა ერთობლიობა, არამედ ხდომილებათა ერთობლიობა.

რას ნიშნავს სინტაქსოცენტრიზმი? დაახლოებით 20 წლის წინათ ყოველი ლინგვისტური მიზიცია ფუძნდებოდა სინტაქსოცენტრიზმზე დაყრდნობით. მოავარია წინადადება, წინადადება სრული ნიშანია და სიტყვა მისი ელემენტი, არასრული ნიშანია. ყველაფერი, რაც სიტყვას ანასიათებს, გამომდინარეობს წინადადების სტრუქტურიდან. სინტაქსოცენტრიზმი იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი, მიმართული იმისაკენ, რომ დამკვიდრებულიყო ის, რასაც ეწოდება სინტაქსური სემანტიკა. თუ ლინგვისტური აზროვნების ამ ეტაპს განვიხილავთ კონცენტრირებულად, მაშინ გვექნება ასეთი ნაბიჯები: სინტაქსოცენტრიზმი, ვერბოცენტრიზმი და შემდგომ წინადადების სემანტიკური ხედვა. თუ წინადადება აღიქმება როგორც ნიშანი, მას უნდა ჰქონდეს სიგნიფიკატი და დენოტატი, ე. ი. თუ წინადადება ნიშანია და მას აქვს სიგნიფიკატი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს ტიპები და არსებობდეს ამ სიგნიფიკატითა ტიპოლოგია. ეს

ტიბოლოგია, რომელიც შემოიტანა სინტაქსურმა სემანტიკამ, განსხვავდება ადრინდელისაგან (მარტივი და რთული წინადადება და ა. შ.). ამ საში ნაბიჯით ხდებოდა რაღაც ერთი ძვრა, რაში მდგომარეობდა იგი? ეს რამდენადმე ჩანს უკვე იქიდან, რომ სამყარო დანახულ იქნა როგორც ხდომილებათა ერთობლიობა: სამყაროს სტატიკური ხედვა შეიცვალა დინამიკური ხედვით (ხდომილებათა ფაქტთა) ხედვით. რატომ მოხდა, რომ ლინგვისტურ, ან უფრო სწორად: სინტაქსურ აზროვნებაში, მოხდა შექმნილი ცვლილება: რეფორმატსკის სახელმძღვანელოში, როცა ლაპარაკია წინადადებაზე, ძირითად ცნებად აღებულია სინტაგმის ცნება: წინადადება აღქმულია როგორც სინტაგმათა (პრედიკატულ და ატრიბუტულ, სადაც გვაქვს საზღვრული და მსაზღვრელი) კომბინაცია. ერთადერთი წევრი, რომელიც არის მხოლოდ საზღვრული, რომელიც თვითონ არ განსაზღვრავს - არის ქვემდებარე, (რეფორმატსკის სიტყვებით, აბსოლუტური საზღვრული). ყველა დანარჩენი წევრი არსებობს იმისთვის, რომ განსაზღვრის ქვემდებარე - ამიტომ იგი მთავარი წევრია. ესაა ნომინოცენტრული ხედვა. რატომ შეიცვალა იგი ყერბოცენტრულით? სწორედ იმიტომ, რომ შეიცვალა თვით მსოფლხედვა, რომლის უშუალო გამოხატულებას მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს ლინგვისტური აზროვნება. როცა სამყარო არის სუბსტანციათა ერთობლიობა, მაშინ ყოველი წინადადება საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს რომელიღაც სუბსტანციის წარმოდგენა. პრედიკაციის ფუნქციონირება არის რომელიმე სუბსტანციის ისეთი განსაზღვრა, რომელიც ატარებს დასრულებულ აზრს. ე. ი. ყოველი წინადადება ამიტომაც აღიქმებოდა როგორც ლოგიკური მსჯელობის ანარეკლი. ნომინოცენტრული ხედვა იყო ანარეკლი ისეთი მსოფლხედვისა, როცა სამყარო წარმოგვიდგება როგორც სუბსტანციათა ერთობლიობა.

ჩვენ ვთქვით, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დინამიკა წარმოადგენს იმ მსოფლმხედველური დინამიკის მიმნიშნებელ მოვლენას, რომელიც არსებითად დამახასიათებელია XX საუკუნისათვის. თუ ჩვენ გამოვიყენებთ თანამედროვე ლინგვისტიკის ცნებით აპარატს და გადავიტანთ მას ხსენებულ კონტექსტში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ლინგვისტური აზრის დინამიკასა და ხსენებულ მსოფლმხედველურ დინამიკას შორის გვაქვს სიდრპისა და ზედაპირის ურთიერთმიმართება, ანუ თანამედროვე ლინგვისტიკა დინამიკაში ესაა თანამედროვე მსოფლმხედველობის დინამიკა, წარმოდგენილი ლინგვისტიკის როგორც მეცნიერების სახით. როცა ამ ორი დინამიკის სიდრპისეულ ურთიერთმიმართებას ასე განსაზღვრავთ, ხაზი უნდა გავუსვათ შემდეგ ფაქტსაც: ლაპარაკია არა XX საუკუნის მსოფლმხედველობის კომპლექსზე მის მოლიანობაში, არამედ პოზიტივისტური და ტრანსცენდენტალისტური მსოფლმხედველობის იმ განშტობაზე, რომელიც ყველაზე უფრო რელიეფურად ლუდვიგ ვიტგენშტაინის შემოქმედებაში იყო წარმოდგენილი, სასელდობრ მის ორ ძირითად ნაშრომში: „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“ და „ფილოსოფიური გამოკვლევები.“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ის დინამიკა, რომლის კონცეპტუალურ მოღალურ საფუძველს წარმოადგენს ნიშნის ცნობილი სამგანსომილებიანი მოდელი, არის ისწორედ ამ ფილოსოფიის ლინგვისტური რებრეზენტაცია. როდესაც ვამბობთ რებრეზენტაციას, ვგულისხმობთ სიდრპისა და ზედაპირის მიმართებას, რომლის გასაგებადაც აუცილებელია ტრანსფორმაციის ცნება. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა არის ლ.ვიტგენშტაინის ფილოსოფიის კონცეპტუალური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სისტემა. თანამედროვე ლინგვისტიკის ის თეორიული რეკონსტრუქცია, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, ვერ იქნება სრული, იგი მოკლებული იქნება თავის ჭეშმარიტ საფუძველს, თუ ჩვენ ვერ

გაყვრკვევიო ხსენებულ მიძართებაში. მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს ისიც, რომ XX საუკუნის მსოფლმხედველური კომპლექსი შეიცავს არა მარტო იმ პოზიციისტურ ნაკადს, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ლინგვისტიკას, არამედ ისეთ მსოფლმხედველურ ნაკადებსაც, როგორიცაა პირველ რიგში თანამედროვე ეგზისტენციალიზმი (ტერმინი პირობითია) - ვგულისხმობთ იმ ფილოსოფიური აზროვნების ნაკადს, რომელშიც „ეგზისტენცია“ ასრულებს ცენტრალურ როლს, ხოლო შემდეგ - თეოლოგიურ-კოსმოლოგიური ნაკადი. რატომაა საქმრო თანამედროვე მსოფლმხედველური კომპლექსის სტრუქტურის ამგვარი, რამდენადმე სრული მონახყა? თუ თანამედროვე ლინგვისტიკა არის გარკვეული მსოფლმხედველური ფილოსოფიური პოზიციის წარმოდგენა-რეპრეტენზაცია და თუ აქედან გამომდინარე, სყენ ჩაყოფლიო, თუნდაც ზოგადი პოსტულატის სახიო, რომ ლინგვისტური აზროვნება გარდუვალად უნდა იყოს გარკვეული მსოფლმხედველური პოზიციის რეპრენენტაცია, მაშინ ასევე გარდუვალად უნდა დაისვას კითხვა: ხომ არ გულისხმობს ჭეშმარიტად ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის აგება (ხოლო ამგვარი ლინგვისტიკის აგების შესაძლებლობა და აუცილებლობაც მინიშნებულია თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმიო) პირველ რიგში შესაბამისი მსოფლმხედველურ-ფილოსოფიური საფუძვლისა თუ პოზიციის მონიდვას? და თუ ეს გამართლებულია, მაშინ რა მიძართებაში უნდა იყოს ანთროპოლოგიური ანუ ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკა ისეთ მსოფლმხედველურ - ფილოსოფიური პოზიციებთან, რომლებსაც პირობითად ვუწოდეთ ეგზისტენციალური თუ თეოლოგიურ-კოსმოლოგიური? ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ხსენებული ფილოსოფიურ-მსოფლმხედველური პოზიციების ფარგლებშიც ენის ფუნქციონი მინიშნულია ადამიანურობის როგორც ფენომენის განმსაზღვრელ ფაქტორად. თუ კითხვა „რა არის ენა და როგორია მისი სტრუქტურა?“ უშუალოდ არის დაკავშირებული კითხვასთან „რა არის ადამიანი და როგორია მისი სტრუქტურა?“ (სწორედ ამას გულისხმობს ანთროპოცენტრიზმი), მაშინ ჩყენ თავიდანყე უნდა

გაყითვალისწინოთ, რომ ბოლო კითხვაზე სხვადასხვა მსოფლმხედველურ პოზიციათა ფარგლებში სხვადასხვანაირ პასუხს ვიღებთ.

დავუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორ ხდებოდა ვიტგენშტაინისეული ფილოსოფიური პოზიციის ტრანსფორმაცია თანამედროვე ლინგვისტიკაში. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ მოხდა XX საუკუნის ლინგვისტიკაში ნომინოცენტრიზმიდან ვერბოცენტრიზმზე გადასვლა და როგორ შეიცვალა სახელის ცენტრალური სტატუსი ზმნის ცენტრალური სტატუსით როგორც წინადადების, ისე მთელი ენობრივი სისტემის ფარგლებში. ეს ძვრა ლინგვისტურ აზროვნებაში იყო გარკვეული მსოფლმხედველური ძვრის უშუალო ანარეკლი. ხოლო თვით ეს მსოფლმხედველური ძვრა მდგომარეობდა იმაში, რომ თუ დაახლოებით XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამყარო აღიქმებოდა როგორც საგანთა თუ სუბსტანციათა ერთობლიობა, ხოლო ლინგვისტური ნომინოცენტრიზმი იყო ამ აღქმის უშუალო გამოხატულება, შემდგომ სამყარო აღქმულ იქნა უკვე როგორც ხდომილებათა თუ აქტთა ერთობლიობა. ლ. ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატის“ პირველივე სტრიქონები გვამცნობენ ამ ძვრას თანამედროვე ადაშიანის მიერ სამყაროს აღქმაში. ეს შრომა იწყება შემდეგი სტრიქონებით: „სამყარო არის ის ყველაფერი, რაც ხდება“ („Мир-это все, что имеет место“), ხოლო შემდეგი ნათქვამია უფრო მკაფიოდ, რომ „სამყარო არის ხდომილებათა და ფაქტთა, და არა საგანთა ერთობლიობა. სამყარო იშლება არა საგნებად, არამედ აქტებად: ეს გამონათქვამი შეიცავს როგორც უარყოფას, ისე მტკიცებას - უარყოფილია სამყაროს საგნობრივი ხედვა და ხდება სამყაროს ხდომილებრივი ხედვა. ამ პოზიციის მიხედვით სამყარო არის ხდომილებათა, ანუ უსასრულო ხდომილებათა ერთობლიობა. ყოველი ხდომილება შეიძლება იყოს მარტივი (არ იშლებოდეს სხვა ხდომილებებად), ატომარული და მოლეკულარული. რა უნდა ჩაითვალოს ყოველი ხდომილების ძირითად განმსაზღვრელ ნიშნებად? პირველ რიგში (რაკი საქმე გვაქვს არა სუბსტანციასთან, არამედ ფაქტთან,

ხდომილებასთან) ხდომილებებისთვის აუცილებელი უნდა იყოს დროული (ტემპორალური) განზომილებანი. სწორედ ამას ნიშნავს სტატისტიკური ხედვიდან დინამიკურზე გადასვლა. მაგრამ ყოველი ფაქტი, ყოველი ხდომილება არის ამავე დროს საგანთა, სუბსტანციათა ერთობლიობა. მაშინ ყოველი ხდომილება, დროული განზომილების გარდა, გულისხმობს ამ ხდომილების მონაწილეებს, რომელთა გარეშეც ხდომილება შეუძლებელია. როდესაც ლინგვისტური აზროვნება ნომინოცენტრიზმიდან ვერბოცენტრიზმზე გადავიდა, ამით მან შეუცნობლად თუ გაცნობიერებულად, თანამედროვე ლოგიკასთან ერთად თავის საფუძვლად მიიღო ჩვენს მიერ უკვე ხსენებული სამყაროს დინამიური ხედვა. სინტაქსური სემანტიკა სხვა არაფერია, თუ არა ამ მსოფლხედვის ლინგვისტური გამოხატვა. როდესაც ლუსიენ ტენიერმა თქვა, რომ „წინადადება - ესაა პატარა დრამა, რომლის მონაწილენი არიან ზმნის გარშემო შემოკრებილი აქტანტები“, მან ამით გამოხატა სწორედ ვიტგენშტაინისეული მსოფლხედვა.

ლექცია № 6

ანთროპოცენტრიზმი - აზროვნების ისეთი ორიენტაცია, როდესაც ყურადღების ცენტრში ადამიანია. ანთროპოცენტრისტული შეიძლება იყოს ყველა პუშანიტარული მეცნიერება. ანთროპოცენტრიზმი შეიძლება გაფიზროთ როგორც მეცნიერული პრინციპი. ანთროპოცენტრისტული ხდება თვით ფიზიკური კოსმოლოგია.

ფსიქოლოგიზმი როგორც პუშანიტარული აზროვნების შესაძლო მიმართულება აღიარებულია დღეს როგორც აზროვნების დაქვეითების უტყუარი მაჩვენებელი. ასეთი ანტიფსიქოლოგისტური პოზიცია გამოვლენილ იქნა ლოგიკის თეორიულ გააზრებაში. საკითხი ასე იდგა: რას წარმოადგენს

აზროვნების ლოგიკური ფორმები? წარმოადგენენ ისინი მხოლოდ ადამიანის ფსიქიკის მონაცემებს, აქეთ მათ წმინდა სუბიექტივისტური ფორმულარება თუ ლოგიკურ კანონებს აქეთ სინამდვილისეული ანუ ონტოლოგიური ღირებულება? თავისი აწიით ლოგიკის მიერ შესწავლილი აზროვნების ფორმები და კანონები ონტოლოგიური, ობიექტური სტრუქტურის მატარებელი არიან, თუმცა უს კანონები ჩვენს აზროვნებაში ფსიქოლოგიურ ფორმას იძენენ.

როცა ვლაპარაკობთ ანთროპოცენტრიზმზე, როგორ გეკისძის „ეგოცენტრიზმი“ (ბენვენისტი) - ფსიქოლოგიურად თუ არაფსიქოლოგიურად? არსებობის ცნება „ეგო“-ს ისეთი გაგება, რომ იგი არის განზოგადებული „მე“-ები. იგი ფსიქოლოგიური სუბიექტის მატარებელია. ი.კანტის „ეგო“ - ტრანსცენდენტალურია. „ეგო“-ს გააზრების ეს დონე უკვე სცილდება თვით ადამიანის როგორც მისი არსების დონე.

როდესაც ვლაპარაკობთ ეგოცენტრიზმზე როგორც ანთროპოცენტრიზმის ვარიანტზე - ეს არ არის ერთგვარი შესაძლო არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ ორი ცნება გაგაიგივოთ. თავდაპირველად „ეგოცენტრიზმი“

ფსიქოლოგიურად გააზრებულ ეგო-ს გულისხმობდა. „ეგოცენტრიზმის“ შემოტანით ებენვენისტმა დასვა საკიონი ნაცვალსახელის თაობაზე. „მე“ უჩვენებს, რომ სამეტყველო აქტის დროს ენა „შითვისა მოლაპარაკებ“, „შენ“ - ფისაც ვლაპარაკებიან. (ფსიქოლოგიურობა - ადამიანის ერთერთი განზოშილება).

ადამიანი შეიძლება განვიხილოთ რეგონალურად - ფსიქოლოგიურად, სოციალურად (ე. ი. სხვადასხვა ასპექტით), იურიდიულად, ანატომიურად. აგრეთვე შეიძლება ვლაპარაკოთ სუპრარეგონალურ დონეზე - როდესაც ადამიანს განვიხილავთ მისი მოლიანობის თვალსაზრისით.

როგორი შინაარსი უნდა ჰქონდეს ლინგვისტურ ანთროპოცენტრიზმს - რეგონალური თუ სუპრარეგონალური?

თუ რეგიონალური - მაშინ ეს შინაარსი უნდა იყოს ფსიქოლოგიური, ლოგიკური, სოციალური და ა.შ. ენობრივი ნიშნის კვლევის საშუალებანი - სინტაქსური → სემანტიკური → პრაგმატული იყო პარიზანტული მიმართულება. შეორე - ენობრივი დონეების მიხედვით - ვერტიკალური მიმართულებაა. დღევანდელი ეტაპი - ტექსტოცენტრიზმის ეტაპია.

ეს ორი მოძრაობა ერთმანეთს შეხვდა და ამ შეხვედრის წერტილში გადაიკვეთა ტექსტი და პრაგმატიკა.

ანთროპოცენტრიზმი იქცა ცენტრალურ პრინციპად, როცა ეს ორი საპირისპირო მოძრაობა ერთმანეთს შეხვდა და ექსტენსიონალურად ერთმანეთს დაემთხვა.

ლინგვისტურ აზროვნებაში მოხდა ის, რომ ენა დაუბრუნდა თავის ონტოლოგიურ წყაროს - ადამიანს. ენა პოტენციურად ეკუთვნის ego-ს.

მაგრამ როგორ აღიქმება ეს „ego“? - რეგიონალურად თუ სუპრარეგიონალურად?

ლექცია № 7

ჩვენ განვიხილეთ ორმხრივი მოძრაობა ლინგვისტური აზროვნებისა: სიტყვიდან ტექსტისაკენ - სემიოტიკიდან - პრაგმატიკამდე, აგრეთვე - თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების საფუძველი - ანთროპოცენტრიზმი.

ლინგვისტური აზროვნების თეორიული რეკონსტრუქცია მიმართულია მისი სიღრმისაკენ. ესაა გარკვეული ფილოსოფიური აზროვნების რეპრეზენტაცია. თუ გამოვიყენებო „ზედაპირისა“ და სიღრმის ტერმინებს და მოვახდენთ მათ ტრანსპოზიციას მეთოდოლოგიურ სივრცეში, მაშინ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მსოფლმხედველურ საფუძველს შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სიღრმე, ამ შექმნევაში სრული ანალოგია გვაქვს ცნებების „ზედაპირის“

- „სიღრმის“ გამოყენებაში. ტრანსფორმაციული გრამატიკის მიხედვით მეტყველებაში რეალიზებული წინადადება არის ზედაპირული სტრუქტურა, და როგორც ასეთი, იგი წარმოადგენს რომელიღაც სიღრმისეული სტრუქტურის ტრანსფორმს და ამ თვალსაზრისით ყოველი რეალურ მეტყველებაში მოცემული წინადადება შეიძლება მეტ-ნაკლებად დაშორებული იყოს შესაბამისი სიღრმისეული სტრუქტურისაგან. რეპრეზენტაცია ერთ შემთხვევაში ლოგიკური ენითაა ნათქვამი, მეორეში - ლინგვისტურით. რაში მდგომარეობს ასეთი თანხვედრის არსი? ვიტგენშტაინის ნაშრომებში („ლოგიკურ - ფილოსოფიური ტრაქტატი“, „ფილოსოფიური ნარკვევები“) მოცემულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის სათაყუები. კავშირი ვიტგენშტაინის მსოფლმხედველობასა და ლინგვისტური აზროვნების შორის არ უნდა გავიგოთ ტრივიალურად. ეს არ არის განპირობების უბრალო მიმართება. ამ ორ აზრობრივ ნაკადს შორის მიმართება ბევრად უფრო ორგანულია, „ინტიმურია“, რაც არ უნდა გავიგოთ როგორც ერთი და იმავე აზრის ორგვარი რეპრეზენტაცია. ასეთ არატრივიალურ გაგებას თავისი ახსნა აქვს როგორც მსოფლმხედველობაში ისე ლინგვისტურ აზროვნებაში.

წინა ლექციაზე დავსვით კითხვა: როგორი შინაარსით უნდა შევავსოთ ანთროპოცენტრიზში? რეგიონალურად თუ სუბკერეგიონალურად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ პირველ რიგში ჩვენ უნდა გავერკვეთ ვიტგენშტაინისეული მსოფლმხედველური აზროვნებისა და თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ნომინაციურ - კომუნიკაციური მიმართების არატრივიალურობაში.

ტრადიციულად (და ეს ტრადიცია აისახა ლინგვისტურ ნომინოცენტრიზში) სამყაროს სტრუქტურა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ აისახებოდა ეს სტრუქტურა აზროვნებაში და სახელდობრ, ისეთ სააზროვნო სტრუქტურაში, როგორიც იყო ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ძირითადი ამოსავალი მსოფლმხედველური პოზიცია, ეს სააზროვნო სტრუქტურები გაიგებოდნენ ან როგორც სამყაროს ობიექტურად არსებული სტრუქტურების სუბიექტური ასახვა ან როგორც თვით სამყაროზე ადამიანისათვის სპეციფიკური სააზროვნო სტრუქტურების პროექტირება (ფილოსოფიური ტრანსცენდენტალიზმი): არსებობს სამყარო როგორც „ნივთი თაყისთავად“ და მასზე ხდება ადამიანის სტრუქტურების პროექტირება. ყველა შემქმენებელი სუბიექტისათვის ეს სააზროვნო სტრუქტურები იდენტურია (მაგ. დროისა და სივრცის ფორმები).

რა მოხდა XX საუკუნეში და რამ განსაზღვრა სწორედ ის, რასაც ვუწოდებთ ვიტგენშტაინის მსოფლმხედველურ აზროვნებას და მის არატრივიალურ მიმართებას ვიტგენშტაინის აზროვნებასთან? ერთი ეტაპი შეიცვალა მეორით: თუ წინა ეტაპზე სამყაროზე (უფრო ზუსტად, ობიექტურად არსებულზე) ხდებოდა იმ აზროვნებითი სტრუქტურების პროექტირება, რომელთა ბუნება ლოგიკურია და რომლებსაც ლოგიკა (ძალიან ფართო გაგებით - ტრანსცენდენტალური ლოგიკა) შეისწავლის, ვიტგენშტაინისეულ ეტაპზე იმავე ობიექტურად არსებულ სამყაროზე ხდება უკვე ენობრივი სტრუქტურების პროექტირება, რაკი გვაქვს პროექტირება, რაკი სამყაროზე შეგვიძლია ლაპარაკი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მოცემულია ადამიანისათვის, ჩვენი EGO-სთვის მხოლოდ ადამიანურ სტრუქტურებში, ამდენად გვაქვს ტრანსცენდენტალიზმი. მაგრამ თუ პირველ, კანტიანულ ეტაპზე, ეს იყო ლოგიკური სტრუქტურები და მათი პროექტირება ხდებოდა სამყაროზე, ამჯერად ამ ლოგიკური სტრუქტურების ადგილი დაიკავა ენობრივმა სტრუქტურებმა. ე.ი. ეს არის ტრანსცენდენტალიზმის ენობრივი ეტაპი. სამყარო ჩვენთვის არის ისეთი, როგორც იგი მოცემულია ენაში. სხვა სამყარო ჩვენ არ ვიცით. ამიტომ, ერთი მხრივ, ის, რასაც ჩვენ გვეუბნება ლინგვისტიკა, შეუძლებელია არ სცილდებოდეს

ლინგვისტიკის ფარგლებს. ყველაფერი ის, რაც ითქმის ენის სტრუქტურაზე (ეს ლინგვისტიკის ამოცანაა), ითქმის ამავე დროს სამყაროს სტრუქტურაზე, არ შეიძლება არ იყოს უნივერსალურ - მეცნიერულ მნიშვნელობისა.

ე. ი. თანამედროვე ლინგვისტიკა ისეთია, როგორც არის შესაბამისი მსოფლმხედველური აზროვნება, და ამავე დროს თავად ლინგვისტიკა წარმოადგენს ამ მსოფლმხედველური აზროვნების რეპრეზენტაცია - „გაგრძელებას“. ე. ი. მედლის ამ ორ მხარეს შორის ზღვარი მსოლოდ პირობითია.

ლექცია № 8

ჩვენ შევჩერდით იმ მიმართებაზე, რომელიც არსებობდა და არსებობს XX საუკუნის ლინგვისტიკასა და იმ მსოფლმხედველურ ნაკადს შორის, რომელიც ამ ლინგვისტიკას უდევს საფუძვლად.

როგორი რეგიონალური შინაარსით უნდა შეივსოს ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი, თუ ჩვენ მას როგორც პრინციპს მივიღებთ და ჩავთვლით თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ცენტრალურ პრინციპად? ჩვენ გეჟონდა ლაპარაკი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების იმ ანტინომიებზე, რომლებიც დაკავშირებულია ლინგვისტური აზროვნების მოძრაობასთან სამგანზომილებიანი ნიშნის სივრცეში. ჩვენ შეგვიძლია მოვასდინოთ რიგით მესამე, მაგრამ მნიშვნელობით პირველი, ძირითადი ანტინომიის ფორმულირება, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას და იმანენტურია ამ აზროვნებისათვის. ჩვენ ვილაპარაკებთ ისეთ ანტინომიაზე, რომელიც მოიცავს მთელ ლინგვისტურ აზროვნებას და მისი მნიშვნელობა იმდენად მთლიანური და გლობალურია, რომ მასში ერთიანდება ამ აზროვნების ყველა მიმართულება და ბუნებრივიცაა, რომ ასეთი იყოს, რადგან იგი

დაკავშირებულია ანთროპოცენტრიზმთან. რაში მდგომარეობს ეს ანტინომია? - ე. ი. ლინგვისტური აზროვნების ის იმპანეტური წინააღმდეგობა, რომელიც შეტყვევლებს, ერთი მხრივ, ლინგვისტური აზროვნების გარკვეული ეპოქის, ყოქვათ სემიოტიკური ეპოქის ლოგიკურ დასასრულამდე მისვლაზე, ხოლო მეორე მხრივ, ლინგვისტური აზროვნების რადიკალურ განახლებაზე. ამ შეშთსვევაში, ჩვენ ვახდენთ მოცემული შეცნაურებისათვის დამახასიათებელ იმ ძირითადი ანტინომიის განმარტებას, რომელიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ყველა შეცნაურებისათვის. რაში მდგომარეობს ეს ანტინომია? ერთი მხრივ ლინგვისტური აზროვნება მივიდა ენის, ენობრივი სისტემის ონტოლოგიურ წყაროსთან. თითქოს ცხადია, რომ ენა არ არსებობს ადამიანის გარეშე, მაგრამ ამ უბრალო კონსტატაციის შეცნაურულ დონედ ქცევას ლინგვისტიკამ მოანდომა მთელი საუკუნე. საბოლოო ანგარიშში სწორედ ეს ფაქტი - ადამიანთან როგორც სუბიექტთან მისვლა - არის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ქრილში მოძრაობის საბოლოო შედეგი: სულერთია, ვილაპარაკებთ სიტყვიდან წინადადებად შემსვლაზე თუ წინადადებიდან ტექსტამდე - საბოლოო ჯამში ეს არის სწორედ ანთროპოცენტრიზმი, ენობრივი სისტემის მის ონტოლოგიურ წყაროსთან დაკავშირება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ანთროპოცენტრიზმი იმ სახით, რომლითაც ავი არსებობს თანამედროვე - ბირველ რიგში კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, სულ უფრო და უფრო ავლენს თავის ფსიქოლოგიურ შინაარსს. ის „ანთროპოსი“, ის სუბიექტი, რომელსაც როგორც ონტოლოგიურ წყაროს უბრუნდება ენობრივი სისტემა, გამოიყურება როგორც ფსიქოლოგიურად, ისე სოციოფსიქოლოგიურად გააზრებული „ეგო“. ჩვენ ვთქვით, რომ ვახდენთ თანამედროვე პუბანიტარული აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი გამოცდილების რეზუმირებას. ფსიქოლოგისში ანუ ადამიანისათვის დამახასიათებელი ძირითადი ატრიბუტებისა და სტრუქტურების დაყვანა ფსიქიკურ და მხოლოდ ფსიქიკურ შინაარსამდე, მუდამ აღიქმებოდა როგორც ამ აზროვნების, იმ

ჰუმანიტარული აზროვნების (სულ ერთია, იქნებოდა ლაპარაკი ლოგიკაზე, ესთეტიკაზე თუ სოცოლოგიაზე) დაქვეითების ნაშნაძღუ, ვინაიდან ყველა შექმნვევაში ხდება ადაპიანის, მისი აზროვნების დაშორება, მოწყვეტა უნივერსალურ - სამყაროსეული სინამდვილისაგან. ენა არის ადაპიანის უნივერსალური, მისთვის გლობალური მნიშვნელობის მქონე ატრიბუტი - უნივერსალური როგორც დროში, ისე სივრცეში. და თუ ჩვენ მას დავუდებთ საფუძვლად ფსიქოლოგისტურად გაგებულ ანთროპოცენტრიზმს, მაშინ ის ერთი შეხედვით უაღრესად პოზიტიური ფაქტი, რომ ლინგვისტური აზროვნება დაუბრუნდა ენობრივი სისტემის ონტოლოგიურ წყაროს, მიიღებს უკვე არა პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ შინაარსს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შექმნვევაში მოხდება ძველი ნეოგრამატიკული ფსიქოლოგიაში აღდგენა ახალ დონეზე და ახალ ნიადაგზე. და აი ეს ფსიქოლოგისტური ანუ ნეოფსიქოლოგისტური ანთროპოცენტრიზმი არის ამ აზრობრივი განვითარების შედეგი, პროდუქტი. თუ ჩვენ ამ აზრობრივ დინამიკას არ დავეუკავშირებთ ლინგვისტიკის ვიტგენშტაინისეულ თეორიას, თუ არ მოვანდენთ მის სიღრმისეულ რეკონსტრუქციას, მაშინ შეუძლებელი იქნება ანთროპოცენტრიზმის როგორც პრინციპის განახლებული შინაარსით შეესება. ამიტომ დაუბრუნდეთ ლინგვისტური აზროვნების დინამიკის იმ მომენტს, როცა ნომინოცენტრიზმი შეცვალა ვერბოცენტრიზმმა, ეს იყო ის მომენტი, როდესაც, შეიძლება ითქვას, სცენაზე გაშოვიდა ტრანსცენდენტალისმის ენობრივი, ლინგვისტური ვარიანტი. ის აზრობრივი სტრუქტურები, რომელთა პროეცირებაც ხდება სამყაროზე, წარმოადგენენ ენობრივ სტრუქტურებს. სამყარო ისეთია, როგორც იგი აქტიურად ასახულია ენაში. სამყარო არის ხდომილებათა ერთობლიობა, ანუ როგორც ვიტგენშტაინი ამბობს, სამყარო იშლება ხდომილებებად. სამყაროს ასეთი ლინგვისტურ - ტრანსცენდენტალისტური ხედვა არის ის, რაც საფუძვლად უდევს ნომინაციურ ლინგვისტიკას. ამიტომაც არის

აუცილებელი, რომ ჩვენ მივყევით ბილომდე ნომინაციური ლინგვისტიკის საყრდენ მოქმედებს. პირველი, რაც უნდა ითქვას და რასაც არასოდეს არ აძობს ლინგვისტური თეორია, მაგრამ რაც იმანენტურია, შინაგანად ორგანულად დამახასიათებელია იმ მსოფლმხედველობისაოვის, რომელიც მას საფუძვლად უდევს, არის თვით საშყაროს ატომისტურ - ანალიზური ხედვა. ე. ი. საშყარო არის ხდომილობათა ერთობლიობა. ყოველი ხდომილება შეიძლება იყოს მარტივი, (ატომარული), რომელიც არ იშლება და მოლუკუღარული, შედარებით რთული - ავიღოთ ორი წინადადება: „ბავშვი თაშაშობს“ და „ბავშვი თაშაშობს ოთახში“. ორი ასეთი წინადადება გვეუბნება სწორედ იშას, რომ (გარდა იშისა, რომ წინადადება არის, სიტყვისაგან განსხვავებით, სრული ნიშანი და რომ ლექსიკური ნომინაციის გარდა არსებობს სინტაქსური ნომინაცია) სინტაქსური ნომინაცია ლექსიკური ნომინაციისაგან განსხვავდება იშით, რომ სიტყვა - ლექსიშა ასახელებს სინამდვილის რომელიღაც ცალკეულ სეგმენტს, წინადადება კი ასახელებს მთლიანად სიტუაციას - ხდომილებას. ეს მტკიცებანი შინაგანად აფორმებს ნომინაციურ ლინგვისტიკას, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ გვექნებოდა ნიშნის ცნების გადატანა სიტყვიდან წინადადებაზე, ე. ი. არ გვექნებოდა ენობრივი ნიშნის ექსპანსია. თუ ამ პრიზმით შევხედავთ ზემოთ მოყვანილ ორ წინადადებას, შაშინ უნდა ვოქვათ, რომ ორივე წინადადება როგორც ნიშნები ასახელებენ სიტუაცია - ხდომილებებს, მაგრამ პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მარტივი, ხოლო მეორე შემთხვევაში რთული პროპოზიცია. „ბავშვი თაშაშობს“ მარტივი პროპოზიციაა, რადგანაც იგი ასახელებს მარტივ ატომარულ ხდომილებას. შისი მეტად დაშლა შეუძლებელია. „ბავშვი თაშაშობს ოთახში“ კი რთული პროპოზიციაა - იგულისხმება რომ იგი შედგება ორი მარტივი პროპოზიციისაგან - „ბავშვი თაშაშობს“ და „ბავშვი ოთახში“.

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ როგორ აისახება ენაში როგორც ტრანსცენდენტულ სტრუქტურაში სამყარო ისე, როგორც ეს ასახვა მოცემულია ნომინაციურ ლინგვისტიკაში. ხოლო რაც შეეხება ნომინაციურ ლინგვისტიკას, ჩვენ მას უნდა მიუჩინოთ ადგილი თანამედროვე ლინგვისტიკის ეტაპობრივ სტრუქტურაში შემდეგი ორი კოორდინატის მიხედვით.

ჩვენ ვოქცით, რომ ლინგვისტური აზროვნების განვითარების ეტაპობრივი სტრუქტურა შეესაბამება ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიან სტრუქტურას. ამიტომ ლინგვისტიკის განვითარების თეორიულ რეკონსტრუქციისას და მისი დინამიკური ხაზის დადგენისას უნდა გამოვყოთ შესაბამისად სამი ეტაპი: სინტაქტიკას (ნიშანთა ურთიერთმიმართებას) შეესაბამება სტრუქტურალიზმის ეტაპი, სემანტიკას - პოსტსტრუქტურალისტური, ფუნქციური ლინგვისტიკის ეტაპი, რომელიც შინაგანად გადაიზარდა ნომინაციურ ეტაპში, პრაგმატიკას-კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეტაპი. ამ სემიოტიკურ კოორდინატების მიხედვით ნომინაციური ლინგვისტიკა შეესაბამება სემანტიკას როგორც ნიშნის განზომილებას. მაგრამ არსებობს მეორე - მსოფლმხედველობითი-კოორდინატიც, რომელიც სიღრმისეულად მეტი მნიშვნელობისაა. ამ მეორე კოორდინატის მიხედვით ნომინაციური ლინგვისტიკა თავისი პრინციპებითა და მეთოდებით შეესაბამება იმ მსოფლმხედველობით ნაკადს, რომლის მიხედვითაც სამყარო წარმოადგენს ხდომილებათა ერთობლიობას. მას შეესაბამებოდა სამნაბიჯიანი შინაგანი დინამიკა: ნომინოცენტრიზმი შეიცვალა ვერბოცენტრიზმით, მეორე ნაბიჯი: ვერბოცენტრიზმა მოგვცა სინტაქსოცენტრიზმი, მესამე ნაბიჯი: დამკვიდრდა სინტაქსური სემანტიკა. სინტაქსური სემანტიკა თანამედროვე ლინგვისტიკის ის დარგია, რომელიც ყველაზე უფრო სრულად წარმოადგენს ნომინაციურ ლინგვისტიკას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნომინაციური ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველს წარმოადგენს სამყაროს

როგორც ხდომილებათა ერთობლიობის ხედვა. მაგრამ ეს არის იმანენტისტური დანახვა. თუ ჩვენ შევეცდებით, ცხადია, ბირობითად, იგი გარედან, ანუ თუ მივუყვებით მას უფრო ფართო მსოფლმხედველურ კრიტიერიუმს (ხოლო ეს კრიტიერიუმი გვეუბნება, რომ სამყაროს ხედვა მუდამ ხდებოდა ან ანალიზურ-ატომისტურად, ან სინთეზურ - მთლიანურად), მაშინ ჩვენ შევძლებთ ეს მსოფლმხედველური ნაკადი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციური ლინგვისტიკის სიღრმისეულ გენეტურ შრეს, შევაფასოთ უფრო ფართო კრიტიერიუმზე დაყრდნობით. მაშინ უნდა ვთქვათ ის, რასაც არ ამბობს და ვერც იტყვის ვერც ეს მსოფლმხედველური ნაკადი და ვერც ნომინაციური ლინგვისტიკა. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით სამყარო იშლება ხდომილებებად. იგი შედგება ხდომილებებისაგან. მაგრამ ქმნიან თუ არა ეს ხდომილებები რაღაც მოლიანს, აერთიანებს მათ რაიმე, გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს გვანან თავიანთი სტრუქტურებით - ამის შესახებ ჩვენ ეს ხედვა არაფერს გვეუბნება და ზუსტად იგივე სურათი გვაქვს ჩვენ ამ მსოფლმხედველური ნაკადის შესაბამის ლინგვისტურ აზროვნებაში (თვით ეს სამყაროს სურათიც ხომ სამყაროს ხედვაზე ენის სტრუქტურების პროექციებიოა მიღებული). რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია, რომ საბოლოო ანგარიშში ენის არსისა და სტრუქტურის ხედვას საფუძვლად დაედოს არა ანალიზურ-ატომისტური, არამედ **სინთეზური** ხედვა, რომ სამყარო გაყოფით არა როგორც ხდომილებათა ერთობლიობა, არამედ როგორც **ერთიანი, მთლიანური ხდომილება** და შესაბამისად თვით ენა როგორც ამ ხდომილების ამსახველი სტრუქტურა და უფრო სწორად, არა მხოლოდ ამსახველი, არამედ, ასე ვთქვათ, მაპროექტირებული. მაგრამ ეს გზა რომ გავიაროთ და ამგვარ სინთეზამდე მივიდეთ, აუცილებელია იმ ანალიზური ეტაპის ბოლომდე გარკვევა, რომელიც ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრშია.

ნომინაციურ ლინგვისტიკის კონცეპტუალურ შედეგს წარმოადგენს პროპოზიციის ცნება, რომელიც სინტაქსური სემანტიკის ცენტრალური ცნებაა. როდესაც ჩვენ ნომინაციური ლინგვისტიკიდან კომუნიკაციურზე გადავალთ,

დავინახავთ, რომ გაქონათქვაპის ბინალურ სტრუქტურაში პროპოზიციას უკავია აუცილებელი, მაგრამ დაქვემდებარებული ადგილი: ის ცნება, რომელიც ცენტრალური იყო ნომინაციური ლინგვისტიკისთვის, კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში დაქვემდებარებულ სტატუსს იღებს.

რას წარმოადგენს პროპოზიცია როგორც მსოფლმხედველობრივი. თუ ლინგვისტიკური დინამიკის შედეგი, რომელზეც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი? პროპოზიცია უნდა განისაზღვროს ერთდროულად როგორც სამყაროსთან მიმართების საფუძველზე (ანუ დიფერენციალურ საფუძველზე), ისე საკუთრივ ლინგვისტიკის კონტექსტში. პირველი კრიტერიუმის მიხედვით პროპოზიცია არის ატომარული ან მოლეკულარული ხდომილების იკონისტური ასახვა (ამ ხდომილების ხატი) თუ ჩვენ პროპოზიციას დავინახავთ ექსტრალინგვისტური (სამყაროსეული) ბოზიციიდან და დავინახავთ მას ენის ტრანსდევენტალური კონცეფციის თვალსაზრისით, მაშინ პროპოზიცია იქნება ის ტრანსცენდენტალური სტრუქტურა, რომლის პროექცირებაც ხდება ჩვენთვის სხვაგვარად შეცნობილ სამყაროზე. მაგრამ თუ პროპოზიციას დავინახავთ წმინდა ლინგვისტურ კონტექსტში, მაშინ იგი უნდა გავიგოთ როგორც სემანტიკური კონსტანტა, რომელიც დამოუკიდებელია წინადადების მოდალურ, შეფასებით, ემოციურ ასპექტებისგან და დამოუკიდებელია აგრეთვე წინადადების თვით ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნიდან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია. თუ ავიღებთ წინადადებას „ბიჭი ოთახში თამაშობს“ (რთული პროპოზიცია) დავინახავთ, რომ ყოველგვარი ტემპორარული, ტრანსფორმაციული და სხვა სახის ცვლილება („ბიჭს უთამაშია“, „რა კარგია, რომ ბიჭი თამაშობს“, „ბიჭმა ითამაშა“ და ა. შ.) უცვლელად ტოვებს სწორედ იმას, რაც ნომინაციური ლინგვისტიკისთვის პროპოზიციას წარმოადგენს. პროპოზიცია იმდენად, რამდენადაც იგი ტრანსცენდენტალურად ქმნის სამყაროსეულ ხდომილებას ან ასახავს მას, წარმოადგენს ვერბოცენტრისტულ სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ, ზმნის ვალენტობიდან გამომდინარე გულისხმობს

პროპოზიციის აქტანტურ სტრუქტურას და აქტანტურ კონფიგურაციას, იმისდა მიხედვით თუ როგორ ხდება ხდომილების იკონიკური ასახვა-პროექცირება: სიღრმისეულად თუ ზედაპირულად ანუ ირიბი თუ პირდაპირი ნომინაციის გზით.

ლექცია № 10

ჩვენ ვნახეთ, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება მოძრაობდა და მოძრაობას განაგრძობს იმ კონცეპტუალურ სივრცეში, რომელიც იქმნება ნიშნის საშგანზომილებიანი მოდელით. ეს მოძრაობა ერთმხრივია მიმართული: პორიზონტალურ და ვერტიკალურ სემიოტიკური ჭრილებში. პორიზონტალურ ჭრილში ლინგვისტური აზროვნება მიეპართებოდა სინტაქსიდან. სემანტიკის გავლით პრაგმატიკისაკენ (დღეისათვის მან საძივე განზომილება გაიარა). ვერტიკალურ ჭრილში კი სიტყვიდან ტექსტისაკენ. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ამ მოძრაობის ბოლო ეტაპზე შეიქმნა ის, რასაც თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ანტინომიური სტრუქტურა ვუწოდეთ. შემდეგ ჩვენ ხაზი გავუსვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცენტრალურ პრინციპს - ანთროპოცენტრიზმის პრინციპს და ვნახეთ, რომ ორივე ფუნდამენტური ანტინომია, რომელიც წარმოიშვა ამ ორმხრივი მოძრაობის შედეგად, თავს იყრის თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმის დონეზე. ერთი მხრივ, ანთროპოცენტრიზმით ლინგვისტური აზროვნება უბრუნდება ენობრივი სინამდვილის ონტოლოგიურ წყაროს - ადამიანს, სუბიექტს, მეორე მხრივ, ხდება ამ ონტოლოგიური წყაროს შექმენებითი გაუფასურება, რადგან ეს წყარო (სუბიექტი) კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში აღქმულია არა უბრალოდ ფსიქოლოგიურად, არამედ ფსიქოლოგისტურად, ხოლო ფსიქოლოგიზმი - ესაა თანამედროვე გნოსიოლოგიური პრინციპი, რომელიც მუდამ გულისხმობს დაქვეითებას. თეთრიულ - მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ფსიქოლოგიზმის მიხედვით, ადამიანის აზრს საფუძვლად უდევს მხოლოდ სუბიექტის ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური სტრუქტურები, რომელთა გარეშე სუბიექტი შეუძლებელია:

ე. ი. აზრს, გაგებულს ფართოდ, ლოგიკურად თუ ენობრივად
 საფუძვლად უდევს არა ობიექტური ენობრივი სტრუქტურა,
 არამედ სუბიექტის წმინდა ფსიქოლოგიური სტრუქტურა.
 შექმნე ჩვენ ვილაპარაკეთ რეკონსტრუქციასზე და ვნახეთ,
 რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება იმ დინამიკაში,
 რომელშიც ჩვენ იგი განვიხილეთ, არის თანამედროვე
 მსოფლმხედველური აზროვნების ფორმაში უცვლელი
 წარმოდგენა (რეპრეზენტაცია, გამოვლენა): თანამედროვე
 ლინგვისტიკა და ის მსოფლმხედველური ნაკადი, რომლის
 რეპრეტენსაციასაც იგი წარმოადგენს, არის ერთი და იმავე
 აზრობრივი დინამიკის ორი მხარე. ჩვენ დავასახელებთ ის
 მსოფლმხედველური ნაკადი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ
 ლინგვისტურ აზროვნებას. როგორ მოხდა საქყაროს
 საგნობრივი კონცეფციის შეცვლა სამყაროს ხდომილებრივი
 კონცეფციით? როგორ იქნა წარმოდგენილი ეს
 მსოფლმხედველური ძერა ლინგვისტურ აზროვნებაში?
 როგორ შეიცვალა ნოშინოცენტრული კონცეფცია
 ვერბოცენტრისტულით? - პირველი ნაბიჯი იყო
 სინტაქსოცენტრიზმის აღიარება, მეორე -
 ვერბოცენტრიზმისა, მესამე - სინტაქსური სემანტიკის
 წარმოშობა და განვითარება. მთელი ეს ძერა მოხდა
 ლინგვისტური აზროვნების დინამიკის იმ ეტაპზე, როდესაც
 ლინგვისტიკაში გაბატონებული იყო სემანტიკა. მაგრამ
 შექმნე ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი ლინგვისტური
 აზროვნების რეკონსტრუქციის შიპაროულებით და ვთქვიეთ,
 რომ ამ აზროვნებისთვის ფუძემდებელი ნაკადი იყო და არის
 ტრანსცენდენტალიზმის ენობრივი ეტაპი. ყოველივე ამან
 ჩვენ შეგვაშადა იმისთვის, რომ აღვიქვათ ლინგვისტური
 აზროვნების დინამიკის ეს ბოლო ეტაპი, რომელიც
 წარმოდგენილია ტექსტის თეორიითა და პრაგმატიკით, უკვე
 არა მარტო ლინგვისტურად, არამედ
 მსოფლმხედველურადაც. ჩვენ ვილაპარაკეთ აგრეთვე იმაზე,
 რომ სინტაქსური სემანტიკის ძირითად ცნებას წარმოადგენს
 პროპოზიციის ცნება და გაყიხსენეთ, თუ რა იყო ძირითადი
 პროპოზიციისაში. „პროპოზიცია“ სალექსიკონო მნიშვნელობით
 ნიშნავს „წინადადებას“, მაგრამ ის, რასაც გულისხმობს
 ტერმინი „პროპოზიცია“ სტრუქტურული თვალსაზრისით,

რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რასაც გულისხმობდა ტერმინი „წინადადება“ იგულისხმებოდა, რომ მის სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენდა ქვეშეობარე, პროპოზიციასი კი ასეთ სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენს ზმნით ან მისი შექცეული ელემენტით გამოხატული პრედიკატი. „წინადადება“ ტრადიციულად გულისხმობდა, რომ მასში გამოხატულია მსჯელობა ამ სიტყვის ტრადიციულ-ლოგიკური გაგებით. ე.ი. „წინადადება“ გამოხატავდა მსჯელობით აზრს. ტრადიციულ სახელმძღვანელოებში წინადადების ამ ფუნქციას ეწოდებოდა „ექსპრესიული ფუნქცია“. პროპოზიციას კი (სწორედ აქ ვლინდება სინტაქსური სემანტიკის ტრანსცენდენტალისტური არსი) წარმოადგენს არა მსჯელობას, არა აზრს, არამედ სამყაროსეული ხდომილების უშუალო ასახვას: მსჯელობის გენეზისი და მისი ფუნქციონირება ენასთან არ იყო უშუალოდ დაკავშირებული. ე.ი. ლოგიკა არ საჭიროებდა ენას არსებითად იმისათვის, რომ მსჯელობა ეკვლია. ტერმინი „პროპოზიცია“ როგორც სინტაქსური სემანტიკის ტერმინი ამ სამსაფეხურიან მოდელს რადიკალურად არღვევს იმიტომ, რომ პროპოზიციას აღარ წარმოადგენს მისგან დამოკიდებული მსჯელობის გაფორმებას, იგი არის სამყაროს ხდომილებათა ასახვა. ტრანსცენდენტალიზმის არსიდან გამომდინარე, ეს არის არა უშუალო ენაში ასახვა მისგან დამოუკიდებლად მოცემული სინამდვილისა, არამედ ენობრივი პროცესის პროეცირება სინამდვილეზე. სამყაროს ძირითად ელემენტს წარმოადგენს ხდომილება და როგორც არის ეს ხდომილება, ისეთი იქნება სამყარო ჩვენთვის. ხდომილების იმ სტრუქტურას, რომელსაც პროპოზიციას გულისხმობს, და ხდომილებას შორის აღარავითარი ინსტანცია არ არის. ასახვისა და პროეცირების ერთმანეთისაგან განსხვავება შეუძლებელია. ე. ი. პროპოზიციას გულისხმობს, რომ ენობრივი სტრუქტურა არა მარტო ასახავს ხდომილებრივ სტრუქტურას, არამედ წარმოადგენს ჩვენებული ცოდნის ეროგვარ წყაროს და ქმნის სტრუქტურას. უკვე ამ ეტაპზე, ე. ი. სინტაქსური სემანტიკის ეტაპზე, ვლინდება თანამედროვე ლინგვისტიკის ტრანსცენდენტალისტური არსი. ოუკი ტრანსცენდენტალიზმი განაგრძობს არსებობას, ეს

ხდება იმდენად, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ენობრივ ეტაპთან. „წინადადებისათვის“ ძირითად ნიშნად მუდამ ითვლებოდა პრედიკაცია. ამ თვალსაზრისით „პროპოზიციის“ ცნება თავისი შინაარსიდან განდევნის პრედიკაციას. ხდომილება - ეს არის ფაქტი მისი მონაწილეებით, მაგრამ ისე, რომ მისი შინაარსით მისი სტრუქტურიდან განდევნილია დრო და ადგილი. ე. ი. პროპოზიცია გამონათქვამის ნომინაციური ასპექტია. იგი გვიჩვენებს, რა სახის (ტიპის) ხდომილებასთან გვაქვს საქმე და რა ტიპის აქტანტები მონაწილეობენ ხდომილებაში. მაგრამ თვით ამ ხდომილების ქრონოტოპი (სად და როდის ხდება მოქმედება) არ ეკუთვნის პროპოზიციას. ერთი და იგივე პროპოზიცია შეიძლება გაფორმდეს განსხვავებული კომუნიკაციური ასპექტით (ბავშვი თამაშობს, თამაშობდა, ითამაშებს, ფფიქრობ ითამაშებს, მოთამაშე ბავშვი და ა. შ.).

სარჩევი

1. ენათმეცნიერების შესავალი	5
2. ზოგადი ენათმეცნიერება	47
3. კომუნიკაციური საბყარო და თანამედროვე ლინგვისტიკა	155

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა
კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა
„ენა და კულტურა“
(სარეგისტრაციო № 5/4-1349)

ტირაჟი 400 ეგზ.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა
კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტამბა
თბილისი, 380062, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 45